



האנציקלופדיה

10

1990



„შენ ერთადერთი აკაკი ხარ...“
ილია

ტესტი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

10

ოქტომბერი

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუბნალი

საბ. კვ ცდ-ის გამომცემლობა, მფ. გამომცემის მგ-ე წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ა კ ა კ ი — 150

3. აპაი წერეთელი — რჩევა მოძრაობის დროს. ლექსი
4. ვაჟა-ფშაველა — აპაის საიუბილეოდ. ლექსი.
5. შალვა დადიანი — ჩაში წარმოდგენით
6. გრიგოლ აბაშიძე — მისი გმოსანი
12. ვახტანგ ჯავახიძე — აპაი და ბალატიონი
15. რევაზ მიწველაძე — მისი სივარდლის წიგნი
18. ზაზა ენუქიძე — „მევა დროს...“
21. ქართველ მოღვაწეთა წერილები აპაისადმი. მასალები მოგვაწოდა შალვა ბოჭალიშვილმა

□ □ □

მთავარი რედაქტორი
იოანე ანდრონიკაძე

სარედაქციო კოლეჯია:
გივი ალხაიშვილი
თედო ბეგიანი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

გივი ბეგიანი
დათო მალაქაძე
რევაზ მიწველაძე
გივი სულაიაშვილი
მერიტ ფოცხვიანი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯიანი
ნუგზარ შაბაძე
მანანა ჩიტიშვილი

ვაჟა ჩორბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ვახტანგ ხარბილაძე
მირან ხარბიანი
ტარიელ ვანტურია
მამა ჯოხაძე

მორივე რედაქტორი
ნანა ჯაფარიძე

□ □ □

კოეზია და კროზა

29. შოთა ნიშნინიძე — უკვემეტი ერთი თავი პოემიდან
40. ზაურ კალანდია — ზღვარი. მოთხრობა
50. ლადო სულაიაშვილი — ლექსები
54. ნელი ბეგიანი — ხის მიხედვით ცნობადისა... არა სხამსოთ. მოთხრობა
79. მანანა ჩიტიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

81. აბათა ჟინიძე — ეპიკური სამარხის გახსნა. მოთხრობა, თარგმნა ეთერ გომიწერაშვილიმ

დრამატურგია

92. რევაზ მიწველაძე — ნაპრაღი. ორმოქმედებიანი პიესა

ა კ ა კ ი — 150

113. არტურ ლანსტი, გრიგოლ რუგაძე, იოსებ მიწველაძე, სოფროს მგალობლიშვილი, იოსებ იმე. დაშვილი
116. დავით შაფლუარი — აპაისა და ვაჟას კოლეგიის ბაშო
120. ელდარ ნადირაძე — აპაის ეთნოგრაფია
127. აპაი ხინთიბიძე — საშვილიშვილო ბალოვა
131. სერგო თურნავა — აპაი წერეთლის შემოქმედება უცხოელთა თვალთახედვით

დაბრუნებული სახელები

135. ალექსანდრე მანვილიშვილი — საქართველოს ისტორია. ფრანგულიდან თარგმნა სოფიკო ბენდიანაშვილმა

ლიტერატურული ნააზრევნი

150. ამირან ბალანიაძე — სინათლე და სინათლის აღქმა ბოთლის მსოფლმხედველობასთან მიგრეთებაში

აკაკი წერეთელი

რჩევა მოძრაობის დროს

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა?!
ილუპებიან ორივე.
არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა.

ორივეს მტერი ერთია,
შორეულ, გადამთიელი,
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ადგიათ უღელი.

ძალმაც კი იცის პირუტყვმა:
შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,
როცა იმაზე მომსვლელად,
გარეშე მტერი, მგელია!

და კაცს კი, მალალ ქმნილებას
ძაღლისაც არ აქვს შეგნება:
დაბრმავებულია ვნებითა!
შური ცეცხლივით ეგზნება!..

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა!
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა!

ბედნიერება ამ ქვეყნად
შეერთებული შრომაა,
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?

შეერთდით, ძმებო!.. შეერთდით!..
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა!..

ვაჟა-ფშაველა

აპაის საიუბილეოდ

მშობელი ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავე ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.
რა ვუყოთ? ბედი, შავბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა,
მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამურადა,
შენს სამახსოვროდ, მოხუცო,
თავს ჩაჩქნად დასახურადა!
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემი ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკელასი
როგორც ნისქვილში რაკუნი,
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი, გრძნობის ნაჟური,
დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური!
ილიაც მესაუბრება,
უნდა დავუგდო მას ყური.
დავალებული გულისა
უნდა ამოთქვას ენამა:
წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა სმენამა.
მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!
რომ მიყვარს მამულიშვილი,
დაე, იცოდეს ყველამა,
გადაგვარების მოსურნე
შეჭამოს ტურა-მელამა!
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღმერთმა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!

ჩემი ნარკოზგენით

აბაპი!

ეს დიდებული პოეტი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსათვის დიდი სულის მოთქმაა, დიდი მაჩისცემა.

მზის ქვატი ღრუბლიან ცაზე.

ვარდის სურნელება შალტაჰით წაღებულ უდაბურებაში.

აკაკი სიყმაწვილიდანვე ჩადგა საქართველოში გასული საუკუნის მესამე-ცე წლების მოწინავეთა რაზმში და იარაღად მოიმარჯვა სიტყვა, კალამი, მოქმედება.

კალმით მან მხატვრული სიტყვის ყველა დარგში საუცხოოდ დაიმღერა.

ეს იყო ლექსი თუ პროზა, დრამატურგია თუ სატირა, იუმორისტიკა თუ მებლაყისტიკა მის ხელში მაღალხარისხოვან ნაწარმოებად გამოდიოდა და ყველგან იყო აღმაფრენით აღსავსე, ნათელი, ფხიანი და ხალისიანი.

მისი მსოფლმხედველობა იყო ფართო, რადგანაც თავის „სახატედ“ მას „მთელი ქვეყანა“ (მსოფლიო) მიაჩნდა. ის აღფრთოვანებული იყო იმ ოცნებით, რომ სხვადასხვა ხალხი გაერთიანდება და გაიმარჯვებს. ის მუდამ მოელოდა, სწამდა, რომ ქვეყნად დამყარდება ხალხთა სოლიდარობა და თავისუფლება, სადაც „ყველა თანასწორი“ იქნება, სადაც მოსპობილი იქნება „ფაოსისველის ანგარიში“, სადაც „სიღარიბე ბოროტად“ აღარ იქნება მიჩნეული.

აკაკის იდეალად მიაჩნდა საზოგადოებრივი „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი აკაკი მანც თავის ლირიკაშია.

აქ იგი სულ თავის „მრავალ-კირნახულ“ სამშობლოს დასტრიალებს თავზე. ის არის მისი „სატრფო“.

ამ სატრფოსთან კი პოეტი ხან ისეთი ნაზი და ნარნარია, როგორც „მუნის ძირას ამოსული, დარცხვენილი ია“, ხან ისეთი ცქრილა და მოწანწყარე, როგორც მისი მშობელი მხარის მთების მოჩუხჩუხე წყაროები, ხან მრისხანე და მღელვარე, როგორც აქაფებული მდინარეები და აბორგებული ზღვის ტალღები, ხან დამშვიდებული და კრიალა, როგორც მისი ქვეყნის ციხე, „ფირუზი ცა“, მომზიბველი და მხედველობის დამატებობელი, როგორც ამავე მხარის მოქარგული მინდორ-ველები, „ხმელეთ-ზურმუხტი“ და ზვიადი მთები.

პოეტის სიმღერაში კი გამოისმის თვით ქართველი ხალხის ხასიათი თავისი ტემპერამენტით, გამილეობით, შეუდრეკელობით და ხალისით. ეს თვით ქართველი ხალხის სიმღერაა, ეს ხალხის სულის მოთქმაა, რადგანაც აკაკი ხალხის სულში იჭრება და თავისი უცვდავი ჰანგი და კილო თვით ამ ხალხის სულის სიღრმიდან, როგორც უშრეტ წყაროდან, გამოაქვს და კვლავ უბრუნებს ხალხს, რომელიც იჭვე მღერის მის ლექსებს თავისი გაკირვებისა და დაღბინების დროს...

აკაკი თითქოს მაჩისცემა ამ ხალხისა, იგი დიდი გამახვილებით გრძნობს ხალხის კოლექტიურ გულს.

ამიტომაც არის აკაკი უდიდესი, პოპულარული ქართველ ხალხში.

შალვა დადიანი

პრის მგოსანი

მეშმარიტი პოეზიით ტვობა თურმე ასაკსა და ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად მოდის. მას ძველი კეთილშობილი ღვინის ის თვისებები აქვს, რომელსაც ჯეროვნად მხოლოდ გემოგახსნილი ადამიანები აფასებენ.

იყვნენ ჩვენში პოეტები, რომლებიც ძველის გადაფასებას აკაკის გმობით იწყებდნენ. მაგრამ ჩვენვე ვიყავით იმის მოწმენიც, თუ როგორი თაყვანისცემითა და მოწიწებით იმსჯელებოდნენ ისინი აკაკის პოეზიისადმი უფრო გვიან, როცა წლებს მათთვის აზრის სიმწიფე და განსჯის მიუდგომლობის უნარი მოჰქონდა.

მრავლის მთქმელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი საუკუნის უდიდესმა პოეტმა ვალაკტიონ ტაბიძემ თავის წინაპრად სწორედ აკაკი წერეთელი აღიარა.

ყველაზე დიდ პატივისცემას ჩვენ მაშინ გამოვხატავთ წარსულის დიდი ადამიანებისადმი, როცა მათ ჩვენს თანამედროვეებად ვთვლით. მათადმი ასეთი დამოკიდებულებით, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ისინი ცოცხლები არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან.

აკაკი დიდი პოეტების იმ მცირე, მაგრამ ბედნიერ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მომავალი თაობების თანამედროვეებად რჩებიან და სწორედ ეს არის უკვდავების ბედნიერება!

დღეს ჩვენი ხალხი თავისი საყვარელი პოეტის დაბადების 150 წლისთავს ზეიმობს.

სამოცდათხუთმეტი წელი გავიდა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან. ჯერ კიდევ ცოცხლები არიან პოეტის თანამედროვენი და მისი უჩვეულო დიდების მომსწრენი. სამოცდათხუთმეტი წელი ცოტა დრო როდია ქეშმარიტი ღირებულების დასადგენად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაცვდა და ბევრმა დაკარგა ადრინდელი ბრწყინვალება. ორმოცდაათ წელს არც აკაკი წერეთლის მემკვიდრეობისათვის აუვლია გვერდი გულგრილად. აკაკი წერეთელი ფხიზელი გონების კაცი იყო, მან ხალხის უდიდესი საყვარელი და თაყვანისცემა მიიღო, მაგრამ დიდების უმაღლეს მწვერვალზეც პოეტს თავბრუ არასდროს დასხმია. წონასწორობა არ დაუკარგავს და საკუთარი თავის მიმართ კონტროლის გრძნობა არასოდეს დაჩლუნგებია. აკაკიმ კარგად იცოდა თავისი ღვაწლის ფასი, იგი გრძნობდა თავის დიდ დამსახურებას ერის წინაშე და ამიტომაც თამამად უსწორებდა თვალს მომავალს, ამიტომ არ ეშინოდა კრიტიკული ყოფილიყო თავისი შემოქმედების მიმართ, როცა შთამომავლობას გულახდილად ესაუბრებოდა: „უმეტეს ჩემს ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ეამი იცვალა, და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემი მხრით რომელიმე გვარი მწერლობა“.

შეიძლება პოეტი თავისი შემოქმედების მიმართ ზედმეტ სიმკაცრესაც იჩინდა, როცა თავისი თხზულებების დიდ ნაწილს მნიშვნელობადაკარგულად თვლიდა, მაგრამ ისეთი დიდი განძის პატრონს, როგორც აკაკი წერეთელი იყო, შეეძლო ამგვარი ხელგაშლილობა მისი სალარო იმდენად მდიდარი იყო პოეზიის ქეშმარიტი მარგალიტებით, იგი იმდენი ოქროს მფლობელი იყო, რომ

მნიშვნელოვანი დანაკარგიც კი მისი აურაცხელი სიმდიდრისათვის კვალის დამ-
 მჩნევი ვერ გახდებოდა.

მაგრამ ჩვენ უნდა გავარკვიოთ. შეეძლო თუ არა აკაკი წერეთელს ამ მსხვე-
 რძლზე უარის თქმა — თავისი დიდი ნიჭისა და მოღვაწეობისათვის ზოგჯერ
 შეუფერებელ შავ სამუშაოზე ხელის აღება. დიდი მამულიშვილისა და ბრწყინ-
 ვალე პოეტის ამ მსხვერპლს ჩვენ იმ მოვალეობის სიმაღლიდან უნდა შევხედოთ,
 რომელიც აკაკიმ თავის თავს სიყრმიდანვე დაუსახა და რომლის სამსახურიც
 მას სიკვდილამდე თავის უპირველეს მოწოდებად მიაჩნდა.

ეს მოვალეობა. — სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა. — მშო-
 ბელი ხალხის უანგარო სამსახური იყო, ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის
 თავდადებაში არ არსებობდა დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი საქმე. სამ-
 შობლოს ჯარისკაცისათვის საამაყო და სისახელო იყო ყოველგვარი გარჯა, რაც
 ერის გამოფხიზლებასა და მის განთავისუფლებას ემსახურებოდა. ამიტომ აკა-
 კი წერეთელი ამაოდ როდი დამშვრალა. თავისი ბრწყინვალე ნიჭის დიდი ნაწი-
 ლი რომ ერის საჭირობოტო ყოველდღიურობას მოაბარა. ილია ჭავჭავაძეს-
 თან ერთად იგი ჩვენს ხალხს ახალი გზების გამკაფავად, იმ ბიბლიურ წინასწარ-
 მტყვევლად მოველინა, რომელსაც ვრი უდაბნოში უნდა გამოეტარებინა და
 აღთქმულ ქვეყანაში მიეყვანა. ამ ძნელსა და გრძელ გზაზე ერის წინამძღოლე-
 ბი და წინასწარმტყვევლები ყოველთვის ველარ ახერხებდნენ ღვთაებასთან
 უშუალო კონტაქტს; ქადაგად დაცემასა და ნათელშობილველობას. ერის წინამ-
 ძღოლობა შავი სამუშაოს შესრულებაშიც. ღორღისა და ეკალბარდისაგან გზის
 გაწმენდაშიც მაგალითის მიცემას მოითხოვდა და აკაკი წერეთელი უყოყმანოდ
 ხარჯავდა თავის ძალ-ღონეს ერის ყოველგვარი საჭიროებისათვის.

რაკი ერის სამსახურის იდეა აკაკი წერეთლისათვის უმაღლეს მოწოდებად
 იქცა. ეს სამსახური მისთვის წმინდა მსხვერპლიც იყო მარადიულისა და ღვთა-
 ებრივის სადიდებად მიტანილი, და თუ აკაკი წერეთელმა თავისი ნიჭი ზოგჯერ
 წვრილმანებზე დახარჯა, ეს უგუნურ ფლანგვად კი არ უნდა ჩავუთვალოთ მგო-
 სანს, არამედ კეთილშობილებისა და დიდსულოვნების იმგვარ გამოვლინებად.
 რომელიც მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის ფანატიკოსებასა და რწმენისათვის
 თავგანწირულ გმირებს ახასიათებთ.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიზნები წმინდა და მაღალი იყო და
 რახან ამ მიზნებმა გაიმარჯვეს. ყველაფერი ამ გამარჯვების სამსხვერპლოზე
 მიტანილი, ჩვენთვის. შთამომავლობისათვის, წმინდად და უკვდავად შესარაცხი
 უნდა იყოს. „განთიადისა“ და „ქებათა ქების“ ავტორს; ისევე როგორც „აკია-
 ადამიანისა“ და „განდეგლის“ ავტორს; შეეძლო მსოფლიო ლიტერატურის სა-
 განძური თავისი შედევრებით გაემდიდრებინა, მაგრამ დამონებული პატარა
 ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადობაც თავისთავად უდიდესი სა-
 აცემბრით საქმეა და ამ მხრივ ენა ვერ მოგვიბრუნდება ჩვენი დიდი წინაპრე-
 ბის სასაყვედუროდ. პატარა, ჩაგრული ერის შვილობა მწერალსაც განსაკუთრე-
 ბულ პასუხისმგებლობას ავალუბს და ეს ვალდებულება ყველა სხვა მოვალეო-
 ბასა და სამსახურზე კეთილშობილი და ამაღლებულია.

ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია თვალი გადავაგლოთ იმ დიდსა
 და შესანიშნავ ლიტერატურას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში შექმნეს რუ-
 სეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებში შემავალმა პატარა ერებმა, და კი-
 დევ უფრო დიდსა და გმირულ მაგალითებს მწერლის მაღალი მოქალაქეობისა
 და თავდადებისა, რომლებიც ამ ერების უკვდავმა მწერლებმა დაგვიტოვეს
 გაკეთილად.

საქართველოსა და სომხეთის, უკრაინისა და პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის ხალხების მოწინავე შეილებ-მა: ილია ჭავჭავაძემ და ტარას შევჩენკომ, მიცკევიჩმა და პეტეფიმ — ააფრი-ლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშები. მათ არა მარტო სიტყვითა და კალმით გამოუცხადეს შეუტივებელი ბრძოლა ტირანიას, არამედ თავიანთი წმინდა სისხლიც დაათხიეს სამშობლოს დიდების საკურთხეველზე.

ევროპის უდიდესმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა სამშობლოდან შორს, დევნი-ლობაში დალია სული; უნგრელი ხალხის უპირველესმა მგოსანმა შანდორ პე-ტეფიმ მისი სამშობლოს ასაოხრებლად შემოსეულ მტრებს შეაკლა თავი. ხო-ლო ბულგარეთის ხალხის შესანიშნავი მომღერალი ქრისტო ბოტევი თურქ ასკერებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა გმირულად.

ხალხთა ამ განმათავისუფლებელი ბრძოლების მეთაურთა შესანიშნავი შე-მოქმედება და გმირული თავგანწირვა რუსეთისა და ევროპის საუკეთესო ადა-მიანთა აღტაცებასა და მხარდაჭერას იმსახურებდა და ასეთ პირობებში მო-წინავე ახალგაზრდისათვის არ არსებობდა სამშობლოსათვის თავდადებაზე უფ-რო მიმზიდველი და აღმაფრთოვანებელი მოწოდება.

აკაკი წერეთლის ბიოგრაფიიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იმსა-ხურებს ერთი გარემოება: რუსიფიკატორი მასწავლებლებისაგან დევნილი და სასოწარკვეთაში ჩაეარდნილი აკაკი პირველად ეცნობა ადამ მიცკევიჩის შესა-ნიშნავ პოემას „კონრად ვალენროდს“. პოემა იმდენად დიდ გავლენას ახდენს აკაკიზე, რომ იგი გადაწყვეტს, მიატოვოს სკოლა, ხელი აიღოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების ოცნებაზე და შევიდეს სამხედრო სამსახურში, რათა კონდარ ვალენროდივით შესწიროს თავი სამშობლოს განათავისუფლებას.

გარიბალდი, მაძინი და კოშუტი იქცნენ პეტერბურგელი ქართველი სტუ-დენტების და მათ შორის ჭაბუკი აკაკის იდეალურ გმირებად. სამშობლოს თა-ვისუფლებისათვის ბრძოლა იქცა აკაკის ცხოვრების უპირველეს აზრად. ეს სწრაფვა მას თითქოს აკენიდანვე დაჰყვა, ბავშვობაში, ზემო იმერეთის ციხე-ებისა და ტაძრების ნანგრევების ცქერამ კიდევ უფრო გაუძლიერა და ჭაბუ-კობიდან იმ უმთავრეს გრძნობად გადაიქცა, რომელსაც ყველაფერი ფანატი-კურად დაუქვემდებარა.

აკაკისათვის ადამიანობის საზომი სამშობლოს სამსახური იყო. ბრწყინვა-ლე წარმოშობის, წარმოსადეგი გარეგნობისა და შესანიშნავი აღზრდის წყა-ლობით მას შეეძლო ჩინ-მედლებიც უხვად მოეპოვებინა, დიდი კარიერაც გა-ეკეთებინა და სიბერეც უზრუნველი ჰქონოდა. ეს გზა მან სიყრმიდანვე დაგმო და არამარტო თვითონ არ გაჰყვა მას, სამუდამოდ შეიძულა ისინიც. ვინც პი-რად დიდებას ესწრაფვოდნენ. ამ მხრივ აკაკიმ კომპრომისი არ იცოდა და ზოგჯერ ისეთ ადამიანსაც კი სასტიკად გასწირავდა, რომლის ღრმა პატივისცე-მას გულში ფარულად ატარებდა.

აკაკის ზოგიერთ ლექსში იგრძნობა გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებით შთაგონება, მაგრამ თერგდალეულმა პოეტმა სიკვდილამდე არ აპატია „მამე-ბის“ მეთაურს მეფის ნაცვლის მოადგილეობა და არაერთხელ სტყორცნა გეს-ლიანი ისარი „ხარაბუხა ღენერალს“.

ეროვნულ გადაგვარებასა და კოსმოპოლიტობას აკაკი წერეთელი მთელი შეგნებით ებრძოდა. მან არაერთხელ განმარტა ერის, სამშობლოს თავისუფლე-ბისათვის ბრძოლის საკაცობრიო მნიშვნელობა, არაერთხელ ბრწყინვალედ დი-ცვა ერის თვითმყოფობის იდეა თავის ნაწარმოებებში. იგი სამშობლოს სიყ-ვარულის ქადაგებისას სხვა ხალხების პატივისცემას არასოდეს ივიწყებდა და

ეს მალაქტემანური იდეა ფორმულასავით აფორისტულად გამოთქვა შესანიშნავი ლექსით:

ჩემი ხატია სამშობლო,
 სახატე — მთელი ქვეყანა.

ამ ხატის წინაშე მუხლმოყრილი მგოსანი ნახევარ საუკუნეზე მეტწაანს ამბობდა წმინდა ლოცვას. შის ღალადისს ხალხი მაშინვე იტაცებდა და კირსა და ლხინში სახსოვარ სიმღერად და სავალობლად აქცევდა.

მთხუცი აკაკი ტექნიკის ერთ დიდ სასწაულსაც მოესწრო. გრამოფონის ფირფიტამ შთამომავლობას მისი ძვირფასი ხმა შემოუნახა. ამ ხმის გაბზარულობა დაუძლურებული მგოსნის ფიზიკურ უღონობასთან ერთად ჩანაწერის მაშინდელი ტექნიკის სისუსტეზეც მეტყველებს, მაგრამ ძნელია თვალზე ცრემლის შეკავება, როცა ათეული წლების მიღმიდან მოტუცი წინასწარმეტყველის ღალადისი მოგესმის:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 სულის ჩამდგმელო მხარეო,
 შენი ვარ, შენთვის მოვეკვები
 შენზედვე მგლოვიარეო!
 ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
 ზე კალთა დამაფარეო,
 და რომ მოვეკვები, გახსოვდეს,
 ანდერძი დავიხარეო:
 „დედაშვილობამ, ბევრს არ ვთხოვ,
 შენს მიწას მიმახარეო...
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო!“

ასეთი ინტიმიტ ჭერ საქართველოს სიყვარული არავის უმღერია, არც ასეთი ძუნწი, მაგრამ ყოვლისმთქმელი ზუსტი პოეტური სახეები მოუშველებია ვისმეს სამშობლოს ცისა და მიწის სადიდებლად.

აკაკი წერეთლის „განთიადი“ საქართველოს სიყვარულის განუმეორებელი ჰიმნია და მის შემქმნელ მგოსანს უფლება ჰქონდა ეთქვა:

დააძნა გული შენს სიშებს
 და სული დაიკადაო.

ლოცვა მით უფრო გულმხურვალეა, რაც უფრო ჩუმიად, მხოლოდ ღმერთის ვასაგონად ითქმისო, ამბობდნენ ძველად და აკაკის „განთიადიც“ ისეთი ლოცვაა, რომელიც თითქოს პოეტს თავისი ღმერთის წინაშე უთქვამს მარტოდმარტოდარჩენილს, როცა ადამიანს არავისი ერიდება და მთელი არსებით ეძლევა აღსარებას.

ამ ლექსში საქართველოს პეიზაჟი სულ ორი სიტყვითაა დახატული („ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“). მაგრამ ისე ძლიერად, რომ კაცის გონებიდან აღარ ამოდის. ასეთი ლაკონური ხატვა ფერწერის დიდოსტატებსაც შემურდებათ, ხოლო პოეტურ ფრაზაში ასე ცხოველყოფელად, ასე მრავლის მთქმელად და ლამაზად საქართველოს ბუნება ჭერ არავის აღმეტყველებია. ამ ლექსში ყველა სიტყვა თავის ადგილზეა, თითოეული მათგანი, თავისთავად, ერთადერთსა და აუცილებელს წარმოადგენს, ხოლო აზრი და მუსიკა, შინაგანი წვა და მღელვარება პოეტური შესაძლებლობის ჩვეულებრივ საზღვრებს სცილდება. თუ რომელიმე ნაწარმოებზე შეიძლება ითქვას, ამის დამწერს სხვა რომ

არაფერი დაეწერა. უკვდავსაყოფად ესეც ეყოფოდაო. ყველაზე მეტად ეს ნათქვამი აკაკის ამ ლექსს მიუდგებოდა: თითქოს მთელი სიციცხლის განმავლობაში მისთვის უმღერია სამშობლოს სიყვარულზე, რომ ბოლოს ეს სრულყოფილი შედეგო შეექმნა. რომელსაც ქართულ პატრიოტულ ლირიკაში ბადალი არა ჰყავს.

აკაკი წერეთელი ერთადერთი შემოქმედი იყო იმ დროში. პოეტობა რომ პროფესიად გაიხდა: მისთვის ყველა ქართველის კარი ღია იყო. პოეტი ქადაგივით ხალხში დადიოდა და მარჯვნივ თუ მარცხნივ თავისი გონებახვილობის ნაბეჭდოებს აბნევდა. ამ გარემოებამ შექმნა მითი აკაკის უღარდებლობასა და უზრუნველ პირად ცხოვრებაზე.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული აკაკის წერილები ცოლ-შვილისადმი უარყოფტენ ჩვენს ამ წარმოდგენას და ფარდას ხდიან მგონის საშინელ ტრაგედიაზე: მარტოობასა და პირად უბედურებას სხვანაირად, ალბათ, არც უნდა მომხდარიყო: დიდი იდეების ფანტიკოსებსა და თავდადებულ მსახურებს პირადი ბედნიერება იშვიათად მოსწრებიათ.

აკაკის თვითონ სძულდა ბედნიერებით ყელამდე ავსებული თვითკმაყოფილების უზრუნველი გაბუნძილობა და, ალბათ, სარწმუნოებისათვის განწირულ მოწამესავით პირად უბედურებასაც შერიგებული იყო.

აკაკი, ალბათ, არც აქცევდა ყურადღებას თავისი პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობას. სამშობლოსადმი — მისი სიყვარული და სამსახური ჩვეულებრივი პატრიოტული ვალის საზღვრებს სცილდებოდა. თანდათან მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთადერთი აზრი და შთაგონება ხდებოდა და ბოლოს ხომ მის ნამდვილ რელიგიად, მისი არსებობის გამართლებად იქცა.

იგი მოკალმასე ბერივით საქართველოს კუთხიდან კუთხეში მოგზაურობდა. ხალხში თავის კეშმარიტი ღმერთის — სამშობლოს სიყვარულს აღვივებდა და ყველგან იმ გმირებს დაეძებდა, რომლებსაც ამირანის ბორკილები უნდა დაემსხვრია.

იგი თანდათან ყველა სიმღერასა და სათქმელს ერთ აზრში უყრდა თავს. ბოლოს თითქმის მხოლოდ სამშობლოს თავისუფლებაზე ლაპარაკობდა და მოხდა სასწაული, რომელიც ძნელად განმეორდება: მთელი საქართველო მისი ლექსებით ამღერდა და მთელმა ერმა სამშობლოს იდეა მისი სახით ზორციშესხმულად წარმოიდგინა. ამიტომ იყო, რომ ხალხი მისი გამოჩენას ღმერთის გამოცხადებასავით ხვდებოდა. ეგზალტირებული მლოცველებივით მუხლზე ეცემოდნენ, მის ეტლში ცხენების მაგივრად ებმებოდნენ და ხელში აყვანილ მგოსანს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში სასწაულმოქმედი ხატივით დაატარებდნენ.

საგურამოში ვერაგულად გასროლილმა ტყვიამ ქართველი ერი შესძრა და გამოაფხიზლა. შურისძიების გრძნობით აღზნებული ხალხი დაცემული ბელადის თანამებრძოლის ირგვლივ შემოკრბა, ცოცხლად დაარჩენილი მეთაურის წინაშე დაჩოკა და დროშასავით მალლა აიტაცა.

მოხუცმა აკაკიმ ერის ბურჯისა და განუყრელი თანამებრძოლის სიკვდილი გულმდუღარედ დაიტარა და ქართველი ხალხის აღშფოთებას თავისი ღრმა მწუხარებით შეუერთდა:

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჭერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწვდა
საქართველოს ბედისწერა?

ნუ მიწამღავთ მოხუცს გრძნობას!
 ის ქართველად არა მჯერა,
 ვინც გაბედა და ილიას
 დაუმოკლა ბედისწერას..

ილიას დასაფლავებზე აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა თავისი სიღრმითა და ემოციურობით მჭერმეტყველური ხელოვნების ნამდვილი შედეგია: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწყურია, მაშინ იმასთან ერთად, შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ, ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარ ნახავ!“

საქართველოს უკვდავება იმ არნახულ ეროვნულ მოძრაობაში გაცხადდა, რომელიც დღეს ჩვენს თვალწინ აზვირთდა და, ჩვენ წლების სიღრმიდან მოგვეცნის ახალგაზრდობის მიერ სიმღერად ატაცებული უკვდავი მგოსნის ყავლ-გაუსვლელი სიტყვები:

ამას ველოდი, მოვესწარ,
 ვიცინი აღარ ვსტირი მე...

გრიგოლ აბაშიძე

ის ერი, რომელსაც წარსული არა ჰქონია, ემსგავსება ახალ-დაბადებულ უსუსურ ყრმას. ჩვენ არ ვეკუთვნივთ, ღვთის მადლით, იმ ერთაგანს: დედამიწის ზურგზე არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავის ჭირნახულობით და ისტორიულის თავ გადასაველიანობით, ჩვენ ერზედ უფრო დიდებული და ღირს-შესანიშნავი წარსული ჰქონდეს. — გასაოცარის გმირობით, საკვირველის ზნეობით, ჩვენი წინაპრები გაუმკლავდნენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიქადულსა და სულის დგმას, ე. ი. საკუთარი ფერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვაკუთხედი, ქართული დედა-ენა. ესეები ყველა გადმოგვცეს შეუბღალავად და ჩვენ მადლობით მიმღები ამ საუკუნო განძისა, ვალდებული ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი. არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!.. ის, ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავს ვერ ცნობს, სხვას როგორ-ღა შეისწავლის?

საპატი



ბაბაძე და ბალახიონი

(წიგნიდან — „უცნობი“)

ბაბაძე განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. პირადად იცნობდა. ლექსებიც ბევრი დაუწერა, პოემაც, დღიურებშიც ხშირად იხსენებს და იმორწმუნებს. წვერიც აკაკისავით დაიშვინა.

— აკაკი და გალაკტიონი.

— გალაკტიონი და აკაკი.

1957 წლის ვრცელ ჩანაწერში აღწერილი სურათიდან აკაკის პორტრეტი ამოუჭრია და თავისი ფოტო მიუღდამს გვერდით (რადგან თავისი კერპიდან ჯერჯერობით ფოტოზეც შორს იდგა, ყველაზე შორს!); აკაკი ზის, თვითონ ფეხზე დგას. დაუმონტაჟებია, გაუღიღებია და მუყაოზე დაუკრავს: აკაკი აკაკის ჰგავს. რეტუშირებული გალაკტიონი აღარ ჰგავს თავის თავს.

რამდენიმეჯერ იხსენებს ერთ ეპიზოდს დარია ახვლედიანის მოგონებიდან აკაკიზე. ამ ეპიზოდის ავტოგრაფიც შეუენახავს:

„ახალგაზრდობიდანვე მქონდა ბედნიერება ჩვენი საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის ნაცნობობისა. აკაკი ჩემი ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო. ის ხშირად მოდიოდა ჩვენსას. მახლობელი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი ოჯახის წევრებთან...“

ერთხელ ჩვეულებრივად ვსაუბრობდით პოეზიაზე. მაშინ მთელი წყება ახალგაზრდები ახლად გამოსული იყვნენ სამწერლო ასპარეზზე. მე მაინტერესებდა აკაკის აზრი. თუ როგორი შეხედულებისა იყო მათზე. ვკითხე:

— ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენშითქვა.

— ვაჟა-ფშაველა და ცახელიო.

— ესენი ხომ ვიცით. ბატონო, ახალგაზრდების შესახებ მინდა გავიგო თქვენი აზრი.

— ახალგაზრდებში? — ჩაფიქრდა და დინჯად წარმოსთქვა, — ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძეს უსათუოდ დიდი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაში“.

ჩანაწერებს შორის ყურადღებას იპყრობს:

— აკაკი წერეთლის ახალგაზრდობის დროინდელი ტრაგედია, პირადი ტრაგედია პოეტის, ისეთი ღრმა, რომ მან სამუდამო დაღი დააჩნია მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას! რა იყო ასეთი? რა გახდა ისეთი, რომ მთელი ცხოვრება პოეტისა, მთელი აკორდი მისი დიადი პოეზიის, დაემორჩილა იმ ერთ უღრმეს მწუხარებას?... საიდუმლოებითაა გაყენებული ეს ამბავი, საიდუმლოებითაა მოცული შინაარსი ორი ლექსისა — „საიდუმლო ბარათი“ და „დაკარგული საფლავი“. И никто не знает, где могила моя. საყვარლის საფლავს ვეძებდი. ვერ ვნახე. დაკარგულიყო“. აი ეს ამბავი მსურს გავარკვიო. მაგრამ...

ახალ-ახალ შეხების წერტილებს ეძებდა, ახალ მავალითებს. პარალელებს. პიროვნებებს. ფაქტებს. თარიღებს:

— ათასცხრასრვა წელი — საგულისხმოდ თარიღია ქართული პოეზიის ისტორიაში. ამ წელს საქართველომ იღღესასწაულა ღრმად მოხუცებული აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილე. ათასცხრასრვა წელი, ვიმეორებ, საგულისხმოდ თარიღია. ამ წელს სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად

ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც გამოსვლისთანავე ყურადღება მიიქცია არაჩვეულებრივი ტემპერამენტით. ლექსის ახალი ტენდენციით ეს პოეტი იყო...

აღარ დაუმთავრებია და აღარ დაუსახელებია. არც იყო საკირო.

აკაკი წერეთლის ერთი კირისუფალოთაგანი გალაკტიონი გახლდათ. საშუალება გვაქვს წარმოვიდგინოთ იგი აკაკის პანაშვიდზე ღრმად დამწუხრებულნი (ეს მოგონება ჭერჯერობით გამოუქვეყნებელია):

„აკაკის პანაშვიდზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა კაბუქმა.

ის იღვა ეკლესიაში საშინელი დამწუხრებული, ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს საღრაც სამარეს ჩასცქეროდა...

კაბუქის სახე საშინელ სულიერ ტანჯვას გამოხატავდა...

თითებში ანთებული სანთელი ეკირა...

სანთელი მთლად დაიწვა...

კაბუქი ღრმა ფიქრებისაგან მხოლოდ მაშინ გამოერყვა, როცა თითებში სიმბურვალე იგრძნო.

თავი ასწია და მწუხარე თვალები სივრცეს მიანათა.

ეს იყო გალაკტიონი“ (ლიდია მეგრელიძე).

შეგვიძლია აგრეთვე გავიხსენოთ ერთი ოცდაათი წლის შემდეგდროინდელი მომენტი საავადმყოფოს დღიურიდან — მაგიდის კალენდარზე მიწერილი 1945 წლის 14 აპრილს:

— იყო უშანგი ჩხეიძე. მომიტანა ხაჭაპური. დიდხანს ვისაუბრეთ. საღამოთი ვკითხულობდით აკაკი წერეთელს: როგორ დაგვშორდა!

ძნელი ასახსნელი არც უნდა იყოს მისი გამორჩეული სიმპათია აკაკისადმი: თუკი წინა საუკუნეში გადავიხედავთ და პარალელებით დავინტერესდებით, უპირველეს ყოვლისა აკაკი წერეთელთან უნდა შევჩერდეთ. ნიშანდობლივია გვიანდელი აკაკისა და ადრინდელი გალაკტიონის შეხვედრა:

სხვა ვინატრო რაღა მე?

რაღა დღე და რა ღამე?

როცა შენმა სიშორემ

გული დამიძალა მე.

არც შევარებია, არც მიუვარს,

არც მდომებია, არც მიწა,

არც მწამებია, არცა მწამს

შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა.

ზუსტი პარალელებიც შეინიშნება და აღინიშნება:

გამხიარულდი, ბუხარო,

გულჩახვეული ნუ ხარო!

წაფხული მოდის, წამთარი

მიდის რა რაღას სწუხარო!

და

გამხიარულდი, ბუხარო,

გულჩახვეული ნუ ხარო,

მოუვარეს უველას უუვარხარ.

მტერს ზომ სძულხარ და სძულხარო.

თუმცა ეს სტროფი ძირითად ტექსტში აღარ შეუტანია, პირველი სტრიქონით კი სხვა ლექსი დაასათურა.

შეიძლება აკაკისთანვე ამოვიცნოთ სილაში ვარდისა და სილაყვარდის ნიშნებიც კი:

საიმქვეუნოდ და საამსოფლოდ

სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

საყურადღებოა ასეთი პარალელიც:

— ბოდლერი და აკაკი წერეთელი. 1913 წ.

საქართველოს დაკარგული თავისუფლების აღდგენაზე ოცნებისას კი უკიდურესად არაჩვეულებრივ საშუალებაც კი წარმოადგინა და წარმოადგინა:

აკაკი და ილია ზღვის პირად

დადგა ზღვის პირად. ვით ბუმბერაზ მუხების ლანდი,
 ორი დიდი ხნის შეგობარი, ორი გოგანტი,
 ქცეული ღელვად.
 აკაკი ამბობს აღელვებით: „ნეტავი ოდეს
 აღსდგეს შავი ზღვა და შავ მელნად გადიქცოდეს.
 უშრეტელ მელნად.
 რომ მისით უხვად სარგებლობდეს პატიოსანი
 კალმის მებრძოლი, ყველა გმირი, ყველა მგოსანი,
 ხმა იყოს გრგვინვის. —
 პრესა მღელვარე დაუმცხრალად სწევდეს ქველობას
 და მით არყევდეს რუსთ საზოზღარ თვიმპყრობელობას.
 ტახტსა და გვირგვინს“.
 „ესეც მოხდება. — უპასუხებს დიდი ილია. —
 ჩვენი ცხოვრებაც ეხლა ღელვა და ჭიდილია.
 მარადი „ვინ-ვის“.—
 გახედე სივრცეს... მთელი ეს ზღვა ნეტავი ოდეს
 ერთ უზარმაზარ არყის ქებად გადიქცოდეს. —
 მაშინვე ხარბი
 დაუფიქრებლად გადმეშვება სათრობად რუსი,
 შიგ ჩაიხრჩობა და გაპქრება, როგორც ბურუსი.
 მეფე. ჟანდარმიც“.

ვანხანაზ ჯაფარიძე

როდესაც დროზედ მამალი ჰყივის, მუშაკი იღვიძებს მის ხმაზედ და მიდის სამუშაოდ; ხშირად პატარა ფინია, ერთის დროზედ შეყეფვით, ძლიერ მპარავს და ავაზაკს, შეშინებულს, უკუ აბრუნებს ხოლმე, ჩვენი ღვანლიც სწორედ იმგვარივე იყო და დღეს სიხარულით ვხედავთ, რომ სურვილი არ დაგვულუპვია. ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შეშინებული! ერთი ნაბიჯი გადადგმულია. რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვილია, რაც სისხლის ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ მოდგმას და იმიტომაც შემდეგის დგმისგან მეტს მოვითხოვთ და მამულისშვილობაც მათ მეტი უნდა გამოიჩინონ.

აკაკი



ერის სიყვარულის წრეში

ახლა იგი კლასიკოსების მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ბიბლიური მოხუცია.

თავაწეული, სამშობლოსათვის დამაშვრალი, წუთისოფლისაგან ნაცემ-ნაცემი, მაგრამ გაღმა გასული და გამარჯვებული.

საქართველო მას სიცოცხლეშივე იცნობდა მხოლოდ სახელით და ახლა, ეაკმა რომ თქვას, მის პორტრეტს კი არა, ლექსსაც აღარ სჭირდება წარწერა.

აკაკის ლექსი სხვათა ლექსებში არ აგერევთ.

მანქანა-სასწაულს შემოუნახავს ერის მგოსნის ხმა. პოეტი „განთიადს“ კითხულობს წლების მიერ ნაქანჯლარევი ხმით, მისებური, წამლერებული ინტონაციით, პაუზებით. თითქოსდა მართლაც „სწეული დაბრუნებულა“. უკირს მეტყველება ავადმყოფს, ყელში აწევება თავის მიწასთან შეყრის სიხარული. ლექსის ბოლო სტროფი ხმის დაწევით, თითქოსდა, თავის დახრით, მობოდიშებითაა ნათქვამი.

მე იშვიათად მომიმგენია უფრო ზუსტი ინტონაციით წაკითხული ლექსი.

ამ ჩანაწერის გაკეთებიდან ცოტა ხანიც გაივლის და ქართული პოეზიის ორფეოსი სამუდამოდ დაეცეცს ფრთებს, რომ მალე ისევ აღმობრწყინდეს ერის მესიად, მისი მომავლის შეუდრეკელ მკედლად, ქართული სულის სიმტკიცის მარადიულ სიმბოლოდ.

დიდებულ მოქანდაკეს სწორედ ასეთად დაუნახავს იგი ქვაში, ტიტანური გულ-მკერდით საუკუნის მწიკვლიდან ამომართული, შორს გამზირალი, ღონიერი და დაუმარცხებელი.

სწორედ ასეთია იგი და ასეთი სჭირდება დღესაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში აქოჩრილ საქართველოს, სწორუპოვარი და უშიშარი, გაუზრელი და გაუღუნავი, წაჭექ-უუჭეკობის მოყვარულთა რისხვა, ქართული ლექსის ჭიუტი რეფორმატორი.

რა დიდებულად ჩანს აქედან მეცხრამეტე საუკუნე.

იქ ქეშმარიტი მწერლები მართო ლიტერატორები კი არა, ერის ბელადები არიან.

ხალხმა რომ მუდმივ წინამძღოლად დაგსახოს, ღვთით ბოძებული ნიჭის გარდა ის თვისებებიც უნდა გააჩნდეს, ბელად-პოეტებს რომ გააჩნდათ, — თავდადების უნარი და უკომპრომისობა.

„ვითომ მოვერიდო ვინმეს? შევეუშინდე? თქვენც არ მომიცვდით!

ვიცო, ბევრჯერ მესვრიან ქვას. ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი. პატარა, ხელფების მსლაქველ ფინიასავით სხვის ყალთაში წოლასა და ნებიერობას, შარავზაზედ ყფვის დროს. სიკვდილი მიჩვენია“ — ეს სიტყვები რომ დაწერა, მაშინ აკაკი ასპარეზზე ახალი გამოსული იყო, ხოლო რუსის ბანგით მთერალი საქართველო გადაგვარების სირვანაში იძირებოდა.

გარუსება-გათათრებიდან ქვეყნის კიდევ ერთხელ გადარჩენას და გამოღვიძებას იმ საუკუნეშიც მწერლობას უნდა ვუმაღლოდეთ, ხოლო თავდადებულთა ბრწყინვალე ლაშქრის სარდლებად ორნი-ნათობენ — ილია და აკაკი.

ერთი წუთით შევხედოთ „განთიადის“ ავტორს კლასიკოსის ჭილა-გვირგვინის გარეშე სეთოდ, როგორმაც გაიარა მეცხრამეტე საუკუნის გრძელი გზა

და მეოცე საუკუნის, ლამის, ყველაზე მდებარე ორი ათეული წელი. იარუსებიდან ყვავილთა ცვენა და შუბლის დადაფენა გვიან მოვიდა. აკაკი იმ დროს ნთლიანად გათეთრებულია და თვალის ქუთუთოს დამბლის გამო თავაწეული, თითქოსდა ზემოთ მაკეკრალი. ასეთად ჩჩება იგი თავისი სიცოცხლის მიმწუხრს ირგვლივ შემოჭარული, მალღინერ, საქართველოს ხსოვნაში. მანამდე?

პეტერბურგიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კაცი მაშინვე იდგამს მხრებზე ერის მხსნელის მძიმე უღელს და იმ უღელს სიკვდილამდე, ლამის, ჩაუშუბლავად ეწევა.

მისი ცხოვრება ერთი გრძელი ფუსფუსი იყო. საჩხერე-ქუთაისის მტერიან გზებზე ეტლით ჯანჯლარს, რომ თავი გავანებოთ, მთელი ღამე ცივი მატარებლის ვაგონის კუთხეში მიმჯდარს, საქართველოს დედაქალაქში დაქმუკენილი ფრაკით ჩამომხტარს ნაცნობ-მეგობართა კერქვეშ უნდა ეძებნა ბინა. საქართველოს ბულბულს ბრწყინვალე თავადის როსტომ წერეთლის მეგობდრეს, ხშირად, ეტლის ფულიც არა ჰქონდა (თბილისში ღამის გასათევ ერთ პატარა ოთხას ვინ დაედებს). მარტოკაციის მწარე ლუქმა თითვე მიუსაჯა თავს. ვალეზიდან ამოსახტომად ზოგჯერ საქმიანი კაცის მანტიას მოისხამდა. იქნებ ქიათურის მარჯანეცი თორიოდე გროში ჩაეგდო ხელთ (ის გროშებიც მამულის შევლაში უნდა დაეხმადებინა), მაგრამ პოეტისაგან ფულიანი კაცის ყისმათი ცა და მიწასავით შორს იყო. სამშობლოს გათავისუფლების იდეა უნათებდა სულს და ამ იდეას უყოყმანოდ შესწირა ყველაფერი. გვარიშვილობაც, მამაპაპათაგან შემორჩენილი სახსრებიც, ჯამრთელობაც, ოჯახიც....

ხომ ასე ალაღაღ, ვახსნილი კარტით ეჭაჭურებოდა წუთისოფლის გამოცანას, აკაკიც, ანგელოზივით სუფთა და ამაყი აკაკიც, ხშირად ხდებოდა ავთვალთანა, მეჭორეთა, უმადურთა ხედვის არეში. ქართველთა, ლამის, მოურჩენელი სენის — პირადი კინკლაობის ხანჯლითაც არაერთხელ დაკოდილა. „მურებისა“ და ერის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გართული მეგობრის ღალატითაც გამწარებულა.

ასეთი ყოფით დაღლილი და გაწამებული, შუბლზეოფლგადამდინარე, დრკონთან ბრძოლით ნაიარევი მოადგა მეოცე საუკუნეს. თურმე მთავარი „გადასახდელი“ წინ ეღოდა.

ჭერ იყო და 1906 წლის 5 იანვარს კოტე მესხის „პატარა გაზეთში“ დაბეჭდილი „ინტერნაციონალის“ თარგმანისთვის პასუხისგებაში მისცეს. დაკითხვები და სასამართლოში სირბილი ექვს თვეს გაგრძელდა.

1907 წლის 11 თებერვალს „ხუმარის“ გამოცემისთვის დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. სტრაფნიკების თანხლებით „გალავინსკზე“ გაატარეს „ხუმარას“ ბებერი რედაქტორი, რომელმაც „გაბედა“ და თბილისის გენერალ-გუბერნატორი ეპოლეტებიანი ვირის სახით წარმოადგინა თვის ჟურნალში. ხალხის აზვირთებით შემკრთალმა მთავრობამ აკაკი მეორე დღესვე გაათავისუფლა და ანგარიშის გასასწორებლად მარქსისტებს მიუგდო. იმ მარქსისტებს, ილია რომ უკვე ამოღებული ჰყავდათ მიზანში და უკვე მართავდნენ ავბედით კრებებს „თავად ილია ჭავჭავაძის მოკვლის“ ტრაგედიის გასათამაშებლად.

ბაქოში, საიუბილოე საღამოზე მიწვეულს, სოციალ-დემოკრატმა ბრალდება წაუყენა; რა პოეტი ხართ, პროლეტარიატზე რა დავიწერიათო. „მე რომ მოღვაწეობა დავიწყე, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მაშინ პროლეტარიატი არ იყო. ეს ახალი საქმეა. ამ ახალ საქმეში მე ხელი არასოდეს შემშლია. აბა მაჩვენეთ, სად არის ჩემგან დაწერილი „არ გაუმარჯოს პროლეტარიატსო“. — თავი „იმართლა“ „ჩონგურის“ ავტორმა.

სამოცდაათი უმთხმესი წელი დასჭირდა საქართველოსთვის იმის გარჩევას, რომ ილია და აკაკი ყელამდე მართალნი იყვნენ და მარქსის მიერ ნაჩვენები ვაჭით სიარული ღვთისშობლის წილხვედრ საქართველოს არას არგებდა.

მეტეხის ციხიდან ახალგამოსული, სამოცდაათი წლის სწელი პოეტი რაქვაში მოგზაურობისას მადლიერ ქართველებს ხელით მიჰყავთ. ცოტა ადრე მან სიყვარულის ეტლში შებმული ახალგაზრდების ღონიერი კისრებიც იხილა და საბოლოოდ ირწმუნა, რომ „საქართველო არ მომკვდარა“...

დგას იგი ხელჯოხიანი. წელში მოხრილი, ბუმბერაზი მოხუცი წრეში, გარს უვლიან მადლიერნი თვისტომნი და ვარდებს ესვრიან. საუკუნის მოხუცი დარცხენილია, ცოტა შემკრთალიც, მოკრძალებით აგებებს სახეს ალტაცების გრიგალს, რომელიც მისკენ ერთხელ და სამუდამოდ დაძრულა. ასეთად გამოიყურება აკაკი პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმში.

სიყვარულის წრეში პოეტის დგომა და შეგნებული საქართველოს ბრუნვა მის გარშემო დღესაც გრძელდება და არც არასოდეს მოიშლება.

რევაზ მიშველაძე

●

ახლს გვჭირდება ერთობა და შეერთებული შრომა საქმით თუ სიტყვით... კერძობა, პირადობა და ჩვენიან-სხვისანობა ისეთი წვრილმანი და საუკადრისო რამ არის საზოგადო საქვეყნო საქმეში, რომ განზედ უნდა ვუდგებოდეთ... ჩვენიანი ის იქნება, ვინც ჩვენ გზაზედ გამოდის და ვინც კი გვეწინააღმდეგება და ხელს გვიშლის, ის ჩვენი მტერია, ჩვენ საერთო იმასთან არა უნდა გვქონდეს-რა... ჩვენ უნდა ვსდევნიდეთ და იერიშით მივდიოდეთ იმაზედ, რომ მას ძალა მოვაკლოთ, ის ძალა, რომელსაც ის მხოლოდ ჩვენი სამშობლოს სამტროთ ხმარობს.

აკაკი



„მეზა დრო...“

„ყოველი არის სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება, იზრდება, დაბერდება — კვდება!.. წყალი რა არის... წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე. მაშინვე იწყებს ეონებას ნელ-ნელა, ახალფეხადგმულ ბავშვივით დაუყვება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს... ქალებისაყენ მიეჭანება, აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჭდარი და გულსაყვ, ვაჟკაცური მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიღის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცემული, შორის გზით მიმავალი...“ რათა მერე „საუკუნოდ ჩაიხტას, ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში.“

„სადმე მივარდნილ მთის კალთაზე“ — ზემო იმერეთის თვალწარმტაც კუთხეში, სხვიტორში იშვა ქეშმარიტად ქართული ეროვნული პოეზიის ეს ანკარა წყარო, პოეტური გენიის „საყუთარი ემბაზი და... პირველი სარკე“. აქ იკრებდა ძალას, ივსებოდა, თანდათან იზრდებოდა, ფეხს იკიდებდა. „აღვირუს-ხმელი, სისბლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვავი, სანავარდოდ გამოსული... არავის ეკრძალოდა, არაფერს ერიდებოდა... უძრავ ქვებს თავს ევლებოდა და კლდოვან კიდეებს თავგამოდებით აქეთ-იქით ეხლებოდა, რომ გავგლიჯა და გაეტანა მოწინააღმდეგე...“

დიან, მთის მყვიანა, ჩაუტბრომელი მდინარის გზა განვლო „საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ ნათელცხებულმა, რათა საბოლოოდ, „ფერადად განვლილი შორეული გზის მერე საუკუნოდ ჩაიხტმულიყო“ ქართველი კაცის სულში... ჩაიხტა კიდეც.

მაგრამ თუკი მდინარე უკვალოდ იკარგება და ქრება უძირო სტიქიის გაუმაძღარ სტომაქში, მგონის „კურთხეული წყალი“ ქართული სიტყვიერი კულტურის „ზღვის უფსკრულმა“ დიდი მოწინააღმდეგეობითა და რუღუნებით ჩაიკრა გულში, შეითვისა, შეისისხლობოცა და ღირსეული ადგილი დაუთმო თავის უბეში.

ისტორის ბედუქუდმართ გზებზე ერის დიადი შვილები თითქოს იმიტომ იბადებიან, რომ თავიანთი მოღვაწეობით უკვდავყონ სამშობლო და მასთან ერთად სახელიც თავისი, სწორედ ამგვარი ბედის ვარსკვლავზე მოუვლინა განგებამ სულმნათი ილიას გვერდით აკაკიც — საქართველოს.

„პატრუქს თუ ზეთი არ გამოელია, თოფს წამალი და პოეტს სიყვარული, ხანი ვერც ერთს ვერას დააკლებს!.. მაგრამ ზეთს ყველა დაასხამს, თოფში ვინ არ ჩაპყრის წამალს და ვინ არ ვასტენის? სიყვარული კი გულისა და სულის სიწმინდეს მოითხოვს, რაც იშვიათია...“

იშვიათია... ალბათ, ყველა დროშიც იშვიათი იყო, მაგრამ ღმერთს არც ეს იშვიათობა დაუკლია „საქართველოს ბულბულისათვის“.

„ის დაიბადა პოეტად!“
 „ბედნიერი ნიჭი“ უწოდა ილიამ აკაკის პოეტურ ნიჭს. ჭერ კიდევ ორმოცი წლის აკაკის მოღვაწეობას ასე აფასებდა ერის მოძღვარი: „ტკბილისა და გრძნობიერის სიტყვით... ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და მპართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“. — იმ სიყვარულისათვის, თვით აკაკის თქმით „გულისა და სულის სიწმინდეს“ რომ მოითხოვს...

„ქართული ხალხი არ გაქრება. თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგა“. — ამბობდა აკაკი: თერგდალეულთ: ბრწყინვალე პოედიდან, ილიასთან ერთად, იგი იყო სახალხო ფოლკლორის შეკრებისა და მეცნიერული ვადამუშავების პირველი აქტიური სულისჩამღვმელი. აკაკიმ, როგორც ქართული სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილი და დამფასებელი, ორიენტაცია მიიღო ქართული მწერლობისა და პოეზიის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის წამოწყებას და მის მიერ გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯს დღესაც არ დაუკარგავს თავისი უტილიტარული მისია. იგი დღესაც განვითარებისა და ვადამუშავების გზით მემართება.

ხალხური სიტყვიერება, ქართული სიტყვა აკაკის მიაჩნდა პოეზიის პირველწყაროდ და ანბანად. სწორედ მის აკვანში, მის წიაღში აიღვა ფეხი, წამოიზარდა, დავაყვავდა აკაკის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. „ჩე პირადად ვეკუთვნი ჩემს საყვარელ ერს და ყოველივე ჩემი ნაშრომი, სამოცი წლის განმავლობაში შეადგენს მის საკუთრებას და კიდევაც ვუტოვებ...“. ბუნებრივია; ყველას არა აქვს უფლება წარმოთქვას ეს სიტყვები და, თუკი ვინმეს კიდევ აქვს, მათ შორის აქვს აკაკისაც...

შეუძლებელია, ორიოდ სიტყვით შეაფასო და სისტემაში მოაქციო ის მამულიშვილური ღვაწლი, რომელიც აკაკიმ გასწია თავისი ერის, მშობელი ქვეყნის და საერთოდ, ერთიანი საქართველოს მომავლისათვის... ამოუწურავია მისი პოეტური სამყარო. მისი თხზულებები, — ეს იყო მცდელობა, გაეღვიძებინა ერში წარსულისადმი სიყვარული, თავისი კალმით აცოცხლებდა შორეული, გარდასული დღეების გმირულ ფურცლებს. მას ურყევად სჯეროდა, რომ შეუძლებელია ერმა შექმნას თავისი მომავალი, თუკი მისი ცნობიერებისა და ყოფის ფესვები ღრმად არ იქნებოდა გადადგმული წარსულის ნოყიერ ნიადაგში...

აკაკი არა მარტო შემოქმედებით, არამედ თავისი ცხოვრების წესითაც დარჩა თავისუფალ პოეტად. მისი მთელი ცხოვრება, მართალია, საქართველოს უანგარო სამსახური იყო, მაგრამ ეს იყო სამსახური თავისუფალი სულის და მსოფლშეგნების მქონე პოეტისა. ცნობილია, რომ ოფიციალურად აკაკის არსად არ უმსახურნია. იგი ხომ დაუდგრომელი, შეურიგებელი და უღრეკი პოეტური ნატურა იყო: „ვერ მოვიძულებ იმ ჩემს მტანჯველ კალმს, ათ მოყვარებზე რომ ას მტერს მიჩენს და ას მაქებარზე, ათას მგმობელს: მაინც ჩემია და ჩემი...“

ან კიდევ:

„დღე, დამეხვიონ გაზაფხულზე ქიანქველები, ზაფხულში კოლოები და შემოდგომაზე ბუხები. ვერ გამაწყვეტინებენ სიმღერას და მე მაინც მამა-პაპურად შემოვძახებ: „მუშლი მუხასაო!“ — და თუ ახლოს არა, შორიდან მაინც გამომიჩნდებიან თანამოდერლები და ბანს არ დამამადლიან“.

საბედნიეროდ, დღეს უკვე მთელი საქართველო აკაკის თანამოდერალია. დღეს მთელი საქართველო იმ გზას ადგას, რომელიც ილიას თაოსნობით ჩვენმა სახელოვანმა სამოციანელებმა გავკალეს, რამეთუ სხვა გზა, გზა კემარტი — არ არსებობს...

„დღეაშვილობამ ბერს არ ვიხივ
შენს მიწას მიმბარეო“.

— ითხოვდა აკაკი.

„დასანანია“, რომ მშობელმა ხალხმა თავის ღირსეულ შვილს „არ შეუსრულა“ ანდერძით დანატოვარი თხოვნა დაეკრძალათ სიყრმის ადგილზე — სხეიტორის კარის ეკლესიის ეზოში. არ შეუსრულა, რადგან აკაკი მთელ ერს ეკუ-

თენოდა. ქართულის სულის განუყოფელი ნაწილი იყო და მისი განსასვენებელი სავანე ერთიანი საქართველოს გულში („ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“), მთაწმინდის დიდებულ და მირონცხებულ მიწის წიაღში უნდა ყოფილიყო.

და დღეს ასორმოცდაათწლოვანი ბერმუხის გოროზი აჩრდილი შევერცხლილი მთაწმინდიდან დასცქერის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან“ ქვეყანას, როგორც მოუდრეკავი, გაუტენელი, დაუმორჩილებელი ქართული სულის წმინდა სიმბოლო და იმედიანად გემოდღვრავს თავისი უკვდავი სიტყვებით:

„მოვა დრო და თავს აიშვებს
იმ ჯაქვს დასწვევებს გმირთა გმირი,
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჰირი...“

ამირანი ისევ აღსდგება!..
ამინ!

ზაზა ენუქიძე.

ჩვენ გვაქვს ერთხელვე არჩეული გზა, რომელსაც მივყავართ ერთ გაჭრილ მიზნისკენ: ეს მიზანი არის ქვეყნის ერთგულება, საზოგადო საქმეზედ თავის დადება, კეთილის დახმარება და ბოროტების დევნა-წინააღმდეგობა შეუპოვრად, გაბედვით, უშიშრად და თავგანწირულად, პირადობის მიუხედავად, ვისაც კი დავინახავთ ამგვარადვე მოქმედთ, იმას ვეძახით ჩვენთან და მიგვაჩნია ნათესავად, ერთ-სისხლად და ერთ-ხორცად.

აკაკი





პარტიულ მოღვაწეთა წერილები აბაქისადმი

აკაკი წერეთელი, როგორც დიდი პოეტი და ეროვნული მოღვაწე, უა-
 მრავ პირად წერილს ღებულობდა. მას მიმართავდნენ სულ სხვადასხვა სა-
 კითხზე იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები თუ ნაწილობ-მეგობრები.
 ამდენად, ეს წერილები მოკლებული არ არის საზოგადოებრივ მნიშვნე-
 ლობას, მით უფრო, რომ მრავალი მათგანი ჯერაც არ გამოქვეყნებულა.
 მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე წერილს, რომელიც მოგეაწოდა
 პროფესორმა შალვა გოზალიშვილმა.

14 თებერვალს, 1894 წ. თბილისი

პირფასო ქვამ ბაბაი!

სწორედ როგორც გულგაგრილებულს საუვარელს სჩვევია თავის საუვარლის შიტოვება,
 ისე მოეკეცი „კვალსაც“. „კვალმა“ თავისი სული და გული თან გაგაყოლა და მას აქვთ ერთი
 სტრიქონი რა არის, შენგან აღარ მიუღია. „კვალი“ ტირის თავის საუვარლის დაკარგვას და
 მოსთქვამს ქაჭეთს მყოფს „ნესტან დარეჯანსავით“.

„ვი მზრდელი სიყვარულისა,
 მუნ მისგან დანერგულისაო“.

მაგრამ ქაჭეთის მემკვიდრენი ამას არ უგონებენ და ეხვეწებიან, შენმა ტარიელმა დიდი
 ხანია მიგატოვა, ახლა ჩვეყენ მოიბრუნე პირი, ჩვენ უფრო დავაფასებთ შენს თავგანწირულს
 სიყვარულსო. მაგრამ საწყაული „კვალი“ ასე ეუბნება იმათ: „უშისობით ანუ ციხიდან თავსა
 გადავიღებ, ანუ მოვიკლავ დანითაო“. ახლა შენ იცი, თუ შენ „კვალს“ არ გაწირავ და მალე
 მოეშველები.

როგორ წარმოვიდგენ, რომ შენ გული შეგტვირდეს „კვალისათვის“, აქამდე „კვალს“
 სტატიებს არ გამოუგზავნიდი. მაგრამ რაღაც ჯადოქარები უნდა იყოს შენსა და „კვალს“ შო-
 რის მიზომავალი, რომელნიც არ გაძლევენ ნებას შენს საფუძველზე მაგრა დაღებ და მკვიდრად
 დაფუძნდე. მერწმუნე ამითი ბევრს აგებ და შენს მტერ-მოყვრებსაც ეს უნდათ.

მას აქვთ, რაც შენ მითხარი, უჩემოდ ჩვენ საზოგადო საქმეებზე ნურას ილაპარაკებო.
 მეც დავუშენდი და შენ გიუფრებ. რა გამოვიდა? „კვალი“ არას ამბობს, შენ გიცდის და შენ
 კი აღარხადა ხარ. მერე როდის? როცა შენი დახმარება „კვალს“ განსაკუთრებით უნდა გამოდ-
 გომოდა, შენ მაშინ უმტკუნე და „კვალის“ მტრებს კიდევ ხელში ბასრი იარაღი მიეცი მის
 დასაკლავად, როგორ გეპარდება? გელით მოუთმენლად. უპეველად ბევრი ამბემა გეცოდინე-
 ბა. ჩვენ კი ქუთაისიდან აღარა მოვდის რა. დ. ბაქრაძემ დაგვიპირდა: სტატიების წერას, იმანაც
 აღარა დაწერა რა. ერთი სიტყვით

„ქუთაისო, ქუთაისო,
 სალუკო და ედანოვისო“.

ტასომ ღრმა პათივისცემით მოგიკითხა. როგორც ჩვენ, ისე შენი ცოლი თავჟღმობხლენი-
 ლი დაგებებთ. აი. აგერ ჩამოვა აკაკი, აი. აგერ და ველარ მოვსწრებივართ.

შენი ბიორბი წარმთელი.

26 ოქტომბერს, 1894 წ. თბილისი

ქვამ ბაბაი!

შენი წერილები როგორც კი მომივიდა, მაშინვე გადავეცი „ხოვოე ობობრენის“ დასა-
 ბეჭდათ. აღმოქვევს კიდევ, თუმცა ჩემთვის რომ გეკითხა, არც ანტონს და აღარც ნიკოლაძეს
 პასუხს აღარ გავცემდი, რადგან საზოგადოების თანაგრძნობა სრულიათ შენს მხარეზეა და
 ამას შემდეგ კიდევ ჩაკლება უფრო თანაგრძნობას აქარწყლებს.



თუ „კავკაზში“ რამე ნაწერი გამოვიდა ილ. ხონელისა, უსათუოდ გამოგიგზავნით, როგორც კიდეც გამოგიგზავნეთ. იასე რაქველის წერილები მოგივიდა თუ არა. ეცადე, მალე გასცე პასუხი შენს სტატეებს ველით „სიზმარს“. როგორ ხარ? შენი ამბავი დაწერილობით მომწერე. ვორდროპი აქ არის, დარჩება აქ სამი თვის განმავლობაში. ჭერ ჩვენთან არ ყოფილა. თურმე ილ. ჰავეზაძე ბალოშებს აკერინებს მისთვის. პრაქტიკული კაცია.

მომიკითხე სიყვარულით ყველა შენი დამოკიდებულება, ტასომ მდამლათ თავი დაგიკრა. ყმაწვილები სულ შენს ხსენებაში არიან.

შენი ბიორაბი.

13 ნოემბერს 1894 წ. თბილისი.

ძმარ ბაბაი!

შენმა ავთოზოფობამ აქ შენიანებს ყველას თავჯარი დაგვცა: იმავ დღეს ვანო ელიაშვილს ღებეშა მივწერე ზესტაფონს, რომ წამოსულიყო, დღეს თოფურიას ქუთაისს მივწერე, რომ ისიც წამოსულიყო. იმედი მაქვს, ისინი ორივე მოვლენ ზვალ, ვგონებ, ვანო მაჩაბელიც წამოვა. მე მხოლოდ ვუცდი შენს ამბავს. ხანამ შენი ამბავი კიდეც მომივიდოდეს. ყველანი აქ რედაქციასი დარეტიანებულეხსავით ვართ. სარწმუნოება გულგაუტეხელი იმედს გვაძლევს, რომ შენ ისევე მალე ჩვენი შორის ტანმართელათ იქნები და შენი სამზეო შუბლი, შენი ოქროს ენა და შენი ვერცხლის წყალვით ხიცოცხლით ხავსე სიტუვა-პასუხი გაგავზიარებებს, გაგავხსენებებს შრომაში. აბა, იფიქრე, უშენოთ ჩვენი რედაქცია ბურუსით არის მოცული და ერთი შუკიც მზისა არ გამოიჭერეტს ჩვენს არეზე. მალე ძმაო, მალე მოგვეშველე. ბურთი და მოედანი ხომ ჩვენია ჩვენს ნორჩ ახალგაზრდა მესამე დასთან. საზოგადოების თანაგრძნობაც თანდათან მატულობს. ჩვენ და შენაც ახლა გვიდგება მეორე ჰაბუკობა, ვითარცა ფენიქსს, აღმობრწყინებულს თავის ფერფლში. საშობოთ შენ აქ ჩვენს გუნდში უნდა მოფრინდე და ჩაგებერო შენი უკვდავი ცხოველი ხული.

მშვიდობით, ნახვამდის ველით მოუთმენლათ შენს კარგს ამბავს და მე და ტასო გადმოფრენაზე ვართ დამდგარი, გულშეუწებულები, ისე როგორც წეროები სწუნან, როცა ალო მოუვით ინდოეთისაკენ გასამგზავრებლათ. ტასო მაინც მტათ შეწუხებულთა შენი ავთოზოფობით. ჩქარა, ჩქარა მოგვაშველე შენი კარგი ამბავი, თვარა გული გვიკვნესის, ათასი სიყეთისა და შენი ყეთილი ცხოვრების მოსურნე გიორგი და ტასო.

17 ივლისი (?)

ძმაო აკაი! კარგია, ჭაერობას თავი დაანებე. გაზეთი მიქლევდება, გახოვ შენის კალმით შემწეობა მისცე, შენი კორესპონდენციები და ფელეტონები ჩემი გაზეთისათვის დაუფასებელი იქნება. მაშ იმედი მაქვს საზოგადო საქმე კერძობით უმეყოფილებას დაგაფრეყბინებს თუ ვი არის; მაგრამ არ მჭერა, რომ ის იყო.

შენი მუღულუ და ქალი დიდის პატრიისციმით მომიკითხე

შენი ძმა ბ. წარბთელი,

(უმთარბლო)

ბატონო ჩემო პატრიისციმულო ბაბაი!

მეწყინა ძალიან, რომ ცენზურმა ნება არ მისცა თქვენი სტატიის „სომხებზე“ დაბეჭდვისა. რაფიელმა თქვა: ქიშმიშოვის დაუკითხავათ არ შემოძლიანო, მერე ქიშმიშოვმა გადაიკითხა და გადაჭრით მიპასუხა: რადღან შთელ წოდებაზეა ლაპარაკი — ვაჭრებზე, — არ იქნებო, ვერც ჩემმა მუღარებმა, ვერც ჩემმა მუჭარამ ვერა გააწყურა. ვთხოვდი პირველი ნახევრის ნება მომეცით — რომ დავბეჭდოვო და დახასრულზე — ვკიოხოთ დაკლმა-მეთქი, — მაგრამ ესეც ვერ მოვახერხე. ნერვები ამეშალა, და კინალამ ჩემდა სასიჩცვილოთ იქვე ვიტირე. ახლა ღაკელი 2 მარიაშობისთვის ჩამოვა კოჭრიდან და თუ გნებავთ გადავთარგმნოთ რუსულათ და მივცეთ. მაგრამ სწორე გითხრათ მაინც იმეღა არა მაქვს, რადღან ქიშმიშოვიც და რაფიელიც წინააღმდეგნი არიან. ახლა თქვენ იცით. „გამომცემელი საზოგადოება“ სწორედ სამაგლები ყოფილან. მომბეზრდა იმათთან შისვლა. ჭერ 18 რიცხვს შემომითვალეს „დღეს ფულს



ვაგნავითო და აღრესი გვაცნობითო“, მეც დარწმუნებული ვიყავ, რომ ფული გამოგვაწვნილი ექნებოდათ, ახლა შაბათს მითხრეს ბიჭს მივეციოთ ფოსტაში წასაღებათო და უთუოდ გავაგნავნიდენ კიდევცაო. დღეს კიდევ უნდა შევიარო.

ივლისის „მოამბე“ გამოვიდა და ნანიშვილი ილანძლება. უთუოდ წაიკითხავდით, ღირან თუ არა პასუხად?

გიორგი ჩამოვიდა და ახლა მე მისტუმრებს „დაჩაო“, ე. ი. ჩემს საყვარელ ხელთუბანში.* ძმამ აკაკი ეს არის, ახლა ჩამოვედი ზემოდან მაჩაბლიანთ ოჯახი ბაგრატიონიანებიანა სულ იქ არიან. საჩხერეს ქვევავაძის მხარე უჭირავს და ამის გამო მაჩაბლები გაუშენებულან. ელი-საბელი ძალიან გემდურის ყოველფერს მოვიფიქრებდი და თუ აკაკი ჩემი მწუხარების დროს არ მნახავდა და არ მანუგეშებდა, ამას არ მოველოდიო. სამწუხაროდ შენი სტატია არ გაუშვია ცენზორს. ვანაგრძე თვავდასავალი. ახალგაზრდობა თანდათან აღტაცებულია ჩვენი გაზეითთ. ბრბო და მოხანაყე, ჩიბის მოინტერესე, ინტელიგენცია ჩვენ წინააღმდეგ არის. მე ეს გარემოება სამხარულოდ მიმაჩნია. მე დარწმუნებული ვარ, რომ სამი წელი ასე ზედღიწედ გამოუღმებოთ რომ ვიმუშაოთ, მომავალი ჩვენია. — ჩვენი პროგრამა განხორციელდება.

იუჯი მხნელ და მხიარულად

შენი ბიძობი.

* აქამდე ანასტასია წერეთლის ნაწერია.

(უთარბილმ) [1894]

შენიშვნა: წინ უძღვის ანასტასიას ხელით.

ძვირფასო ბატონო საბატი!

ბიძობი [მ] დავგატყუა, რომ ცოტა ხანში ჩამოხვალთ და იმიტომ აღარა მოგწერეთ რა. ახლაც ყოველ დღე გელოთ. ოთახი მზად გვაქვს და ვეცდებით არაფერზე არ შეწუხდეთ, ოღონდ გამოეცალეთ მაგ საჩხერეს.

გიგავანით წერილს თქვენიანებისაგან, ტელეგრამაც იყო თქვენ სახელზე და პასუხი მე მიწერე, რომ კარგათ ხართ და მალე ჩამობრძანდებით ტფილისში.

მეორე წერილი მგონი კონსტანტინეპოლიდა [ნ] არის, გიორგიმ ჩვეულებიანებერ (ძველი) ეს წერილი წამოიღო საჩხერეში და ისევ უკან მოიტანა.*

ახლანდელ დროში ცოლიც უალბო ყოფილა, ახლა ტასომ შენ გასაცინებლათ უკანასკნელი სტრიქონი პორით გატენა ჩემზე. ვაგბრაწდი, წავართვი ეს წერილი და მე განვავრძე.

ძმამ აკაკი ძლივს ძლიობით ბრძოლაში გამარჯვებული დღეს ჩვენ ვართ ჩვენი მოწინააღმდეგენი დამარცხდენ და შეეჭამეს ნაცარი. აბა ახლა უნდა შეგქმნათ ახალი ხანა. შენც როგორც მთავარ სარდალი ახლა ხარ საჭირო. პირველი ნომერი უშენოთ არ იქნება. გუშინ სამწუხარო ამბავი მოხდა ქვაშეთის ეკლესიის გალავანში. ყაზბეგის პანაშვილი იყო. მრავალი ხალხი დაესწრო. პანაშვილი რომ გაღიხადეს და ხალხი გალავანში გამოვიდა, ბებურა ბებურიშვილი უეცრათ მივარდა ნიკო ნიკოლაძეს და სილა გააწნა, თან დააყოლა ლანძღვა კი იცი და დუღელში რომ გითხოვენ, რატომ არ გამომყევი თუ შენ კარგი კაცი ხარო, ქურდს ეგრე მოუხდებამო, ხალხი ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა. სწორეთ გითხრა, ჩვენ ყველა შეგავწუხა ამ გარემოებამ. ვორდროპი, და და ძმა, ამ დღესასწაულებზე გურიას მიდიან, იქ უნდათ დაესწრონ და ხალხის ჩვეულება შეისწავლონ.

მომიკითხე პატივისცემით ქალბატონი ანა, დავით და მისი მეუღლე.

შენი ბიძობი წმინტთელი

* აქამდე ანასტასია წერეთლის ნაწერია.

სქნობამდე გიორგის მეუღლის ხელით არის დაწერილი, მერე გ. წერეთლის მიერ არის გაგორებული.

მოკილვადით ძრისხმას აღდგომას

ჩვენში ღვარძლის მომარგელო და სინათლის მიჩვენებელო ზეციით მოვლენილო მებუჟელომ გულო აკაცი „ცნობის ფურცელში“ ამოვიკითხეთ თქვენი ავითყოფობა და ელდასებ გვეცა გულზედ შეც და ჩემს ცოლ-შვილსაც და სხვამაც ბეკრმა ჩემა ნაყნობმა შამომჩვილა გულ მწუხარეთ. აკაცი ავით არისო. გამხნედი ჩვენო ვარსკვლავო შორს შენგან ავითყოფობა. განა ღმერთმა არ იცის ჩვენი ამბავი რომ შენისთანა ფუთყარი ძალიან ცოტა იბადებო ქართველებში. ამისთვინ შევსთხოვთ ქვეყნის მამას ღმერთს, რომ დაგვიბრუნოს და გაგვიკურნოს ჩვენი ზეცის მუშა, რომ ისევე გააგრძელოს თავისი შრომა. ეხლა ბატონო აკაცი, შენს ღმერთს, როცა წამოიკითხავს ზოლმე „ბუნების კარში“ ჩემი პატარა ათი წლის თამრო, მაშინათვე მამაგონდება ერთი ჩვენი მეზობელი, რომელსაც სწორეთ დეემართა თქვენს ღმერთს. ესეთ ჩემო ბატონო და ამასთანავე თოფურაიას შეგვახვეწე, რომ ჩვენი აკაცი მოგვიჩინოს! ეგეც კარგი ქართველია და შრომას ნუ დეიზარებს და ღვთის ვედრება ჩვენს კისერს იყოს აკაცის საღღებრძელოთ. რა ექნა, რომ წერა არ ვიცო, თორემ გულო სავსე მაქვს მწუხარებით. ეს წიგნიც ჩემ თამროს დაეწერინე. ამასთანავე ვისურვებთ თქვენს სიცოცხლეს ჩემი ოჯახობით და მთლით ჩვენი ნაცნობებით.

რაჭველი ნ. სულაბაძე
1898 წელსა 10 აპრილს

რაფიელ ისარლოვმა თავის გამოცემის ერთი წიგნი მოგართვათ, თვით ავით არის, თორემ გაახლებოდით, განახვდათ. გთხოვთ: ჩემთვის დიდი სასოება იქმნება, თუ თქვენი ბრწყინვალე კალამი პატარა წერილით ღირს გამხნედი ამ წიგნის გამოცემის შესახებო. ვიგონაც ბოლიშის სიხოვს და თქვენ გარდაეცით მას, რადგანაც მე ვერ ვნახე, რომ პირადათ გარდამეცა მისი დაევალება.

ძრიელ კარგს იზამთ, რომ წელს, 1901, თურ. „კრებულის“ ორი წიგნი მაინც დაიბეჭდოს, რათა მის საშუალებით უფლები არ დაკარგოთ, ამ წიგნების გამოხატემად თუ თქვენ ვერ მოიცილით, მაშინ მე და სოსიკო გამოვცემთ თქვენის სახელით, იქ ჩვენი ხსენებაც არ გახლდებოთ, ოღონდ ქუთათურ ახალგაზრდობას მის გამოცემის ნებას თუ დაუჟარავთ. მალე განახვით და პირადათ მოგახსენებთ.

მარადის თქვენი პატივსმცემელი ზ. ზინინაძე
14 მარტს, 1901 წ. ქ. თფილისს.

ჩინიწასო ბაბანი! თქვენი წერილი წინეთაც მივიღე (ცოტა გვიან) და ახლაც პასუხი ვერ მოგწერე, რადგან არ ვიცოდი, თუ სად იქნებოდით და ვუცდიდი თქვენს წერილს. ახლაც არ ვიცი, ეს წერილი მოვისწვრებს ქუთაისში თუ არა.

მე ახლა რომ წამოვიდე, რა უნდა გვავეყო და ამისთვის აქ, ოზურგეთში, ვრჩები. ჩემი საქმე, როგორც იცით, უკიდურესათ ცუდათ არის მოწყობილი და იძულებული ვარ ისეთ საქმეს მოვიკიდო ხელო, რომ დღიური სარჩო ავიღო თავი დროებით მაინც შევიმაგრო. ამისთვის მე შევუდღევი ახლა ოზურგეთში ერთი სასწავლებლის გამართვას, რომელიც სხვა საქმეზე იმდენათ ხელს არ შემშლის, თუ კი ეს სხვა საქმე იქნება რამე, რადგან, როცა საქირო იქნება, — სხვას გადავცემ სასწავლებელს.

შავ-ქვიანი ადგილების ამ ხელათ გაყიდვა, იჯარით გაცემა თუ სხვა გვარი მოხმარა ძნელი საქმეა ამ კრიზის დროს: კაცობაქმ ორჯერ მომწერა აქ წერილი, რომლითაც საბუთის ქალაქების პირს მთხოვდა. ასეთი საშუალებით უფრო ხერხდება ადგილების გაცემა და ერთ და იმავე დროს სხედისხვა პირთან (კომისიონერებთან, მაკლურებთან) უნდა დაიჭიროს კაცმა საქმე.

ამ ცოტა ხანში სამგზავრო ფულს ვიშოვი და წ მოვალ თქვენთან. სადაც იქნებით. აქაურო აქმეები რა საქმეა? ამხანაგობა დიდათ სომხატორი და ასარგებლო. გააკურთხა მძმრთელებსა. რომელიც მხოლოდ ახლა ამხილეს, როდესაც ამ მხილებით არა ვაკეთებდა რა. მე „შუამავლობი“ არ ვარ, თავი დავტენებ. სხვა საქმეებიც ჩვენი არ მიღის კოვავთ. გულისწი საზოგადოთ ხალხია კარგი. თვარა ინტელიგენცია არ ევარგა და ამისთვის უოველი საქმე ამ უკანასკნელი ხელში იღებებ.

სახთოსი არაყი წამოვიღებ, როცა წამოვალ. ანღა-კი გამოგზავნა არ ხერხდება. ქუთაისში სულ თუ რამეს იშოვნილით, არ მეგონა და ცოტას თუს იღებთ. ესეც კარგია, არაობას მაინც სჯობია.

ჩემი ადრესი: В Озургеты, Киквадзе.

შაოსად თქვენი პატივისმცემელი თმღმრეტი ძინაძეძე
30 მაისი 1901 წ.

„ღირსებალად ბრწყინებულმო პაბაძი! დარწმუნებული. რომ თქვენ ბრძანდებით ერთად ერთი კაცი, რომელიც ეტროვნად აფასებს ჩემს მცირე შრომას, ვბედავ გაუწუოთ ჩემი აწინ-დელი უოჯა-მდგომარეობა და მერე მოგახსენოთ ჩემი სათხოვარები.

მთელი წელიწადია თითქმის ნევრასტენიით ავადმყოფობ; ექ. ჩიქოვანი ელექტრონიტ მწამლობდა, მაგრამ მაინც ჭერ კარგად ვერ გახლავართ...

...ამ წლის 1-ელ ენენისთვის ავადმყოფობის გამო თავი გავანებე ხანსახურს და მას აქეთ დიდს გაჰირვებაში ჩავვარდი. აღმითქვეს ჩაყ მან, პენცია და წარმადიგინეს კიდეც. მაგრამ, ღმერთმა უწყის, იმასაც მომტყემნ თუ არა. მას აქეთ ჩემს სახლობას ვაცხოვრებ 10 მან. თვეში, რომელსაც ვიღებ რეალურ სასწავლებლითგან. ეს არის და ეს ჩვენი საცხოვრებელი სახსარი. თქვენ კი ჭერ ისევ ორი წლის წინად მიჩრევიდით — საშახურს თავი გაანებე და მთელი დრო-თვის ისტორიას მოახმარეთ. დღეს ვრწმუნდები, რომ ძნელი უოფილა საზოგადო მოღვაწისათვის საქართველოში ცხოვრება და თანაც მაგონდებიან უმაღლურად დაღუპულნი ნაწიწვილი, უახვები, აღნიაშვილი და სხ.

„ცნ. ფურცელში“ მიხდოდა მუშაობა, მაგრამ შემომითვალეს, ჭერ თავისუფალი ადგილი არ არისო. „ნოვ. ობოზრ“ და „კავკაზი“ მიბეჭდავენ წერილებს, მაგრამ ისე მცირედ, რომ თქმად არ ღირს.

საქართველოში სახელოვანი და გავლენიანი კაცი ბრძანდებით და საყოთრად ჩემიც საუ-ვარტოდ მგოსანი და კეთილისმყოფელი, და გუხოვთ, თუ საქიროდ დაინახოთ, დაგვენმართო. ბ. ს. ქვარაიანმა მითხრა „ქიათურის ქვაგუნდის საზოგადოებაში“ საქმის მწარმოებლის ადგილი თავისუფალიაო და ითხოვეო და თანაც ზღანოვიჩის წერილი მისწერეთ, ჩემი სათხოვარი ეს არის, რომ ინებოთ და ზღანოვიჩთან წერილი მიმიწეროთ, იქნება მართლაც საქმე ვაკეთდეს და შეილები უსწავლელი არ დამჩრეს. ძალიან მეძმინება აქაურობის და ჩემი გულითად სატ-რულილო საქირისათვის თავგანებება, მაგრამ გაჰირვებას წინ ვინ დაუღებება? ეხლა ჩემთვის უფ-რო საქირო იყო სვენებით მუშაობა და მე კა უფრო ცხარე სამუშაო უნდა ვიტვიტორო! შევ-ძლებ ამ ახალ ტვირთს, თუ მისი სიმძიმე გამჭულებს? ასეთი კითხვა თუმცა ხშირად მომდის ფიქრად. მაგრამ მაინც ვაპირებ იქ წასვლას, თუ რასაკვირველია, მომიცეს ის ადგილი.

ასეთია ჩემი უოჯა-ვითარება და უველა ამას გატუბინებთ მხოლოდ თქვენ. როგორც შეუღმეც კეთილისმყოფელი. იმ იმედით, რომ, თუ საქიროდ და სასარგებლოდ დაინახოთ, ზღანოვიჩის წინაშე დახმარება აღმოგვიჩინოთ.

რომ ქალაქს არ გავცლოდი, უპირიანი იყო აქვე სადმე მეშოვნა ადგილი, მაგ. თვით ქალა-ქის საშახურში შევსულთუფე (რასაკვირველია არა „მაზარნიკად“, როგორც მიჩრია ერთმა ჩუენებურმა „ადიდა“ მოღვაწემ!). მაგრამ აქაც თურმე დახმარება საქირო უოფილა და ნათე-საობაც.

შაპატით, რომ გაწუხებთ ამდენის წერით, ამდენის წარამარა მოთვლით. თქვენც რომ არ გაგიზაროთ ჩემი გულის ნადული, მაშ ვის შევატუბინო?

თქვენი ერთგული მ. ჯანაშვილი
1901 წ. 29 ნოემბ. ქ. ტფილისა.

23. XII. 1901, სად. აბაზა.

„საღმრთელად პატრიარქის მადლიერად სურვილითა და სიამოვნებით მოვიკითხეთ და თქვენს ნაწიგრილად და ტყველ სოციალურად ვისურვებ, თუ ეს ჩემს სურვილსა და სიამოვნებას ვერაფერს არაფერს თანავე ექნება.“

ამ წერილის მიღება ვიცი გულსრულით. რადგან ნაწიგრი ერთ-მორესთან წერილების გზავნის ანა ვართ არც ერთი მიუხედავად ჩვენი კეთილის ნაცნობობისა. მაგრამ მინდა გდმოგეთ ის მიზეზი რამაც გამოიწვია ეს წერილი და იმედი მაქვს არ დაგზარდებთ წაიკითხოთ: „წუხელის (22 ქრისტეშობისთვის) ბიჭმა გაზეთები* შემოგვიტანა. ავიღე ჟერ რა თქმა უნდა კაითული. და დავიწყე ახალ ამბების კითხვა. მაგრამ ისეთი ფრიად საყურადღებო ბევრი რადგან არაფელი იურ. ჩემი დები ისევე ბუხარისთან დარჩნენ სადაც მანამდე ისხდნენ და ანთებულს ბუხარს შესცქეროდნენ. დედა კი გვერდში მიჭდა და გულმოდგინეთ ისმენდა რასაც ვუკითხავდი. როცა პირველი გვერდი გაზეთისა გადავიკითხე და გადავშალე. აქ თვალ მოვკარი ლექს და მასთან. რასაც ვერვალა. თქვენს სახელსაც. თქვენს სახელს განგებ თითი დავადე და დაუწყე ლექსს კითხვა ისრე. რომ ცალი თვალი იმათკენ (ჩემი დებისკენ) დავიკვირე. მაგრამ ამოდენი დროც საჭირო არ იყო, სკამი იყო პირველი ორი ბუქარი წამეკითხა რომ ანდა-პატრიარქი მიჩნდა ამ ლექსსა იხინ, მომცვიდნენ და მომეხვიენ ზელზე და კიერზე, რომ მეჩვენებინა მათთვის ვისი იყო ლექსი. თუმცა დაოწმებებით ამბობდნენ რომ ლექსი თქვენი იყო, რადგან ცალი და სიტყვები მისიაო, მაგრამ სახელის წაიკითხა მაინც უნდოდათ. ეს იმისათვის, რომ წარმოედგინათ ოცნებით მაინც თქვენი სახე და თითქო თქვენ პირადად აქ ბრძანებულებით.“ — აქ ამ დროს ისეთი სურათი იყო, ისინი მეტის მზიარულებით თვალტრემლობორეული რომ მეხვეოდნენ ლექსს სრულად სახელ მოწერილი მეჩვენებინა მათთვის და მე ვუშალავდი, რომ მეც მიმგვარა ცრემლი იმან თუ ეგეთი სიყვარული რომ სუფთეს კიდევ ქვეყანათნებოტი. ჩემს სასოწარკვეთილებს ფრთები შეაკვეცა. მომგვარა სასო და არ შემეძლო ეს არ მეცნობებინა თქვენითვისაც. თავი შეგაწყინეთ ბევრს წერიტი, მაგრამ მეც სიამოვნებას ვპოვებ ამ წამს ითით, რომ შორიდან გესაუბრებით. რამოდენიმე წლის უნახავი.

დავმტები მარად თქვენი ღრმით პატივისმცემელი მ. აბაშინი

P. S. მოგილოცავთ მოძიავლ ბრწყინვალე დღეებს.

* გაზეთი № 277. — 21 დეკემბრისა. — „სიბოე“.

10 ივლისი 1903 წ., ქ. თბილისი.

„ღრმად პატრიარქის მადლიერად ბ.ნი საბაი! როგორც თემქლომარეს, ქართულ დრამ, საზოგადოების გამგობამ დამავალა შეგატყობინოთ თქვენ თავისი გადაწყვეტილება და გთხოვთ, რომ იყისროთ ამ მოძიავლ სეზონში ქართული წარმოდგენების რეჟისურა.“

ნებას ვაძლევ ჩემს თავს და კერძოდაც გთხოვთ, თუ რაიმე მძიმე და დამაბრკოლებელი მიზეზები არ მოგეძებნებათ, უარი არ განაცხადოთ და იყისროთ ეს მძიმე თანამდებობა. ეს ხომ, ჩემის გულწრფელ აზრით, სრული და მკვიდრი გარანტია იქნება იმისა, რომ თქვენის დახმარებით, თქვენის ცოდნით და გამოცდილებით ზურგ გამაგრებული, ახალგაზრდა გამგობაც გააორკეცებს თავის ენერჯიას და მუშავობას, წახსნეს ქართულ თეატრს და აიყვანს იმ წერტილამდე, რომელზედაც უნდა იდგას თეატრი, როგორც ერის ერთი უძლიერესი განმანათლებელი და პროგრესისული ელემენტი.

თქვენი გულწრფელი ღრმად პატივისმცემელი ნ. ქართველიშვილი

„ღრმად პატრიარქის მადლიერად და სახვარელო საბაი! გიცხადებთ ჩემსა და მთელის რედაქციის გულწრფელ თანაგრძობას, რომ ვერაგმა მთავრობამ ასეთი უსიამოვნება და გამწარება მოგაყენათ. დიდათ მოხარული ვართ, რომ მშვიდობით გადაჩიოთ, გთხოვთ შემატყობინოთ, რომ კარგათ ბრძანდებით, ან ხომ არ გაცივდით, როდესაც ასე“

უღიარებდა და უსწინდოდ მოგაკურენ და მეტეჩში წაგიყვანესთ. ამის შესახებ ცნობა, კარგი იქნება რომ დავხატვდით, რადგანაც ბევრი არის შეწუხებული.

თქვენი მარადის ერთგული და პატივისმცემელი პატონი გომთაა
ტფილისი 17 თებერ[ვალი] 1907 წ.

ღრმად პატივისცემულ პატონო საბანი

წუხებარ. რომ აქამომდე ვერ გამოგელაპარაკეთ. ჩემდა ხამწუხაროდ, ისევ ტფილისის სიც-ბე-პაპანაქებაში მებუთება სული, კახეთში ვერ მოვახერხე წასვლა.

ჩემი მოლოდინით გაქსუებული, მდგომარეობა ვერც ერთ გზაზე ვერ ემყარება. აქ ვცადეთ, წარსულ თვეში, სალიტერატურო საღამოს გამართვა, მარა მარცხი მოგვივიდა. ისევ თქვენის ღირსეულ ბელადობით თუ გავმარაგოვ რასმე, როდენაც ტფილისში გვეტყუებო-ბით. გარდა ამისა, გთხოვთ თქვენი გადაწყვეტილი აზრი შემზტუპონით, მოახერხებთ თუ არა კახეთისაკე გამოსიერებას. თუ, როგორც წინედ მიზრძანეთ, მოახერხებთ აგვისტოში თელავის დახედვას. მე აუცილებლად მოვაწუვებ საქმეს ხალიტერატურო საღამოსთვის. აქ ახალგაზრდებიც სიამოვნებით აცხადებენ სურვილს მონაწილეობისა. აგვისტოს ოცამდე რომ თელავში მოვახერხებთ საღამო, შემდეგ ტფილისშიაც შეგვიძლიან იგივე განვიმეოროთ უფრო ნაცადის და გარკვეულის გზით.

გთხოვთ მაღე შემატუპონით თქვენი აზრი.

ჩემი საქმის თაობაზე უნდა გაუწუოთ, რომ თხოვნა მივეცი წ. კ. საზოგადოების გამგეობას და დეპუტატთა საკრებულოს. ერთდროებითი დახმარება ვითმარე მეორისაგან (400 მან.), ხოლო პირველისაგან სტიპენდია, უკიდურეს შემთხვევაში — ერთდროებით დახმარება (800 მ.). ჭრე პასუხი არსაიდან არა მაქვს. შავი ქვის საბჭოსთვისაც მინდოდა მიმემართა, მარა მანდ თითქმის არავინ მიცნობს და ნაკლები იმედი მქონდა, ამისათვის გადავიფიქრე, თუ რაიმე მოსახერხებელია და მაცნობებთ, მაგათაც მივმართავდი. ხამწუხარო და გულსატყენია, რომ ასე კარდაკარ მიხდება სიარული. მაგარა, რას იზავთ. როდენაც საზოგადოებრივი შეგნება ჭრე იმ დონემდე არ ასულა ჩვენში, რომ ასეთ შემთხვევაში თვითონ ეძებდნენ და თვითონ ეხმარებოდნენ ვისმეს.

სურამში გავმართეთ სალიტერატურო საღამო. საერთოდ არა უშევადა რა. ამ პირველმა ნაბიჯმა ჩვენი ახალგაზრდები გაახალისა. თანდათან შეიღროდ ერთდება კავშილ მწერლობის მოკალმეთა დაქსაქსული და „პარტიულათ“ გათიშული ელემენტები.

ეს კარგი ნიშანია და მერმისის უტკველი თავმდება.

პიუტრევი თქვენს კარმავათ უფუნას, ჩვენს ნუგეშად და წამალიხებელ მავალითად.

თქვენი უმციერესი ნ. კარდელეაშვილი

1910 წ. 14. VIII.

ქ. ტფილისი.

P. S. ჩემი ადრეხი „ეთერის და ცხოვრების“ რედაქცია. ნ. კარდელეაშვილი.

1911 წ., მუთანი.

პეკირფხასსო მემოგარო საბანი

გიძღვნიტ გულითად საღამს და გისურვებთ მარად ჭანმრთელობას. თქვენ, რასაკვირველია გაგებული გექნებათ, რომ დეკემბრიდან მე ციხეში ვარ დამწყვედული ძველის ცოდვებისათვის. ჭრე მეტეჩში ვიყავი და აღდგომიდან — კი ქუთაისის ციხეში გადმომიყვანეს მე ბრალს მსდებენ 1905 წ. ხამწგრელოში (ზუგდიდის) რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისას. თუმცა არავითარი ჩემი გამამტყუებელი საბუთი არ მოუპოვებათ. ჩემთან ერთად პასუხის გემამი მიცემული ორი მასწავლებელი მიხეილ კაცელია და ალექსანდრე ჩხეტია, რომელნიც ჩემსავით მართალნი არიან. ჩვენი საქმე დანიშნულია სასამართლო პალატის სესიის მიერ განსახილველად 8 აგვისტოსათვის (ქუთაისში). პროკურორის მოწმეთა ჩვენებას, პოლიციისა და აღმინისტრაციის მიერ შეითხზილს, რომ ყური დაუგდონ. მძიმე სასჯელი მომეღოს. მაგრამ სასამართლოს წევრთა შეგნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ახლა მჭირია ჩემი: მეგობრების გულმოდარნე დახმარება, რომ ეს დაუსაბუტრებელი კატორგა თავიდან ამა-

ცილონ. ამისათვის ვთხოვთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, არ დაიხაროთ და პირადად თქვენ, ან თქვენის გავლენიან მეგობრების საშუალებით მოელაპარაკოთ პალატის თემქდომარქს ლაგოდს და წევრებს გეგიეისა და ენოს, რომელსიც, რამდენადაც კერძო წყაროდან გავიგე, მოდიან ჩვენის საქმის გასარჩევად, და დაარწმუნეთ, რომ ჩემი პირდაპირი საგანი იყო პოეზიისა და ლიტერატურის დარგში მუშაობა და არა რევოლუცია; რომ ზეგლიდშიაც ერთელ თუ ორჯერ ჩასვულვარ სამეცნიერო შინაარსის რეფერატებს წასაკითხად; ამ რეფერატებს განოლუწვევია კამათი, რაიცა პოლიციას პროპაგანდად მოსჩვენებია; შეიარაღებულ აჯანყების მოწყობაც ჩემი საქმე არ იყო, ვინაიდან ჩემს დღეში იარაღიც ხელთ არ მქერია. გთხოვთ, აკაცი, თქვენებური თავაზიანობა არ მომაკლოთ ამ საქმეში. სთხოვთ ჩემს მაგიერად ენ. ტასო მანაბლისა, რომ თვითონ ან თავისი ძმის საშუალებით მიმართოს ხსენებულ პირთ. თორემ თუ კატორგა გადამიწვევით, მშვიდობით ჩემი სალიტერატურო მუშაობა, რომლისთვისაც აძლენ ხანს ვემზადებოდი! დედა-ჩემიც თავს მოიკლავს.

შამოიტევით. აკაცი, რომ გაწუხებთ — თქვენ, რომელსაც ციხეც გამოგიცლით, წარმოიდგენთ ჩემს მდგომარეობას.

მარადის პატივისმცემელი და ერთგული თქვენი **მელიტონ გობაქინი**
ჩემი ადრესი: Кутаис. Балаханская ул. соб. дом, Ивану Павловичу Гобенин.
Помощн. присяжен. поверн. (მელიტონისათვის).

P. S. დამცველებად მყავს ვერცხრობით ირაკლი გუნცაძე და ჩემი ბიძაშვილი ვანო გობეჩია.

დიდათ პატივისცემულ საპატიო

მს არის გულში გაღმობა ხ. რობაქიძემ თქვენი დანაზარები, რომ თქვენ წიგნს არ უშვებს ცენზორი. ამას იქით მაგ მოხელის თხოვა-მუდარა აღარც ღირს და ჩემის აზრითაც უმჯობესია თვით მეფის მოადგილეს თხოვოთ მის გაშვება, მარა როგორც ისაა, რომ იგი ახლა მანდ არ არის და მისი მოადგილის იმედი თუ გაქვთ. ინახულეთ, ნუღა აგვიანებთ თორემ ამ ჩვენ გამოცემლობასაც ისევე გაუტუდება სახელი, როგორც ბევრ სხვა მატყუარა გამოცემლობას, რომლებმაც თითქოს წესათ შამოიდეს მითხველ ხელისშემწერლების მოტუილება, თვეობით და წლობით ხელმოწერილი წიგნების ჩაუბარებლობა. მე კი ეს არ მინდოდა და დღეს კი ძალაუნებურათ ამგვარ გამოცემელთა რიცხვი მოვეყვი. თქვენი ნაწერების გამოცემაში მე მინდა გამოცემლობის საქმეში წესიერება შევიტანო, რაკი ნივთიერათ ასე უზრუნველყოფილი ვარათ ბ. ი. მანსვეტაშვილის ქველმოქმედებით.


ამისათვის ეცადეთ როგორმე ამ წიგნს ეს „საბედისწერო“ მოხსნათ, იგი დავარიგოთ და შემდეგი III წიგნის ბეჭდვას შევედგეთ, რაკი უკანასკნელ წერილში მანსვეტაშვილი უკვე შემპირდა პიტერიდან მისთვის ქალაქის გამოგზავნას. ამიტომ საჭიროა ამ III წიგნის მასალა შეგროვოთ, რაც დარჩა იმ ძველთა გამოცემული II ტ-ში ის დაბეჭდოთ და სხვები დაუმატოთ. უურნალ-გაზეთებიდანაც გადმოწერა მიანდეთ ბარემ მანდ ვისმეს და ამნაირათ თავღარიგი დავიჭიროთ შემდეგი წიგნების.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მეფის მოადგილე მაგ წიგნს გაუშვებს და თუ მაინცა და მაინც აღარა გამოვა, ბარემ წაიღონ ეს ორი ფორმა პოემა „კორნცოვი“ და მის მაგიერ დაბეჭდოთ სხვა და მით შევავსოთ ეს წიგნი და დავარიგოთ. გარწმუნებთ, რომ ძლიერ ცხოვლ შობებელიდებს ახდენს ამდებან წიგნის დაურიგებლობა, ეს სამერხისო სახელს გვეტებს ამ საქმეში. ამიტომ, ყოველივე ღონე მოიკრიბეთ ეს საქმე კალაპოტში ჩავეყენოთ, თორემ ეს დიდი საქმე გვაქვს მინდობილი ქველმოქმედ მანსვეტაშვილისაგან და საჭიროა იგი პირნათლათ და მალე შევასრულოთ. ამას თქვენი ინტერესიც უფრო მოითხოვს. შემატყობინეთ რა გზას დაადგებით. ან რა იღონოთ?

თქვენი პატივისმცემელი გურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგე ქუთაისში:

ინიღორე კვიციანიძე

[1914]





შოთა ნიშნიანიძე

ყვავები

ერთი თავი აოქმოდან

გუშინნინ მეტებთან ამოვიარე,
ცაში უამრავი ყვავი ირეოდა...
მაშინვე გამახსენდა სტრიქონები „დიდოსტატის მარჯვენიდან“:
„იმ წელს საქართველოს ჭივჭავი შემოესია...“

ყვავები ერთმანეთს ეხლებოდნენ, ეგლისებოდნენ
და მერე ერთ უზარმაზარ ღრუბლად შეკრულნი
გაანჩხლებული ყრანტალ—ყაშყაშით
მიიგრანგნ-მოიგრანგნებოდნენ გაღმა გამოღმა
მეტეხსა და ნარიყალას შორის.
იშლებოდა და იკეცებოდა ღამის უზარმაზარი მარაო.
თითქოს მიტინგებს მართავენ,
რალაცაზე დაობენ, და თათბირობენო.
ქუჩაში გამვლელ-გამომვლელი ჩერდებოდა,
ხელს იჩრდილავდა
და ცაში იყურებოდა.
ტრამვაის ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე მგზავრები
იჭყიტებოდნენ.
სახლებიდან, ყავახანებიდან, აბანოებიდან ხალხი
გამოფენილიყო.

ყაყანებდნენ... ლაზლანდარობდნენ...
— რა ამბავია, ღმერთო ჩემო, —
ნაიჩიფჩიფა აბანოდან გამოსულმა დედაბერმა.
— მეორედ მოსვლაა, დედიჯან, მეორედ მოსვლა, მაა!..
გაიჯლანა ტაბურეტზე ჩამომჯდარი მექისე.
მექისის ცხელი წყლით დაწითლებული ხელი
სხაპა-სხუპით გზავნიდა მოხარშული ჭყინტი სიმინდის
მარცვლებს

ღრეჭით გადახეული პირისკენ.
მექისის ხელი ხვიმირ-სარეკელაა,
პირი დოლაბია...
მეტაფორა დაბრეცილია და მოქმედებას თავდაყირა უჩვენებს.

— გავიაროთ, ნუ გავჩერდებით! —

წრიალებდა, ნერვიულობდა იმ უბნის მილიციელი.

ხალხი ბუზღუნით ემორჩილებოდა წესრიგის დამცველს.

— წარლენაა!..

— მეორედ მოსვლაა!..

თითქოს მექისის ნათქვამი აიტაცესო,

ხშირად გაისმოდა აქა იქ.

ციდან ყვავების ჩრდილი და ქოქოლა მოცვიოდა.

მეტეხი და წარიყალა პატარა ვულკანებივით ხრჩოლავდნენ.

— გავიაროთ, ნუ გავჩერდებით!

ისმოდა ერთგული მილიციელის ხმა.

სამსახურში ყვავების ყრანტალი შემომესმა.

მაშინ „ჩვენი თაობის“ თანამშრომელი ვიყავი მწერალთა

სასახლეში.

ბევრი თაობის მომსწრეა იქაური უზარმაზარი კედარი.

ამ გიგანტურ ხეს ტანი ჭიანჭველებით კი არ ექავება,

არამედ

იმ ადამიანთა ფიქრით, ფუსფუსით, ქილიკით თუ სიცილით

აქ რომ ტრიალებდნენ და ახლაც ტრიალებენ.

თავისუფალ დროს სულ ბალში ვიყავი.

წვრილფხეობა ყოველდღე დადიოდა,

ლიტერატურული „კიტები“ კი იშვიათად.

კედარზე შაშვები ბუდობდნენ.

თათრის ბოხობია ოდენა ბუდიდან ხშირად ისმოდა

ოჯახური სიხარული და ჭყლოპინი.

შაშვები კონცერტებს მართავდნენ,

იქაურობა სამოთხის ხმებით ბრიალებდა.

დიდი მონდომებითა და ოსტატობით ასრულებდნენ

ბუნების ეს ფრაკიანი არტისტები

საღვთო ფსალმუნებსა თუ წარმართულ საგალობლებს.

თითქოს პასუხისმგებლობას გრძნობდნენ პოეტების წინაშე —

არ შვერცხვით, ხელოვნება არ დაგვიწუნონო.

ჰოდა, ახლა კედარის კენწეროზე ყვავი დასკუპულიყო.

ღამისგან გამოჭრილი, შავად მბზინავი.

დრო და დრო ნისკარტს ისვამდა

მარაოსავით მონიავებულ ფრთაზე,

ან ყრანტალს გადმონიტებდა უზრდელურად,

გულგრილად გადმოჰყურებდა მინიერ არსებათა

ცნობისმოყვარეობას.

— დილიდანვე აქ ყურყუტებს ეგ ვაჟბატონი — თქვა

დარაჯმა. —

სულ ბუდეს უტრიალებს, იერიში მიაქვს საწყალ შაშვებზე.

ბუდის წართმევა უნდა მაგ პარაზიტს.

შიშით გულგახეთქილი შაშვები ბუდეში არიან ჩაყუყუნნი,

საცოდავად წივიან... შველას თხოულობენ.

აჲ სიტყვების მერე უფრო მოუვიდა გული დარაჯს.

იგი ბალის მომვლელიც იყო.

ახლა წელსზემოთ გაეხადა და ნახევრად შიშველი დაფუსფუსებდა გაზონებში.

— ახლავე, ახლავე, — ხმას აუნია დარაჯმა, — მაგას ვუჩვენებ სეირა. ახლავე გაშპება აქედან, იქნება კავკასიონიც აქეთ დარჩეს...

დარაჯმა ვეება სპილენძის ტაშტი ამოიტანა სასადილოდან, ხის ქვეშ დადგა

და ფლოქვით დასცხო გაძვალტყავებული მუშტი.

თან ჰაუო, ჰაუო! დასჭყიოდა.

დარაჯი ამ წუთში რომელიღაც ველური ტომის შამანს

წააგავდა.

მაგიური რიტუალის აღმსრულებელს.

თქვენც არ მომიკვდეთ! ყვავს კუდიც კი არ გაუტოკებია, აინუნშშიც არ ჩაუგდია ბუნების უმაღლესი ქმნილების ჭიფხვა და ჩილთიფილთი.

ბრახუნი და ყვირილი ციყვებივით არბოდა ტოტებზე, ყვავი კი, როგორც ეშმაკეული ქმნილება,

ამ ციყვებს ყლაპავდა, სვლებდა და ნისკარტს აცმაცუნებდა.

— ხვალ სანადირო თოფს მოვიტან და შიგ შუბლში ვყვინავ მაგ წუპაკს, მაგას! — იმუქრებოდა ნირნამხდარი დარაჯი.

— თუ დაგვხვდა კი —

— ა, არ ქნა მაგ ამბავი, თორემ შაშვებსაც შეინირავ — შეაშველეს აქეთ-იქიდან.

— ჟაკანს მოვიტან, ჟაკანს! — არ ცხრებოდა დარაჯი.

— არ ივარგებს, — შეედავენ ზოგიერთები —

შაშვები გადაიკარგებიან, ყვავის საქმეს აკეთებ, შე კაცო?

შემოვიდა ბატონი კონსტანტინე

ელეგანტური, კუშტი და შეუვალი.

მივდექ-მოვდექით... გზა ვუტიეთ...

— რა ამბავია, ყმანვილებო! — მოგვესალმა.

მოსალმებისას მთელი სახე უნათდებოდა,

წამით გამოსხლტებოდა მედიდურობის აურიდან.

კონსტანტინე-ემხვარი მერხზე ჩამოჯდა.

ფეხი ფეხზე გადაიდო და ჩიბუხის განყოფას შეუდგა.

დარაჯმა მიირბინა და როგორც შინაურმა კაცმა

ყველაფერი ჩაუკარკლა სხაპასხუპით.

კონსტანტინე თავს იქნევდა, ილიმებოდა.

უცებ განაპირა მერხზე გადმოინაცვლა.

— უყურე ერთი ამ ავაზაკს! ყივჩალი იქნება ეგ ყვავი, —

კონსტანტინემ ჩაიციინა — ყვავებშიც არიან ყივჩალები.

მცხეთიდან მოვდივარ ახლა...

სეტიციხოველზეც, დედათა მონასტერზეც, ჯვარზეც,

ყვავები ტრიალებენ, კაცო!

დიდუბეში გამოვიარე, იქაც ყვავები ფუთფუთებენ,

მუშტიადის ცა ყვავებითაა გადაჭედლი.

დიდუბის ეკლესიაში ნუხელის ღვთისმშობლის ხატი

ჩამოვარდნილა,

შენუხებული იყვნენ მღვდლები და მონაზვნები.

იქაური ბრმა მათხოვარი ყელზე ზანზალაკის ჟღარუნით

ფორთხვით უფლიდა გარს ეკლესიას

და საღვთო ზვარაკით ზმუოდა:

— ხალხო, ღვრისმშობლის ხატი ჩამოვარდა...

ანტიქრისტე მოდის!..

უკან შაოსანი დედაბრები მოჰყვებოდნენ პირჯვრის წერით

და ვიშვიშით.

დამიჯერებთ? ეკლესიის გუმბათზე ოცდაჩვიდმეტი ყვავი

დავთვალე.

კი გამიჭირდა დათვლა, ბევრჯერაც ამერია,

მაგრამ მაინც დავთვალე.

— ვერაა კაი ამბავი, ყმანვილებო, ყვავების ეს შემოსევა.

ბუნების განგაშია, გვაფრთხილებს ბუნება...

ბატონმა კონსტანტინემ ისეთი დაჯერებით და იდუმალების

მომგვრელი ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები,

შევცბუნდი, რალაც შიშის მაგვარიც კი ვიგრძენი.

თითქოს მისტიკური სიჩუმე და ბინდი ჩამოდგა.

ეს ბინდი ყვავის ყრანტალმა გაამუქა.

ისევ წამოიწყო ყვავმა იერიში ფრთების ფართხუნით და

ქოთქოთით.

ისევ ასტეხეს შაშვებმა ბოჟირი და წიოკობა.

— ჟაკანი უნდა მაგას, ჟაკანი...

დარაჯს მკერდზე სპილენძის ტაშტი აეფარებინა და

ახლა ფართო აღჭურვილი რომაელის კარიკატურას ჰგავდა.

უფრო სწორად, იმ შამანს წააგავდა,

კუდიანობის ნიჭი რომ წართმეოდა უცბად

და ახლა ყურებჩამოყრილი და გამობნეტრებული იდგა...

იდგა და ვერაფრით გაეგო,

რა მოხდა, რატომ არ ჭრიდა მისი გრძნეულება.

მეორე დღეს ისევ მობრძანდა ბატონი კონსტანტინე.

ვილაც ახალგაზრდა მოჰყვა ფეხდაფეხ,

სპორტული აღნაგობის, ლაბადიანი,

კონსტანტინემ მერხს მოაშურა,

უცნობი ქვის მოაჯირთან შეჩერდა

და თაყვანისმცემლის ცნობისმოყვარეობით იყურებოდა.

დოცა დიდოსტატმა დაჯდომა დააპირა,

უცნობი დანინაურდა

და ბოდიშის მოხდით მერხზე გაზეთი გაუფინა,

მაშინვე მიბრუნდა და ბალიდან გავიდა.

— რომელია, ვერ ვიციანი, — იკითხა კონსტანტინემ.

მსრები ავიჩეჩე, პირველად ვხედავ-მეთქი.

— ქუჩიდან მომყვა... მგოსანი იქნება ალბათ, ახალბედა.

ისე ჯოკეის უფრო ჩამოგავს, მწვეარივითა აწვართული.

ჰო, მართლა, როგორაა ის ჩვენი აგრესორი ყვავი?

კიდევ აქაა?

— კი ბატონო, აქ ბრძანდება,

დარაჯმა თოფი მოიტანა და დღის ბოლოს გამოვუყვან წირვასო.

— შეხედე, რა თავის ნათქვამი ყოფილა ეგ დარაჯი?!

შაშვები, შაშვები როგორაა არიან?

— ბუდეში სხედან გასუსული.

კონსტანტინემ ხელი მოიჩრდილა, ყვავს დაუნყო თვალიერება.

— სიკვდილისათვის ყველა ცოდვაა, მაგრამ ეს ყვავი ნამდვილად
დამნაშავეა.

საწყალ შაშვებს საკუთარი ოჯახიდან ყრის.

გაგონილა, კაცო, ასეთი ამბავი?

მოძალადეა!...

ყვავი კი არა, ეშმაკის ამონახველია ნამდვილად!

კონსტანტინემ ქისა გახსნა,

მნიკვით ამოღებული თუთუნი დაყნოსა და შემომთავაზა.

— სამსუნის თამბაქოა,

კაბადოკიის მზის სურნელება ასდის, რომ იცოდდე!

გლეხის ოჯალეშივით შემპარავია.

ძუძუმტე მიზგაენის აფხაზეთიდან.

ლაზია. ოჯალეშსაც ეგ მიგზავნის, თხის სულგუნსაც.

მეწვიე ერთი „კოლხურ კოშკში“.

ამ შაშვის ამბავმა შემანუხა, ვერ მოვისვენე

და იმიტომ მოვედი.

უნიკალურია, ხომ იცი, ქართული შაშვი,

ქართული ფუტკრის არ იყოს.

კოლხურ კოშკშიც მყავს ცხენის წყლის ჭალებიდან

ჩამოყვანილი.

მაფშალიებიც მყავს, იადონებიც.

მაფშალია ხომ მგალობელთა მეფეა,

მე მაინც შაშვი მიჩრეწია.

შაშვი უფრო რიხიანია, უფრო შერეკილი და გიჟმაჟი.

შაშვი ბუნების მაჭახელაა.

ბუნების საყვირია ველური რიტმებით გამომტვრეული.

შაშვის ჭახჭახი მხნეობითა და ენერგიით გვავეებს.

ქართული შაშვის ყელიდან წარმართული მზე ჭახჭახებს...

ნერონსაც ჰყოლია რომის სასახლეში კოლხური შაშვები,

ხოხბებიც... ფაზისის ჭალებიდან გაჰყავდათ ვაჭრებს,

მისიონერებს.

ბიტომ ჰქვია „ფაზან“ რუსულად.

ნერონს დიდ მომღერლად მიაჩნდა თავი და

შაშვებისგან სწავლობდა გალობის ხელოვნებას.

ყველაფერში პირველობა უნდოდა,

იმპერატორობას არ სჯერდებოდა.

დედა ან ბებია ეყოლებოდა ქართველი! —

თქვა კონსტანტინემ და იქედნურად ჩაიცინა.

ყველა ეპოქას, ყველა ხალხს თავისი ნერონი ჰყავდა.
 ნერონობა კაცობრიობის ტრაგედიაა და
 შექსპირის ნიჭი სჭირდება ამ თემას, დავით ჩემო!
 ო, რა ზღვა მასალა ექნებათ XXI საუკუნის ტრაგიკოსებს!
 მოლიერებსაც!

პირდაპირ მეხარება მათი.

კი ღირს ღმერთმანი, ერთხელ კიდევ მწერლად დაბადება.
 წინასწარ დიდ მადლობას მოვასხენებდი მამაზეციერს
 ასეთი სიკეთისთვის...

დიდოსტატი უცებ გაჩუმდა...

სახეზე ჩრდილებმა გადაურბინეს...

— ყმანვილო, რა აცა-ბაცად იხედები აქეთ-იქით.

მართო ვართ, ჩემო კარგო.

მე მგონი ეს ყვაფი და შაშვები ვერ დაგვაბუღებენ.

შემრცხვა, რალაც ნავილულულე. კონსტანტინეს გაეცინა
 და სახე დაულაგდა.

— ეჰ, ჩემო დავით, — ჩიბუხი გადმოფერთხა დიდოსტატმა,
 როგორაა პოეზიის საქმე,

ხომ არ უჭირს ამ შაშვებივით?

ჭეშმარიტ პოეზიას ყოველთვის უნდა უჭირდეს, ყმანვილო,
 ყოველთვის.

ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ცხოვრებასთან და დროსთან
 დიალოგია,

მაგრამ სიტყვა მისტიკური ფენომენია.

პირველად იყო სიტყვა.

სიტყვა ხატოვანი უნდა იყოს და არა შიშველი.

განა შეიძლება, ჩემო დავით,

ეკლესია ხატებისა და ფრესკების გარეშე?

პოეზიაც ხომ ეკლესიაა.

ვერაფერი შვილია უსახეებო პოეზია.

უსახეებო პოეზია იგივე უხატებო ეკლესიაა.

უხატებო ეკლესიაში მე ვერ ვილოცებ.

ჯერ კიდევ როდის ამბობდა არისტოტელე:

პოეზია სახეებით აზროვნებააო.

მაგრამ ჩალის ფასი ექნებათ სახეებსა და მეტაფორებს,

თუ ვნებათა დუღილიდან არ წარმოიშენენ,

თუ ვნებათა ემბაზში არ გაინათლენ.

არ არსებობს სიტყვის სიცოცხლე

სულიერი ღველფის,

ცეცხლის გარეშე.

როგორც გითხარი, ცეცხლი სიცოცხლის დედა, სიცოცხლის
 შემოქმედია.

ცეცხლი ფიზიკური ფენომენიცაა და სულიერიც.

„ცეცხლი“ და „სიცოცხლე“ ერთი ძირიდან უნდა მოდიოდეს.

აი ეს ცეცხლია ბიოენერგია.

ექსტრასენსის თითებიდან სწორედ ეს ენერგია სხივდება,

მკურნავი, ამალორძინებელი, მართლაც სიცოცხლის ელექსირი.

ეს ბიოენერგია სულწინდის მადლთანაა წილნაყარი
 პრომეთეოსმა რომ ღმერთებს ცეცხლი მოპარა,
 ლერწამში დამალული ჩამოიტანა დედამინაზე.
 მაშასადამე, სიტყვაში შენიღბული ცეცხლია სასურველი,
 გონით გაჯერებული და არა მყვირალა.

ცეცხლიც და ლერწამიც შემოქმედების სიმბოლოებია.

რაა თავისთავად მარტო ლერწამი?

ფიჩხი, უბრალო ჯოხი!

სულჩაბერილი ლერწამი კი უკვე სალამურია.

ძველად ბევრ სნეულებას: შიშს, გათვალულობას, თავისტკივილს
 და სხვას

შელოცვით არჩენდნენ.

შელოცვის სიტყვები, რა თქმა უნდა, ბევრმა იცოდა,
 მაგრამ ავადმყოფებზე მხოლოდ ისინი მოქმედებდნენ,
 რომელთაც სიტყვებისათვის ბიოდენის გადაცემა შეეძლოთ.

ბევრჯერ მინახავს ნახშირითა და შავტარიანი დანით

შემლოცვლებს

როგორ აუვარდებოდათ მთქნარება და

როგორ იცრემლებოდნენ.

— უჰ, ბეჩა, რა ამბავია, მომექცა ღრანჭებოი — გაიძახოდნენ.

რა იწვევდა ამ ცრემლიან მთქნარებას,

ამ კონველსიებს?

რა და, ორგანიზმიდან ენერჯის გასვლა.

ასეთია, ბატონო ჩემო, სიტყვით მჩხიბაობის მაგია.

იგივე ხდება შემოქმედებაშიც:

ვინც უფრო ძლიერი ბიოდენით დამუხტავს სიტყვას,

მისი ნაწერიც უფრო გამძლე და სიცოცხლისუნარიანი გამოდის.

მეტაფორაც სწორედ იმიტომ მიყვარს, დავით ჩემო, რომ იგი
 დანეხილი ენერგიაა.

სულიერი მტეხიარობის იეროგლიფია ტვიფარია.

ამიტომ ამბობდა პუშკინი გოგოლზე:

მისი სიტყვები ქალაღზე დაგლესილი ფისი მგონიაო.

ამ მეტაფორის ხიბლს შრიფტის ანაბეჭდის ასოციაცია

აძლიერებს.

რა ამოფხიკავს მესხიერებიდან ამ მეტაფორას.

ხელიკი ერთი წვეთი ნიანგია — ამბობს ლორკა.

ამაზე უფრო მომჭირნედ, უფრო კარგად ვერც იტყვი.

პირველად იყო სიტყვაო — ბიბლია რომ გვაუნყებს,

ქართველისათვის ალბათ მხატვრული იქნებოდა ის პირველი

სიტყვა,

ისე პოეტურები არიან ქართველები.

მოდით ახლა ქართულ მეტაფორასაც ავუღოთ ჭაშნიკი.

იცი შენ, ვისიცაა ეს მეტაფორა.

მართლა ბრწყინვალეა, ტევადი და ასოციაციების აღმძვრელი.

მისი წვდომა-გააზრება თანაავტორობას მოითხოვს.

ასეც უნდა იყოს.

და საერთოდ, როცა შედევრს ქმნის ხელოვანი,
იგი პატარა თანავეტორია სამყაროს დიდი შემოქმედისა.
გუთანს ისე ეკიდა გლეხი,
როგორც კვამლი ჩიბუხზეო. კვამლით ნახატი სურათია,
სურრეალისტური.

მაინც რას არ დაიჭერს, კაცო შემოქმედის თვალი!
მეტაფორა ერთ პრიზმაში აჯვარედინებს შორეულ მსგავსებებს.
თანაც მხატვრულ თქმას ქარაგმულობა შეენის,
ნართაული, მინიშნებული უფრო ჩქარა მიდის მიზანთან,
მთლად ცხრიანში ხვდება, რომ იცოდეთ!
მიყვარს, როცა მეტაფორა რეალობის საზღვარს გადააბიჯებს.
რეალურისა და ირრაციონალურის მიჯნაზე გავლა
თავისუფლებით ტკობაცაა, სხვა სამყაროში გადახედვაც.
სიზუსტე ფორმულას და აფორიზმს უხდება მხოლოდ.
მეტაფორაში შემოსული საგანი და მოვლენა
კიდევ უნდა იყოს ზუსტი და არც უნდა იყოს ზუსტი.
გუთანს გლეხი ისე ეკიდა,
როგორც ჩიბუხს კვამლიო

რეალისტურიც არის, სურრეალისტური და იმპრესიონისტულიც.
აქ წამიერი მომენტია დაჭერილი — არსის გადმომცემი.

სახე დინამიურია... უცნაურ ასოციაციებს იწვევს.

კვამლი მცირე ხანს ჩერდება ჩიბუხზე,

ასეა ქართველი გლეხიც...

არ უყვარს დიდი ხნით გუთანზე მოკიდება.

ვინ აბოლებს ჩიბუხს?

თავისთვის ხომ არ ბოლავს ეს ჩიბუხი?

კაცი აბოლებს ხომ?!
ახლა ეს გუთან-ჩიბუხი ვისა აქვს პირში გაჩრილი და ვინ

აბოლებს?

აქ პლასტიკა აბსტრაქტულ ხილვაში გადადის.

პატონი კონსტანტინე შეჩერდა,

ჩიბუხი მერხის ზურგზე ჩამობერტყა.

— მგონი გაგაოცე, ყმანვილო, ამ მისტიკური ლათაიებით

მაგრამ რას იზამ, ასეთია მეტაფორის ალქიმიო.

ორაკულებიც ბუნდოვნად მეტყველებდნენ,

მაგრამ ჭეშმარიტებას წინასწარმეტყველებდნენ.

ისევ გამოჩნდა უცნობი ახალგაზრდა.

ისევ გაჩერდა ქვის მოაჯირთან.

უცებ თოფმა იგრიალა...

გაისმა შაშვების ჭყვილი.

ყველანი წამოვცვივდით...

სხვენის აივანზე დარაჯი გადმომდგარიყო,

ცალ ხელში ბოლადენილი თოფი ეჭირა,

მეორე ხელი მზისთვის ნაევლო სიხარულისგან.

— ტირანი მკვდარია! გადმოგვძახა დარაჯმა და

პირში ორი თითის ჩაყოფით ბიჭური სტვენაც მოაყოლა.

ტირანი ტოტებში გაჩხერილიყო.

ცალი ფრთა მაროსავით უფარფატებდა

და უკვე სიკვდილს ინიავებდა.

ბრინჯაოს ამურს სისხლის ნვეთები თვალებზე ელვენებოდა
 ამური ტირისო,

იხუმრა ვილაც ახალბედა მგოსანმა.

დარაჯი მილოცვებს ლებულობდა მარჯვე სროლისთვის,

ტირანის ტახტიდან ჩამოგდებისთვის.

ზოგი საყვედურობდა კიდეც:

რა ქენი, შე კაცო, რა ეშმაკი ჩამოიღებს ახლა ამ ყვავს?

აყროლდება... ბუზები შეგვჭამს!

ჯამბაზები მოვიყვანოთ მუშტაიდიდან!

სახანძრო რაზმს გამოვუძახოთ!

უცნობმა ლაბადა გაიხადა,

იქვე მოაჯირზე მიაგდო,

მერხს დაეჯაჯგურა,

ტაიჭივით აიტაცა

და ხეზე ირიბად მიაყუდა.

ელიმებოდა...

თვითკმაყოფილებისა და ირონიის მიჯნაზე მიცოცავდა
 შენიღბული ღიმილი.

უცნობმა ცოტათი უკან დაიხია,

გამოექანა და მერხზე შესტომით ტანი აირეკლა,

კედარის ქვემო ტოტს დაეკიდა,

აფორთხდა... აცოცდა...

გასისხლული ყვავი გაზონის ბუჩქებზე გადმოაგდო.

გაისმა ალტაცების შეძახილები,

ზოგმა ტაშიც კი დასცხო,

ვილაცამ ლაბადა მოურბენინა.

— რა გვარი ხართ, ყმანვილო, — ჰკითხა კონსტანტინემ.

ახალგაზრდა წამოწითლდა,

— საბანისძეო, — თავმომწონედ უპასუხა.

— საბანისძე? — გაიკვირვა კონსტანტინემ.

მეორედ მხედება ეს გვარი ჩემს სიცოცხლეში.

ჩამოჯექით, ყმანვილო, ჩამოჯექით,

გიმნასტი ყოფილხართ!

რა გქვიათ? სახელი თუ გაქვთ გვარის შესაფერი.

— ჯეკი, ბატონო.

— აუ, — შეიცხადა კონსტანტინემ.

შეურცხვეს ნათლიაშენს ულვაში!

ჯეკი რამ დაარქმევინა საბანისძისთვის!

ცოტაა, კაცო, ქართული სახელები?

გურული იქნება ალბათ ნათლიაშენი!

საბანისძე... საბანისძე... — რითმის მძებნელი პოეტივით

აწვალებდა და ასორსალებდა ამ სიტყვას

თავად სიტყვის ჯადოსანი.

— საბა, ყმანვილო, საბა! საბა საბანისძე!

თითი ასწია ამ აღმოჩენით გახარებულმა დიდოსტატმა.

— საბა საბანისძე! ჰა, როგორ უღერს?

მწერლის სახელი და გვარი კი უნდა უღერდეს, ყმანვილო.

საბანისძე ძველი იბერიული გვარია,

მარტო იოანე საბანისძეც კმარა ამ გვარის სადიდებლად.

ძველი იბერები თქვენსავით ცისფერთვალემა იყვნენ.

იბერებს ხალიბებად იხსენიებენ,

ბერძენი და რომაელი ისტორიკოსნი.

როცა პომპეუსმა ტიგრან „მზის შვილად“ წოდებულს

უზარმაზარი არმია აოტა,

„მამაცი იბერიელი შუბოსნებიც კი გაიქცნენო“,

გაოცებული შენიშნავს რომაელი სარდალი

თავის დღიურში.

(ტიგრანს ამ ომში მისი სიმამრი

მითრიდატე პონტოელიც ეხმარებოდა.)

— დედით რა გვარი ხართ, ყმანვილო?

კითხვები არ ელეოდა კონსტანტინეს.

— ხაინდრავა.

— ოო, — თვალეზში სხივი მოემატა დიდოსტატს, —

ნამდვილი ქართველი ყოფილხართ,

კოლხი და იბერი ერთად!

როგორც კი დაგინახეთ, მხედარი იქნება ეს ყმანვილი-მეთქი,
გაკვიფიქრე.

ანტიკურ ხანაში მთელ შავიზღვისპირეთს

ლამაზი ცხენების სამშობლოს უწოდებდნენ უცხოელნი.

როცა ფილიპე მაკედონელს

სარდალი ევმენი აუჯანყდა,

შავიზღვისპირეთში გამოიქცა ეს მუამბოხე ქვეშევრდომი,

ლაზებში, აბაზგებში, ჭანებ-მეგრელებში

ცხენოსანი ლაშქარი შეაგროვა და

სახელგანთქმული „მაკედონური ფალანგა“ დაამარცხა,

შიშის ზარს რომ სცემდა მთელ მცირე აზიას.

— ახლა ისიც გვითხარი, ყმანვილო,

რას წერთ, ლექსებს თუ მოთხრობებს?

მეოცნებე თვალეზი გაქვთ, მგოსანი იქნებით უთუოდ.

ასეთი თვალეზი სულ ეძიებენ.

— ვინც ეძიებს, პოულობს კიდევცო —

სიცილით შეაშველა ჯეკადყოფილმა.

— ცალ თვალში, ყმანვილო, ანგელოზი გიზით,

მეორეში ვერაფერს ვხედავ,

აღბათ ჭინკა იმალება და იმიტომ.

ყველამ გაიცინა. საბად შერაცხული წამოწითლდა.

ვერავინ გაიგო დიდოსტატის ქარაგმული ხუმრობა საბას გარდა

და საბას განითლებაც ვერავინ გაიგო დიდოსტატის გარდა.

კონსტანტინემ ისევ გატენა ჩიბუხი,

ირგვლივ მოჯარულ ახალბედებს სათითაოდ შემოგვხედა

და ღიმილით თქვა:

— არ იწყინოთ, ყმაწვილებო,
 ერთი სურრეალისტის სტრიქონები უნდა გავიხსენო:
 თუ პოეტს გაღაბული ძაღლის თვალები არა აქვს,
 მისი ლექსებისა არა მჯერათ.
 ან მეტაფორით ავტორი გვეუბნება:
 ცხოვრებისგან გამწარებული კაცი
 უფრო საინტერესოა, ვინემ დაღბინებულიო.
 ახალბედა მგოსნებმა ზოგმა მაშინვე და ზოგმა მერე
 არაერთხელ გააპარეს მზერა ერთმანეთისკენ.
 რომლები უფრო ვართ პოეტებიო,
 ზოგმა, ვინ იცის,
 იქნებ განგებაც კი მოინალვლიანა თვალები!
 — სულ ყმაწვილობით რომ მოგმართავ, ხომ არ გწყინს?
 რბილად ჩაეკითხა საბად შერაცხულს დიდოსტატი.
 წამოჟინყლა...
 ყველანი წამოვიშაღეთ...
 შაერი სველი ატლასივით დამძიმდა.
 ამურის თვალებზე შემხმარი სისხლის წვეთები
 ცრემლებივით გადმონიკნიკდა...
 სისხლის ცრემლებით ტიროდა ამური.
 ნეტა რას ტიროდა? ყვავს რა თქმა უნდა, არა,
 არც სიყვარულს.
 იქნებ ის ცრემლები რაღაც ავბედითი წინათგრძნობის
 შეუცნობლობის მაუწყებელი იყო?
 — ჩემი ნათლული ხართ, ყმაწვილო, გახსოვდეთ! —
 მანქანაში ჩაჯდომისას გამოსძახა ბატონმა კონსტანტინემ
 საბა საბანისძეს.
 ცა ფერადი ღრუბლებით იყო აფორაჯებული...
 ერთი მომწვანო ღრუბელი ყალყზე შემდგარ ცხენს წააგავდა...
 და გაიკლაკნა ჭიხვინი აპოკალიფსური.
 „და აჰა ცხენი მწუანე და მჯდომარესა მას ზედა
 სახელი მისი სიკუდილი...“
 იმ დღეს ყვავის სისხლი დაიღვარა...
 აქ კიდევ გავარდება თოფი
 და სულ სხვა, მართლაც ეშმაკის ამონახველი ყვავები
 დაეპატრონებიან სხვათა ბუდეებს...
 იმ წელს შაშვები გადაიკარგნენ...

 იმ წელს საქართველოს ყვავები შემოესია...



ზაურ კალანდია

ზ ღ ვ ა რ ი

მოთხრობა

საბა განწირული იყო... უცებ, ორ თვეში მოტყდა აქამდე მხნე, ჯიჯგვი, საზრიანი ბერიკაცო და ლოგინად ჩავარდა.

არავინ ჰყავდა საბას ოჯახში; მეუღლე ორი ათეული წლის წინათ გარდაეცვალა, ერთადერთი ქალიშვილი უფრო ადრე, თითქმის ბავშვობის ასაკში — ცამეტისა დაეხრჩო მდინარეში და მარტომ, უხმისგამცემოდ გალია სიბერის წლები და ახლა საიმპქვეყნოდაც გამზადებულყო.

უპატრონო, ღვთის ანაბარად დარჩენილიო, მაინც არ ეთქმოდა მოხუცს-ალალი დისწულები ჰყავდა, ქალაქში მცხოვრები, დაოჯახებული და-ძმა, რომლებიც დროგამოშვებით აკითხავდნენ სოფელში და ახლაც მათი წყალობით იწვა აქ, გარეთუნის საავადმყოფოში; წუთით არ ტოვებდნენ ბიძას უმეტეალებს.

საბა მაინც განწირული იყო...

ეს, რა თქმა უნდა, ექიმმაც იცოდა და ორივე დისწულმაც... პალატაში მწოლიარე ავადმყოფებიც გრძნობდნენ, დიდი ღღე არ ეწერა მოხუცს, სიკვდილის აჩრდილი სახეზე დაჰფოფინობდა და, ცხადია, არც რაიმე იყო ამაში გასაკვირი, ადამიანი იბადება და კვდება, მით უფრო — ცას ვერ გამოეკერებოდა ოთხმოც გადაცილებული ბერიკაცი... არც თავად აწუხებდა დიდად მოხუცს, რა და როგორ იყო; სიკვდილი ჰყავდა გვამში შემძვრალი თუ აქედან სალ-სალამა-

თი გაეწერებოდა... უკვე თითქოს არც იყო, ანუ — სად, რისთვის ან რატომ მოეყვანათ აქ, ისიც ვერ გაეგო... მხოლოდ ესაა, რომ: აქაურ კედლებს, ლოგინს თუ ჰაერს მისთვის ნაცნობი, მშობლიური სუნი არ ასლიოდა. ეს თუ აკვირვებდა. სადა ვარო, თვალებს ზოგჯერ უაზროდ მიმოაცეცებდა პალატაში, თორემ არც არაფერი სტკიოდა და არც არაფერი აშინებდა. იწვა და მშვიდად ელოდა აღსასრულს...

დისწულები ღღეგამოშვებით მოდიოდნენ. ბონდო მეუღლესთან ერთად; თაფლოს მეტწილად შვილი — ექვსი წლის ლაშა ახლდა თან. თითოეულს ბაზრის მაწონი, ნადუდი, ლიმონათი „ტარხუნა“ მოჰქონდა... ჯერ პალატის ექიმს მოინახულებდნენ, მერე მომგეღლ ქალს — ქურთის ბლუნკ, ერთიცქნა დედაბერს: შენი ყურადღება სჭირდებაო, და ანამუსებდნენ, მანეთიანს ჩაუკუჰვადნენ გვერდებზაზინზლული ხალათის ფართო ჯიბეში, თეთრეულს თავად გამოუცვლიდნენ, ორიოდ კოვზ მაწონს ძალად აჰმევედნენ ბიძას: ნუ გეშინია, აქა ვართო, დააიმედებდნენ და გარბოდნენ...

მესამე კვირა მიიწურა, რაც აქ დააწვინეს მოხუცი.

ბონდოს სოფლიდან დეპეშა მოუვიდა: საბა ბიძია კვდებაო, იტყობინებოდა რომელიღაც კეთილი მეზობელი.

მეორე დილით წავიდნენ ცოლ-ქმარი მეგობრის მსუბუქი მანქანით.

მოხუცი უგონოდ იყო. ბონდო, ალა-

ლი დისწული ვერ იცნო. ჩაცმისას გაუძალიანდა და ხელში აყვანილი ჩასვეს მან და მისმა მეგობარმა მანქანის სალონში.

მას მერე იწვა საბა და სოკვილის ელოდა...

მოვიდოდა ახალგაზრდა ექთანი გოგო. აბა, ბაბუა, მიბრუნდიო, ნემსწამოცმულ დგუშს მხარზემით შეაეუბრებდა... რომ არ ეუბრებოდა მოხუცს, თავისუფალი ხელით მისწევდა განზე, შეაბრუნებდა, მერე; სად ვჩხვლიტო, მხოლოდ ძვლიაო, ჩაიბუზღუნებდა შეფიქრიანებული და დამქანარ-გადაჯანგულივით კანს ერთგან მუკში მოიფხუტნიდა: იქნებ აქ ვცადოთო, ცერსა და საჩვენებელ თითებშუა ამობურცულ ნაწილს ნემსს ხელმარჯვედ ჩაჰკრავდა... ეტყობა, არც ჩხვლეთას გრძნობდა ბერიკაცი; არ გაინძრეოდა, სანამ გოგონა თავად არ ამოაბრუნებდა, ისევ გულადმა არ დააწვენდა... უაზროდ პირდაფჩენილი, სახეგადაფითრებული საბა კი გუგებამოწითლებულ თვალებს გაბუცებული რომ დაახამხამებდა: გადავჩიო, შევეით ამოისუნთქებდა ექთანი და პალატას აჩქარებული დატოვებდა.

ჩვენ საბა ბაბუას ჰერისუფლები კი არა ვართ აქანა, ჩვენი მოგვხედეო, მიადევნებდა ექთანს ერთ-ერთი ავადმყოფი.

პალატაში კიდევ ორნი იწვნენ: დაბალი, ჭმუხი, დიდცხვირა ვახო — ორმოცგადაცილებული ტრამვაის ვატმანი, გამუღმებით ღვიძლზე რომ ეჭირა ხელი და, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი — ინტელიგენტური გარეგნობის პირხმელი, ზედმეტად აწიორებული შუანის სიტყვაძუნწი, უხასიათო მამაკაცი. თავიდან ოთხნი იყვნენ, უფრო სწორად, საბას აქ დაწვენის დღეს, თითქმის რამდენიმე საათში, ის ერთი გარდაიცვალა და ახლაც ცარიელი იდგა იმისი საწოლი.

ფაკიფუცი რომ ატყდა პალატაში, კარგა ხნის შებინდებული იყო და სამჯერ ჩაირბინა სულთმობრძავის მეულ-

ღემ პირველ სართულზე. მორიგე ექიმში რომ ამოეყვანა.

ახლა მოუნდა მიინცდაამინც სიკვდილიო, ჩაიბუზღუნა პალატისკენ მომავალმა ახალგაზრდა ექიმმა და იქვე კედელს შიშით აკრულ, მხრებმობუზულ მასწავლებელს მკაცრად შეხედა.

რა ბრძანეთო, დაიბნა ავადმყოფი, მერე; ახლავეო, მანამდეც მუტში დამალული ანთებული სიგარეტი ხალათის ჯიბეში იდურთა და საპირფარეოსკენ გაიქცა.

ავადმყოფი იმ ღამეს გარდაიცვალა.

არც მეზობლის სიკვდილი გაუგია საბას... უბრალოდ, საკაცე გვერდით რომ ჩაუგორეს, რალაც მძაფრი, უსიამო სუნი ეცა და შეცბუნებულმა თვალები ფართოდ დაჰყიტა... თითქოს თავდაც ჰქონდა მსგავსი სუნი... ამ კედლებს, ქვეშაგებს, ჰაერს თუ ახლახან თეთრზეწარგადაფარებულ მიცვალებულს რომ ასლიოდა, იმდაგვარი, მაგრამ აქამდე ასე მწვავედ არ ეგრძნო და სულ-ხორცი აუწრიალდა...

საკაცე პალატის ზღურბლს რომ გასცა, მიცვალებულის მეუღლის პირმოკუმული ზმული-ვიშვიში რომ შეწყდა, თითქოს ის ადრინდელი, აქამდე მისი წილი სუნიც თან გაიყოლა მეზობლის ცხედარმაო, რალაც ერთბაშად მოწყდა, მოცილდა საბას და, მიუხედავად წელანდელი გულგრილობისა, გარკვევას შეეცადა, სად იყო... მკაცრი, დაფეთებულისახეებიანი აჩრდილები დაფუსფუსებდნენ მის გარშემო და რალაცის თქმა მოუნდა, გამშრალი ბაგეები განსნა... ეტყობა, მისთვის არავის ეცალა და, მართლაცადა, სადა ვარო, გენება უფრო დაძაბა... დიდხანს გასტანა ამ გაუგებრობამ, სხეული მოუღუნდა, მკერდქვეშ სიკარილეც მოაწვა, მერე ზევით, ყელისკენ წამოებჩინა; სუნთქვა გაუკავა, აახიზინა და; ესეც ზომ არ კვდებო, ისედაც დაფეთებული ავადმყოფები შემფოთდნენ, ისევ ვატმანი ვახო მოვიდა გონს, ექიმო, იყვირა და პალატიდან თავ-ფეხშიშველი გავარდა.

ღისწულები ცალ-ცალკე, დღეგამომ-

ვებით მოლოდინენ ავადმყოფი ბიძის სანახავად. როგორც სავადმყოფოს განაწესეს, ისე თავიანთსაც შეთანხმებო-სამებრ, მთელი სიმაკრით იცავდნენ.

საბას ეს ნაცნობი სახეები უყვარდა. თითოეულის დანახვაზე აუწყლიანდებოდა თვალები, მაგრამ არც ერთის სახელი არ ახსოვდა თუ, ასე რომ ზრუნავდნენ მასზე, ეს აწუხებდა მოხუცს. მათი გამოჩენისას უცნაურად აწრიალებულ-დამორცხვებულევით იყო ხოლმე უფროსი დისწული თავლო ოცდათხუთმეტი წლის მაღალი, დიდმკერდა, საკმაოდ მომხიბლავი ქალბატონი იყო და ჭანიანი ვატმანი მის მაცდურ, სავსე გულ-მკერდს და მიხრა-მოხრას შორიდან ელაციებოდა... ქალი უმაღ გრძნობდა კაცის ფართულ თვალთვალს და, არაფერი შეგეშალოსო, მკაცრ, გამბურღავ მხერას ფართო, გადატკეცილ შუბლზე მიაქედდა და ვახოც: მეტი რა გზა მაქვსო, თავს მორიდებით დახრიდა. მერე ყურებატკრეცილი, ხენეშა-ხენეშით, ვითომ ღვიძლმა შემომიტიაო, პირქვე გაწვებოდა და უზარმაზარ ცხვირს ბალიშში ჩათხრიდა...

ბერიკაცი თავისით ვერ დგებოდა და დისწულები თითქმის ყოველდღე უცვლიდნენ თეთრეულს. საცვალს... თავლოს მეტწილად შვილი ახლდა. თუმცა ერთხელ ვიღაც მამაკაცი მოჰყვა, რომელიც დანახვისთანავე არ მოუვიდა თვალში ვატმანს. რალაც უფერგილო ტიპი იყო, ავადმყოფის თავთით ჭირისუფალივით რომ დადგა, სიტყვა რაა, სიტყვა არ უთქვამს. სარგადაყლაპულივით დაჰყურებდა. სანამ ისევ თავლომ არ უთხრა: განზე მიდექი, თეთრეული უნდა გამოუფუცვალოო. უცხოებივით იყვნენ, როგორც ქალი. კაციც არანაკლებ გულგრილი და. ეტყობა. ეს ვერ აეტანა ვახოს. აი, პატარა ლაშა რომ შემოვიდოდა პალატაში, რას არ იგონებდა ბავშვის გასაშინაურებლად. იქნებ დედამისის ყურადღება და კელითგანწყობა დავიმსახუროო...

არ ეგებოდა ქალი ვატმანის ანკესს... საქმით იყო გართული, საწოლზე წამოა-

ჯენდა ბიძის, ტანზე ჩვილივით გახლიდა. გაქათქათებულს ჩააცმევდა და ასე, ფაქიზად ჩააწვევდა ლოგინში. ავადმყოფის უჯრას გაწმენდ-გაასუფთავებდა, წინადლის მაწონს, რომელიც რძლის მოტანილი აყო, უქმყოფილოდ შეანჯღრევდა, მერე გარდა გაიტანდა და ქოლიანად გადუძახებდა საპირფარეოს ურნაში...

ლაშაკას და ვახოს ხმაურ-ღლაბუცზე მკაცრი, სიტყვაძუნწი პედაგოგი წუნდა ხოლმე. ნუ ხმაურობთ, პალატა, გამარჯვების პარკი ნუ გგონიათო, იმოდევრებოდა თავაზიანი შენიშვნებით, მაგრამ ყურს არავინ უვლებდა.

მერე დედა-შვილი მიდიოდნენ. ბონდოს მეუღლე ახლდა ყოველთვის. მათაც, წესისამებრ, თეთრეული უნდა გამოეცვალოს ავადმყოფისათვის. დისწული ფრთხილად წამოაყენებდა მონხუს, ცალ ხელს საწოლის თავზე მოაკიდებინებდა, მეორეთი თავად ეჭირა, მსუბუქად ამოუცურებდა მკლავს ილიაში, ამასობაში ქალი ჩაუცურებდა ქვედა საცვალს... საცოდავი სანახავი იყო მოფაფალებული, ძვალ-ტყავი ბერიკაცი; თავჩაკიდული და მკლავგაფარჩხული, ნეკნებამომპწრული და მუხლებზანხეკილი არსება (მხოლოდ ხელის მტევნები ჰქონდა ურმის მორგვებივით უზომოდ დიდი და დამარღული) მომაკვდავის ლანდს მოგაგონებდათ. სანამ დისწულის მეუღლე ნიფხავ-პერანგს აკმევდა, ბონდო ვერ იყო რალაც ისე, თითქოს პალატაში მყოფი ავადმყოფებისა რცხვენიაო, თვალბემად აცეცებდა.

მერე ორიოდ კოვზ მაწონს შეაქმევდნენ ბერიკაცს. გუშინდელს კი არა, ახალს, თავიანთ მოტანილს, ძველს — აქედან მომამორეთო, უხეშად მიაჩეჩებდა ქალი ბონდოს და ისიც ნაკლულ ქილას გარეთ, ფანჯრის რაფაზე დაბნეული ღიმილით გადგამდა.

ოცი წელიწადი იცხოვრა საბამ მართო და, ალბათ, უარეს ტანჯვა-წამებაში, ვიდრე მანამდე ან ახლა, როცა იყო თუ არა საერთოდ, იმასაც ვეღარ გრძნობ-

და. მეუღლე რომ დაკარგა. ყველაფერი დამთავრდაო, თქვა სასოწარკვეთაში ჩავარდნილმა. არადა, მაშინ და მანამდე, ერთადერთი ქალიშვილი წყალში რომ დავხრჩო — არ დამთავრებულყავ! არა, როგორ არ იცოდა. რაც სჭირდა. მაგრამ მიუხედავად ამოდენა უბედურებისა, ცხოვრება დასრულებულად მაინც ვერ წარმოედგინა...

შვილის სიკვდილზე მწარე და შეშხარავი რა უნდა იყოს მშობლისთვის?! არც არაფერი! მაგრამ უბედურების ქამს კლდედ იქცევა ადამიანიო. უთქვამთ და, ეტყობა, ასეც არის! მით უფრო — ორნი იყვნენ. აქამდე ტკბილი ცოლქმრობა ჰქონდათ და ამოდენა მწუხარებამ უფრო შეკრა მათი სიყვარული, ორი ერთარსად აქცია თუ, რახან განკებამ ასე ინება — უნდა დამორჩილებოდნენ. აჩ წვეულდებრივ. მშვიდად ევლოთ სსსფლასკენ... სტუმარს ჭიშკართან შეგებებოდნენ. კვლავ მუხლჩაუხრელად ეშრომათ და ეცხოვრაო... ასე იყო! სანამ ერთ ღამეს, თავფეხშეკცევით რომ იწვა ცოლ-ქმარი, ძილში არ გაგრძობდა ქალი... როგორ, როდის — შუალამით თუ გამთენიან! — ისიც ვერ გაიგო კაცმა...

მანამდე, სანამ ქალიშვილის ტრაგედია დაატყდებოდა თავს, კაცი სხვაგვარად ფიქრობდა. მოსალოდნელი უბედურების შეგრძნება ჰქონდა ხოლმე, სიკვდილის სუნი სადღაც ახლოს, თითქოს მის ჰერქვეშ ტრიალებდა და ღამეები არ ეძინა. მეუღლის შიში ჰქონდა, ხან რას იტყებოდა და ხან — რას, ზამთარ-ზაფხულ შალთ წელშემოხვეული დადიოდა და, არ გაუბედურდებო, წუხდა.

სოფელში კვილი რომ ატყდა, მდინარის გაღმა იყო. ტყეში შეშის საჭრელად. გულმა ავი უგრძნო და სირბილით წამოვიდა. გზად მეზობლის კაცები შემოხვდნენ. საბა, გამაგრდო, ერთერთმა შეუძახა. ვაიო, თქვა და წალდი მოისროლა. მუხლები აუქანალდა და ბალახში ჩაჭდა. უცებ თუთუნის მოწვევა მოუნდა. მაგრამ შერცხვა. თავი ვერ ას-

წია. წამოაყენეს. სახლს რომ მოუახლოვდნენ, მეუღლის ხმა ეცნო და: რა ამბავია ჩემს თავსო, მაშინ იბღავლა.

შას მერე თვრამეტი წელიწადი იცხოვრეს ერთად.

ცამეტი წლის ქალიშვილი ისე განაწყენდა, რომ ნაწვიმარზე აბობოქრებულ მდინარეს მისცა თავი... თუ ვიღაცის ცხოველურმა ეინმა იმსხვერპლა, დღესაც ბურუსით იყო სახასთვის მოცული.

რა ჭორი არ დაიარხა სოფელში... ვინ ჯარისკაცებს (იმ დღეს სამი უცნობი ჯარისკაცი უნახავთ, ჯერ მდინარეს აღმა მიუყვებოდნენ, მერე ტყეში დაიკარგნენო...) აბრალიდა, ვინ კიდე გოგონას უფროსკლასელ ბიჭს: თავი შეაყვარა საწყალს და აბა, რას იზამდა, როცა უღალატაო, წყევლა-კრულვას უთვლიდნენ მიცვალებულის კლასელი გოგონები. ღმერთმა უწყის, რა და როგორ იყო. ერთი კია: ის ბიჭი თავად არ გააჩერეს მშობლებმა სოფელში, ქალაქის სკოლაში გადაიყვანეს და ახლაც იქ ცხოვრობდა. ალბათ.

...თითქმის ოთხი ათეული წელიწადი აშორებდა სახას ქალიშვილის დაღუპვიდან და. ამ გაურკვეველობისა თუ დათვლილი დღე-წუთების ქამს, რატომღაც მხოლოდ ის ახსოვდა: შვილი ელანდებოდა, მისი ხატება ედგა სულ და არა... საოცარი ის იყო: ხმები ჩაესმოდა — ჩვილი ბავშვის მომთხოვნი, კირვეული წუხილი... მეტიც: ერთციკქნა გოგონას ნაგვემ-ნატანჯი სული ტრიალებდა სადღაც ახლოს, შეიძლება, ამ პალატაშიც და... მის თავზემით, ჰერის სიახლოვეს გადღაბნილი მოჩვენებები ისე აფუორი-აქებდა უსიცოცხლო, ჩალსავით გამომშრალ გულ-გვამს, უაზრო ბუტბუტს დააწყებინებდა ხოლმე...

ეს ახლა, მანამდე კი, ამ ყოფამდე, მეუღლის სიკვდილმა მომითავა ხელიო, ფიქრობდა. რა კაცი ვარ, ქალი ლოგინში გამებარა და ვერცკი გავიგეო. გული გაგლეჯაზე ჰქონდა. რა ექნა, ხმის გამცემი მონატრებოდა... ცალკე, ნატანჯ-ნაჯაფარი სახლ-კარისა თუ ფრინველ-საქონლის დარდი აწუხებდა. ცალკე —

თავად მოუვლელი და მშვიტ-მწყურვალ-ლი რომ იყო... კი. ყოველ კვირას ხან ერთი, ხან — მეორე დისწული ამოაკითხავდა ხოლმე, მაგრამ იმავე დღეს, საღამოს ავტობუსით ისევ უკან მიდიოდნენ და ეს რას უშველიდა მოხუცს...

მეუღლის გარდაცვალებიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული. ერთი შორეული ნათესავი კაცი რომ შეუჩნდა. თუ ცოლის თხოვაზე უარს ხარ. მესმის, ნებაც შენია, მაგრამ რად აქცევ ამ საესე ოჯახს... ჰო, პერანგის გამრეცხავი შენცა გპირდებო, არ ეშვებოდა.

ეხო... გულნატკენი დაიჩვილებდა და ხელს უღერად ჩაიქნედა. აშკარა იყო, ვერ მორეოდა თავის თავს. როგორც „პოს“, ისე „არას“ თქმაც უჭირდა. არადა, ჰა და ჰა — ჭერი ჩამოეჭეოდა თავზე, მასზე უკეთ ვინ ხედავდა. ეტყობა, ის მოკეთეც გრძნობდა რაღაცას და დიღხანს არ დაუხანებია. ერთ მშვენიერ საღამოს რუსის ფაშვასა, ლოყებფუნჩულა დედაკაცი ქიშკარს მოუყენა.

აქ უკვე დაიბნა საბა, მაგრამ არც არაფერი უთქვამს და მოულოდნელ სტუმრებს თავჩაქინდრული შეუძღვა „ზალაში“.

საბა სამზადში გავიდა და ვახშმის თადარიგს შეუღდა.

უკან რომ მობრუნდა, დაინახა, სტუმარი ქალს მაგიდის მტკრიან ზედაპირზე რაღაც ასოები საჩვენებელი თითით გულმოდგინედ გამოჰყავდა და შეცბა — ყელში ბურთი გაეჩხირა...

ქალმა გამოხედა, ზელისგული ცქაფად გადაუსვ-გადმოუსვა მაგიდას, მერე კაბაზე შეიხოცა და: ლენაო, თავი მორცხვად დახარა.

იმ საღამოს საბა ღვინოს ზედმეტად მიეძალა...

ქალი საკმოდ ახალგაზრდა და მხიარულიც ჩანდა, საყველპურო ქართულიც იცოდა და ყველაზე მეტად ეს ეამა საბას. პატარა ამბავი როდი იყო, უცხო ტომის ქალს შენს ენაზე ავებინებდი... არც სტუმარი წუხდა მაინცდამაინც მისი ასაკისა გამო... მას მერე იმ ახლობელი კაცის სტუმრობაც უფრო ხშირი

გახდა მათ ოჯახში... სამაგიეროდ, დისწულეებმა დაივიწყეს ბიძა, არც რაიმეს უთვლიდნენ და არც გამოჩენილან.

ქალი მეზობელი რაიონიდან იყო, უფრო სწორად, ღმერთმა უწყოდა, საიდან იყო, დიდად არც საბა დაინტერესებულა. ერთს კი აღიარებდა იგი: რაც სამხრეთში ჩამოვედი, სულ ჩაის ვკრეფ და მომბებრდა, შენს გვერდით კი რა მიჭირს, ჩასაცმელ-დასახური არ მომაკლდება და არც საკმელ-სასმელი... საბა ღუმილით პასუხობდა, ისე, გულისგულში სიამოვნებდა მისი ნათქვამი. ქალმაც კარგა ხანს გასძლო, მაგრამ საბოლოოდ ნერვებმა უმტყუნა თუ რისი იმედი ჰქონდა ადრე, გაჭიანურდა — არ ამირებად ბერიკაცი სიკვილის, პირიქით, უფრო მოკეთდა, ძველებურად მოძრავი და ჭიჭგივი გახდა, მაშინ: როდემდე ვრეცხო ამისი ნიფხვებით, ეტყობა, განაწყენდა და ერთ ჩემოდანში საბას ნაყიდი, მეორეში — მისი გარდაცვლილი მეუღლის ტანსაცმელი ჩატუნა, წლობით დანახოვი ფული იპოვა მუთაქაში, უფრო სწორად, მუთაქაც ამოიღლიავა და უგზოუკვლოდ გაქრა...

ის საბას ახლობელი „მაქანკალი“ მეორე დღესვე მოვარდა სატვირთო მანქანით: მცალკე, ამ „გრუზავიკზე“ თმით გამოვიბამ და ისე ამოგითრეე მავ თახსირს, აქანაო, კაცი ვადარევეს იყო. მართლა რაიმე უბედურება არ დაატრიალოსო, შეშფოთდა ბერიკაცი: რისთვისო, შეეკითხა. ვიცი მაგი მე და არ დამიწყო ახლა აქეთურ-იქითურიო, არ ცხრებოდა მოკეთე. მხედება, ასე რო ავცუნდრუკდი ეს ბებერი კაციო, გამოტყუდა საბა, ეტყობა, იმ ქალზე უფრო თავის თავზე იყო განაწყენებული. ეს ერთიც აწუხებდა: რამეფრად დისწულეებსა და მეზობლებს არ გაეგვოთ მისი გაჭურდვის ამბავი, ქვეყნის სასაცილო არ გამხდარიყო... რა იმდენი ფული მქონდა, შე კაცო, სამი წლის სამსახურში რო არ ვკეთუნვოდაო, აქეთ ანამუსებდა. ეხ... შენი კეთილი გულის რა ვთქვი, საბა ბიძაო, ოდნავ დამშვიდდა ახლობელი და არაფრით არ დარჩა. თან

ისეთი საშინელი ღმუილით მოსწყვიტა მანქანა, მეც დამღუპავს და თავის თავსაცო, უფრო შეეშინდა. ხევსგაღმა ჩაკარგულ მანქანას დიდხანს ვაპყურებდა. თან არანაკლებ შეფიქრიანებულიყო: მაინც საიდან იცოდა ასე დაწვრილებით. იმ ოჯახქორმა რეები მომპარაო...

საბა ისევ მარტო დარჩა.

ამ ბოლო დროს კვირა არ გავიდოდა, ბონდოს ან თაფლოს არ მოუნახულვინათ და ეს ახარებდა ბერიკაცს. იმათაც ეგრძნოთ ბიძის გასაქირი; მარტოობას ვერ ეგუებოდა, ეშინოდა და, როგორც კი დროს იხელთებდა რომელიმე მათგანი, აქეთ გამოვრბოდა.

საბა მაინც განწირული იყო...

ამ ორ-სამ თვეში ერთბაშად მოტყდა, მოფამფალდა, ადრინდელის ლანდი გაზდა. თუმცა მუხლის სისუსტეს, უჯანობას თუ ხორცის უცაბედ დაყრას იმდენად არ შეუშფოთებია ბერიკაცი, რამდენადაც სულიერად აფორიაქებული იყო. რალაც უაზროდ შეწუხებულ, მოტყუებულ ბავშვს უფრო ჩამოგავდა, თითქოს დღეს, სიკვდილის მოახლოების ეამს მიმხედარიყო, რა უზვიროდაც ეცხოვრა და ამიტომ ჰქონდა გული ამოვარდნაზე. სული — აწეწილ-დაწეწილი... მართლაც, ამდენი ტანჯვა-წამება არ ღირდა იმისათვის, რომ გაჩენილიყო, თვალი ახელოდა... ეს გაწელილი, რალაც დაუტრულებელი სიცოცხლე თუ წარსული — მეტსიერებას ნაფლეთ-ნაფლეთ შემორჩენილი უდიდამო ანარეკლი — არ იმსახურებდა უკან მოხედვას, თვითდამშვიდებას თუ... თუ გნებავთ, სიკვდილის გულხელდაკრეფილ მოლოდინს... იყო თუ არა რაიმე საერთოდ, ან თუ იყო, რისთვის და რატომ?! ამ კითხვებს ყელში მოსაგულად წაეჭირა და უაზრობის ზღვარამდე მისული მოხუცი შორს, ცხრა მთას იქით გაერიყა, უდაბნოში დაესვა...

ამიტომ აღიქვამდა საკუთარ ეზო-ქარს ის დღეები უცხოდ... მეზობელ-ახლობლებიც, ავადაო და, ხშირ-ხშირად აკითხავდნენ, მაგრამ, რად გინდა.

წასვლამდე ქრებოდა მათი სახეები მოხუცის მზერის არეალიდან... ზოგიერთს კერც ცნობდა. ზოგიც არ აინტერესებდა. — ვინ იყო. მასთან რა უნდოდა...

სულ სიკვდილზე ფიქრობდა. თუმცა, არც სიკვდილში ჩანდა რაიმე შეება, არც არსად...

ორსართულიანი წიფლის სახლის ფართო აივანზე იჯდა მოხუცი (ის დღე, ის კვირა ცაც თითქოს უმოძრაო იყო, სივრცე — გაბლივებული, ჩამკვდარი...) და... მაინც მოლოდინი ერქვა მის ყოფას... ტუჩებს მალმიმალ აწყლავუნებდა: უგუნებობა თუ სიცივე, თუნდაც რალაც სიმწარე, შხამად რომ გადასცდენოდა ყელში, რამენაირად ეგრძნო...

დღეს კიდევ აქ, ქალაქის გარეუბნის საავადმყოფოში იწვა და მშვიდად ელოდა აღსასრულს...

მის დისწულეებს სხვა არანაკლები საფიქრალი ჰქონდათ, ვიდრე, ერთი შეხედვით, მოხუცი ბიძის ჯანმრთელობა თუ მოვლა-პატრონობა იყო. არავინ რჩებოდა საბას ამქვეყნად, ცხადია, მათ გარდა და ერთობ მაცდუნებელი იყო და-მმისთვის მისი შეძლებული ოჯახი, თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით. რომელს აირჩევდა ბიძა, ბონდოს თუ თაფლოს. თავიდანვე ჰქონდათ საზრუნავი და, მიუხედავად ერთმანეთში კარგი დამოკიდებულებისა, ყოველთის ცალ-ცალკე არჩევდნენ სოფელში ჩასვლას. თაფლო ქონების ნახევარზეც თანახმა იყო, აქამდე თითქოს ასეც იყვნენ შეთანხმებულები, მაგრამ იმ დღეს, როცა დეპეშა მოვიდა სოფლიდან — საბა ბიძია კვდებო, ბონდომ არც დაურეკა დას, მმარბალი უიმისოდ ჩავიდნენ და აღშფოთებას ვერ მალავდა...

კაცმა რომ თქვას, ტრაგიკული არაფერია იმაში, რომ ხანმოთუელი, უშვილი ბიძის დოვლათს საკუთრად თვლიდნენ დისწულეები. საბას უშუალო მემკვიდრენი ხომ ესენი იყვნენ. მოზიარე და მოცილე არავინ ჰყავდათ და ასეთ სიკეთეზე უარს რომელი კუკუათ-მყოფელი იტყოდა! ესეც არის: არც ერთს უღბინდა მაინცდამაინც, ღარიბად

ცხოვრობდნენ და წლობით თითოთა-
ხიან ბინებში (ბონდო მეუღლის ბინაში
ცხოვრობდა და მარტო ეკონომიკურად
კი არა—მორალურადაც წელში გამარ-
თავდა ცოლოურებში). გამომწყვდეულ,
ხელფასს მიჩერებულ დისწულთ მათი
სახლკაცის დანატრევიარ. სხვა თუ არა-
ფერი, ერთხანს სულს მოათქმევივბდა.

ბონდოს, მეუღლის მეცადინეობითა
და წყალობით, უფრო შორს გამიზნული
ზრახვეები ჰქონდა, ოცდახუთი ათასი
მანეთი მაინც ღირდა საბას სახლ-კარი
და, როცა ფულად აქცევდა, მანქანასაც
იყიდდა და სადმე, თბილისის სიახლო-
ვეს სავარაუკო ნაკვეთსაც...

ურდოვ აზრი როდი იყო! ზურგზე
ვერ გამოიბამდა სულთმობრძავე ბიძა
წიფლის ორსართულიან ოდა-სახლს,
მაგრამ ამჯერად ისეთი პირი უჩანდა
და-ძმის გან-გან სიარულსა და ბუზ-
ღუნს, თითქოს ერთმანეთს ჯიბრში უდ-
განანო, საეჭვო იყო ბერიკაცისთვის სი-
კვდილი დაეცლიათ. ბიძა, მისი უძრავ-
მობრძავე ქონებით, არ ემეტებოდათ
დისწულებს საზიაროდ.

ადრე ვთქვით, თავლო ნახევარზეც
თანახმა იყო, მაგარმ როცა ძმა-რძალმა
მის მალულად ჩამოიყვანეს საბა მეგობ-
რის მსუბუქი მანქანით და მას, შორეუ-
ლი ნათესავეით, მხოლოდ მესამე დღეს
შეატყობინეს — იქნებ გენახულებინაო,
სულელიც მიხვდებოდა, რაც ჰქონდათ
განზრახული და ახლა ისე გამომწყვევად
იქცეოდა, თითქოს იმ ნახევარზეც უკ-
მაყოფილო ყოფილიყო. თავისი უფრო-
სობით თუ მარტოხელობით მეტ პრე-
ტენზიას აცხადებდა.

ისე, ორივენი პატიოსნად, დღეგამოშ-
ვებით მოდიოდნენ ბიძასთან სავადმ-
ყოფოში: მაწონი, ნადული, ლიმონათი
მოჰქონდათ... თეთრეულს ურეცხავდნენ,
უცვლიდნენ და მეტი რაღა უნდა ექ-
ნათ, საბა ხომ ისედაც განწირული
იყო...

თავისუფალი დრო სად ჰქონდათ!
არადა, მესამე კვირა იწურებოდა,
რაც ასე წვალობდნენ დისწულები, სამ-
სახურიდან პირდაპირ აქ გამოვობდნენ.

საკუთარი ოჯახი, ბავშვები, მეგობრები
განზე რჩებოდათ.

მთავრობას, რატომ დარჩისო, მეზო-
ბელ-ახლობლებში, პირის დასამშვენებ-
ლად იტყოდნენ ხოლმე რძალ-მული,
თორემ ის დღეები ერთმანეთი ერთბე-
ლაც არ ენახათ, და-ძმაც ტელეფონით
დაელაპარაკენ ერთ-ორჯერ რაღაც ძუნ-
წად და ეს იყო.

საბა კი, საბა... ცნობდა, ახსოვდა თუ
არა მათი სახელები, მიუხედავად ამისა,
ერთმანეთისგან არ არჩევდა, არც დღეს,
არც მაშინ... ერთი კია: ვის უნდა დარ-
ჩენოდა მისი ნაჯათარ-ნაამაგარი, თუ
არა მათ, მაგრამ ეს რომ გახდენოდა
მოხუცს საფიქრალი, მით უმეტეს — ახ-
ლა, ნამდვილად ვერ იტყოდი, სად
ჰქონდა ამისი თავი! ცნობიერებადა-
კარგულ ბერიკაცს მოკმული ჰქონდა
თავისი წუთისოფელი, — არც წინ
უჩანდა არაფერი, არც უკან. მხოლოდ
მაშინ, როცა გაათიტვლებდა რომელიმე
დისწული, მისი თუ ერიდებოთ, დამორ-
ცხვებული და ბავშვივით უსუსური
იყო...

საერთოდ, ბონდოზე მეტად თავლოს
უქირდა, მთლიანი განაკვეთის საზღაუ-
რი რაა და, ნახევარზე მუშაობდა რო-
მელილაც სამეცნიერო დაწესებულება-
ში, ამიტომ შეურიგდა ქმარს, მთლად
მშრალზე არ დაერჩეო და: შენი შვი-
ლის ბედი წყდებაო, შეუთვალა, მან
კი... კი, მოაკითხა ერთი-ორჯერ, მოხუ-
ცი სავადმყოფოშიც ინახულა... მაინც
ადრინდელი დაბდურა იყო, არაფრის
მაქნისი, უქონელი... ახლაც, ამ გაკირ-
ვების ეამს, ფეხს ითრევდა, არადა, უბე-
დურ დღეში იყო თავლო, ბავშვს აკ-
ლებდა და ბიძისთვის ყიდულობდა ახალ,
სოფლის მაწონს ყოველ მეორე დღეს
ბაზარში, აქეთ კიდევ ნადული და ლი-
მონათი... გასაკირი ბევრი იყო, ხში-
რად ავტობუსში ერთი და იგივე ბილე-
თით მგზავრობდა — ხუთ კაპიკს დაე-
ზოგავო... მისი ხელშემწყობი და გამ-
კითხავი არავინ იყო, არა, ვილაცა კი
ჰყავდა, ათი-თორმეტი წლით მასზე
ახალგაზრდა, მაგრამ რად გინდოდა...

გვიან დამით, საღღაც გამტყვერალ-გა-
ტიალებული, მოვიდოდა, მეორე დი-
ლით: ნაბახუსევზე სამსახურში ავტო-
ბუსით ვერ წავალ და მიშველეთ, სამა-
გიეროდ, ყველაფერს ერთაშად გადა-
გიბდოდ, ირწმუნებოდა უშნოდ გაკრე-
კილი და, დახმარების მაგიერ, ტაქსის
თუ ლუდის ფულს იქით წააცინცლავდა
ქალს... მართლა ამირებდა ვალის ერთ-
აშად გადახდას თუ მომავალი სტუმ-
რობის ანგარიშზე ლოგინში გამოუქვი-
თავდა, ძნელი სათქმელი იყო, თავლო
კი უქნასკნელ სამ თუ ხუთმანეთიანს
ხელის კანკალით იღებდა საფულედან,
იმიტომ კი არა, ფული რომ ენანებოდა:
ნუთუ მთლად ასე უქირს თუ... დამის
საფასურს მოხოვს ეს თანხირიო! —
გუნება ეწამლებოდა და მაშინ, მეტი
რომ არა — საშინლად სძულდა იგი, თა-
ვისი თავიც! და როცა მისი დამეული
სტუმარი კარს გაიხურავდა, ამ ნაძი-
რალას ფეხი მეტი აღარ იქნება აქო,
მერამდენედ გამოუტანდა განაჩენს და
თვალეში სევდა, ქუთუთოებქვეშ — კი-
დევე ერთი ნაოჭი ამოესხმებოდა... f

მ. პატრონი გამოუჩნდა ბიძაჩემსო,
რძალზე იყო გაკაბასებული, თვლით
არ ენახებოდა, არც რძალს ეხატა მუ-
ლი გულზე, რა თქმა უნდა, ბავშო,
ქმართან შერჩევას ამირებსო და მოს-
ვენება დაჰკარგვოდა, ვიცი, იმ ბებრის
ქონებას უნდა დაეპატრონოს და ამი-
ტომო, ბონდოს ტვინი გამოუღო, ძმას
დის წინააღმდეგ ამხედრებდა, ბონდო
მორიდებული, მშვიდი ბუნების კაცი
იყო, მაგრამ ყოველდღიურმა შეჩიხი-
ნებამ გატეხა და, წვალ, იმ ჩემს სი-
ძედაფილს თავ-ყბას დაეანგრევო, გუ-
ნებაში მერამდენედ გადაწყვიტა, არც
ადრე ეპიტნავებოდა, ცხადია — უფრო-
სი და და დისწული მიუტოვა და სხვა
ქალთან წავიდა.

მაინც აკავებდა ბონდოს რაღაცა, სა-
ბოლოოდ ვერ გადაწყვიტა, ქალი კი
თავისაზე იყო, ერთი ყურმომძვრალი ჩე-
მოდნით შემოვიწვი, ვაჟბატონო, აქანა
და რამე თუ არ მოგწონს, ჩადი, ახლაც
სარდაფში აგლიაო, ცეცხლზე ნავთს

უსხამდა, ცუდ დღეში იყო ბონდო, ბო-
ლოს და ბოლოს, კაცი ვარო, ფიქრობ-
და, როგორც მის დისწულს და სახლი-
კაცს, ქონება მე უფრო მეკუთვინისო,
თავს ირწმუნებდა, თუ არა ისევე მას,
სხვას ვის უნდა ეზრუნა, იმ გარდაუვალ
კირს დღეზე... მეტიც, უკვე გაუთვა-
ლისწინებელ ხარჯებზეც ჰქონდა თადა-
რიგი დაჰკერილი...

მუშაკაცი იყო ბონდო, მარტო კვირა
ჰქონდა თავისუფალი, კიდევ კარგი, აქ-
ვე, ყურის ძირში იწვა საბა და ხან შეს-
ვენების დროს, ხან — ქარხნიდან ორი-
ოდე საათით გამოპარულ ცოლს ქუჩაში
ხვდებოდა და ასე ნახულობდა, წვა-
ლობდა, თუმცა, უკვე პალატაში შემო-
სული, ვერ იყო ისე ყოჩაღად, ანუ რო-
ცა თავზე ადგა ბიძას, ხელში აყვანილს
აქმევდა, რატომღაც გულზე უსიამო,
ყრუ ჩხვლეტას გრძნობდა, და მაშინ
ისე უგერგვილოდ ევირა ჩხერკი, მუხ-
ლებჩაზნევილი ბერიკაცი, ეს-ეს არის,
ხელი გაეშვება, იატაკზე დააძღერკებს
და სულს გააფრთხობინებსო... ამას მისი
მეუღლეც გრძნობდა და, რამ გამოგაშ-
ტერაო, ფერღზე ისე მწარედ უჩქმეტ-
და, უმაღ აფხიზლებდა.

მათი შემხედვარე ჩანიანი ვატმანი
რაღაც ეშმაკურად წყურავდა თვალებს...
საერთოდ, ამ გაბუნდოვანებული ურ-
თიერთობისა თუ სიტუაციისას ნანახზე
მეტს გრძნობდა იგი, მის მახვილ თვალ-
სა და სმენას არ ეპარებოდა, რისთვის
აკლავდნენ თავს ბიძას დისწულები, ან
რატომ მოდიოდნენ ცალ-ცალკე და
დღეგამოშვებით.

რა გინდა, ყოველ დღე ახალ-ახალ
მაწონს კი ქამს ბერიკაცი... ნეტა მეც
მყოლოდა ასეთი დისწულებიო, დინჯად
ასკვნიდა და მაშინვე თავლოს ქათქათა,
გალიციციებული ძუძუ-მკერდი წარ-
მოუღვებოდა, მერე ვნებიანად გაიზმო-
რებოდა ლოგინში და სახრებს ტკაცა-
ტკუსს აუყენებდა... ეხ, დისწულებს კი
არა, ჩემს მაიძუნებს დარჩებოდეთ რა-
იმე, ნახევრად ტიტლიკანები მყვანანო,
სახე მოეღრუბლებოდა და ცოლ-შვილ-

ზე შეფიქრებულ სხეულს უადგილო აღგოლას მოიფხანდა.

კვირაში ორჯერ აკითხავდა ცოლი ვატმანს. ისცი რამდენიმე წუთით და ისევ გარბოდა. სამი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა და ვერც გაამტყუნებდი, სადილიც მწირი მოჰქონდა: პრასის მწნილი, პირსახოცში შეხვეული თბილი ღომი და ლობიო. არადა, ჰამა მამლრისად უყვარდა ვახოს. საავადმყოფოს ბლივკვი, ეგუმური კერძებისდა მიუხედავად, არაფერს ტოვებდა, მაგრამ მაინც არ ყოფნიდა. საბა რა, ვერაფერს გრძნობდა, აი, პედაგოგის კი რცხვენოდა, თუმცა ვერ საყვედურობდა ცოლს ღარიბული სადილისათვის, თავის თავს აბრალებდა უღონობას, არქონას ღირსეულად იტანდა. ოღონდ თავლოს აქ ყოფნისას ნუ მოვიდოდა ქალი; ჯამი მეორე მოსვლაზე წაიღეთ, უმალ ისტუმრებდა. მასაც ბავშვები ჰყავდა უმატრონოდ მიტოვებული და არც ჯდებოდა. რას ერჩი, ჩემს ხელში კიდევ კარგად არისო, ეშმაკურად ჩაიღიმებოდა ვახო და ისევ თავლოს ძუძუ-მკერდის წარმოდგენაზე ვნებიანად გაიზმორებოდა. ეს კი აოცებდა, რომ ყოველდღე მრგვალად მოხარული დედალი, ბაყი, ჭყინტი ყველი, ხილი მოჰქონდათ პედაგოგთან.

ჰმ, პედაგოგი უძახე შენო, აშკარად უკვირდა ვატმანს და ტაბურეტზე დახვავებულ, მაღისაღმძვრელ სადილს თავის ძლივს წყვეტდა. კარისკენ წელგაწყვეტილივით გაიზლანებოდა. ისე, ყასილად მიიპატიებდა ხოლმე პედაგოგის შავი, კვატივით უკანალგაფუყული მეუღლე, მაგრამ ის გულგარეთ ნათქვამზე ვერ მიუსკუბდებოდა გვერდით ისედაც სიტყვაძუნწ და ცხვირაბზეკილ მეზობელს. ესეც რომ არა, ხომ იცოდა, რა გულმოდგინედ ჩაალაგებდა მორჩენილ ხორავს ის შავი დედაკაცი ჩანთაში და უკან წააბროწიალებდა. აი, საბა ბაბუას დისწული ბონდო წინადლით თავლოს მოტანილ მაწონს ფანჯრის რაფაზე რომ გადგამდა, მერე, გვიან, პედაგოგი კედლისკენ იბრუნებდა

პირს და გემრიელ ფშვინვას ამოუშვებდა, მაშინ იხელთებდა დროს — ორიოდ კოვზნაკლულ ქილას შემოიტანდა და წაშში ძირამდე დაიყვანდა.

არც არაფერს ხედავდა ამაში ცუდს. მოხუცეს ახალი მაწონი ეღვა უჭრაში და, კაცმა რომ თქვას, ეს რატომ აემაჯავებინა? მით უმეტეს, ცარიელ ქილას თავლოსავით (თან, თითქმის სავსე რომ იყო) საპირფარეშოს ურნაში კი არ გადაუძახებდა, არამედ, დამლაგებელი მოუვლისო, დერეფანში გაიტანდა და კედელთან კოხტად მიდგამდა. პალატაში მობრუნებული ვატმანიც (გარეთ, რაფაზე არავისთვის კი იყო გადგმული, მაგრამ მაინც საბასთვის ნაყიდი) თავს ვალდებულად თვლიდა, ავადმყოფისთვის დაეხედა. რომ დარწმუნდებოდა, სუნთქავდა, არც არაფერი უჭირს ამ ღამითო, კმაყოფილი მიავშურებდა თავის ლოგინს.

თუმცა არც ისეთი მიამიტი ვინმე იყო პედაგოგი, უკვე სძინავსო, ვატმანს რომ ეგონა და ბერიკაცის მაწონს თქლავათქლავით აქრობდა. პირველსავე დღეს, ანუ იმავე ღამეს გამოეკვირა მაწონის ქურდობაში, მერეც უთვალთვალებდა ჩუმად, თუ როგორ დარაჯობდა ვატმანი ახალგადგმულ ქილას — დამლაგებელმა არ გააქროსო... მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო ხმას ვეღარ იღებდა მის გვერდით ასეთ უნაშუსო საქციელს წესიერი, პედაგოგი კაცი გმირულად იტანდა. ჰმ, მან იცოდა, თუ ვინმემ იცოდა საერთოდ, რა ძნელი აღმანიის უაქტვე გამოეკვირა, უფრო სწორად, რა საშაროა და საშიშიც... მით უმეტეს, როცა ასე დაუცავი ხარ, ვინდა იცის, რას მოიმოქმედებს ეგრეთ წოდებული დამნაშავე... ღონე არ ერჩოდა თუ, მისი ფიქრით, ჭკუა დაუშლიდა... საბა იყო და არც იყო პალატაში და იქნებ მლთად გადარეულიყო. პირსახოცით (რაც თითოეულს ორ-ორზე ნაკლები არ ეკიდა თავსასთუმალთან) მოეგუდა მძინარე ადამიანი... სწორედ ამიტომ ატანდა ცოლს. უკან მონარჩენ სადილს და... ზვალაც თუ არ გადაამიყვანეს

სხვა პალატაში. უფრო ზემოთ ვაფრენ
საჩივარსო. მტკიცედ გადაწყვიტა.



არაფერი ჩანდა... კვამლ-ნისლში იყო
სამყარო გახვეული...

უცებ ბნელი გაიპო. შუა გაიხლიჩა
და წიფლის ორსართულიანი სახლი გა-
მოჩნდა...

ცეცხლის ამირბილებულმა ენებმა
სახლს ირგვლივ. მუქ-წითლად შემოუფრ-
ბინეს...

ქალების წივილ-კივილი ცას ბზარავ-
და...

დაფეთებული კაცები დარბოდნენ...
ბაყბაყდევისხელა ჩრდილებით ცამდე
ხტოდნენ. ერთმანეთს ჰკვეთდნენ, ეჭა-
ხებოდნენ. მაგრამ უკვე იმოდენა ცეცხ-
ლი აბურთავებუდიყო. წიფლის სახლი
ერთიანად უნდა შთაენთქა და ახლოს
ვერ ეკარებოდნენ...

მართლაც. თავის გამოდება უაზრობა
იყო.

— ესეც შენ! — ბონდოს უკვილა
თაფლომ.

ბონდომ გაკვირვებით გამოხედა. მე-
რე — მე რაო, ხელები ფიცხლად გაუ-
ქმალა. ხელში მოკუმუჭვნილი ქუდი
ოფლგადამსკდარი შუბლი გადაისრისა
და შებრუნდა. კომკრისკენ წელათრე-
ვით გალასლანდა...

ცა თუ ჩამოინგრაო. იხუვლა. იგრი-
ლა სახლმა...

ბუხარი. ბუხარი გასკდაო. იყვირა
ვიღაცამ და უცებ ყველანი ეზოს გარმა
აღმოჩნდნენ.

სახლი კი, წიფლის ორსართულიანი
სახლი. ბუხრიანად ჩაშლილიყო...

და კვლავ. ალბათ. უკანასკნელად აე-
არდა ცეცხლის უზარმაზარი. წითელი
ბურთი. ცა ერთიანად გადააბღღვრილა
და ამ გავარვარებულ სიმხურვალეში
მოხუცი საბას სახე გამოჩნდა...

ხალხი უფრო დიზაფრა...

მალე მთელი ტანით გამოიკვეთა ბე-
რიკაცის აღმოდებული — თითქოს ცეც-

ხლის ენები ფრთებად გამოუსხიო. —
ძვალტყავა სხეული...

მოხუცი საბა უფრო მალა. წკვარა-
მივით უხილავ. უსასრულო ცაში ერთ-
ბაშად ავარდა, დაიკარგა და...

თაფლომ საშინელი. გამყინავი ხმით
იკვილა...



თაფლოს გამოედვიდა...

უმალ აღიდგინა სიზმარი და შემ-
ფოთდა. სახეზე მკვდრისფერი დაედო.
ატირდა.

გვერდითა საწოლში წელზემთ შინ-
ველი მამაკაცი პირქვე ჩამხობილიყო
და უდარდელად ფშვინავდა...

ქალი გაბრაზდა და, ჭავრი ამაზე უნ-
და იყაროსო, მუშუტი ბეჭებშია ღონივ-
რად ჩასცხო...

კაცმა უსიამოდ ამოიბოყინა და წა-
მით სუნთქვაც კი შეწყვიტა.

ქალი სწრაფად წამოდგა და საგარეო
კაბა გადაიცვა.

მაწონი დამრჩაო. ლიფტში გაახსენ-
და. მაგრამ უკან მობრუნება დაეზარა.
...კი სიზმარი იყო!

არადა. ცეცხლი სიზმარშიც უბედუ-
რებას მოასწავებსო. გაეგონა და სხე-
ული დარღვეოდა.

იქნებ გუშინ. ბონდოს „მორიგეობი-
სას“ გარდაიცვალა ბიძა და არც უცხო-
ბეებით. როგორც ჭირისუფლებმა უკვე
წაასვენეს კიდევ მიცვალებული სო-
ფელში და მისთვის რომ დაინაცრა ის
სახლ-კარი, სწორედ ამას ნიშნავდა წე-
ლანდელი სიზმარი?! ან, ხომ შეიძლე-
ბოდა მართლაც წაჰკიდებოდა ცეცხლი
იქაურობას?! ნშირად პირდაპირ გის-
რულდება ხოლმე სიზმრად ნანახი!..

ყველაფერი იყო მოსალოდნელი..

და. უცებ მწვანეშუქიანი მანქანა რომ
დაინახა.

— ტაქსი-ი!..

ამჭერად ცხადში. საშინელი, გამყი-
ნავი ხმით იკვილა...

ლადო სულაბერიძე

გასაუბრება ხანძრის ლანდთან

ჩავდგით ჭესები და ხეობები
 მთლად ამოვავსეთ წყალსატევებით.
 და დავაფეთეთ ძველი ზღაპრების
 ცხრათავიანი ბაყბაყდევები.
 ცათამბჯენები ვაგეთ სახლები,
 სხვა ქალაქები,
 სოფელ-დაბები.
 ვუგეთ მალღები ქოსატყუილებს,
 ნაცარქექიებს — უფრო დაბლები.
 შევათბეთ ჭერქვეშ ჩვენი ძვალ-ხორცი,
 ნაქურდალ ქვებით ვაგეთ სახლები, —
 ვინ — უკეთესი,
 ვინ — უმდიდრესი,
 შიგ ოქრო-ვერცხლის აჩახჩახებით.
 ჩავთბით...
 ჩავსუქდით...
 ჩავიმთვლემართ...
 მდიდრულ შევმოსეთ ჩვენი ტყავ-ძვალი.

და დავგავინწყდა,
 რომ ერთი მაინც
 აგვეგო სულის მთობი ტაძარი.

ორთაჭალის ციხეში

სრულიად საქართველოს უწმინდესმა და
 უნეტარესმა კათალიკოს-პატრიარქმა ილია
 შიომრემ პატარები დალოცა და მათ ამ კით-
 ხით მიმართა: „თქვენ აქ რა გინდათ?!“

დულს საქართველო, თქვენთა ძმათა მოშიმშილეთა
 ზნე და ზეობა ერის დროშად ჩამოყალიბდა.
 ახლად გაკვერილ ცხელ ხმლებს, წყალში მოშიმინეთა,
 მიაყურადეთ, ეს ხმლებია ახალ ხალიბთა.

თავისუფლების გზაზე შედგა ერი ბეჩავი,
 ქვეყნის ჭაპანი ერთსულოვნად უნდა ვწიოთო.
 შინ, ეზოს ბაღში ვაშლი დაგრჩათ ჩასაკებჩავი, —
 თქვენ მანდ რა გინდათ?! მამა ღმერთი შეგენიოთო.

ო, მიუტევე შეცოდება ამათ, გამჩენო,
 „შენ რა ქურდი ხარ!“
 „აქ რა გინდა?!“
 „შენ აქ რა გინდა?!“
 ჩვენ ახლა უნდა სულიერი ბალი ვაშენოთ
 და დავილალოთ მისი დაცვა-შემორავითა.

ერი მშობელი იმპერიის ამსხვრევს გალავნებს,
 დროშებს ზე მართავს, ცხრა აპრილის სისხლში განავლებს.
 თქვენ მანდ რა გინდათ, ქართველებო?!
 გელით ლაშქარი
 ჯვარით სიონის,
 ნინოს ჯვრითა,
 ჯვარით ლაშარის.

ღვთისმშობლის ხატით გაგიტობიათ ცივი საკნები,
 ხო უკეთესად მოსჩანს ახლა გზა გასაკვლევით?!
 ბორკილებსა და პატიმრობას ერი არ თმენობს, —
 თავისუფლების ვულკანივით დულს საქართველო.

თქვენ მანდ რა გინდათ?!
 თქვენ მანდ რა გინდათ?!

შვილიშვილებს

1.

ვერ გეკარებათ ჯერ სატანა, მე გიგერიებთ.
 თქვენ ნიავივით სულს უღვივებთ ჩამქრალ კერიებს.
 იარეთ აგრე, თუნდ გითოვდეთ, თუნდა გინვიმდეთ,
 ღვთიური ეგე შეაგებეთ ფარად სინწინდე
 სოფლის ცდუნებებს!..
 ვერ გეკარებათ ჯერ სატანა, მე გიგერიებთ,
 თქვენ ნიავივით სულს უღვივებთ ჩამქრალ კერიებს.

2.

ილოცეთ ჩემი ცოდვებისთვის... ვერ შევეუშაღე
 ხელი სატანას, უშუავესს, შავზე უშავესს.
 თავისი ხმელი კუდის რიკით მახობ-მათრია...
 ან ჩემს სალამურს ანგელოზნი ველარ გათლიან...
 ღვთია მსჯავრსა ველი...
 ილოცეთ ჩემი ცოდვებისთვის... ვერ შევეუშაღე
 ხელი სატანას, უშუავესს, შავზე უშავესს.

3.

თქვენ მოითმინეთ საყველპურო უკმარისობა,
 ნაცვლად სამოთხის დანაყრდებით პურით ციაობას.

რაც გაქვთ, იმსიგრძე საბანშიგან მარად მოთავსდით.
 ნუ ძეგბმებით უგუხურთა დუმის მოთლაში, —
 მჭლედ ჰკვებეთ ხორცი!..
 უქვენ მოითმინეთ საყვოლოპურო უკჳარისობა,
 რაცელად სამოთხის დანაყრდებით პურით ცისობას.

4.

ვივაჭრეთ მიწით, საქართველოს მიწით ვივაჭრეთ,
 სალაშქრო ხმლები მუზეუმთა მტვერზე მივარჭვეთ.
 და დაგახვედრეთ გაყიდული მიწა მამულის...
 და გავზულუქდით ორაგულით, ქაშბით, ხრამულით.
 და, ჰა, მივდივართ.
 ვივაჭრეთ მიწით, საქართველოს მიწით ვივაჭრეთ,
 სალაშქრო ხმლები მუზეუმთა მტვერზე მივარჭვეთ.

5.

სულიერისგან, ღვთიურისგან პირი ვიბრუნეთ,
 გვათრევს სოფელი ეშმაკეულ სვეტზე მიბმულებს.
 ვერ დავამსხვრიეთ ამირანის ბოძის ჯაჭვები.
 ჩვენ ველარ მოვწყვეტთ სამოთხის ვაშლს, ისე
 გავჭკნებით, —
 თქვით შესანდობი...

სულიერისგან, ღვთიურისგან პირი ვიბრუნეთ,
 გვათრევს სოფელი ეშმაკეულ სვეტზე მიბმულებს.

6.

თქვენს მიტინგებთან შორიახლო ავიტუზები,
 თქვენი სიტყვების მოჩახჩახე მწვავს მუგუზლები.
 ჩემი გემების დაჭმულია ჟანგით ღუზები.
 ან ახალ გემებს მამულისას თქვენ მიუძღვებით, —
 მადლობა უფალს!..
 თქვენს მიტინგებთან შორიახლო ავიტუზები,
 თქვენი სიტყვების მოჩახჩახე მწვავს მუგუზლები.

ქუთაისის მივაშუროთ

ირაკლი კუმბურაძეს

ირაკლი, ძვირფასო,
 ქუთაისს,
 ქუთაისს,
 ქუთაისს მივაშუროთ, როს რამე გვეტკინება,
 როს ყელზე წაგვწვდება სულთამხუთავი,
 შეგვიპყრობს სასო-წარკვეთილება.

როცა შეგვცივდება ქარებთან საშინელთან,
 როცა შეგვივდება ღრუბლებში თუთანი,

გავთბეთ ქუთათურ ბავშვობის აჩრდილებთან,
 ქუთაისს მივაშუროთ,
 ქუთაისს!

როცა დავიღლებით,
 როცა დავირღვევით,
 როს შეგვინელდება ღმობანი სულთანი,
 აკვნებში რაც დაგვრჩა, ის ღველფი მოვჩხრიკოთ,
 ქუთაისს მივაშუროთ,
 ქუთაისს!

ცოდვილი ჰოეტის აღსარება

ცუდად ვიცხოვრე, ის არა ვარ, რაც ვარ ლექსებში,
 თქვენ გიქადაგეთ...
 მე ვარღვევდი წესს და ადათებს.
 ვერ შევამჩნიე, სატანებმა სად ჩამიქროლეს
 და ღმრთისკენ ღტოლვილს თავიანთი სნება გადამდეს.

ცის ვარსკვლავების უბინობით ვეღარ აღვენთე,
 ქვე დავმდაბლდი და ჩანავლებულს ვჩხრეკდი
 ნალვერდლებს.

თქვენ კი გირჩევდით:
 ღვთაებისკენ!
 ზეცისკენ!
 ცისკენ!
 სატანის ტახტზე ვარ გაკრული შავი ზორტებით.
 ვერ მივეახლე მე ცოდვილი ღვთაებრივ ცისკრებს,
 ჩემი ცოდვებით თქვენც გშორდებით...
 ვაი გშორდებით.

თამადა

შენ, ვინც იქნები ჩემი ბოლო სუფრის თამადა,
 საიმქვეყნიო სადღეგრძელოს ვინაც გამატან,
 გმადლობ!
 (წინასწარ),
 მაშინ ვეღარ გეტყვი მადლობას...
 ჩემს მერე ღბინში გაუმარჯოს შენს თამადობას!
 შენ —
 გიცოცხლოს და მოგიშენოს ძმობან-დობანი!
 მე —
 გამატანე ჩემ ცოდვათა შესანდობარი.

წელი ერემაძე

სისა მისგან ცნობადისა...: არს სჭამოთ

გოთხრობა

„როი სახე არსებობს სამყაროს შეცნობისა — შინაგანი და გარეგანი. შეცნობა, სადაც ანალიზის ჰარალი — გონება ბატონდება, გარდაუვალად მივყავართ სამყაროს უარყოფამდე.“

შინაგანი შეცნობა, რომელიც ყოველ ცალკეულ ჩაწილაკში ყოფიერების ერთიანობას ზედავს, დიად სიბიარულს ამყარებს.“

ინდოელ გურუს საუბრიდან
ჩაწერილი პოეტ. 3. სილოტოვის მიერ

ელენე საწერ მაკიდას მიუჭდა. პატარა სარკე აწოდო, თვალი შეავლო საყუთარ გამოხატულებას, თმა შეისწორა და სარკე ისევ ხელჩანთაში შეინახა. საშუალო დღე იწყებოდა, თურნალი გადაშალა, ტექნიკური ტექსტი ჰქონდა საჩქაროდ სათარგმნი ინგლისურრიდან.

ლევანმა შემოაღო კარი.

— ჩემი ტექსტი გადათარგმნე უკვე?

— ახლა ვაკეთებ.

— როგორ ხარ, ელენე? — ლევანი ელენეს მაკიდას იუდავებით დაეუკრდნო. — ზომ გახსოვს, საღამოს, სად მივდივართ? — დაიხარა და საფეთქელთან აკოცა. — შინ გამოვივლი.

ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლისა თუ გეგონებოდათ ელენე, თუმცა ოცდაათს გადასცილებოდა, უკვე მეშვიდე წელი იყო, მთარგმნელად მუშაობდა კვლევით ინსტიტუტში. თვითონვე უკვირდა, შვიდი წელი ლევანის გვერდით გაატარა და, როგორ ვერ შეაშინია აქამდე, ესაღმებოდა ყოველ დღიას. უთარგმნიდა ტექსტებს, უოველდღე ლაბორატორიებში და დერეფნებში ეხმოდა მისი ხმა, იცნობდა როგორც ნიჭიერ მათემატიკოსს, რომელიც მალე სადოქტოროს დაიყვავდა. მერე მათი ურთიერთობა შეიცვალა, ეს ორმოცდაშვიდი წლის კაცო თანდათანობით დაუახლოვდა ელენეს და მალე მისი ოთახის ყოველდღიური სტუმარი გახდა. გონებაზხვილსა და ენაწუღიანს, საღამაპაკო და საოხუნჯო არ ეღუოდა, ელენეს ჭირ ეგონა. ლიტერატურაზე საღამაპაკოდ შემოდისო, რადგან ეს თემა ორივეს დიდ სიაშოვნებას ანიჭებდა.

ლიტერატურასთან დამოკიდებულების მიხედვით, ადამიანთა საზოგადოებას სამ კატეგორიად ჰყოფდა ელენე. ერთი — მეტად საქმიანი, — ამტკიცებენ, დღეს ისეთი ცხოვრება დადგა, კაცს წიგნის საკითხავად დრო არა რჩებაო. ამ შინაარსის სტატიაც ნახა გაზეთში გამოქვეყნებული სათაურით, — „როდის უნდა წაიკითხოს ადამიანი „ომი და მშვიდობა?““ გაოცებული დარჩა, რას უნდა აეთებდეს ადამიანი იმის საფასურს, რომ მსგავსი წიგნის წაუკითხავად წავიდეს ამ ქვეყნიდან?

მეორე კითხულობენ უამრავ თურნალს და გაზეთს, უჭუხტეს ნიუანსებში იცნობენ პოლიტიკურ სიტუაციას მსოფლიოს ყველა კუთხეში; იციან ყველა პოლიტიკური მოღვაწის გვარი, წარსული, ფარული ზრახვები, ყველა უახლესი იარაღის მარკა, შესაძლებლობა, უპირატესობა, ყველა რეკორდი სპორტის ნებისმიერ სახეობაში. კარგია, მაგრამ ეს ზომ ლიტერატურის მკითხველი არ არის? ვინაც არ უხეილალია ლიტერატურის რთულ და დახლართულ ფსიქოლოგიურ-ლაბორინთებში, სულის განსაკუთრებულ სიფაქიურს და მოქნილობას რომ მოითხოვს, ყინულზე ცურვებში პირველად გასულ კაცს ემსგავსება უღაპო.

ლევანი მესამე კატეგორიას ეკუთვნოდა, ერთი იმთაგანი იყო, ვინც მხატვრული სიტყვის სიღამაზით ტკბება, ვინც მაღალი ოსტატობის ყადრი და გემო იცის. უფრო სწორად, ლევანი მეორე და მესამე კატეგორიას აერთიანებდა.

დღე ხანი გავიდა, ხანამ საყუთარ თავს შე-



ამტყვევება ედენე, რომ ლევანის შემოსვლა-არ-შემოსვლას უკვე მტკიცებულად განიცდიდა.

მერე მოეწყო გასვლათი კონფერენცია ზღვის-პირა ქალაქში, ეს მოხდა ორი წლის წინ, შე-მოდგომაზე, თხუთმეტადე თანამშრომელი გა-ეშვებოდა კონფერენციაზე დასასწრებად. კარ-გად ახსოვდა ედენეს ის დღე, ყველანი სად-გარეშე მოგროვდნენ მატარებლის მოლოდინში, სამსახურის ერთფეროვნებით გაბეჭრებული ხალ-ხი უკველთვის გაბრუნება-დასვენებასავით ღებუ-ლიდობდა ასეთ გასვლას და მხიარული განწყო-ბადებას სუფევდა.

ლევანმა ედენეს პატარა ჩემოდანს დაავლო ხელი და თავის კუბეში შეიტანა. აქ ლევანის გარდა, კიდევ ორი თანამშრომელი მოთავსებუ-ლიყო — ვახტანგი და არჩილი, ამ ორ კაცთან გამორჩეული შეგობრობდა ლევანი ინსტიტუტში, ვახტანგი მისი ტოლი, უნივერსიტეტის ამხანაგი, თანამოაზრე და ჩოგბურთში შეუცვლელი პარ-ტნიორი იყო, სტუდენტობიდანვე დიდად აფა-ნებდა მის გონებრივ შესაძლებლობებს და შრო-მის უნარს. ზევრი ურთულესი საკითხი გადაეწ-ყვიტა მასთან ერთად და უამრავი ახალგაზრდუ-ლი მოგონებაც აკავშირებდა.

არჩილი ათიოდ წელი უმცროსი იყო მათზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ შეგობრობაში. სამი შვილი ჰყვავდა არჩილს და ბუმბრობით, წყრილშვილიანს ეძახდნენ. იცოდა ლევანმა, არ-ჩილისნაირი ნათელი გონების კაცს მტეი უნდა გაეკეთებინა შეცნობებაში, მაგრამ მოწოდებ-ბისათვის თავის განწყობა და სამი შვილის კარ-გი მამობა ერთდროულად რომ შეუძლებელი იყო, ესეც ესმოდა.

გვიანამდე ისაუბრეს, მერე ლევანმა თქვა, დროა უკვე დავიძინოთ და თერთლეი მოი-ტანა. ედენე ცოტათი უხერხულად გრძნობდა თავს, კაცებს უთხრა, ახლა მე გავალ და თქვენ დაწყეთო. ლევანმა ამაზე სიცილი დაიწყო. მა-შინვე გაიხადა პერანგი და შარვალი, მოურთ-დებლად გამოაჩინა გრძელი ფეხები, წითელი სპორტული ტრუსი და სიცილით შეწვა წეწრის ქვეშ. ელენესთვის მოულოდნელი იყო ეს და ოდნავ შეცბა, მაგრამ მერე გაიფიქრა, — განა ყოველ კვირადღეს ტენისის კორტებზე ასე არ დაბრბიო? და გაეცინა.

ვახტანგი და არჩილი უფრო მორიდებულები გამოდგნენ. ჩამყულები ავიდნენ ზედ საწო-ლებზე.

ედენე გავიდა კუბედან, ხალათში გადაძე-ლი დაბრუნდა და ახვევ შეწვა ლევანში. ლე-ვანმა სიცილით შეხედა, მერე ნიკაპზე მიიღო ხე-ლი — აქ რომ ჰქონდეს დილა შენს ხალათს, იმსახე შეიკრავდიო. — გამოაჩავრა ედენე და სინათლე ჩააქრო.

ლევანი პირველ დღეს გამოვიდა მოხსენე-ბით. დღის მეორე ნახევარი თავისუფალი ჰქონ-დათ. მასპინძლებს პირველივე დღეს გაუთვალის-წინებნათ ექსკურსია. ავტობუსებით წაიყვანეს

ქალაქიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშო-რებით ისტორიული მდებარის დასაბუნაღიერებ-ლიად.

საუცხოო სანახავი იყო მთაზე შემოშვებარა-ძველი ცხენი, ფერდობს გადახედა ედენემ. ზე-ვის ძირში პატარა ნაყოფილი მიწაწეკარებდა. ძალიან მოუწონდა ამდენ მიწულიყო და ხელთ-ეგრძნო მისი სიგრძლე. ხალხი ჩვეუ-ჩვეუად იდგა და ექსკურსიამძღოლის განკარგულებას ელოდა. ედენე ფერდობზე დაეშვა, ხედების ჩამყო ანკარა წყალში. მშვიდდელი და სამ-შვილის მომგვრელი იყო წყნარი სტობა, მაგრამ დრო არ იცდიდა და ედენეც არ დაყოვნებულა დიდხანს. ამოვიდა ფერდობზე, ჩვეუი წასულყო. გზაზე მარტო ლევანი იდგა და ელოდა. — სად დაიკარგა? — თანავე გაბრა-ზებითა უთხრა.

საოცარმა სითბომ დაუარა ედენეს. ლევანი-საგან ყურადღება არ ვამკვირვებია, შეჩვეული იყო. ყურადღება კი არა, ეს მზრძანებულერი კი-ლო შეეხო ქალის რომელიღაც მტეიად მგრძნო-ბიარე ნერვს. ძალიან მოუწონდა ასეთი მზრძანე-ბელი ჰყოლოდა.

— აი, იმ გზით წავიდნენ, ფეხით, დავიწვიეთო. — თქვა ლევანმა. ედენე მორჩილად გახედა. მა-ლენე ჩვეუი შეუტრფინდნენ, მაგრამ ამ წუთიდან მარტო ორნი იყვნენ. ამდენი ხალხი მათ გვერ-დით რომ მოდიოდა, თითქოს ადარ არსებობდა.

კიდევ ერთი ეკლესია დაათვალიერეს. მერე სადელი იყო გათვალისწინებულა.

— გვიანდა? — შეეკითხა ლევანი. — მოდი ქა-ლაქში დავბრუნდეთ და იქ ვისაფილოო.

კატერით დაბრუნდნენ ქალაქში. წინა მერხზე ისხდნენ. ტალად ქაფდებოდა კატერის ცხვირ-თან. მაღლა ატყორცნილი წყლის ქვედა ცხარ-ტუელას ფერებს ირეკლავდა მზეზე. წვრილი მხეფები სახეზე ესხურებოდათ. ლევანს მთელ გზაზე ედენეს ხელ ეჭრა.

ქალაქში სანაპირო ქუჩაზე გადმოვიდნენ, სა-დაც უამრავი ხალხი სვირობდა. რამდენიმე რესტორანს ჩაუარა ლევანმა. აქ არ გვიანდა, ერთი ძალიან კარგი ადგილი ვიციო.

რესტორანს ფართო ეწო ჰქონდა. ხეების ჩრდილით ყველა მაგიდა დაკავებული იყო. კი-ბით ღია ტერასზე ავიდნენ და თავისუფალი მაგიდა მოძებნეს. წნელით მოღობილი სამზარე-ულოდან ცისფერი კვამლი ეფანებოდა ტერასას. მომხიანი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები მხიარული გადალახაკებით მარად მობრუნდნენ დიდხანს სინებს კიბეზე. ედენეს ძალიან მოეწონა აქაუ-რობა. იმ დღიდან ეს ვახუა მათი სუყვარული იდგოდა. ერთ კვირას გრძელდებოდა კონფერენ-ცია. ედენე და ლევანი ყოველდღე აქ სადი-ლობდნენ.

ხალამოს, თანამშრომლებთან ერთად, ზღვაზე დადიოდნენ. ედენეს ძალიან შორს შეხვდა უე-ვარდა ზღვაში, წყალში ჩაიკვირთა არ სი-მოვებოდა. ამიტომ წელა მიიწევა და წინ. ლევი-

ნი ნამდვილი სპორტსმენივით ცურავდა. ერთ-
ხელ მოულოდნელად ამოვიწინა წყლიდან ელენე-
ნეს წინ ქალს ისე შეეშინდა, რომ კინაღამ
ფსკერბიტენ წავიდა. ლევანმა ხელი გაუწოდა.
ელენე ორივე ხელში ჩამოკიდდა ლევანის
მკლავს და წყლის ზედაპირზე მოექცა. ლევანმა
აღარ გაუშვა მისი ხელები, სველი ლოყით გა-
ცარო ელენეს ლოყას და ტარებში აკოცა. ელენე-
ნემ ძლიერად მოიჭინა მკლავი და სწრაფად
გაითავისუფლა თავი.

სიტყვის უთქმელად გამოცურეს, ნაპირზე
ამოვიდნენ. ელენე იდგა გაჩუმებული. ლევანმა,
ელენე რომ გაეშინარულებინა, თავზე პირსა-
ხოცით ომა აუჩერა. ელენე შესცქეროდა ლევან-
ის მოღიმარ სახეს, სპორტულ აღნაგობას,
გრძელ, შიშველ ფეხებს...

მერე ხერხობდნენ ქალაქის ქუჩებში, ლევან-
ი ჩიბებში ჩაიწყობდა ხელებს, ელენე ორივე
ხელს მოხვევდა ლევანის მკლავს და დალოდ-
ნეს დიდხანს ლამპობინების მჭრელ შეუჭე თუ
კაშკაშა შიშს ქვეშ. ბევრჯერ შეუნოწავს ელენე-
ნეს დასასვენებლად ჩამოსული ჭკუფ-ჭკუფად
მოსიერებ ქალები მაღულ მწერას რომ გააყო-
ლიბდნენ ლევანის დაფიერ მხრებს. არახოდე-
ს უოფილა ასეთი ბედნიერი, დამთავრდა, კონფე-
რენცია. თბილისში დაბრუნდნენ. ელენე დაფიქ-
რებული იყო, არ იცოდა, რა იქნებოდა შემ-
დეგ სერიოზულ იყო ის, რაც მასსა და ლევანს
შორის დაიწყო, თუ მხოლოდ ზღის ცაწოტი-
კა, რომელიც დაფიქრებას უნდა მისცემოდა?
ფიქრის ნებასაც არ აძლევდა თავს — ლევანს
მიანდო ამ საკითხის გადაწყვეტა.

ელედა.
დიდხანს არ გაგრძელებულა ლოდინი. ლევანი
სახლში ეხტუშრა. ელენე ისე შეხვდა, თითქოს
ჩაიხე მნიშვნელობას არ ანიჭებდა მის მოსვ-
ლას. მაგრამ ლევანმა მინც ამოიკითხა დამბუ-
ლი მოლოდინი.

მან თვალი მოავლო ელენეს პატარა,
ორთახიან ბინას. სახლი ხაამო უბრალოებით
იყო მორთული. ერთი კიდელი წიგნების თარო-
ბის ქვეა, ყველაფერს ეტყობოდა მტკიცეული
მარტოობის კვალი. ლევანის თვალს არ გამოჰ-
პარვია, რომ ორი რეპროდუქცია — ჩოდენის
„მარადიული გაზაფხული“ და სკიპოს „დახე-
ტის მუსყარული ქალი“ შემოხვევით არ ეციდა
ერთმანეთის გვერდით ერთნაირ ჩარჩოებში.
ერთ სურათზე სიყვარულის განუმეორებელი
სცენა და მეორეზე მარტოობისაგან სასიმულს
მიძალბებული ქალი საოცარ კონტრასტს მქმნიდა
და ღრმა ფიქრისათვის განაწყობდა ადამიანს.

ლევანი თაროებს მიადგა და წიგნების თვა-
ლიერება დაიწყო. ბევრ მათგანზე მარტო თვა-
ლის შევლებაც სიამოვნებას მტკიცდა. ზოგიერთ-
ის დანახვაზე ლომილს ვერ ფრავდა. ბოლოს
ამაყეს წიგნი გადმოიღო. ნაჩვენებ თითებმა
სწრაფად მოძებნა სასურველი ადგილი. ლევან-
მა ხმაშალდა კითხვა დაიწყო. თან იცინოდა.

ელენე თაროების პარდაპირ ტახტზე იქცა და
ლევანს შეხსცქეროდა. თვითონაც ძალიან უყ-
ვარდა ეს ეპიზოდი შეეცის თავგადასავლიან.
ლევანი ზუგრილი მიყრდნობოდა თაროებს, აღარ
კითხულობდა. ზემორად აგრძელებდა გრძელ
დილოებს. თან სიცილისაგან ლამის ცრემლები
გადმოსცვივრდა.

— ახლა სულაც ბავშვსა მგავსო, — გაიფიქრა
ელენემ. გაახსენდა, პირველად რომ ნახა ლევან-
ი შეიღო წლის წინ, როცა მუშაობა დაიწყო,
იქდა ვიღაც მიწიღველობას მოკლებული, დად-
ლილობისაგან სახედაღარული კაცო მკლავს-
თან და პერფორატორებზე შენისვენებს აყეთებდა.
ნუთუ ლევანს ის კაცო? მაშინ რომ ეთქვათ,
აი შეხვდა იმას, ვისაც მთელი სიცოცხლე ელო-
დო, ხომ არ დაიწერებდა?

ელენემ მაგიდან ფურცელი და ფაქარი აი-
ღო და ხატვა დაიწყო. ფერებით ხატვა არახო-
დეს უცდია. მაგრამ მახვილი თვალი და მოქ-
ნილო ხელი მქონდა, შარველის ხატვა ემარკვე-
ბოდა. დახატა ლევანი, მოცინარი, როგორსაც
ახლა ხედავდა, თავი ევაფილებსა და უფრძნის
მტვერებისაგან დაწნული გვირგვინით შეუშკო.
მერე მოლუშული ლევანი დახატა. ძალიან მკავე-
და იმ კაცს, პირველად რომ ნახა ელენემ. თავზე
გვირგვინის ნაცულად, ფორმულების გრძოვა და-
აღდა. პრაფილები ერთმანეთს შესცქეროდა.
ლევანი — ფავნი დასცილობდა ლევანს — ფორ-
მულებში ჩაფულეს.

ლევანმა ახლა ამავე იცინა გულიანად. ახლა
ჩახ კითხულობო. — შეეკითხა ელენეს. ბორ-
ხეს კითხულობდა ელენე. ახლა ბორხესით იყო
ატაცებული. ამ სახწაულს დაგრდილა ყველა
სხვა შთაბეჭდილება. ლევანს ჭერ ვერ მოესწ-
რა წაკითხვა. რაზე წერს, ყოტა რამ მომიხე-
ვიო, უთხრა ელენეს. მოთბობის მოყვალსა
წესია, მოყვალს კი არ სჩვეოდა ელენეს. მოთ-
ვარ შარვალიტს ჩაავლებდა ან სიუფეტიო, ან ხა-
სიათში და ერთ-ორ წინადადებას აკმარებდა.
ლევანსაც ორმაგად სიამოვნებდა ელენეს ხულის
სარკეში არეკლილი და მისი სიტყვებით გა-
მოცემული ამშვენიერება.

საათი დახედო ლევანმა. უკვე გვიან არისო,
ელენეს გამოეშვედობა და თან წაიღო ნახატო,
სახლამდე მანძილი ფეხით გაიარა. არავინ ელო-
და სახლში, ლევანიც ელენესავით მარტოხელა
იყო. შინ რომ შევიდა, უკვე ბნელოდა. მაგი-
დის მათუბა აინთო. ხაწერ მაგიდასთან კედელ-
ზე უკაცრითი მიამარგა ელენეს ნახატო. მერე
თავის საშუშობს ჩაუჭდა. ორიოდ საათი იმუ-
შავა...

დღითი ადრე მივიდა ლევანი ხაშხაბურში. ხა-
მანქანი დაარბაშო შევიდა. ჭერ ავანს მოხუ-
ლიყო.

ოცდობრი წლის იყო ლევან ზანდუკელი,
როცა ელექტროგამოთვლელ მანქანებს მოუჭ-
და პირველად. მერე ოცდახუთი წელიწადი გა-
ტარა მათთან. ამ ხნის განმავლობაში მანქანების



რამდენიმე თაობა შეიცვალა, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი და საოცრად უახლოვდებოდა ადამიანის გონებას.

ამ ინსტიტუტში კი, რომლის ხაზგდევნიც პირობითი იყო და ადგა დებარებოდაც, თანამშრომლებს გარდა, თითქმის არავინ იცოდა, ლევანი დაარსების დღიდან მუშაობდა, მისი გამოკვლევები ინსტიტუტის საიდუმლო შრომებში იმკლებოდა. მიუხედავად ამისა, აღიარება არ აქვდა ლევანს. ცენტრ წოდებული „გონიერი მანქანების“ ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა მისი შობი იყო. მისი ხტატები თუ გამოხვედრის სერთაშორის კონტრერენტებზე დიდი პაპულიარობით სარგებლობდა ევრისტაციული პროგრამირებით გადატანულ მათემატიკოსებსა და კიბერნეტიკოსებს შორის, რომელთაც „მეცნიერ-ეგზოტიკოსები“ ხაზგდევნიც მონიხენივდენ უურნალ-აწეოებოდა.

მაგდას მიუფრად და პროგრამების დახტა ამოილო უჭრიდაც. ეს ხო ტექსტის თარგმნის პროგრამა. ამ საქმეში ბევრ კვეყანაში პირველი ნახებები უყვე იყო გადადებული. ქრეტრონიტთა ცილიტრბანდ მხოლოდ ტექნიკური ტექსტის თარგმნის. ბევრტერ გაუსე პროგრამების მანქანაში. ტექსტი მახინჯდებოდა და აზრს მოკლებული გამოდიოდა.

ეს შერამდენე წელი იყო, ამ პროგრამების სრულყოფაზე მუშაობდა. გაანალიზა და გამოაშკარავა შრავალი ნაქლი, რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა მათი თავიდან მოშორებისათვის. შრავალი სიახლით შევსო ადგარობითი. ყოველი ასეთი აღმოჩენის შემდეგ, თითქმის ოდნავ იძირდა წინ საქმე. მარჯამ ზედა ახალი და ახალი წინააღმდეგობები ჩნდებოდა. პროგრამაში უხდებოდა პირობიტრული ხამხანური უზარმაზარი აპარატის შეუყანა. ამით მანქანის მუშაობის ბანჯრმლიცობა იმდენად აზრდებოდა, რომ მისი გამოყენება აზრს კარგავდა.

შესვენებამდე იმუშავა ლევანმა, შერ რადაც ლიტერატურა დასტირდა და ბიბლიოთეკაში მოუხტა წახვდა. დაბრუნებულს მაგიაზე ახალი სტატის თარგმანი დავსება. ელენეს მოეტანა. გადათავადიერდა. გამართულად იციოხებოდა ტექსტი. კარგად თარგმნიდა ელენე. საქმოდ პუბლიცინა ტექნიკური ტერმინოლოგია. უყვირდა კიდევაც ლევანს, როგორ შეიძლება ადამიანმა, რომელიც პროგრამირებაში და კიბერნეტიკაში გარკვეული არ არის, სხე სრულყოფილად და გამართულად თარგმნის სპეციალური ტექსტით. რა შესაძლებლობა აქვს ასეთი ადამიანის განებას და ნილწეებს ამს რადისმე მანქანის რკინის ტვინი? თარგმანი მაგიაზე დადო და ისევე ელენეზე დაიწყო ფიქრი. გუშინ სახლში გაუჭრა მოულოდნელად. ელენე სახლში აშაადებდა. ლევანი იყვე, ვახტაროშში ჩავიდა და ღვინო ამოიხანა. რადგანაც არც თვითონ იყო დასტვის მოყვარული და

არც ელენე, ერთი ბოთლი აქმარა. რკინის ჭიკვა რომ დასტეს, კიდევ დაჩაა მოთავსე. ელენეს უნდოდა ისიც დაესხა ლევანისათვის, მაგრამ ლევანმა იფარა. — ხო! აცე. ღვინოს რომ დასტედე, ზედა კონტრბანდ შეგვარება. ელენეს ზედა უნდა, ბოთლი ადგარზე დასტედე ლევანმა ახალიობა ეს შიში და ირონიულმა დიმილმა გადაურბინა საქმეზე. საკუთარი თავის ნაშრომ უფრო იყო ეს არონია მამართული. ელენემ მხოლოდ კაცნით შემოფარგულა მათი ხაზგდევნიცე. უყვე შერზე წელიწადი გრძელდებოდა ეს ურთიერთობა, რომელსაც ლევანი ელენესთან დაპარკუნი „რასარტულსიოვანს“ ეძახდა. რკინოცდამიდი წლის კაცისათვის არც იოლი იყო ასეთი თამაში და არც თავმოყვარობა აქვდა უყან დასტვის ნებას. ასეთ უფრთხი სევრტერ გადაწვიტა, აღარ შეხედებოდა ელენეს, მაგრამ იოლი რადი აღმოჩნდა ეს. ამ ქალს მის ცხოვრებაში უყვე დიდი ადგილი დამკაცებინა. ბევრ ქალთან მქონდა ხაზგდევნიც ლევანს, მაგრამ ისე არავისთან უხაროდ ყოფილა, როგორც ელენესთან.

ლევანი ფიქრებისადა გამოტრკვა. უყვე სახელო დღე თამარდებოდა. პროგრამები უჭრბინი ჩაადავა. იხსოვდა, დღეს ვახტანთან იყო შეთანხმებული რკინტრთა ეთამაშება. სახლში გაიარა, როგანე აიღო და კორტებისაკენ გასწია.

პროგრამირების საქონებისადმი მიძღვნილი კონტრენტციის ვახტანა შერზე დღისთვის იყო დანიშნული. სტუმრები უყვე ჩამოსულიყვენ. ლევანი შეხვენებამდე აიყნ ახალ ექსპერიმენტს შერჩა. მოხსენების მოახლოებულად ნახტარბი დღედა მქონდა. დღის ბოლომდე თავაქვდებოდა იმუშავა. თანაში ვახტანგი და ელენე უჭროვიდენ. — არჩილთან არ უნდა წავიდეთო? — ბო, შერთადა, დღეს არჩილის დაბალების დღედა, თანაც ირმითც წლის ბღედა, როგორც აქნება, რომ არ მიველოცოთ? ლევანმა სახლს დახედო. კიდევ ცოტა მაცადეთ და წავიდეთო. ვახტანგი გავიდა, ელენე ლევანთან დარჩა. იქ და და შეუტრბინა, რა გამობედიული წერდა ლევანი. თითქმის მარტული იყო თავის სახელოში. ახლა რომ დაველაპარაკო, აღწხთ, ეტრც გაიგონებო, გაიფიქრა.

ვერ შორხა მუშაობას ლევანი ერთ ხამაში. დაგვიანებთ წვიდენე არჩილთან. იქ ვახტანგი და მისი მუდელად დაუბედათ. სხვა, უყვანს არავინ იყო. შერ სტუმრებს ვერ დაიტყვდა არჩილის ორი პაწეჩინა ოსახი. არჩილის მუდელეს, ქეთის უყვე გაუშალა ზეფრა. ეტვობოდა, საწოლები კუთხეში მიეწვიათ, რომ მავლის ვახლოელად გაუთავისუფლებინათ ადგილი. სახლში ხამი ბავშვი იყო. — ცამეტი წლის თამარკო. შუთანა გიორგი და სულ პატარა, ხამი წლის ქრისტინე. ყველანი ძალიან კარგები იყვენ, მაგრამ ქრისტინე რადაც საოცრება იყო თავის ბურბუშელასავით დაყრილი ქერა თმით.

— უველას მოწვევა მიხედვით, მაგრამ აქ ვინ-
მის მოყვანა შეიძლება? — დიმილით ბოლოშობ-
და ქეთი. — არ დაადგა საშველი ჩვენი ბინის
გაფართოებას. არჩაილს რამდენიც გინდა ელვა-
პარაკე, უურს არ იბერტუავს. მართო თავისი სა-
მუშაო ახსოვს და მეტი არაფერი.

ქეთი მარკვედ მიმოდიოდა სუფრასა და სამ-
ხარეულოს შორის, თან თამრიკოს რაღაც გან-
ქარველებებს აძლევდა.

ელენე მთლიანად დაიპყრო ქრისტინემ. იმას.
თან ერთად დაძვრებოდა სავარძლებს შორის,
ქრისტინეს ელენეს საუბრეები მოეწონა. ელენე
ნემ მოიხსნა და ქრისტინეს გაუყვია, ამით სა-
ბოლოოდ მოიგო ბავშვის გული. მთელი საღა-
მრო აღარ მოუშორებია, სასაცილოდ დააკონწი-
ალებდა გრძელ საუბრებს, თითქმის მხრებაშ-
დე რომ სწვდებოდა.

დახსნიდნენ სუფრასთან. ქეთი კვლავ ტრი-
ლებდა.

— საოქვარი გოგოა ქეჭი, — გადაუღამარაკა
ელენეს ვახტანგის მეუღლემ. — როგორ ახერ-
ხებს ამ ბიწაში სამი ბავშვის გაზრდას, ან მძღე-
ნი რამის ვაკეთებას...

მერე ქეთიმ დიდი ლანგრით სანთლებიანი
ტორტი შემოიტანა, რომელიც იმხელა იყო, ათ-
ქვითი და ასეთი ხელოვნებით მოთუფლი, რომ
ბეჭდ მსატყუარს შეზურდებოდა. თამრიკომ ნა-
თურა გამოართო. ორმოცემა ანთებულმა სანთელ-
მა ნამდვილი საზეიმო განწყობილება შექმნა.
ქეთი სუფრის თავთან მდგომ არჩილს მიუხა-
ლოვდა. ხუმრობით თუ მეტი მოხერხებულო-
ბისთვის ცალი მუხლი ოდნავ მოიდრია და ისე
ჩააქრობინა ქმარს სანთლები. ღამეში სანახავი
იყო ეს. უველა მოიბოხდა.

— უჩაღ, ქეთი!

— აი, მესმის ასეთი ცალი!

— რისთვის, ქეთი, — იცინოდა არჩილი. —

თხუშვტი წელი ამ ზენაში წამებისთვის?
ელენე დიმილით შეესტყროდა ამ სტენას. წა-
მებისთვისო? ასეთ ცხოვრებას წამებას არ და-
არქმევდა ელენე. ლევანთან ამაზე უარეს პი-
რობებშიც ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ აშკარა
იყო, ლევანს მარცად მქონდა გადაწყვეტილი,
ოქახს არ მოჰქიდებოდა. ასეთი დასკვნის მერე
ელენეს ბევრჯერ დაუხვევია უკან და უძღვია ურ-
თიერთობის განუყვება, მაგრამ ლევანი იოლად
რადი თმობდა ქალს. ელენე გრძნობდა მაკრად
ჩაუღლებულ მტყაყე ხელს, მოქმედების უნარს
რომ უღუნებდა და ასე ძინელად ეთმობოდა თვი-
ოსონაც.

მოულოდნელად ვახტანგი ადგა და აივანზე
გავიდა. კარკა ხანს არ შემოსულა. არავის მი-
უძეცვია უურადლება, მაგრამ ელენემ შეატყო,
ვახტანგის მეუღლე აწრიალდა.

— დიდილი აქვს ძალიან ცუდ მდგომარეობა-
ში ვახტანგს, — გადაუჩურჩულა ელენეს. — ახ-
ლა, ალბათ, შემოუტია. ჩემთან არ აშხელს. ნა-

ხევრად მიწის ქვეშ არის იმისი ლაბორატორია,
არაფრით არ შეიძლება ვახტანგის იქ მუშაობა,
ეკიში სულ ეუბნება. მაგრამ ემისი? გარდა ამ-
სა, ჩემი ურთი გავიგონო, თავის ასპირანტს
რომ უთხრა, ნიშნო ლაბორატორიაში არ და-
ტოვო, თავიებებს შეიცვლიყო. რკინა შეიცვლის
თვინებებს და აღამინს რა დამართება? ერთი
მეტრის სისქის კედლის უკან იწახავენი ნიშნებს.
ძალიან მინდა, რომ სადმე სხვაგან გადავიდეს
იმ ინსტიტუტიდან, მაგრამ ეს თავის სამუშაოს
არ მოშორდება. ნეტავ, ლევანმა მანც ურჩიოს.
მერე ჰქარა დაიშალენ. ლევანმა ელენე გა-
ცილა შინ. ჭაში ვახტანგი ჩამოუღდა ღამასა-
კი ელენემ: — შე იცნო, რომ ასე ცუდ
მდგომარეობაში აქვს ღვილი? იქნებ დაიუ-
ლო, გადავიდეს სადმე, ძალიან ნერვიულობს
მისი მეუღლე.

ლევანმა არაფერი უპასუხა...

მეორე დღეს კონფერენცია იწყებოდა:

კონფერენციის მონაწილენი აკადემიის გამოს-
ვლითი ცენტრის საქტო დარბაზში უნდა შე-
რებილიყვნენ. ელენე რომ შევიდა, დილის
სხდომა უკვე დამთავრებული იყო. მარცხე
სხდომა ორსაათიანი შესვენების შემდეგ დაიწ-
ებოდა. ზოგს ჯერ არ დაუტოვებინა დარბაზი,
ჩბუფ-ჩბუფად იდგნენ და საუბრობდნენ. ლევან
ნი რამდენიმე ჩამოსულ სტუმართან იდგა. ელენე
შენიშნა და ხელი დაუქნია. კონფერენციის
ორგანიზატორებმა ჩამოსული სტუმრები მიიწვი-
ეს. ლევანთან ახალგაზრდა კაცი მივიდა და მიე-
ხალმა. ლევანი იცნობდა ამ უმწველს, გამოს-
ვლითი ცენტრის პარაგრაფისტს და განვითარ-
ბული მანქანების თავგამოდებულ ენთუზიასტს.

— ბატონო ლევან, თქვენ ცოტა ხნით ვთხო-
ვენ, აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება — ეტუო-
ბოდა ეს ახალგაზრდა სპორტანოვსკიო კონსი-
ში შეიღობდა. ლევანმა ელენე გაიულოდა და უმწ-
ვილს მიჰყვა. იქვე ახლოს მოზრდილ კაბინეტში
შეიყვანეს. ოთახში თხუთმეტამდე კაცი შეგრო-
ვილიყო, უმეტესობა კონფერენციის მონაწი-
ლენი იყვნენ. იმათაც მხოლოდ სამი ახალგაზრ-
და ვერ იცნო ლევანმა. უცებ ვახტანგი და არ-
ჩილი დინახა და მათკენ გაემართა: — რა ხდე-
ბა?

— თურნალისტები არიან, — არჩილმა თვალთ-
ანიშნა სამ ახალგაზრდაზე, რომლებიც დახალ-
სავარძელში ისხდნენ ერთმანეთის გვერდით.

უველანი კედლის გასწვრივ ჩარჩებულ სკა-
მებზე დახსდნენ. თურნალისტებმა რიგრიგობით
დაიწყეს შეკითხვების მიცემა: როგორია დღეი-
სათვის გამოშვებული მანქანების შესაძლებლო-
ბები, როგორ შეფარდება ერთმანეთს ამ საქ-
მეში ჩვენი და სხვა განვითარებული ქვეყნების
დონე? რა პერსპექტივები გეხსენებათ მომავლი-
სათვის? შეიძლება თუ არა, მანქანად რადილემე
შეიძინოს დამანაწერი ინტელექტი?

შეკითხვები ძირითადად ლევანის, ვახტანგის
და არჩილის მისამართით იყო. ეს თავდაწნე



შეამჩნია ლევანმა და მოსვენება დაკარგა. თანდათან სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ ხალხს კომპიუტერიზაციის პრობლემებზე მეტად, სხვა საკითხი აინტერესებდა. მიხვდა, რომ ალუაში იყო მოქცეული, თვალს არ აშორებდა ეურნალისტებსა და აშკარად ხედავდა ყოველი მათგანის უბუხი დამალული ქვას. სახიდან სახეზე გადაჰქონდა დამახული მჭურა და ცდილობდა ამოეცნო, რომელი ამოიღებდა ამ ქვას პირველი. სამივენი ახალგაზრდები იყვნენ, — ორი მამაკაცი და ერთი ქალი. მათი სახის ნაკვთები პრინციპულობასა და გაზეღულებაზე მეტყველებდა. „ჩერ საქმოდ ახალგაზრდები არიან იმისათვის, რომ ეხვედნენ შემრიგებლობა, — გაიფიქრა ლევანმა. — ჩერ ვერ დაუხლდაგვებია მათთვის ცხოვრებას ბრქუალები“. — სამივენი ერთნაირად საშიშნი იყვნენ.

ბოლო შეკითხვა ისევ ლევანს დაუპყეს. შეკითხვის პეტროს ნერვიულად უტოკავდა ბავა: — კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს; თუ შეიძლება, ბატონ ლევანთან, განვითარებული მანქანების პრობლემები, რამდენადაც ვიცით, თქვენი შობია. შეიძლება გვითხროთ, რაში მდგომარეობს თქვენი ძირობა და საქმიანობა?

ლევანმა ოთახს მიმოიხედა თვალი. არჩილი ცხვირსახოცით იწმენდა ოფლით დაცვარულ შუბლს. ვახტანგი ნერვიულად ატრიალებდა ხელში ვატოკალამს. როგორ მოიქცა ლევანმა ასე გაუფრთხილებლად, რა ზრიაველად მოიმწყვდია თავი ხაფანგში. თვალთ ნაცნობი პროგრამისტი მოძებნა, ნუთუ მან მოუწყო ეს, ნუთუ მისი ახალგაზრდობით ისარგებლეს ეურნალისტებმა და ჩაითრის? მაგრამ როგორც კი დანანა უმარადის დახვეწილი და გაფითრებული სახე, მანვინე გაუჭრა ეჭვი. მიხვდა, რომ ეურნალისტებმა ისიც მოატყუეს და იარაღად გამოიყენეს.

უკან დასახვევი გზა აღარ იყო. უნდა ებახუნა. ლევანს წამოდა.

— რადგანაც ბატონი ლევან წანდუკელი პასუხობს, მე დავამატებ ერთ შეკითხვას: — ეს უკვე ქალი ლამაზაობდა. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ განვითარებული მანქანები უნდა ემსახურებოდეს ჩვენს შეილებს, ამისათვის კი უპირველესად მშვიდობაა საჭირო. გაიფიქრათ თუ არა ბავშვებზე და თვითონ თუ გყავთ შეილები?

ლევანი მიხვდა, რომ იცნობდნენ მას, იცნობდნენ მის პირად ცხოვრებას და შეკითხვაც აშკარად რამეგობრული იყო. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ლევანი ერთხანს დუმდა. ეს ახალგაზრდებიც იბრძოდნენ თავისებურად, ებრძოდნენ იმას, ვინცე ხელი მიუწვდებოდათ და ამერად ლევანი გამოდგა მათი მხებრალი. მაგრამ ლევანს ის უყვირდა, რომ ამე პირტივად უუურედდნენ ამ საქმის. რას გამოელოდნენ დღევანდელი თავდახმისაკენ? ლევანის მხილებით უშველიდნენ რაიმეს? თუ იმა-

ზე ფიქრობდნენ, ერთი ხმაურიანი სტატია მინც გამოგვევიდებო? ლევანი სულ უფრო მეტად ლელავდა. მინც მშვიდი ხმით დაიწყო ლამაზაობა:

— უკვლამ ვიცით, რა დიდი და საშიში ძალა არსებობს დღეს მსოფლიოში ატომური იარაღის სახით. როგორ ფიქრობთ, ჩვენ გვაქვს უფლება მშვიდად ვყოფთ და იდეალიური ცხოვრებით ვცხოვრობთ? თავლებზე ხელების აფარებით ვვიცილებთ თავიდან საშიშროებას? რაიმე ძალას რომ მოერო, მას უნდა იცნობდეს ყარგად, უნდა ფლობდეს, უნდა მართავდეს. საუბედუროდ, ისეთი ძალე შექმნა ადამიანმა, რომ ხალა უკვე ძნელია მისი მართვა. ეს ძალე უკვე ბატონის ადამიანზე, ვერძირილებს, საშუალებებს არ გვაძლევს, ჩვენს ნება-სურვილზე ვიცხოვრობთ. მასთან ბრძოლაა საჭირო და ამ ბრძოლას ვინმე უნდა შეეწიროს, ვინმემ, უნდა ათენოს უძლიო დამეები, გამოკვლევებს, გამოთვლებს, ექსპერიმენტებს უნდა შეაღიოს თავისი ცხოვრება.

მერე გაახხენდა, უშვილობა რომ დააყუდერეს და თვალებით მოძებნა ეურნალისტი ქალი.

— როცა უყოველდეს თვალიწინ ვიდას მოხალოდნენ ატომური აფეთქების საშიშრელება, გიკვირს, საერთოდ ვინმე რომ აჩენს შეილებს...

ლევანი დადუმდა. ისეთი რამე წამოსცდა, რაზედაც კოლეგებთან საუბარშიც იკავებდა თავს. პირად ცხოვრებაზე უფრნალისტებთან ლამაზაკს ხულიერ სტრაპტისს ეძახდა. ახლა საკუთარი თავისათვის ვერ ეპატიებია, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოგონდა წილი ეურნალისტებზე — „ერთი უძველესი პროფესია“, პირველ უძველეს პროფესიად პროცესიტყია იყო ნაგულისხმევი. უკეთეს შედარებას ცაცი ძნელად მოძებნისო, — გაიფიქრა ბრავშორეულია. თავისი საქალაღდ ბილი და ილლაში ამოიღო.

— მე, თქვენის ნებართვით, მივიღიარ აქედან. ეურნალისტები დანუხლნი წამოდგნენ. უკვლამა წამოიზალა. ლევანი კარისკენ გაემართა. სულ დააიწყდა, რომ ეღენე აქ იყო. ელენეზე ამ ხნის განმავლობაში თვალთ არ მოუხსიარებია ლევანიათვის. დღეს სულ ხვანაირი ლევანი დაუდგა თვალწინ; არა თვითდაჭერებული ბერბიჭა, არამედ მხხვერპლი, სამუდამოდ მარტოხელობისთვის განწირული. დღეს ამკარად დანიანა, რომ არახოლეს არ იქნებოდა ლევანის ცოლი, მით უმეტეს, არ ეყოლებოდა შეილები, მაგრამ იმაშიც დარწმუნდა, რომ ვერახოლეს მოშორდებოდა ამ კაცს.

დადლოდა და ნაწყენი სახე ჰქონდა ლევანს. ელენე კართან დაეწია და გაუღიმა. ლევანს სიმძიმე მოესხნა გულიდან. — მინც რა კარგია, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს ელენე.

სალამოს ელენესთან მივიდა ლევანი. იქდა ტახტზე წყნარად. დღეს არ ჩქარობდა წახვლას.

წუთებს არ ითვლიდა. ატყობდა ელენე, რომ ახლა არ შეეძლო ლევანს მუშაობა. უკვლოდ არ ჩავიდა დღევანდელ ინიციატს. ელენე პროფილიდან შესცქერადა მის მოწყენილ სახეს. როგორ უყვარდა ეს უხეშო თმით დაფარული პატარა თავი, „მარადიულ ვაჭაფხულში“ გამოქანდაკებული კაცის თავს რომ აგონებდა მუღამს.

— გინდა, გაჩვენო ვინაირი თავი გაქვს? — დაარღვია დუმილი ელენემ.

— მაჩვენე...

ელენემ კედლიდან სურათი ჩამოხსნა და ლევანს მიაწოდა.

— არა აქვს ამ კაცს შენაირი თავი?

— არ ვიცი. — ლევანი რეპროდუქციას დასცქეროდა, მერე სურათი გვერდზე გადახდო და ელენე თავისკენ მიიჩინა...

ქეფაზე ქალის ხელების ნაწი ფერება იგრძნო და საამო გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ ელენე დღეს პირველად აღარ ეგრძობდა.

დილით ერთად მივიდნენ ელენე და ლევანი სამხატვროში. შენობას რომ მიუახლოვდნენ და თანაშორისებმა დაუწყეს მისალმება, მაშინდა მოაფრქვდა ელენემ ხელი გაუთავისუფლებინა, ლევანს რომ ჩებულყა თავისი პალტოს ჩიბუჭი. ლევანმა თვალი ჩაუკრა და თავის ოთახში შევიდა.

კვლავ ამოლაგა უჩრდილ ეურნალები. გამოდგებიო თვალს ადევნებდა სხვა ქვეყნების მათემატიკოსებისა და კიბერნეტიკოსების გამოკვლევებს. ყველას ერთი და იგივე საკითხი აფიქრებდა: შეუძლია თუ არა მანქანას შეასრულოს რაიმე ისეთი ინიციატივანი, შემოქმედებითი, რაც მის შემქმნელს არ დაუპროგნამებია? საერთაშორისო პრესაში დიდი ადგილი ეთმობოდა პოლემიკურ სტატიებს ამ საკითხის ირგვლივ. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი მარტიმორს ტაუბე, — „დამოუკიდებლად მოაზროვნე“ მანქანების უქადურების მოწინააღმდეგე. წერდა: „უკვლევ უგონიერები მანქანა არაფრით ხეობია ტიპოგრაფიულ დაჯახს, რომელიც მხოლოდ სხვის აზრებს ბეჭდვს“. დავუშვათ, ტაუბე მართალია, — ფიქრობდა ლევანი. — მანქანა თავისი შემქმნელის მონაა და შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის, რაც ადამიანმა აღწერა სამანქანო პროგრამაში. მაშინ, გამოდის ვერც ერთმა მოწყობილობამ ვერაფერი ინიციატივანი ვერ უნდა გააკეთოს. მაშ, როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი? ისიც ხომ მატერიალური მოწყობილობაა და რაღაც მეთოდების საფუძველზე მუშაობს. რა არის ეს პრინციპი, რომელითაც ხელმძღვანელობს ადამიანის ტვინი, მანქანისათვის კი მიუღწევლია?

რაც უფრო აწუხებდა მეთოდს, მით უფრო რთულდებოდა პროგრამა, ლევანი ხედავდა, რომ მანქანის მოქმედების არასაკმარის ხისწრაფზე და მესხიერების გახარბის ხიციერზე წა-

რმატებლობის დაბრალება არ იქნებოდა სწორი. იმ დასკვნაზე მივიდა, რომ თვითონ ალგორითმია შესაცვლელი. მოსაძებნია საქმისადმი სულ ახლებური მიდგომა.

„ნეგატიური პროგრამირება“. — ეს იყო სრულიად ახალი პრინციპი, რადიკალურად განსხვავებული იქამდე არსებული პოზიტიური ევრისტიკული პროგრამირებისაგან. ლევანი ხედავდა, რომ სწორედ ეს იყო ის ახალი მიდგომა, ამდენ ხანს რომ ეძებდა თვითონ. ახლა იცოდა, რა მიმართულებით ემუშავა.

საღამოს დაღლილი მივიდა შინ, წაიგახშვა სამწარეულოში. მერე ოთახში გავიდა და ხავარტელში ჩაქდა. კვლავ ნეგატიურ პროგრამირებაზე ფიქრობდა. მერე შეატყო, რომ მეტი აღარ შეეძლო ფიქრი. წამოდგა, ოთახში გაიარა, გამოიარა, თაროდან ხორხე ბორხების წიგნი გადმოიღო და კითხვის გავრკაო.

აქ ერთმა წინადადებას მიიპყრო მისი უკრადლება: „გულენილი უშვებდა, რომ ადამს, „ღმერთის მსგავსს და ბატებს“ ჰქონდა ხედვა ტელესკოპური და მიკროსკოპული...“ ისევ თავისი აქციატებელი კითხვა გაახსენდა, რისთვის დასაჯა ღმერთმა თავისი ქმნილება ასე ხსატკად? რატომ ამჩნებდა მისი „ტელესკოპური და მიკროსკოპული“ ხედვა?

ბნელოდა ოთახში. ლევანი საწოლიდან გადახვდა მაგიდის ნათურას, შუკი აანთო. ელენე შეიშუშუნა, მერე გაუღიმა. ლევანმა ტუმბოზე წოგნი დანახა და ხელით გადახვდა — რას კითხულობ? — თვალერიება დაუწყწო წიგნს. რომანი იყო.

— დიდებული რამეა რომანი, — თქვა ლევანმა.

— მეც გეთანხმები, მაგრამ, ზოგიერთები ამბობენ, რომანმა თავისი დრო მოკამაო, — გაეპახუნა ელენე.

— არ ვიცი, ვისთვის მოკამა დრო, მე კი არც ერთი ლიტერატურული ფორმა არ მეგულბა, რომანს რომ შეედრებოდეს.

— ნოველაზე რას იტყვი?

— კარგია, რა მეთქმის.

— კარგია კი არა, დიდებული რამეა, — აბოლოლოდ გამოკაცხვდა ელენე. — იცი, როგორი ნოველა მიყვარს? აი, ბოლო წინადადებაში რომ იხსნება შინაარსი. გვონია, თხრობა დამთავრდაო და ამ დროს ბოლო აბსაცი რაღაც მოულოდნელ სასწაულს დაგვტოვებს თვალწინ. ერთ წინადადებაში იმხელა ემოციას ჩადებენ, ყუბარასავით დატენილი გამოდის, გაძლება არ უნდა? კანკალი ამიტანს ხოლმე, ცოტა ხომ უნდა შეიბრალონ მკითხველი.

ლევანს გაეცინა, კვლავი მოხვია და მკერდზე მიიკრა ელენეს თავი.

— ცოტა ხომ უნდა შეიბრალონ მკითხველი, — წვრილი ხმით გამოაჯავრა, მერე ადგა და ჩაქმა დაიწყო. ელენე კი იყო ლოგინზე წამოქედარი,



მუხლებზე ზეწარი შემოქცევა. ლევანს შერცყე-
როდა. ისეთი ჭრწნობა ჰქონდა, თითქოს მთელი
სიცოცხლე მასთან გატარებინა, სულ ბავშვობი-
და. ვინ შეეძლო ლევანსაგეთ გაეყო მისი ნათ-
ქვამი, ნათქვამს და ნააზრევს კი არა, ჭერ გა-
უაზრებელ ჭრწნობას იგებდა ლევანი მისას, თვი-
თონ ელენეს ასწრებდა მის ამოკითხვას. რა
სიმშვიდეს ჰგვირავდა ლევანის გვირდით უოფნა.
მასთან ქარიშხალში კლდეს ამოფარებული მტრე-
დივით ჭრწნობდა თავს. შავრამ იყო წუთები,
როცა ეს კლდეკაცი ბავშვად იქცეოდა. უფრო
სწორად, ამ წუთებისაგან დადინებული და ბევ-
რისმანხველი კაცის სულში ჭერ კიდევ ცოცხ-
ლობდა ცამეტ-ოთხმეტი წლის ასაკი ბიჭი, და
ამ ბიჭს ხედავდა ელენე, როცა ისინი მარტონი
რჩებოდნენ, როდესაც ისინი საყვარელ კერძს
ამზადებდა და ლევანი ხუმრობით მოუთმენლად
ილაკავდა ტუჩებს... როცა ელენეს პარფომე-
რისა თუ სხვა პირად ნივთებს ბავშვობის ცნო-
ბისმოყვარეობით და პირზე დამილით ათვლი-
ერებდა... როდესაც რომელიმე საყმაწვილო
წიგნს მოიგონებდნენ და ლევანს ახლაც სიამოვ-
ლისაგან ქინკა გაუკრთობდა თვალბუბნი...

მაშინ ელენე უფროსადაც კი ჭრწნობდა თავს.
სტრეილი უჭნებოდა, მოკვლო მისთვის. მო-
ფერებოდა, გათბო, დაეპურებინა.

შესტეროდა ელენე, ნაჩბრეკად იტინდა ლე-
ვანი პტრანგის კალთებს შარვალში. გრძელი
ცხვირი და მტკიცე ხასიათის გამომხატველი
თხელი ტუჩები ჰქონდა ლევანს.

ლახორატორონი არჩილი შემოვიდა. დახე-
ული ჩანდა არჩილი. ეტუბოდა, რაღაც ძალიან
აწუნებდა. ბოლოს გამოტყდა, ბავშვობის მეგა-
ბარი შეხვედროდა და შეეთავაზებინა, ჩემთან
გაქმდითო საშუალოდ. მოვარბო ის იყო, რომ
მათი ინტიტუთი კოოპერატიული ბიზნის აწუნებ-
და და არჩილს ბოლოს და ბოლოს ბინის გა-
ფართოების საშუალება ეძლეოდა. ლევანმა
პროგრამები გვერდზე გადახლო.

— ხომ გაძრდება ჭვენი დირექტორი ბიზნის?
— დიდი ხანა მიპრდება, შავრამ ჩემზე წინ
ბერბია რიგში.

ლევანი დაფიქრდა. რბუნი არავის გაეგონა ამ
ხმაშეწვილილ ოკანში. იცოდა ლევანმა. რა მშვი-
დი, გამჭვირი და აქტანი კალი იყო ქეთი, შავრამ
ეტუბა, ძალიან გამჭარდა. ლევანმა ვერაფერი
უთხრა არჩილს. იმედი ჰქონდა, არჩილი მაინც
რამბეს მოახერხებდა და თავის სამუშაოს არ გა-
იანებდა. დახეული და დაღვრემილი გავიდა
არჩილი.

ჭალამოს ელენესთან მივიდა ლევანი. წუხელ
ბრეტუაიტის რომანის კითხვა დაამთავრა. ზან-
გების და თეთრკანიანების დამოკიდებულებათ
წერდა ზანგი მწერალი. იფიქრა, ელენეს დაანი-
ტერებსებსო და წამოუღო თერნალი.
აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ლევანმა
საათს დახედა: — უნდა წავიდე. — თქვა. ელენეს

სხვა დროსაც შეუმჩნევია. ლევანს მასთან უოფ-
ნისას საათისკენ რომ გაქცევა თვლი. მაინც
ეს უოველთვის მოულოდნელი იყო. უოველთ-
ვის ელდის დამქვამი. ხელახლა განსაცდელა,
ხელახლა შეხატუბეული.

ახლა, როცა უაქვ ახრ დაახლოვდნენ, როცა
უოველთვარი ზღვარი გადაიშალა, ელენეს უტირ-
და იმისი ატანა, რომ ლევანს ჰქონდა სხვა
ცხოვრება, სადაც არ არსებობდა ელენე. წავი-
დოდა ლევანი, ჩავუღლონოდა თავის პაროდ-
მებში. ზოგჯერ ჰამა და ძილიც არ ახსოვდა.
ელენე რჩებოდა მარტო და ეს სიმარტოვე არ
ჰგავდა მის აღრინდელ სიმარტოვეს. ბერჭერ
დაკვირვებია იგი, როგორ იყო ლევანის პერ-
ფორმებზე მონაცველობით განლაგებული
მთლიანი და ამოკეთილი უჭრედები და ეს
პერფორმები თავის ბოლოდროინდელ ცხოვ-
რებას აგონებდა, ასე შრავდა იყო მის ცხოვ-
რებაში ამოკეთილი უჭრედები — ლევანის გა-
რჩევე გატარებული დღეები.

— ანდერსენის ზღაპარი გახსოვს, გეღზე? —
უთხრა ელენემ, ლევანმა საათს რომ დახედა.

— რა ზღაპარი?
— ქალ-ვაჟის სიუვარტულია, ძალიან უყვარ-
დათ ერთმანეთი, შავრამ, ვაგი, მზე ამოვადოდა
თუ არა, გედავ იქცეოდა. იტანებოდა ქალი,
ცრემლიად იღვრებოდა, შავრამ გევი გივი იყო
და, რას ვაივებდა ადამიანის დარღ, ფრთებს
შემოჰქარავდა და აფრინდებოდა დაში.

ლევანი შეტრდა. ცოტა ხანს იდგა ახრ დახ-
ეული, შერე ელენეს თმაზე გადაუსვა ხელი.

— არ მახსოვს ასეთი ზღაპარი, — მტევი ვერა-
ფერი თქვა.

იზ ხალამოს ლევანი ელენესთან დარჩა. დი-
ლას მასთან ერთად სამხარეთლოში დალია უა-
ვა. სამხანურში მოხუტს კიდევ ელენეზე ფაქრი
გამოჰყვა. განა არ ესმოდა ელენეს წუხილი,
რომელიც სრულიად ბუნებრივი იყო. ლევანი
მეშობაში რომ ჩაეღლონოდა, დროის მდინა-
რებას ვერ გრწნობდა. რამდენჯერ პანიკურად
აღმოუჩენია, რომ უაქვი კვირათე რეტი გახულია,
ელენეს არც კი დალამარაკებია, არ მოუკოთ-
ბავს არ იცოდა ამ ბნის განმავლობაში რას
აქეთიდა ელენე. სამხანურში თითქმის მთელი
დრო ძირითად საშუაოს მიჰქონდა. პროგრამი-
რების პრობლემებზე ფაქტიურად, სამუშაო სა-
ათების შემდეგ მუშაობდა შინ. შობა-კვირასაც
გრწნობდა, ელენე უუურადებოდა ჰყავდა მი-
ტოვებულა.

ახლა, როცა უაქვი თავისად ეგულებოდა ელენე,
სიმშვიდეს და სულიერ წონასწორობას
გრწნობდა, ამან მოუდუნა უურადება ელენეს
სიმარტი, სამხანურად თავის გამოკვლევებში სა-
ინტერესო გააფრევებებს მიჰაღწია.

ოთახში ცვლის უფროსმა შემოიხედა.
— ბატონო ლევან, მაქანანზე თქვენი დრო
იწყება.

ხუმარბათობით, ათიდან თორმეტ საათამდე ლევანს ჰქონდა გამოყოფილი სპანქანო დრო ექსპერიმენტებისათვის. ახალი პროგრამა, რომელიც დღეს უნდა გაეშვა, გუშინ შინ წაიღო დასამთავრებლად, მაგრამ წუხელ ელენესთან დარჩა და პროგრამა ვერ დაამთავრა. იძულებული გახდა, თავისთვის გამოყოფილი სპანქანო დრო სხვისთვის დეთმო. ახლა მომავალ ხუმარბათამდე ვერ ჩაივლება ხელში მანქანას. კიდევ ერთი კვირით გადაიღო მისთვის შეტად საჩქარო შედეგების მიღება, წუხელ, როცა ელენესთან რჩებოდა, იცოდა, რომ ამ მსხვერპლზე მიდიოდა, მაგრამ ხედავდა, ქალი მეტად აღელვებულ იყო და მისი მართო დატოვება არ შეიძლებოდა.

საღამოს ისევ ელენესთან წავიდა. ხალისიანად დაუბუდა ქალი და ლევანს გულზე მოეშვა. ძნელი არ იყო მისი შემორიგება, პატარა უფრადლება აუყოფნიდა.

ლევანმა ჰკითხა, ხომ მოგეწონა ბრეტუაიტო. ელენემ რაღაც ჩაილაპარაკა და სხვაზე გადაიბრუნა საუბარი. ამჟამა იყო, მის აღტაცებას არ აზიარებდა. ლევანმა აღარაფერი უთხრა.

საღამოს კიდევ აპირებდა ლევანი მუშაობას. საათს დახედა. ნეტავ რა დროა და მაშინვე ინანა, ეშმაკმა დაღაბვროს, როგორ ვერ მიჩვივა, რომ ელენეს თვალწინ საათს არ დახედოს.

— მო, მართლა, ელენე, ანდერსენის წიგნი გადავთავლიერე, მაგრამ ის ზღაპარი ვერ ვიპოვე.

— ვერ იპოვიდი, ის ზღაპარი მე თვითონ მოვიგონე... ანდერსენის მოტივებზე.

ლევანს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხახის უცნაური მოძრაობით გამოაჯვარა. ელენემ კარებამდე მიაცილა.

— მაინც, რატომ არ მოგეწონა ბრეტუაიტი?

— წყნა არ გაიყოლა ლევანმა.

— იმიტომ, რომ ჩნახავს რაღაცებს. ის წანგი თავისი ელექტრონიკის ცოდნით და ვირტუოზული მფრინაობით რომ აოცებს ხალხს და სამი თეთრკანიანი ქალიც ეცოდება ერთმანეთს მის სიყვარულში, მკითხველის სიმპათიას მაინც ვერ იმსახურებს, რადგან თეთრკანიანთაგან აღიარება გამებდარა მისი ზრუნვის საგანი. თანაც არ არის საჭირო ასეთი იშვიათი თვისებების მოგონება იმისათვის, რომ მკითხველს პერსონაჟი შეაუკარო.

— ელენე, არაფერი არ არის აქ მოგონილი, არიან ასეთი თვისებების მქონე წანგები, თვითონც ბრეტუაიტი იყო ასეთი...

— იმიტომაც თავის თავს იცავს და არა რასაც. ასეთი მწერალი არ გამოდგება დაჩაგრულის დამცველად. აი, ხელ სხვა ფოლკნერი, შეუძლია გაციონოს „ისინილეში თეთრად მოციანებე შეშინებული თვალების“ და „ახილი ჩოიადივით დაღებულ სიჩის“ აღწერით, მაგრამ იმოდენა სიბოთით და სიყვარულით, რომ მკით-

კაცი კარებში გაშეშდა. ელენემ საშინელი უხერხულობა იგრძნო. არც იმას სიამოვნებდა ამხელა კაცის ამ პატარ სენაკში შემოხიზვნა, მაგრამ ახეთმა სცენამ საშინლად შეაწუხა.

კაცი ღიმილით მიუბრუნდა გამცილებელს.

— მოხბარი, ახლა, როგორ შევიდე აქ?

— მოხბარადნით, ბატონო. — შეწრაილდა ელენე, თავისი ჩანთა გვერდზე მისწია და ადგილი გაუთავისუფლა.

— შენს ღიმილს ვენაცვალე. — უთხრა მოხუცმა. — არა ბიძიო, მე სადმე სხვაგან მოვეწყობი.

ელენემ თვითრეული მოიტანა და ქვედა საწოლზე გაშალა ლოგინი. ქალმა ახლა შეწარზე რომ იაუწყო წინდებიანი ფეხები, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ამოინა, არაფერი ეთქვა. განდაბას მაგისი თავი. შე ხომ არ შეშეხებაო, გაიფიქრა. ტანზე გაიხადა და დაწვა. ქალები ისეა ისხდნენ და ლაპარაკობდნენ ელენესათვის გაუგებარ ენაზე.

ძილი არ მოილოდა. ქერა უპაწილის დაბნეული ხახვ დაუდგა თვალწინ. მერე კახელები გაახსენდა. მერე წერამოშვებულ ბიკს გამოაქვარა გუნებაში — «Как дышит море!» — და თვითონვე გაეცინა. „რა მოუხეშავები არიან ეს უპაწილი ბიკები“. — გაიფიქრა. — გაურანდავებში“. მისი ფიქრი იქამდე მაინც არ მივიდა, რომ ამ მოუხეშობაში და გაურანდაობაში შესანიშნავად გრძნობს თავს სიყვარული, აქ მზრძანებლობს. იქ კი, სადაც ელენე დაემგზავნა, სადაც გონება და გამოცდილება გაბატონებულია, სიყვარული სულს დაფავს. ის დაბრძინებული ბატონები სიყვარულს მხოლოდ მაშინ სწყალობენ, თუ მორჩილ ფინიასვით ფეხებთან ჰყავთ გაწოლილი და მცირედ არაზნობის უთქვამს რომ მიიხიზვოს, გაბრულ ძვალსაც არ გადაუდგებენ.

დადლილობის მიუხედავად, ძილი არ ეკარებოდა. გულის გამაწვრილებლად რახუნობდა ბორბლები, იმ ქალის ფეხები ისე აწუნებდა, თითქოს შეწარზე კი არა, უღლი ქონოდა მიბქენილი. ეს ქალები რომ არა, ჩემი წყალობით ახლა უვლავდერ ამას იმ კაცის ხვრინვა დაემატებოდაო. — გაიფიქრა. თითონაც ასე პირდაპირ არასოდეს არავისთვის უთქვამს სათქმელი, მაშინაც კი, როცა ეს საჭირო იყო. არასოდეს მოუთხოვია ის, რაც ეკუთვნოდა. ლეჟანთანაც ასე ხომ არ მომივიდაო. — გაუელვდა თავში და ისე მტკიცეულდა გაუელვდა, რომ თავზე ხელეში წაიჭირა და ნერვულად გადატრიალდა საწოლზე. ქალებმა ლაპარაკი შეწყვიტეს: — ცუდად ხომ არა ხართ? წყალი გინდათ?

— არაფერი არ მინდა, ოღონდ ფეხები აიღეთ ჩემი საწოლიდან. — ისტერიულად გამოუვიდა.

მაინც ვერ გადარჩა ისტერიის გარეშე. ქალებს ხმა აღარ ამოუღიათ. სინათლე ჩაქრეს და დაწვეს.

თითქმის დაძინა დატანგული, თავში ფიქრები აღარ რიალებდა. მაგრამ მოუღი დაუ გრძნობდა რაღაც კენჭს, რომელიც მაგარ ლოგინზე უაწყალებდა. დროდადრო ეღვიძებოდა და ხვდებოდა, რომ ეს კენჭი თვითონ იყო.

ოცდაოთხი დღე გაატარა სანატორიუმში ლეჟანმა. კიდევ ჰქონდა დარჩენილი შვებულების დრო, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე სამსახურში მივიდა. ელენე მოიკითხა, ვერ ნახა, რაღაც საქმეზე იყო გასული.

ახალი ამავი დახვდა სამსახურში. დირექტორს, როგორც იქნა, დაეკუთვნებინა მისი ობოვნა და ოთხი თვით მოსკოვში იყო მივლი

ნებული. დიდი ხანია ელოდა ამ მივლინებას და ახლა დაყოვნება არ შეიძლება.

ერთი სათი კიდევ უცადა. მაგრამ ელენე იცვინებდა. გადაწყვიტა წახსულიყო ბილეთის ასაღებად და საღამოს მან ენახა ელენე.

უპირავე ხალხი ირეოდა აეროვაგზალში. უახლოესი ამ დღეში მოსკოვის ბილეთზე დაპარაკი წედმეტი იყო.

უცებ ვიღაცამ თქვა, მოსკოვის თვითმფრინავზე ბილეთს ვაბრუნებო.

— რა რიცხვის ბილეთია? — იკითხა ლევანმა. — დღევანდელი.

ლევანმა ბილეთი გამოართვა და გასვლის დროს დახედა. ხუთ საათზე გადაიოდა თვითმფრინავი. უკვე ორი სრულდებოდა. უნდა აედო ბილეთი და მიესწრო თვითმფრინავისათვის. სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ფული გადაიხადა და ბილეთი ჭიბეში ჩაიხადა.

„ელენესთან გავლას ვერ ვახსრებ“, — გაუელვა გონებაში.

დასამტრდა უკვე. თოვდა გარეთ.

უმიწნობას და შინაგან ხიცარიელეს შეეპყრო ელენე. მეოთხე თვე გადიოდა, რაც ლევანს საბოლოოდ დაშორდა. მარტოობის ოთხი თვე საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნებისყოფა მოეკრიბა და საკუთარ თავს შორეოდა. მაგრამ არა უყოს ამ შინაგან სიციარიელეს და უმიწნო ყოფას? თავისი სხეული იმ დამეს მტარებელში კუნძად რომ შეიგარძნო, ასევე კუნძად დარჩა სამუდამოდ. სულიც გახვედა. აღარაფერი აღევლინებდა. აღარაფერი აინტერესებდა. ვარ კაცხადი. თუ აღარა ვარო, — ეს კითხვა ებადებოდა ხანდახან.

ქედმელზე დაკიდებულ რეპროდუქციებს შეავლო თვალი.

— აღარა ხარო, — თითქოს ეთანხმებოდა ღრმა ფერებში ჩაფლული კამილას თერთად მოკაბკაბე თავი?, როდენმა, მისი სიღამაშით აღტაცებულმა, მხრებიდან რომ მოჰკვეთა და მუწეუმის თაროზე დალო ჰვად ქვეული, ქვეყნიერების სათაყვანოდ. ძალიან გეტკინა? შო, შო, ვიცო, თქმა არ გინდა, მე თვითონ ვიცო, როგორ გეტკინა. რა ექნა, ორ ქალს ვერ მოუტანდა ბედნიერებას ერთი კაცი. ერთისთვის უნდა მოეკვეთა თავი. შენ გეტკო ეს ზვედრი, რადგან ამაყი იუავი და სიყვარულის სხვასთან გაყოფას ვერ შეეგებო. რაო? სწორი არა ვარ? ორივე მოკვეთავო ამბობ? იმას მარტო თავისი საქმე უყვარდა, ქანდაკება უყვარდაო? მაშ სიყვარული არ იყოდა როდენმა? და შინაც იმან შექმნა „მარადიული გაზაფხული“. შენ კი ვერ შექმენი მხავისი რამ, სიყვარულის ზვარაკო.

* იგულისხმება როდენის სკულპტურა „აზრო“, სიდაც მისი მოწაფის, მხატვარი კამილა კლოდელის თავია გამოქანდაცებული.

ნუთუ კაცმა რაიმე მწიფელოვანი რომ შექმნას, ამასთან არ ეუფლებულია ქალის სიყვარულს ზურგი შექციოს. მსხვერპლად მიიტანოს?

ო. პატრეცელი ფულია ქალბატონებო, სიყვარულის ქურუმებო. შეუნდეთ მამაკაცებს ეს სისუსტე. განა არხებოს კიდევ რაიმე საქმე, იმათ რომ შეეღებოდეთ. მაგრამ ამისთვის თქვენი განსჯა ვინემ იფიქრა? მაშ შეუნდეთ ეს სისუსტე. რამეთუ ძლიერს შენდობა მართებს და გიყვარდეთ ისინი სწავიეროს ამოუგებლადაც, უპასუხოდაც, არ შეგძლიათ? მაშინ ამის ძლიერება კი არა, სისუსტე ჰქვია.

თებერვლის თვე იყო. გასული წლის შვებულება გამოუყენებელი დარჩა ელენეს. სამსახურში უთბრეს, ისარგებლე შვებულებით. თორემ დაგიკარგება, შენახვის უფლება არა გაქვსო. ელენესთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო. განცხადება დაწერა და კანცელარიაში დატოვა. კარებში არჩილი შეეფთა: — ელენე, როგორ ხარ? რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან, ბავშვები გაიოხლებოდნენ. ამ დღითი ქრისტიანე ეჩხუბებოდა დედამისს, დედა ელენესთვის დამვიარცხნეოთა. ელენემ მოახერხა გალიშება. არჩილთან ერთად ჩაიარა კიბე და შინ წავიდა.

ჩვე ელენე სავარძელში, ხალათის ქვეშ მოეკეთა შიშველი ფეხები. რაც შვებულება აიღო, სახლიდან არ გასულა. მესამე დღე იყო თუ მეოთხე, აღარ იცოდა.

კარზე ზარა დაკეცა ვიღაცამ. ელენე წამოდგა, ქოშუბლი წაპყო ფეხები და კარი გააღო. ნელი იყო.

— სად დაიკარგე? ელენემ დამანახვესავით გაილიმა. — შვებულება ავიღე. შუპოდი, ნელი. ნელემ პალტო გაიხადა და შემოსასვლელში დაკიდა. — იცი, როგორ თოვს გარეთ. ოთახში შემოვიდნენ და დასხდნენ.

— შიღისარ სადემ? — შეეკითხა ნელი. — შო... არა, — დაიბნა ელენე. — უფრო სწორად, ჩერ არა მაქვს გადაწყვეტილი, სად წავიდე.

წელის გაუკვირდა ასეთი პასუხი. ახლა დააკვირდა ელენე. ძალიან გამხდარყო. სანთლისაგან ჩაიფრინლს ჰგავდა. ირგვლე მემოიხედა, ორივე ოთახში უფსრტიოდ ეყარა სივთები. ავექზე მტვერი არ იყო მოწმენდილი. პირველად ნახა ასეთ მდგომარეობაში ელენეს მუდამ კოპწია ბინა. უცებ დაინახა, რომ ამ ბინასავით აწეწილი და აფრიაქებული იყო ელენეს ხული. დაინახა, მაგრამ არაფერი უკითხავს. თავის დარდს არავის უმხელდა ნელი და არც სხვის ხული შეეძლო ბედების ფათური. უხმოდ ჩააკეცრდა სახეში ელენეს. ელენემ აწეწილ თმაზე გადაიხვია ხელი.

— თმაც არ დამივარცხნია დღეს. — თქვა უბერხულად.

— გუმონ? გუშინ დაივარცხნე? — მარტო ამი-



თი გამოთქვა თავისი ექვა ნილიმ და მერე უცებ შეცვალა ხაუბრის თემა.

— იცო, რისთვის მოვედი? შარშან ამ დროს მთაში რაში ვიყავით, ზომ კარგი იყო? ზოდა, დღეს ხალაშის მივიღვართ იგივე გოგოები. არ გინდა წამოხსნა? საინი ვართ. მეოთხე შენ იქნები. ბინა მოგვარებული გვაქვს. ისევე იქ ვიქნებით, სადაც შარშან. შენ მარტო შენი თხილა-ბურბი წამოიღე და წამოდა.

შარშან წამთარში მართლაც კარგად დაიხვეწეს მთაში. წელის ერთ ნაცნობს ჰქონოდა იქ ციყვის ხახლის მსგავსი პატარა ქოხი.

ელენე დღემდა. შარშან კარგი იყო. მაგრამ ახლა ვერ აიტანდა იმ მზიარულ ხაზგადობას. არაო, უთხრა, ვერ წამოვალო. ბევრს ეხვეწა წელი, მაგრამ ვერ დაიყოლია ელენე და ბოლოს შეეშვა. იცოდა ნელიმ, საყოთარ დარდს ვერსად გაეცევიო, სადაც უნდა წახვიდე თან მოგვებება და უფურაადებოდ მიშვებულები ხეწივით. ერთიანად დაგრეხს ხელს. ისევე სჭობია, შინ დარჩე, შენი დარდის კერხთან, ხანდა ბოლომდე არ გამოიწვები. აქვს ყველა ადამიანს ზღვარი, რომლის იქით დასა იწეება და ამის შემდეგ უბრუნდებიან ისევე სიცოცხლეს.

წავიდა წელი. ისევე მარტო დარჩა ელენე. კიდევ ერთი დამე გაათენა, ის დღეც ისეთი იყო, როგორც წინა. ისევე გარინდებდა და აზრის გახეობა. რადემდე უნდა ვიყო ასეო, — გაიფიქრა. ინანა, რომ წელის არ დაეთანხმა. საათს შეხედა. ერთ საათში გადიოდა დღის მატარებელი. შევიდა საბაზანოში, პირი დაიბანა, რამდენიმე თბილი ჩახასმული ჩააგდო ჩანთაში, გადმოიღო თავისი თხილაბურბი და რკინიგზის სადგურში წავიდა.

ლევანმა თავისი ბინის კარები შეაღო. შესასვლელში თურნალების და გაზოების მთა იდგა. ოთხი თვის განმავლობაში რაც ეწოდა ფოსტალიონს, სულ კართან იყო დახვავებული. ჩემოდანი ოთახში შეიტანა და თურნალ-გაზოები წამოკრიფა.

დადლილი იყო, მაგრამ თვითმფრინავშივე გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩავიდოდა თუ არა თბილისში, ელენე ენახა. ცვირა დღე იყო. შინ იქნებო, გაიფიქრა და ელენესთან წავიდა. ზარის დარეკა რამდენიმეჯერ. არაფერ გაუღო კარი. სადაც გასულაო, გაიფიქრა, ბარათი დაწერა და კარებში გაარჭო. მერე გაახსენდა, რომ გასაღები ჰქონდა. იფიქრა, შევლად და აქ დაველოდებიო. კარს გასაღები მოარგო და გადააბრიალა. კარი არ გაიღო. ეტყობოდა, მეორე გასაღებითაც იყო დაკეტილი. ორი გასაღებით მხოლოდ მაშინ კეტავდა ელენე, როცა ქალაქიდან მიდიოდა. მას, თბილისში არ ყოფილა ელენე. ბარათი დაჭმუჭუნა. კარები ჩაიღო და კბენე დაეშვა.

ნელა მიდიოდა ტროტუარზე ჭიბები ბელებჩაწყობილი. ელენეზე ფიქრი ყრუ ტკივილად და-

გუბებულებო სულში. დღეს მფშობას არ აპირებდა. სახლში უოფნა ეწარებოდა და გააფწყვტა დინასთან გაუფლო.

დინას არ ღარჩეულია დინასთან, დინასას არასოდეს რჩებოდა აქ. ახლაც ჩქარობდა წახვლას. ტელევიზორში ფეხბურთის მატჩის დაწყებისათვის უნდოდა მიესწრო. ხაწოლის კიდევ იქნა და ნაჩქარევად იკრავდა ფეხბაქმლის ზონრებს.

— ზო, რა უნდა გობოვო. — მოგაგონა დინას. — სახლში თავგები გაჩდენე. იყიდე, რა, ორი ხაფანგი და სამზარეულოში დაიშდა.

ლევანი მიჩვეული იყო დინასთან დავალებებს. მათი შესრულება ერთბაშად კალის გაშდმებულ ექვიანობას და დაძაბულ ურთიერთობას, მაგრამ ასეთი თხოვნა მაინც მოულოდნელი იყო მისთვის. ცალკეა დიმილით ამოხედა დინას და მერე ტურები მოკემა. რომ ენაზე მომდგარი ერთი მოკლე ფრაზა არ წამოსცდენოდა.

კარისკენ რომ გაიხედა, კედელზე ახალი ბრა შენიშნა. კუსტარულბოა შეატყო და მისევდა, რაფოს ნახელავი უნდა ყოფილიყო. რაფო ხელოსანი იყო. დინასთან სტამბაში მუშაობდა. ლევანს არასოდეს ენახა იგი. მაგრამ გადმოცემით იცოდა, რასაც წარმოადგენდა. უცვირდა ლევანს, რას პოულობდა დინა საინტერესოს ამ უბირ კაცში. ის ახალგაზრდა ყმაწვილი რომ ჰყავს, გასაგებია. იცოდა ლევანმა ახალგაზრდობის ფასი, მაგრამ ეს რაფო ლევანზე უფროსი იყო და ორმოცდაათს კარგად გადაცოლებული. დინამ შენიშნა, რომ ლევანი ბრას მისჩერებოდა.

— კარგი რამეა. — სახე მოიდრიცა ლევანმა. დინა მიხვდა, რომ ლევანი რაფოს გამო დასცილოდა.

— რაფოს ინტელექტი არ აწუხებს, ასეთები დინასთან ინარჩუნებენ მამაკაცურ ძალას. — ედღე არ ღარჩა დინა. ლევანი ისედაც გრძნობდა, რომ ამ ქალს, რომელიც არ იყო განათლებას მოკლებული და საქმეოდ ნიჭიერ თურნალისტადაც ითვლებოდა, რატომღაც გრძნობდა არ ულარდა ლევანის ინტელექტი არ ლევანს ამ სამარცხვინო სამეუღლში მხოლოდ ბოლო ადგოლი ეყავა.

უცებ ზოზლი იგარძნო ამ ქალის მიმართ. ზო, უნდა ჩქარა გასცლოდა აქაურობას. ნაჩქარევად დაემშვიდობა.

ქუსნაში გამოვიდა, გრილი ჰაერი სხამოწმებით შეისუნთქა და შეგნებულად სხვაზე გადაიბრუნა ფიქრი. გამოუცდელი ყმაწვილი რადე იყო ლევანი. რომ ამ წუთიერ ეპოციას დიდი შობებქმელობა მოეხინა და ქარიშხალი გამოეწვია მის სულში. დინაზე ნაყუნებად რადე იცინობდა ცხოვრებას. იცოდა, გაივლიდა სამი-ოთხი დღე და ცვლავ მოენატრებოდა ეს ქალი. კარგად იცოდა, რომ ყველა პარტესს ადამიანის ორგანიზმში აქვს შექანოკური საფეველი.

ტროტსკისთვის იფიქრო და თავისთვისად აღვიღო-
ფე დაქადა.

— სად იყოღება, მინც, ეს ხაფანგა?

ფუნხუროს მატჩის რეპორტაჟი გვიან დამ-
თავრდა. პირველი საათი სრულდებოდა უკვე-
დევანმა ტელევიზორი გამორთო, ლოგინში ჩაწ-
ვა და კიბხვაში გვერთო.

ფურხანდისში კვლავ გრძელდებოდა პოლემი-
კა ევრისტოკული პრაგმატიკების მიმდევრებსა
და „რომანტიკოსებს“ შორის. ერთი იტალიელი
კრიტიკოსი წერდა პრაგმატიკების შესახებ:
„ამ ხალხმა შექმნა კასტა, კასტა ახალგაზრდა,
ენერგიული, მალაბრეტფაიანი შიშაკაცებისა,
რომლებიც პრაქტიკულად შინის ხუფის ქვეშ
ცხოვრობენ. მათ ახალმოგონილი თანამდებობე-
ბი და ასეთივე საქმიანობები აქვთ, იმათ თავი-
ანთი ხუმრობები აქვთ, გაუგებარია უბრალო
მოკვდევთათვის... ისინი გიტარას არ აუღრიან-
ბუნ მეგობრების განაართხადა, თავიანთ ელექ-
ტროგამონათღულ მანქანებს უბრძანებენ მუსი-
კა დაწერას. პრაგმატიკებენ ნაწყვეტებს ბიზ-
ნელიდან, თავებს ფრიალდენ, სახავეო ზღაპ-
რებს, უწვებენ ყველაფერს ამას მანქანაში და
ერთობიან დაბნეულ მანქანას რომ ავიყვებენ...“

ამ შენიშვნამ ლევანს ილილი მოჰგვარა მხო-
ლოდ. იგი მიჩვეული იყო მეოცნების რკინის
ლოგოკას, უტუფარ ფაქტებს, დასკვნებს. აქ
კი არც ერთი ბრალდება არ იყო სამართ-
ლიანი და დადასტურებული. ვერაფერმა
ააღლევა, გარდა სრულიად დაუსაბუთებლად
დაბრალებულმა „მინის ხუფის ქვეშ ცხოვრე-
ბაში“. განა მინის ხუფის ქვეშ ცხოვრება, იყო-
დევ და ხედავდევ იმას, რახაც სხვები ვერ ხე-
დავენ?

ერთ-ერთი ექიმი უსიკიბარი წერდა: „თქვენ
თუ ვერ არჩევთ სიტყვა „იჯლისი“ აგვისტოსა-
გან“ მათი ემოციური შეფერილობით, მაშინ
თქვენ ურთუ ხართ ემოციისადმი, მინორულ მუ-
სიკას მათორულიზაციას არჩევთ? ანასაც ვერა?
მომლიმარ თავლებს დამცინავისაგან? ნუთუ ვე-
რა? რატომ მიუშვით ასე თქვენი ემოციური
ცხოვრება? „ემოციურ დატლონელს“ შეუძლია
სიუვარული? რომელი სიუვარული, უბრალოდ,
საუბრის გაბმა თუ შეუძლია მეზობელთან
თვითმფრინავის საფარქმელი?“

ლევანმა კიბხვა შეწყვიტა და ეფრნალი ია-
ტაკივე დააგლო.

რატომ ადუღდი, ლევან ზანდუტლოვ? აქი პირ-
ზე დიმილით და ხაქუთარი უპირატესობის შეგ-
ნებით კითხულობდი აქამდე? სიუვარული რომ
ვახსენებს იმან გააკაცებლათ? მტკივნეულ ად-
გილზე დადავდებს ფიზი? წაშოდა და ოთახში
სიარული დაიწყო. როგორ მოხდა, რომ „ემო-
ციურ დატლონელს“ უწოდებენ ლევან? აქი
მეცნიერ-ეგზოტიკოსს ეძახდნენ, აქი ფავნს ეძ-
ახდა ელენე რამ მიიყვანა აქამდე? ნუთუ ცოდ-
ნის სიუვარულმა, უველაფერს ვაგების სურვილ-
მა, ნუთუ დანაშაულია, რომ უველაფერი ახს-

ნა და თავისი საბელი დაარქვა რატომ ვერ ელ-
კიან ადამიანები ნეოკე საუკუნეშიც კი მი-
თებზე? რატომ ვერ უპატრიზიო მეცნიერებისა-
ვის. ტელეპატია მისტიკური სახურველი რომ
მომგლიჯა და მას ტკინის ბიოპლასმის მერხად
მლექტრომაგნიტური პროცესი უწოდა. უწე-
ბურად თავისი სტუდენტობის დროინდელ
სამხრეთ ვახსენდა და თითქოს ვიღაცას
გამოსაჩვენებლად წაიხდურა: Теленатия, теле-
патия, у меня к тебе антипатия...

კედელზე ელენეს ნახატი დაინახა. ლევანი-
ფენი. დასცინოდა ლევანს — ფორმულაში ჩაუ-
ღულს.

მაგრამ ამაო იყო ფავნის ქირქილი, ფორმუ-
ლებში ჩაფლულ კაცთან პრძოდა უპვე წაგე-
ბული ჰქონდა...

ელენეს თავების სხივი აღარ ანათებდა ნა-
პერწყალს ლევანის ხუღლი.

მის ხაში ველარ იჭერდა იმ განუმორებელ
ტონალობას, ასე რომ ხიზლავდა ადრე.

ელენეს თმას აღარ ახდიოდა ძველებური და-
მართობელი სურნელი.

სამყარომ ფერები დაქარგა, სამოხებ ვაქრა...

და ლევანი მიივდა, რომ თვით იყო ადამი,
სამყაროს შეცნობის გამო სამოთხედაქარვეული.
არ უოფილა არავითარი ვაპირეება, ადამს
ტეშმარტივას შეცნობით თავად გაუქრა ილუ-
ზორული ედემი.

...დაამს, ღმერთის მსჯავს და ხატებას, ჰქონ-
და ხედვა ტელეპკაური და მიკროსკოპული.

ლევანი ლოგინში ჩაწვა და ცოტა ხანში ჩე-
ძინა მშოთხარე ძილით. სიზმარული გამოსა-
ხულება გამოსახულებას ცვლიდა, უცნაური,
ერთმანეთთან დაუკავშირებელი. რამდენიმე კა-
ცი ერთდროულად ელამარაკებოდა და უკვე
ნათგანი ცდილობდა სხვათა ზმების გადაფარ-
ვას.

მერე იმათგან ერთი უფრო მკვეთრად გამო-
იკეთა და მთლიანად დაიპყრო ლევანის გონე-
ბა. სხვა გამოსახულებები გაქრნენ. სიჩუქე ჩა-
მოვარდა.

მის წინ კაცი იღვა ფოთლოვანი თქმოსაკრა-
ის ამარა, მხრებგანიერი, მზიანაგან გაორქული,
ლევანი წამოღდა და მის წინაშე დაიკოცა.

— ადამ, დილო წინაპარო, ჩით დემსგავსე
ღმერთს? ნუთუ წარტაცე მას საიდუმლო და
შეიცან ეს სამყარო, ნუთუ იპოვე ახლოდუტუ-
რი კეშმარტივება? მერე, რა უუჯ იგი, სად წა-
რიდე, რად არ შეუძლებ შთამომავლობას?

— არა არს რა უაშესი, ვიდრე ძიება ახსო-
დუტური კეშმარტივების, ეს უკვადვების ზა-
რებაა.

ლევანს გამოეღვიძა, და ხაწოლზე წაიქოდა.
საჩქებლში უპვე დილის შუქი უწეწეოდა.

ელენემ ბილეთის აღება მოასწრო და მატა-
რებელში ჩაქდა. ახალგაზრდა გოგო-ბიჭები

სავე იყო ვაგონი. ცარიელი ადგილი მოძებნა, კუთხეში მიჭდა. კედელზე ააყუდა თხილამურები. ფანჯრისკენ შებრუნდა. მიწელი გზა ისე გაიარა, არავისთვის გაუცია ხმა.

ქშენით მიდიოდა მატარებელი აღმართზე, ხეულ უფრო და უფრო შედიოდა თოვლის სამფლობელოში. ბოლოს გაჩერდა. ელენე გადმოვიდა. სახლი ახლოს იყო რინიგვის სადგურთან. თხილამურები მხარზე გაიღო და ფეხით გაუდგა გზას. მალე გამოჩნდა მრგვალი შორებისაგან ნაბები პატარა სახლი. თოვლი ფანჯრებამდე სწვდებოდა სახლს. ფანჯრების ქვედა ნახევარზე დაწინაურებული ჩითის ფარდები ეკიდა.

ელენე გაკვალულ ბილიეს მიჰყვა. კართან მივიდა და დააკაკუნა. არავინ უპასუხა. გოგოები შინ არ იყვნენ. ალბათ, გორაზე არიან წასულლები, გაიფიქრა ელენემ და შვება იგრძნო. ეძინებოდა ხალხთან შეხვედრა. გაახსენდა, შარშან სად ინახავდნენ გასაღებს. ხელი შეშეო მორებს შორის. გასაღები ადგილზე იყო. კარი გაღო. შევიდა სახლში, ჩანთა მაკადაზე დადო და ერთი წუთით ჩამოჭდა სკამზე. დალილი იყო, მაგრამ დასვენება არ შეეძლო, ახლა მხოლოდ მოძრაობა თუ უშველიდა. სათხილამურო კოსტიუმი ჩაიცვა, კარი ისევ დაკეტა, თხილამურები მხარზე გაიღო და გორაკისაკენ გაემართა.

ნაშუადღევ იყო უკვე. ახალგაზრდების რიგი იდგა საბაგიროსთან. აქაც ვერ იპოვა ელენემ თავისი ამხანაგები. თხილამურები ფეხებზე მოიხრგა და საბაგიროს თავისუფალ კაბინაში ჩაქდა. რამდენიმე წუთში თავზე მოექცა პატარა პლატოს. აქ ცოტა ხანს შეჩერდა. თვალს ადევნებდა ახალგაზრდებს, ურჩაბულით რომ ეშვებოდნენ ბილიკზე. მერე თვითონაც დაეშვა. სადამოვდებოდა და მშენ ძალა დაეკარგა. ცივი ჰაერი ეკვეთა სახეში, შუბლი და ლოკები დაუსუსხა, მაგრამ ამან ვერაფერი დააკლო დაშვების სიამოვნებას. მიჭკრალა ელენე დიდი სისწრაფით. მუხლებში დაძაბულობას გრძნობდა. გაპურებდა სპეტაკ თოვლს და თითქოს ამ წუთში აღარ იყო დარდი. ნეტავ, ასე გავრძელდესო უსახურლოდ, ინატრა ელენემ. აღარ უნდა შეჩერებოდა, აღარ უნდოდა რეალურობასთან, დარდთან დაბრუნება.

ჩამოვიკა ელენემ. დამთავრდა ქროლა, დაწანტდა თხილამურები. ისევ ჩაქდა კაბინაში, გორაკს თავზე მოექცა და ხელახლა დაეშვა.

რამდენჯერ დაეშვა მთიდან, აღარ ახსოვდა. დაღამებულიყო. გორაკის პლატოზე იდგა. ხალხი აღარ ჩანდა ირგვლივ. საბაგირო გამოერთოთ.

კაბინა აღარ დადიოდა. ახლა რომ დაეშვა, შეტს ვიღარ ამოვალთო, გაიფიქრა ელენემ. სახლში წასვლა არ უნდოდა. არა, ნამდვილიად არ შეეძლო ხალხთან შეხვედრა. ხულ გატყუორდიო. გაიფიქრა, ჭაჯად ვიჭკვეო მალე, მალა იხიედა. ვარსკვლავები ციმციმებდა ცაზე. მთვარის შეუქვე ვერცხლისფრად მოჩანდა თოვლი.

პლატოზე თხილამურებით გაიარ-ვამოიარა, რა უნდა ეკეთებია აქ? გადაკვეთა პლატო. მოპირდაპირე ფერდობს გადახედა. ციციბო იყო შეტად. ბილიკე არ ჩანდა თოვლზე. აქედან არავინ დაშვებულა არასდროს. ქვემოთ ბნელიონი გაიხადა, არ ჩანდა მთის ძირი. მოშორებით შერეო მთა იყო. უფრო მაღალი, თოვლით დაფარული. ელენემ თვალი მოავლო იქაურობას. მარტოდ-მარტო იყო ამ თოვლიან მთებს შორის. არ ეშინოდა. შიშის გრძნობა დაკარგოდა. ხელთათმინი გაიხადა, ხელი მიიღო ლოკაზე, მთელი ხალამო ურევავი გაატარა და არ სცოვდა — სიცოცხის გრძნობა დაქარგოდა. უკვე ჭაჯად ხომ არ ვიქეციო, — გაიფიქრა. ფერდობს გადახედა და დაშვება მოუნდა, აქედან დაშვება, ამ ჭერ გაუკვალავი ფერდობიდან. გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. ადგილიდან მოსწყდა. სრიალით წავიდა ფერდობზე, ხისწრაფეს უმატა თხილამურება.

ფერდობი უძირო ხრამით თავდებოდა. ქალმა თავბრულამხვევი ხისწრაფით ჩაიჭროლა ფერდობზე და ხრამს გადავიდო...

რადაც მიძმე მოსწყდა ელენეს ფეხებთან და ზღართანით ჩაიღწა ხრამში. უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო ქალმა. მიიხედ-მოიხედა. ხრამის თავზე მიფრინავდა თავისი თხილამურებით, ოღონდ ნელა, ძალიან ნელა. ელენე გაოცებული იყო. რა დამემართაო. ფიქრობდა. თხილამურები ხელ შევიო-ვივიო ვიადრინდნენ, თავზე გადავილო მთვარის შეუქვე ვერცხლისფრად მოილეგარე თოვლიან მწვერვალებს. ცას ახედა, შორს ციმციმებდა ვარსკვლავები. ისევ დაბლა დაიწყო დაშვება.

— ელენე! — მოესმა საიდანაც. — „ვის მეძახის?“ — გაიფიქრა. უკან მოიხედა. მისკენ ჭალი მოფრინავდა, იატაკის საწმენდ ქოხზე გადამჭდარი. გრძელი ქერა თმა მკერდზე დაფენოდა ქალს, ღმილილი უნათებდა ცისფერ თავლებს. ელენემ იცნო.

— მარგარიტა! — აღმოხდა სიხარულით.

მარგარიტამ კისხისით ჩაუჭროლა გვერდით.

მერე მობრუნდა და ხელი დაუქნია:

— აქით აქეთ მომუცია, იქ მთის გადაღმა, იქ ჭინკებია უკვე ცოცონი დაანთეს!

მასხა ჩიტი შეიღო

ის გაცილებდა ძველი ბაქნიდან
და მთებისკენ პირმექვეული
სხვას აღარაფერს,
მარტოოდენ იმას ცდილობდა,
ბაგუზე ტანჯვით მოხატული
მშვიდი ღიმილი,
არ ნაეშალა წვიმის წვეთებს,
ქარს არ წაეღო.
ყოველი ფრაზა,
ყველა სიტყვა,
თუ გინდაც ღებლი,
დიხანს ნაძებნი,
შერჩეულიც საგულდაგულოდ,
გულზე გრიალით ატვიროდა,
ვით რიყის ქვები.
მიყურდა არე,
ჩაიარა ბოლო ვაგონმაც,
მარტოლა ბებერ ლერწმიანში
უატყენდა ქარი,
მარადიული მემუსიკე
ქართლის ბაქნების.
მერე მოვარდა ტირილი,
ვით მატარებელი
და ნამწამებზე,
უკვე ნაცნობ ლიანდაგებზე,
ჩამოდგნენ ცრემლის ვაგონები
უმძიმეს ტვირთით.

დრო მოვა

თუმცა ნათელი მესხვისა,
ზეცა შავ ღრუბლებს გადირევს,
დრო მოვა,
ბოკვერს ვეფხისას
ერთხელ მეც მოვინადირებ.
თუმც ყელზე მომდე ბანარი,
ქარს მიაქვია თოკის ნარჩენი...
სიძულვილს როგორ მასწავლი,

სიყვარულისთვის გაჩენილსა,
უფსკრულმა ჯანლი აშალა,
ვერ ვთქვი,

სანუთრო ბინდია...

ჩემი დამჭერი ავშარა
ცხრა ზეცის მიღმა ჰკიდა:
კვლავ დააჩნდება ჩალიანს
ჩემი ხირიმის ნიშანი,
წყალნი მოვლენ და ნავლიენ,
გადარჩებიან ქვიშანი.
გადაადგება იაღნოს
სწივი,

ნათელის ბადალი,

არც თქვენ შეგჩრებათ, ტიალნო,
ჩემს ცაზე ავი ყრანტალი.
ისევ ცაცხლად ვარ მღვიარი,
ბნელო, პირბნელო, ავშავო,
დამაცა, ფრთა ნატყვიარი
კვლავ არწივივით გავშალო.
თუმცა ნათელი მესხვისა
და ცაც შავ ღრუბელს გადირევს,
დრ მოვა,

ბოკვერს ვეფხისას

ქსანზე მეც მოვინადირებ.

ნავიდა თოვლი

გარეთ წვიმს, მაგრამ
ვინ ჰკითხავს წვიმას,
ხედახევ
ჭალას ჩაზვერავს წისლი...
მე ვინც მახსოვდა,
ვახსოვარ იმას?
წვიმს თუ...
ჭიშკართან ფეხის ხმა ისმის.
გარეთ ქრის, მაგრამ
ვინ ჰკითხავს ქარება,
ცაზე მზის სხივი
გაბმულა სიმაღ...
რაღა ხვალ,

ახლა მითხარი ბარემ,
მე ვინც მიყვარდა,
ეუყვარდი იმათ?
გაზაფხულდა თუ
ნიავი ყვავის
ქართლის მინდვრებზე,
ტოტებზე შინდის...
ვერ მოვიკალი
ზამთარში თავი,
ვერც ბუხრის ცეცხლი
ვერ დავთმე მშვიდი.
დიდხანს ცა
აღარ დარჩება ქუფრად,
ტყეზე გადივლის
ფოთლების ზვავი,
წავიდა თოვლი
და მაღლი უფალა,
ქართლის მინდვრებზე
ნიავი ყვავის.


დახურე ზეცა

ნოემბრის ქარში
შიშნეულად შრიალებს ლელი,
დახურე ზეცა,
სიყვარული გათავდა, მორჩა,
გადაღლილ თვალებს
აღარ შერჩა არც ერთი ცრემლი,
დამსკდარ ბაგეებს
აღარ შერჩა არც ერთი ლოცვა.
ნელ-ნელა ჩაქრნენ
ვარსკვლავები,
დახურე ზეცა,
მიენდე ლამეს,
როცა ტირილს არავინ გისმენს,
უფსკრულის სკივრში
ქარი მწვანე ხავერდებს კეცავს
და საქორწინო ლეჩაქივით
ფარფატა ნისლეებს.
შორი მთებიდან
ღრუბლის ჩადრით
ამოდის მთვარე,
და შიშველ ტყეზე
წვიმის შოლტი ეშვება მძიმედ,
არ შემოგიღებს
ამიერიტ აპრილი კარებს,
ვერ აამწვანებს გაზაფხული

შენს დამზრალ იმედს.
დახურე ზეცა,
სიყვარული გათავდა, მორჩა...

მთვარი ცხენი

მთვარეში თეთრი ულაცი მიქრის.
დანალულია ლამეც მთვარიოთა,
რა ეგულება ამ ბორცვებს იქით,
ან მთებს რა ძალამ გამოარიდა?!
აღვიძებს ძველი დღეების წუხილს,
თქარუნი ფლოქეთა,
ექო ჭალების...
რა ნაცნობია, მშვიერი სუსხი
კვალში ჩამდგარი აფთრის თვალების.
და ჩუმი ელდით უმზერენ ხენი
ველს,
შემკრთალს აფთრის ტორების
გამო...
მთვარეში მიქრის ქათქათა ცხენი,
თავის ტანიდან გაქცევას ლამობს.
შენ სძულხარ აფთარს,
და ლამეს წვეკარამს,
მიაფრენ ფაფარს,
წვიმებით ბანილს,
რადგან სიბნელეს არამც და არამც
არ ერწყმია შენი თოვლივით ტანი.
სხვა ცხენებს შეხე,
თვინიერ მზერით
უდგანან შვრიით აესებულ ბაგას,
შენ კი ამაყი სითეთრის ფერით
აცოფებ ყველა ავსულს და მდაბალს.
უმწეო თრთოლვით გეგსება მჯჯა,
შენს დაღლილ მზერას ველარას
ვშველი,
ცაა,
ვარსკვლავებით დაქარგულ
ყაჯარს,
გადაგვენს ზურგზე განგების ხელი.
ღრეობს აფთარი,
თბილ სისხლით მთვრალი,
ილევა ბინდი,
ეს ლამეც მორჩა...
და ავარდნილი ფლოქვიდან ნალი —
ცის თალზე
მთვარის ნამლევი მოჩანს.



ავათა ქრისტი

ეკვიპტური სამარხის გახსნა

მოთხრობა

ჟოზეფის ვთვლიდა, რომ ყველაზე ამაღლებელი და დრამატული იმ თავგადასავლებს შორის, რაც კი ოდესმე გადამხდენია პუაროსთან ერთად. იყო იმ დაღუპულების უცნაურ გარემოებათა გამოძიება, რომელიც მოჰყვა ეგვიპტის ერთ-ერთი მეფის, მენ-ჰერ-რას სამარხის აღმოჩენასა და მის გახსნას.

უშუალოდ ტუტანჰამონის სამარხის აღმოჩენისას (რაც ინგლისელი ეგვიპტოლოგის ლორდ კარნარვონის დამსახურებაა), ნიუ-იორკიდან ჩამოსული ჯონ უილარდი და ბატონი ბლეიბერი ქაიროს ახლოს, გიზის პირამიდების მიდამოებში გათხრების ჩატარებისას, მოულოდნელად წააწყდნენ საფლავების მთელ რიგს. ამ აღმოჩენამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ერთ-ერთი საფლავი მეფე მენ-ჰერ-რასი აღმოჩნდა. მენ-ჰერ-რა იყო იმ ბნელით მოცული მერვე დინასტიის მეფეთაგანი, რომლის დროსაც ძველი სამეფო დაემხო. მაშინ ცოტა რამ იყო ცნობილი ამ პერიოდის შესახებ, და ამიტომ გაზეთებმა ახლა სრულყოფილად აღწერა ამ აღმოჩენის შედეგები.

ეს ამბავი მალე გახმაურდა და დიდი ზეგავლენა მოახდინა ხალხის მსოფლმხედველობაზე. სერ ჯონ უილარდს გულმა უმტყუნა და მალე გარდაიცვალა.

ყველაზე სენსაციურმა გაზეთებმა

მაშინვე გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტი, გაეცოცხლებინათ ყველა ის მისტიკური თქმულებანი, რომელიც დაკავშირებული იყო ეგვიპტური საგანძურის საბედისწერო თავგადასავლთან. ბრიტანეთის მუზეუმმა იმ უძველეს წაბლის ხეში მოთავსებულ სამარალო მუშიაზე, რომელიც ასეთი მგზნებარებით ამოთხარეს, გადაჭრით განაცხადა უარი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ამბავს დიდი პოპულარობა ხვდა წილად.

ორი კვირის შემდეგ ბატონი ბლეიბერი სისხლის მწვავე მოწამვლით გარდაიცვალა; რამდენიმე დღის შემდეგ კი მისმა ძმისწულმა ნიუ-იორკში თავი მოიკლა. იმ დღეებში მენ-ჰერ-რას „რისხვა“ ჩვეულებრივი საუბრის თემა გახლდათ და ეგვიპტური მიცვალებულის სულის მაგიური ძალა ფეტიშის დონეზე იყო აყვანილი.

ამის შემდეგ პუარომ ლედი უილარდის, გარდაცვლილი არქეოლოგის მეუღლისაგან, პატარა ბარათი მიიღო. ლედი სთხოვდა, შინ სწვეოდა კენსინგტონის მოედანზე. მეუ თან გაყვევი.

ლედი უილარდი — მძალი, თხელი აგებულების ქალი — თალხით იყო მოსილი. მისი გადაქანცული სახე მწუხარებას დაენისლა.

„თქვენს კეთილშობილებაზე მეტყველებს, ასე დაუყოვნებლივ რომ მობრძანდით. მუსიე პუარო“.

„მზად ვარ გემსახუროთ, ლედი უილარდ. ჩემი რჩევა გქირდებათ?“

„თქვენ, რამდენადაც ვიცი, გამომძიებელი ბრძანდებით. მაგრამ, ამჯერად, მე რჩევისთვის, როგორც გამომძიებელს, ისე არ მოგმართავთ. ვიცი, რომ დიდი გამოცდილება, ორიგინალური შეხედულებები და თქვენელი წარმოდგენები გაქვთ ამა თუ იმ მოვლენაზე. მითხარით, გეთაყვა, მუსიე პუარო, რა აზრის ბრძანდებით ზებუნებრივ ძალაზე?“

პუარო ერთი წუთით შეკოყმანდა. სანამ პასუხს გასცემდა. ჩანდა, ფიქრობდა. ბოლოს თქვა:

„მოდით, გასაგებად ვილაპარაკოთ. ლედი უილარდ, ეს ის მთავარი საკითხი არ არის, რაც თქვენ გაინტერესებთ, ხომ ასეა? თქვენ არაპირდაპირ ეხებით თქვენი მეუღლის გარდაცვალების გარემოებას.“

„მართალი ბრძანდებით“. — დაეთანხმა ქალი.

„თქვენ გსურთ, რომ მე გამოვიძიო მისი დაღუპვის მიზეზები?“

„მე მინდა დამარწმუნოთ რამდენად სწორია გაზეთების კორები და რამდენად შეიძლება დადგინდეს ეს ფაქტებით. სამი ადამიანის სიკვდილი, მუსიე პუარო! ყოველი მთვანი თავისებურად ამოუცნობი, მაგრამ უეჭველად დაუჭერებელი დამთხვევებით! და ყველაფერი ეს ხდება იმ ერთი თვის განმავლობაში, რაც სამარზი გაიხსნა. ეს შეიძლება ნაკლებ სარწმუნო ყოფილიყო. შეიძლებოდა უფრო მეტად წარსულიდან წამოსული რისხვა ყოფილიყო, რომელიც იმ გზებით მოქმედებს, რაც თანამედროვე მეცნიერებისათვის აუხსენილია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — სიკვდილის შემთხვევა! და, მეშინია, მუსიე პუარო; საშინლად შეშინებული ვარ. შეიძლება ამით არ დამთავრდეს.“

„ვის გამო შიშობთ?“

„ჩემი ვაყის გამო. როცა ჩემი მეუღლის დაღუპვის ამბავი მოვიდა, მე ავად ვიყავი. ჩემი ვაყი, რომელიც ახალი ჩა-

მოსული იყო ოქსფორდიდან, გათბრების ადგილზე გაემგზავრა და მიცვალებული ჩამოასვენა. მაგრამ ახლა ისევ წავიდა, მიუხედავად ჩემი ზვეწნა-მუდარისა. ის ისეა მოზიბლული ამ საქმით, რომ გადაწყვიტა. მამამისის ადგილი დაიკავოს და გათბრები განაგოდოს. იქნებ ბრიყვ და გულუბრყვილო ქალად ჩამთვალთ, მაგრამ, მუსიე პუარო, მე მაინც მეშინია. ხომ შეიძლება გარდაცვლილი მეფის სული ჭერაც არ იყოს დამშვიდებული? შესაძლოა, თქვენ ფიქრობთ, რომ მე სისულელეს ვლაპარაკობ.“

„არა, ლედი უილარდ. — სწრაფად თქვა პუარომ. — მე ასევე მწამს ზებუნებრივი ძალისა.“

მე გოცემული შევკურბდი პუაროს. არასოდეს შემინიშნავს მისთვის მისტიკით გატაცება. მაგრამ ეს ტანმორჩილი კაცი ამჯერად გულახდილი ჩანდა.

„თქვენ ჩემგან მოითხოვთ თქვენი ვაყის დაცვას არა? ყველაფერს გვაეკეთებ, რათა არაფერი დაუშვადეს.“

„დიახ, ოლონდ ფარულად.“

„შუა საუკუნეების პაპირუსის გრაგნილზე, ლედი უილარდ, ჩამოწერილა უამრავი საშუალებანი, წინააღმდეგობას რომ უწევდა იმ შავბნელ მაგიას. თუმცა, ჩვენმა ძველებმა ბევრად უფრო მეტი იცოდნენ მაშინ, ვიდრე ჩვენ, მთელი ჩვენი თავმომწონე მეცნიერებით. ახლა, ნება მიბოძეთ, იმ ფაქტებს დავუბრუნდეთ, რომლებითაც შემიძლია ვიხელმძღვანელო. თქვენ მეუღლეს ეგვიპტოლოგია იტაცებდა, ასე არ არის?“

„დიახ: ახლაგაზრობიდან მოყოლებული ის ეგვიპტოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტული სპეციალისტი გახლდათ.“

„მაგრამ ბატონი ბლეიბნერი, რამდენადაც გავიგე, ასე თუ ისე, მოყვარული იყო ამ დარგში, არა?“

„ოჰ, სავსებით მართალი ბრძანდებით. ბლეიბნერი მეტად შეძლებული კაცი იყო. თავისუფლად ერკვეოდა მო-



ყვარლის დონეზე ნებისმიერ საკითხში, რაც კი გაიტაცებდა. ჩემმა მეუღლემ მოახერხა დაინტერესებინა ის ეგვიპტოლოგიით. ვინაიდან სწორედ მისი ფული იყო საჭირო ექსპედიციის დაფინანსებისათვის“.

„და, ძმისწული? რას იტყვით მის გატაცებაზე, ისიც თან ახლდა ექსპედიციას?“

„მე მგონი, არა. ფაქტიურად, მე არც კი ვიცოდი თუ ბატონ ბლეიბნერს ძმისწული ჰყავდა, სანამ გავხეტებში არ წავიკითხე ცნობა მისი გარდაცვალების თაობაზე. არა მგონია, რუფეთსა და ბატონ ბლეიბნერს ოდენსე ახლო ურთიერთობა ჰქონოდათ. მას არასოდეს ულაპარაკია რაიმე ნათესაურ კავშირზე“.

„ვინ არიან ექსპედიციის სხვა წევრები?“

„დოქტორი თოსელი — ბრიტანეთის მუზეუმის უმცროსი ოფიციალური თანამშრომელი; ბატონი შნიდერი — ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმიდან. ახალგაზრდა ამერიკელი მდივანი, დოქტორი ვიმსი, და ჰასანი — ჩემი მეუღლის ერთგული მსახური“.

„შეგიძლიათ გაიხსენოთ ამერიკელი მდივნის სახელი?“

„მგონი, ჰარფერი ერქვა, მაგრამ მთლად დარწმუნებული არა ვარ. ის ბატონ ბლეიბნერთან დიდხანს არ ყოფილა. ვიცი, სასიამოვნო ყმაწვილი იყო.“

„მადლობა, ლედი უილარდ“.

„თუ კიდევ რაიმე გაინტერესებთ...“

„ახლა, მეტი არაფერი. ამიერიდან მე მომანდეთ ეს საქმე და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერს ვიღონებ, რაც კი შესაძლებელია, რათა თქვენი ვაჟი სალ-სალამათი დაგიბრუნდეთ“.

ეს სიტყვები არცთუ ისე სარწმუნოდ ეძერდა და შევნიშნე როგორ შეცბა ლედი უილარდი მათი მოსმენისას. თუმცა, ამავე დროს, ის ფაქტი, რომ გამოძიებელმა მისი შიში უყურადღე-

ზოდ არ დატოვა, თავისთავად შვება იყო ქალისათვის.

რაც შემეხება მე, მანამდე არასოდეს შემინიშნავს, რომ პუაროს ხასიათში ასე ღრმად ჰქონოდა მისტიკას ფესვები გადგმული. ამ საკითხზე ჩამოვადდე საუბარი, როცა სახლისაკენ გზას დავადექით. მის ქცევებში სერიოზულობა და გულწრფელობა იგრძნობოდა.

„მაგრამ, პასტინგს, თქვენ სათანადოდ ვერ უნდა აფასებდეთ ბუნებრივ ძალას“.

„რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის?“
ყოველდღიური პრაქტიკაა საჭირო, ძვირფასო პასტინგსა კეთილი უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დეპეშა უნდა გავაგზავნოთ ნიუ-იორკში, რათა შემდეგ გავარკვიოთ ახალგაზრდა ბლეიბნერის დაღუპვის გარემოებათა ყოველი წვრილმანი.

მან გაგზავნა სათანადო დეპეშა. პასუხი სრული და დაწვრილებითი იყო. ახალგაზრდა რუფეთ ბლეიბნერი წლების მანძილზე ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიდა. ის წყნარი ოკეანის კუნძულების სანაპიროების ემიგრანტი იყო, მაგრამ ნიუ-იორკში ორი წლის წინათ დაბრუნდა. სადაც თანდათან სულ უფრო და უფრო ეშვებოდა ცხოვრების ქაობში. ყველაზე საყურადღებო, ჩემი აზრით, იყო ის, რომ მოახერხა წინასწარ საკმაო ფულის შესახება. რათა ეგვიპტეში გამგზავრებულიყო. „მე იქ ერთი კარგი მეგობარი მყავს, ვისგანაც შემიძლია ფული ვისესხო“, — განაცხადა თურმე რუფეთმა. მიუხედავად ამისა, მისი გეგმები ჩაიშალა. ის დაბრუნდა ნიუ-იორკში და წყევლით იხსნიებდა თავის ძუნწ ბიძას, რომელიც მიცვალებულთა ძვლებზე და დაფერფლილ მეფეებზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ სისხლსა და ხორცზე. მან ეგვიპტეში დროებითი ვიზიტის შემდეგ შეიტყო სერ ჯონ უილარდის გარდაცვალების ამბავი. მაშინ კიდევ ერთხელ გადაეშვა მისთვის ჩვეულ აღვირახსნილ ცხოვრებაში ნიუ-

იორქში. შემდეგ კი თავი მოიკლა, თან ბარათი დატოვა, რომელიც რამდენიმე მეტად კუროსულ ფრანს შეიცავდა. ერთუბოდა, რომ დაწერილი იყო სინდისის ქენჯნის უცარი გაღვიძებით. ის თავის თავს კეთროვანსა და მოკვეთილს უწოდებდა. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით, რომ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ერჩია.

გაურკვეველმა ექვებმა შეიპყრო ჩემი გონება. მე არასოდეს მწამდა დიდი ხნის წინათ გარდაცვილ ეგვიპტელ მეფეთა სულების რისხვისა. აქ უფრო თანამედროვე დანაშაული დაეინახე. ვივარაუდე, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა გადაწყვიტა თავის ბიძას საწამლაკით გასწორებოდა, და სერ ჯონ უილარდმაც საბედისწერო დოზა მიიღო. ახალგაზრდა კაცი ნიუ-იორქში ჯერ კიდევ ბიძის გარდაცვალებამდე დაბრუნდა, თან სდევდა ფიქრი ჩადენილ დანაშაულზე. ბიძამისის დალუპვის ამბავმა მის ყუარამდეც რომ მიადწია, დარწმუნდა, თუ რა სასტიკი იყო მისი დანაშაული, სინდისის ქენჯნა იგრძნო და სიცოცხლე მოისწრაფა.

მე ზოგადად მოუხნავე პუაროს ჩემი ვარაუდი. ის დაინტერესდა.

„რასაც თქვენ ფიქრობთ, თქვენს გამჭირახობაზე მეტყველებს. — უპიკველად გამჭირახობაა. შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ თქვენ მხედველობიდან გამოგჩათ სამარხის საბედისწერო ფაქტორი“.

მე მხრები ავიჩიქე.

„თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ სამარხს რაიმე კავშირი აქვს მომხდარ ამბებთან?“

„საკმარისია, ჩემო მეგობარო, ხვალ ეგვიპტეში მივებზავარებთ“.

„რა-აჲ? — განცვიფრებისაგან წამოვიყვირე.“

„მე გადაწყვიტე, — გმირული შემართება იგრძნობოდა პუაროს გამომეტყველებაში. შემდეგ მოიღუშა და ჩაბუზღუნა: მაგრამ ოჰ, ზღვა! საძაგელი ზღვა!“

ერთი კვირის შემდეგ ჩვენს ფერხთა ქვეშ უდაბნოს ოქროსფერი ქვიშა იყო გართმული. ჩვენს თავზე ცხელი მზე იღვრებოდა. უბედური პუარო სულის სიმტკიცეს კარგავდა. ეს ტანმორჩილი კაცი არც ისე კარგი მოგზაური აღმოჩნდა. ჩვენი ოთხდღიანი მოგზაურობა მარსელიდან, მისთვის დაუსრულებელ ტანჯვად იქცა. ის ისე გადმოვიდა ალექსანდრიის სანაპიროზე, როგორც თავისი ნამდვილი „მე“-ს ორეული; ჩვეული კომპიობაც კი დაქარგვდა, ქაიროში ჩამოსვლისთანავე მენა ჰაუზის ოტელში გავგამგზავრე, პირდაპირ პირამიდების ჩრდილებქვეშ.

ეგვიპტის მომხიბვლელობამ დამიპყრო, მაგრამ ამას პუაროზე ვერ ვიტყოდი. ზუსტად ისევ ისე ჩაცმული იყო, როგორც ლონდონში. ჯიბეში მუდამ ტანსაცმლის ჯაგრისი ედო და განუწყვეტლივ ებრძოდა მტვერს, მუქი ფერის ტანსაცმელზე რომ ედებოდა.

„ოჰ, ჩემი ფესაცმელები. — წუწუნებდა ის. — შეხედეთ, პასტინგს, ჩემი ფესაცმელები, წმინდა პატენტირებული ტყვისაა; უოველოვის ისეთი პეწიანი და მოლივლივე იყო, ნახეთ, როგორ ჩაყრილა ქვეშა შიგ, თანაც ფესაც მტვენს და მხედველობასაც შეურაცხყოფს; სიტბისაგან უღვაშებიც კი დამიღბა“.

„შეხედეთ სფინქსს, — გავიძახოდი ისევ ჩემსას — წარმოიდგინეთ, მეც მატყვევებს მისი იღუმალება და მომხიბვლელობა“.

პუარომ უქმაყოფილოდ შეხედა სფინქსს.

„ვერ იტყვი, რომ ბედნიერი გამომეტყველება აქვს, — განაცხადა მან. — ან კიდევ, როგორ უნდა ჰქონდეს, როცა ნახევრად ქვიშაშია ჩამარხული, აჰ, ეს წყეული ქვიშა!“

„ალარ გახსოვთ, რა ქვიშიანია ბელგია?“ — ვუთხარი და გავახსენე მეტად დასამახსოვრებელი დასვენების დღეები, ნოქსიული-მელი-ში რომ გავატარეთ. უცოდველი დიუნების შეუაგულში.

როგორც ვამბეკლევშია განმარტებული“.

„ბრიტისელში ქვიშა არ ყოფილა. — განაცხადა პუარომ. ის ჩაფიქრებული ათვლიერებდა პირამიდებს. — მართლაც სოლიდური, გეომეტრიული ზომები აქვს. მაგრამ ზედაპირი უსიამოვნოდ უსწორმასწოროა. და, არც პალმის ხეები მომწონს ასე ჩამწყრივებული!“

წუწუნო იმით შევაწყვეტინე, რომ შევთავაზე ბანაისაკენ გზას დავდგომოდით. იქ აქლემებზე ამხედრებულები უნდა წავსულიყავით. ეს ცხოველები კი დაჩოქილნი მოთმინებით გველოდებოდნენ. ჩვენ იმ რამდენიმე კოლორიტულად ჩაცმული ბიჭის განკარგულებაში ვიყავით, რომელთა მეთაური ერთი მოლაყებ თარჯიმანი აღმოჩნდა.

როცა პუაროს სათვალეს აქლემზე ამხედრებისას ფეხი დავაბიჯე, ოხვრასა და წუწუნს მოჰყვა. ხელების ქნევით უხმობდა წმინდა მარიამსა და ყველა წმინდანს. ვინც კი საეკლესიო კალენდარში მოიხსენიება. ბოლოს, სამარცხინოდ ჩამოვიდა აქლემიდან და ეს მოგზაურობა სახედარზე ამხედრებულმა დაასრულა. უნდა დავამატო ისიც ჩორთით მიმავალი აქლემი არც ისე სახუმარო საქმეა გამოუცდელი კაცისათვის. რამდენიმე დღე ტანში მამტვრევდა.

ბოლოს და ბოლოს მივეუახლოვდით გათხრების ადგილს, ერთი მზემოკიდებული, ჭალარაწვერიანი კაცი, რომელსაც თეთრი ტანსაცმელი ეცვა და თავზე ჩაჩქანი ეხურა, ჩვენს შესახვედრად გამოემართა.

„მუსიე პუარო და კაბიტანი ჰასტინგსი ბრძანდებით? თქვენი დებეშა მივიღეთ. ბოდიშს გიხდით, რომ ვერავინ გამოგიგზავნეთ ქაიროში დასახვედრად. გაუთვალისწინებელმა შემხთვევამ სრულიად შეცვალა ჩვენი გეგმები“.

პუარო გაფითრდა, ხელი, ტანსაცმლის ჯაგრისისაკენ რომ აპარებდა, ადგილზე გაუშეშდა.

„კიდევ ხომ არავინ მომკვდარა?“ — აღმოხდა მას.

„დიახ“.

„სერ გაი უილარდი?“ — დავიყვირე მე.

„არა, ბატონო ჰასტინგს, ჩემი ამერიკელი კოლეგა, ბატონი შნეიდერი“.

„მიზეზი? — ჰკითხა პუარომ.

„ტეტანუსი“.

მე ფერი დავკარგე, ვგრძნობდი, ირგვლივ საშინელი ატმოსფერო სუფევდა — რთული საბედისწერო და ავისმომასწავებელი. საზარელმა ფიქრებმა მომიცვა: ნუთუ მორიგი მსხვერპლი მე ვიქნები?

ღმერთო ჩემო! — თქვა პუარომ დაბალი ხმით. — გაუგებარია... რა საზარელია... მითხარით, მუსიე, ნამდვილად ტეტანუსია?“

„დარწმუნებული ვარ, მაგრამ დოქტორი ეიმსი უფრო უკეთ მოგახსენებთ“.

„აჰ, დიახ, თქვენ ექიმი არ ბრძანდებით“.

„მე თოსული ვარ“.

ეს იყო ბრიტანელი ექსპერტი, ლედი უილარდის გადმოცემით, ბრიტანეთის მუზეუმის მთავარი ოფიციალური პირი. ამ კაცში იყო რაღაც ავტორიტეტული და შეუდრეკელი, რამც მიმიზიდა.

„თუ გამომეყვებით“, — განაგრძო დოქტორმა თოსულიმა, — სერ გაი უილარდთან წავიყვანთ. ის ძალზე მოწადინებული იყო, ეცნობებინათ, როგორც კი ჩამოხვიდოდით“.

ერთ დიდ კარავს მივეუახლოვდით, დოქტორმა თოსულიმა ასწია შესასვლელის კალთა და შიგ შევედით. იქ სამი კაცი იჯდა.

„მუსიე პუარო და კაბიტანი ჰასტინგსი ჩამოვიდნენ, სერ გაი“, — თქვა თოსულიმა.

ამ სამიდან ერთ-ერთი, ყველაზე ახალგაზრდა კაცი წამოხტა და შემოგვეგება ასე, ოცდაორი წლის იქნებოდა. მისი მოძრაობა ერთგვარად იმპულსური იყო, რითაც ძალიან ემსგავსებოდა დედამისს. ის სხვებივით მზემოკიდებული არ იყო, დაღლილი კაცის გამომე-

ტყველება ჰქონდა და ამის გამო უფრო ასაკოვანი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. თანაც აშკარად ცდილობდა მედგრად გაეძლო მკაცრი გონებრივი დამაბულობისათვის.

სერ გამე წარმოადგინა თავისი ორი კომპანიონი: დოქტორი ეიმსი — ჰყვინთური გარეგნობის ოცდაათს გადაცილებული კაცი, შევერცხლილი ქიღვაშებით, და ბატონი ჰარფერი — მდივანი, სასიამოვნო აღნაგობის ახალგაზრდა კაცი. მას ეროვნული ემბლემებით შემკული ძვლისჩაჩრიათი სათვალე ეკეთა.

რამდენიმე წუთის უთავბოლო საუბრის შემდეგ, ეს უკანასკნელი გავიდა. დოქტორი თოსუილიც თან გააყვა. დავრჩით მარტო მე, სერ გაი და დოქტორი ეიმსი.

გეთავყა, დაუსვით მუსიე პუაროს ნებისმიერი კითხვა, რომელიც კი გაინტერესებთ, — თქვა გაი უილარდმა. — ჩვენ თავზარდაცემულნი ვართ ამ უბედურების უცნაური განვითარებით. მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა გარემოებათა დამთხვევა.

ახალგაზრდა კაცის ქცევაში ნერვიული დამაბულობა იგრძნობოდა, რაც მის სიტყვებს ეწინააღმდეგებოდა. მე არ გამომპარვია, რა გულმოდგინედ აკვირდებოდა პუარო სერ გაის.

„თქვენ მთელი გულით ეძლევიტ. ამ სამუშაოს, სერ გაი?“

„სავესებით. არა აქვს მნიშვნელობა რა ხდება, ან რა მოსდევს ამას, სამუშაო გრძელდება. გაითვალისწინეთ.“

პუარო დოქტორ ეიმსს მიუბრუნდა: „თქვენ რაღას იტყვიტ, ბატონო დოქტორო?“

„იციტ, — გაწელა სიტყვა დოქტორმა. — არც მე ვაპირებ სამუშაოს შეწყვეტას.“

პუაროს სახე შეეცვალა. „მაშინ, უნდა გავარკვიოტ, როგორ წავიყვანოტ საქმე. როდის დაიღუპა ბატონი შნიედიერი?“

„სამი დღის წინ.“

„დარწმუნებული ხართ, ტეტანუსი იყო?“

„გვამმა დაგვარწმუნა.“

„სტრიქინინით მოწამვლა ხომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო?“

„არა, მუსიე პუარო. მესმის, რასაც გულისხმობტ. მაგრამ ეს აშკარად ტეტანუსი იყო.“

„შრატე არ გაუკეთოტ?“

„რა თქმა უნდა. გაუკეთოტ, — თქვა ნირწამხდარმა დოქტორმა. — ყველაფერი ვილონეთ, რაც კი შეიძლებოდა.“

„შრატე თან გქონდაოტ?“

„არა. ქაიროდან ჩამოვიტანეთ.“

„იკიდევ იყო ბანაკში ტეტანუსით მოწამვლის შემთხვევებოტ?“

„არა, არც ერთი.“

„დარწმუნებული ხართ, რომ ბატონი ბლეიბენერის სიკვდილი არ გამოუწვევია ტეტანუსი?“

„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ცერი გაჩხაპნილი ჰქონდა. საიდანაც მოწამვლა დაიწყო და სეფსისიც განვითარდა. უნდა გითხრათ ამას არა პროფესიონალიც კი მიხვდება, მაგრამ ორი რამ კი სხვაგვარადაა.“

მაშ, საქმე გვაქვს სიკვდილის ოთხ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ შემთხვევასთან. ერთი აღამიანი გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით, მეორე — სისხლის მოწამვლიტ, მესამე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მეოთხე კი ტეტანუსმა იმსხვერპლა.

„ზუსტად, მუსიე პუარო..“

„დარწმუნებული ხართ, რომ არაფერია ამ ოთხ შემთხვევას შორის საერთო?“

„კარგად ვერ გავიგე?“

„უფრო გასაგებად ავიხსნით: ხომ არ მომხდარა რაიმე ისეთი, რაც შესაძლოა, ნიშნავდეს მენ-პერ-რას წეს-ჩვეულებათა უპატივემეულობას?“

დოქტორი გაოცებული მიაჩერდა მას.

„სისულელეა! მუსიე პუარო! იმედი მაქვს, არ მოიტყუებტ თავს ამ აბღუბდით!“



„სისულელეა“ — ჩაილაპარაკა ბრაზ-
მორეულმა უილარდმა.

პუარო უშფოთველად, გაუნძრევლად
იდგა და თავის კატასავით მწვანე თვა-
ლებს აფახურებდა.

„მაშ, თქვენ არ გჯერათ. მუსიე დოქ-
ტორო?“

„არა, სერ, არა, — განაცხადა დოქ-
ტორმა ხაზგასმით. — მე მეცნიერული
აზროვნების კაცი ვარ და მჯერა რასაც
მეცნიერება გვასწავლის“.

„ანტიკურ ეგვიპტეში მეცნიერება არ
არსებობდა?“ — იკითხა რბილად პუა-
რომ, არა, არა, ნუ მიპასუხებთ, მაგრამ
მიიხარით რას ფიქრობენ ადგილობრი-
ვი მუსეები?“

დოქტორი ეიფი დაბნეული ჩანდა.

„მე ვაძჩნევ, — თქვა მან ბოლოს. —
რომ, იქ, სადაც თეთრკანიანები წონას-
წორობას კარგავენ, ადგილობრივებიც
არ ჩამორჩებიან. დასაშვებად მიმაჩნია,
რომ ისინი, ასე ვთქვათ, შეძრწუნებულ-
ნი არიან, მაგრამ ამის საბაზი არა აქვთ“.

„საინტერესოა“, — თქვა პუარომ
ორჰოფულად.

სერ გაიწამოიწია:

„უქველია, — წამოიძახა სკეპტიკუ-
რად, ვერ დაიჯერებთ, მაგრამ ეს აბ-
სურდია! თქვენ ვერაფერს გაიგებთ ან-
ტიკური ეგვიპტისას, თუ ასე იფიქ-
რებთ“.

პასუხად, პუარომ ჩიბიდან პატარა
წიგნი ამოიღო და გაუწოდა. ეს იყო
ძველისძველი დაფლეთილი წიგნი „ეგ-
ვიპტელებისა და ქალდეონების მავია“.
შემდეგ შემობრუნდა და კარვიდან გა-
ვიდა. დოქტორი მე მომაჩერდა.

„რა განუზრახავს?“

სხვისგან ნათქვამმა ამ ფრაზამ, რო-
მელიც ასე ჩვეული იყო პუაროსათვის,
ღიმილი მომგვარა.

„ზუსტად არ ვიცი, — ვალიარე მე, —
დარწმუნებული ვარ, რაღაც გეგმა შე-
იძულებია. რათა განდევნოს ბოროტი სუ-
ლები“.

: მე პუაროს საძებნელად გავემართე.
იგი გამხდარი სახის ახალგაზრდას. ბა-

ტონ ბლეიბნერის ყოფილ მდივანს ესა-
უბრებოდა.

„არა, — ამბობდა ბატონი პარფე-
რი. — მე სულ ექვსი თვეა ექსპედიცი-
აში ვარ. დიხ, საკმაოდ კარგად ვიც-
ნობდი ბატონ ბლეიბნერის საქმეებს“.

„შეგიძლიათ დაწვრილებით მიაშობთ
მისი ძმისწულის შესახებ?“

„ის აქ მოულოდნელად გამოჩნდა;
სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი იყო,
აღრე არასოდეს შევხვედრილვარ; სხვე-
ბი — კი, მგონი, ეიფი და შნეიდერი,
იცნობდნენ. მოხუცს სულაც არ განა-
რებია მისი ჩამოსვლა. მოულოდნელად
იწყებდნენ უმოწყალო ჩხუბს. „არც
ერთი ცენტი, — ყვიროდა მოხუცი. —
არც ერთ ცენტს არ მიიღებ, არც ახლა
და არც ჩემი სიკვდილის შემდეგ. მთე-
ლი ჩემი ფინანსები უნდა მოვახმარო
ჩემს ცხოვრებისეულ, მასულდგმულე-
ბელ საქმეს. ამაზე ამ დილით უკვე ვე-
ლაპარაკე ბატონ შნეიდერს“. და, კიდევ
ბევრი ამგვარი რამ ამის შემდეგ ახალ-
გაზრდა ბლეიბნერი ქაიროში გაიპარა“.

„ამ დროს კარგად გრძნობდა თავს?“

„მოხუცი?“

„არა, ახალგაზრდა“.

„მგონი რაღაც კი აწუხებდა, მაგრამ
სერიოზული არაფერი ყოფილა, თორემ
გამახსენდებოდა“.

„კიდევ ერთი. — ბატონმა ბლეიბნე-
რმა ანდერძი ხომ არ დატოვა?“

„რამდენადაც ვიცი, არა“.

„ბატონო პარფერი, ექსპედიციაში
დარჩენას აპირებთ?“

„არა, სერ, მე არა. ნიუ-იორკში მი-
ვემგზავრები, როგორც კი მოვაგვარებ
საქმეებს; გნებავთ დამცინეთ, მაგრამ
მე არ ვაპირებ იმ დაწყვეტილი მენ-
კერ-რას მომდევნო მსხვერპლი გაეხდე;
აქ რომ დავრჩე ნამდვილად ასე მოხდე-
ბა“.

ახალგაზრდამ შუბლზე ოფლი მოიწ-
მინდა. პუარო შებრუნდა, თავი ოდნავ
მოაბრუნა და მისთვის დამახასიათებე-
ლი ღიმილით მხრებს ზემოდან გადმო-
ულაპარაკა:

„გაიხსენეთ, მას კიდევ ერთი მსხვერპლი ჰყავდა ნიუ-იორკში“.

„ეშმაკმა დალახვროს!“ — თქვა ბატონმა პარფერმა დამაჯერებლად.

„ის ყმაწვილი ნერვიულია. — თქვა ჩაფიქრებით პუარომ. — ვერ ბედავდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაბედა“.

პუაროს ინტერესით მივაჩერდი, მაგრამ მისმა დღუმალმა ღიმილმა არაფერი მანიშნა. სერ გაი უილარდისა და დოქტორ თოსუილის თანხლებით გათხრები დაეთვალაერეთ. მთავარი აღმოჩენები ქაიროში გადაეტანათ. სამარხის ზოგიერთი ნივთი მეტისმეტად საინტერესო აღმოჩნდა. ახალგაზრდა ბარონეტის ენთუზიაზმი აშკარა იყო, მაგრამ შევატყვე, ნერვიულობდა, გრანობდა, მის ირგვლივ რაღაც საფრთხე ტრიალებდა. როცა ვახშობობამდე, თითო კიქა ჩაის დასალევად კარავში შევედი, თეთრებში ჩაქმული შავკანიანი მამაკაცი გვერდზე გადგა და გზა მოხდენილად დაგვითმო, თან არაბულ ენაზე ხმადაბლა მოგვესალმა. პუარო შეჩერდა.

„თქვენ ჰასანი ხართ, სერ ჯონ უილარდის მსახური?“

„მე ჩემს ბატონ სერ ჯონს ვემსახურებოდი, ახლა მის ვაჟს ვემსახურები“.

მან ნაბიჯი გადმოდგა ჩვენკენ და ხმადაბლა გვეთხრა: „ამბობენ, თქვენ ძალიან კვიციანი ბრძანდებით და გამოცდილი ხართ ამგვარი ბოროტი სულების საქმეების მოგვარებაში, უთხარიო ახალგაზრდა ბატონს, წავიდეს აქედან. აქ უბედურება ტრიალებს“.

პასუხს არც დაელოდა, ისე მოსწყდა ადგილს და გაქანდა.

„უბედურება ტრიალებს, — ჩაიბუტბუტა პუარომ. — დიახ, მე ამას ვგრძნობ“.

ვახშობმა არცთუ ისე მხიარულად ჩაიარა. პირველობა დოქტორ თოსუილს დაეთმო. იგი დაწვრილებით გეიყვებოდა ეკვიპტის სიძველეებზე, როგორც კი სხვა საკითხზე გადასასვლელად შევემზადეთ, სერ გაიმ პუაროს მკლავში ხელი ჩაავლო და რაღაცაზე მიუთითა.

გაურკვეველი ლანდი კარვებს შორის დადიოდა. ეს ადამიანის ლანდს არ ჰგავდა მე კარგად გავარჩიე ძალღისთავიანი მოჩვენება, ზუსტად ისეთი, როგორც სამარხის კედლებზე იყო ამოტვიფრული.

ამის დანახვაზე სისხლი გამეყინა.

„ღმერთო ჩემო! — ჩაიბუტბუტა პუარომ და პირჯვარი გულდაგულ გადაიწერა. — ტურისთავიანი ენუბისი, წარმავალი სულების ღმერთი“.

„ვილაც გემამახარავებს“, — იყვირა დოქტორმა თოსუილმა და აღშფოთებული ზეზე წამოიჭრა.

„თქვენს კარავში შევიდა, პარფერ“, — ჩაილაპარაკა სერ გაიმ და საშინლად გაფითრდა.

„არა, — თქვა პუარომ და თავი გადაქნია. — დოქტორ ეიმსის კარავში დაინახე“.

ექიმო მას უნდობლად მიაჩერდა; შემდეგ, დოქტორ თოსუილის სიტყვები გაიმეორა და დაიყვირა:

„ვილაც დაგვიცინის, წავიდეთ და დავიქიროთ“.

ის გაექანა იმ გაურკვეველი მოჩვენების საძებნელად. მეც გავეყვი, მაგრამ როგორადაც არ ვეცადეთ, კვლიც კი ვერ ვიპოვეთ იმ სულიერისა, იქ რომ ჩაიარა. ერთგვარად შეძრწუნებულები დაებრუნდით და დაინახეთ, პუაროს რაღაც გადაწყვეტილება მიეღო, რათა უზრუნველყო თავისი უსაფრთხოება, ის საქმიანად ხაზავდა ათასგვარ დიაგრამას, აკეთებდა წარწერებს ჩვენი კარავის ირგვლივ, მე ხუთქიმიან ვარსკვლავს თუ ხუთკუთხედს მოვკარი თვალი, პუარო ამავე დროს იმპროვიზებულ ლექციას კითხულობდა გრძელულებასა და საზოგადოდ, მაგიაზე; თეთრ მაგიახზე, როგორც შავი მაგიის საწინააღმდეგოზე; აქვე იყო — მიცვალებულების სულთა ნაირსახეობები და წმინდა წიგნიც შიგ ჩართული.

ჩანდა, რომ ამან აშკარა ზიზღი გაუღვიძა დოქტორ თოსუილს, გამძვინვარდა.

რებულმა გვერდზე გამწვია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

„სისულელეა, სერ, — აღმოხდა გაფთრებულს. — მტკნარი სისულელეა. ეს კაცი თვითმარტვიანა. ის ვერ ანსხვავებს შუა საუკუნეების რელიგიურ ცრურწმენასა და ანტიკური ეგვიპტის რწმენას ერთმანეთისაგან, არასოდეს შეეგვედრივარ უვიცობისა და რწმენის მსგავს აღრევას“.

აღშფოთებული ექსპერტი დავამშვიდე და კარავში პუაროსთან შევედი. ჩემს ტანმორჩილ მეგობარს მზიარულად უბრწყინავდა თვალები.

„ახლა შეგვიძლია მშვიდად დავიძინოთ. — განაცხადა მან მზიარულად. შემიძლია გემოზე გამოვიძინო. თავი მისკდება ტვივილისაგან. აჰ, კარგი იქნებოდა ახლა გვირილის ნაყენი“.

თითქოს სურვილი შეინმინაო, კარვის კალთა აიწვია და პასანი გამოჩნდა ორთქლიანი ფინჯნით ხელში. ფინჯანი პუაროს მიაწოდა. შიგ მართლაც აღმოჩნდა გვირილის ნაყენი, პუაროს ასე რომ უყვარდა. პუარომ პასანს მადლობა გადაუხადა, მაგრამ, რატომღაც, ნაყენი ჩემთვის არ შემოატანინა. ჩვენ მარტონი დავრჩით. ტანთ რომ გავიხადე, ცოტა ხნით კარვის ზღურბლთან შეეჩერდი და უდაბნოს გავხედე.

„შესანიშნავი ადგილია, — ხმამალა ვთქვი, — და საინტერესო სამუშაოა. მოხიბლული ვარ: უდაბნოს ცნოვრება, წარმავალი ცვილიზაციის კვალის ძიება! უეჭველია, პუარო, თქვენც გრძნობთ ამ მომხიბვლელობას?“

პასუხი რომ ვერ მივიღე, გაბრაზებულმა მივიხედე მისკენ. ჩემი გაბრაზება წუხილმა შეცვალა. პუარო ტახტზე გადაწოლილიყო. სახე საშინლად შეშფოთებული ჰქონდა; გვერდით ცარიელი ფინჯანი ედგა. მისკენ გავქვანე. შემდეგ გარეთ გავვარდი და დოქტორ ეიმსის კარვისკენ გავიქეცი.

„დოქტორ ეიმს! — დავიყვირე, — სასწრაფოთ წამოდით!“

„რა მოხდა?“ — იკითხა ექიმმა.

„ჩემი მეგობარი... ავადა, კვდება. გვირილის ნაყენი... პასანი არ გაუშვათ ბანაკიდან!“

ერთ წუთში დოქტორი უკვე ჩვენს კართან იყო. პუარო ისევ ისე იწვა, როგორც დავტოვე.

„საოცრებაა, — იყვირა ეიმსმა. ტვინში სისხლის ჩაქცევას ჰგავს... როგორ თქვით, რა დალიაო?“ — მან ცარიელი ფინჯანი აიღო.

„ოღონდ ნაყენი არ დამიღევია!“ — გაისმა მშვიდი ხმა.

განცვიფრებულეებმა მოვიხედეთ და დაეინახეთ პუარო საწოლზე წამოძვარიყო და ილიმებოდა.

„არა, — თქვა მან მშვიდად. — არ დამიღევია. სანამ ჩემი ერთგული მეგობარი პასტინგსი ღამეს ეჩურჩულებოდა, დრო ვინელთე და პატარა ბოთლში ჩავასხი. ამ პატარა ბოთლს ანალიზისთვის წავიღებ. არა... თქვა მან, როცა დოქტორი უცებ შეირხა, — როგორც გონიერ კაცს შეეფერება, მიხედებით, რომ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს; პასტინგსი თქვენს საძებნელად რომ წამოვიდა, ბოთლი საიმედო ადგილას შევინახე. აჰ, სწრაფად. პასტინგს, დაიჭირეთ!“

მე ვერ მიგხვდი პუაროს აღშფოთების მიზეზს და ვინაიდან ჩემი მეგობრის გადარჩენა მინდოდა, წამსვე მასთან გავჩნდი, მაგრამ დოქტორის სწრაფი მოძრაობა, სულ სხვა რამეს ნიშნავდა. მან ხელი პირთან მიიტანა, პაერი ნუშის მძაფარი სუნით გაიყენთა. დოქტორი მოიხარა და დაეცა.

„კიდევ ერთი მსხვერბლი, — თქვა პუარომ მკაცრად. — მაგრამ უკანასკნელი. თუმცა ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. მას უკვე სამი სიკვდილი აწევს კისერზე“.

„დოქტორი ეიმსი?“ — წამოვიყვირე გაოგნებულმა. — მაგრამ, მე ვფიქრობდი, თქვენ გჯეროდათ ბნელით მოცული ძალების ზემოქმედებისა“.

„თქვენ ვერ გამოგეთ, პასტინგს. მე მხედველობაში მქონდა, რომ მწაშს მი-

სტიკური ძალისა, ხალხში მტკიცედ დამკვიდრდა რწმენა, რომ მსგავსი მკვლელობები ზებუნებრივი ძალის მეშვეობით ხდება. ხოლო ცრურწმენის ინსტიტუტი იმდენად ძლიერია, რომ შესაძლოა კაცს თავს დაესხა დღისით-მზისით და ეს ბნელი ძალის რისხვას მიაწერონ. თავიდანვე ეკვი მქონდა, რომ ვინმე ისარგებლებდა ამ ინსტიტუტით. წარმოვიდგინე რომ ეს იდეა ვილაცას მოუეიდოდა სერ ჯონ უილარდის გარდაცვალების შემდეგ. მართლაც რელიგიურმა ცრურწმენამ მაშინვე იფეთქა: რამდენადაც შემძლო დამენახა, შეუძლებელი იყო ვინმეს რაიმე გარკვეული გამორჩენა ჰქონოდა სერ ჯონის სიკვდილით. ბატონი ბლეიბნერის საქმე სხვაგვარად იყო. ის დიდი ქონების ბატონი ჩანდა. ეს ინფორმაცია ნიუ-იორკიდან მივიღე, რომელიც შეიცავდა რამდენიმე წინადადებას. უპირველეს ყოვლისა, იმ თქვენს ახალგაზრდა ბლეიბნერს ეთქვა, რომ მას ერთგული მეგობარი ჰყავდა ეგვიპტეში. ვისგანაც შეიძლო ფული ესესხა. შეიძლებოდა გვეკვარაუდა, რომ თავის ბიძას გულისხმობდა. მაგრამ ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ასე რომ ყოფილიყო, ის აშკარად იტყოდა. ბლეიბნერის სიტყვები მიგვიანიშნებს მის მხიარულ თანამეინახეებზე. მეორე ის, რომ მან დააგროვა საკმაო თანხა, რათა ეგვიპტეში გამგზავრებულიყო. ბიძამისმა აშკარად უარი უთხრა წინასწარ მიეცა ერთი პენიცი კი, თუმცა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ მისთვის ნიუ-იორკში დასაბრუნებელი ფული გადაეხადა. ვილაცას უნდა ესესხებინა მისთვის ეს ფული“.

„ყველაფერი ეს თეთრი ძაფითა ნაკერი“ — გაუწევი წინააღმდეგობა მე. „მაგრამ, მეტსაც გეტყვით. პასტინგს, ხშირად ხდება, რომ მეტაფორულად ნათქვამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ. ასევეა პირიქითაც; ამ შემთხვევაში, ის რაც, ნათქვამი იყო პირდაპირი გაგებით, მეტაფორულ-

ლი მნიშვნელობა მიიღო. ახალგაზრდა ბლეიბნერმა საკმაოდ გასაგებად დაწერა: „მე კეთროვანი ვარ“, მაგრამ არავის უფიქრია, რომ მან თავი მოიკლა იმიტომ, რომ კეთრი შეეყარა“.

„რა-ა?“ — წამოვიძახე მე. „ეს იყო ვერაგი ჭკუის გონივრული გადაწყვეტილება. ახალგაზრდა ბლეიბნერი იტანჯებოდა კანის რალაც ძლიერი დაავადებით. ის სამხრეთის ზღვის კუნძულებზე ცხოვრობდა. სადაც ეს დაავადება მეტად გავრცელებულია. ეიმს მისი ერთ-ერთი მეგობარია და კარგად ცნობილი მედიკოსიც; მას არასოდეს ეპარებოდა ეკვი ბლეიბნერის სიტყვებში. როცა აქ ჩამოვედი, ჩემი ეკვი პარფერსა და დოქტორ ეიმსზე შევაჩერე. მაგრამ მალე მივხვდი, რომ მხოლოდ დოქტორს შეეძლო ჩაედინა და დაეფარა დანაშაული და პარფერისაგან გავიგე, რომ მას წინასწარ გააცნეს ახალგაზრდა ბლეიბნერი. უეჭველია, ეს უკანასკნელი ოდესმე ანდერძს შეადგენდა ან უზრუნველყოფდა დოქტორის ცხოვრებას. დოქტორმა დაინახა ქონების მიღების შანსი. მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა მომაკვდინებელი აცრები ჩაეტარებინა ბატონი ბლეიბნერისათვის. შემდეგ კი ძმისწულმა, რომელიც უიმედობამ შეიპყრო, იმ საზარელი ახალი ამბის შემდეგ, რაც მისმა მეგობარმა შეატყობინა, თავი მოიკლა ბატონ ბლეიბნერს არავითარი ვანზრახვა არ ჰქონია ანდერძი შეედგინა. მისი სიმდიდრე ძმისწულს გადაეცემოდა, მისგან კი — დოქტორს“.

„და, ბატონი შენიდერი?“ „ჩვენ დარწმუნებული არა ვართ. ისიც იცნობდა ახალგაზრდა ბლეიბნერს, და, შესაძლოა, ეჭვობდა კიდევ რალაცას, ან, იქნებ, ისევ დოქტორი ფიქრობდა, რომ კიდევ ერთი, უმოტივო და უმიზნო სიკვდილი გააძლიერებდა ცრურწმენის გორგალს. გარდა ამისა, ახლა ერთ საინტერესო, ფსიქოლოგიურ ფაქტს მოგახსენებთ, პასტინგს, მკვლელს ყოველთვის აქვს სურვილი

საქართველოს საკითხმა გამოხმობურება მპოვა საზღვარგარეთ. რუსეთის საქციელი მკაცრად დაგმეს და 1924 წლის აქანუბას პრეხამ კომენტარი გაუქეთა.

* ისინი იყვნენ: ს. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, იმწიელი, პოქორაშვილი, ჟინორია.

საქართველოს ოკუპაციის შესახებ ბატონ-
ედუარდ პერიოტი წერდა: „საქართველოსა და
საბჭოთა რუსეთის შორის კანონიერა ხელშეკ-
რულებით დადების შემდეგ მშვიდობიან საქარ-
თველოზე თავდასხმა ერთ-ერთი უსაზივნელოესი
მოქმედებაა, რაც კი ინტორიან შემოუწინაბავს
ბელგის საზღვრების დახრევის შემდეგ. ან-
ტანტის მიერ ამ ბოროტკმედების დაშვება
მისი ხილარის დამადასტურებელია“.

საბჭოთა დელეგაციის სურდა 1922 წლის ენ-
ნევის კონფერენციაზე საქართველოს წარმო-
მადგენლად წარედგინა ქართველი კომუნისტი
მ. მდვანი, დელეგატებმა ის არ დაუშვეს. შემ-
დგომში კი თავად წითლებმა დახვრატეს.

1922 წლის 1 აპრილს, სენატის საგარეო საქ-
მეთა და დეპუტატთა პალატის კომისიამ მიი-
ღო რეზოლუცია კავასიიდან წითელი არმიის
გაყვანის შესახებ, როგორც „საფრანგეთსა და
მის მოკავშირეებსა და საბჭოთა და თურქეთის
შთავრობებს შორის მოლაპარაკებების დაწყე-
ბის წინააღმართი პირობა“.

ენევის ცრანგულ დელეგაციას პრეზიდენტ-
მა პუანკარემ განუცხადა რომ „საფრანგეთის
შთავრობა არ დაუშვებს ამგვარი საქითი გა-
ნინილის იმ შთავრობის წარმომადგენლებთან,
რომლებმაც კანონიერი შთავრობა განდევნეს
საქართველოდან“.

კონფერენციამ მიიღო საფრანგეთის დელეგა-
ციის წინადადება, რუსების შიობოვნა კი უშუ-
აგად.

ამ პერიოდში სვანეთი და ზეგხურეთი აქა-
ნდა და საქართველოს კათალიკოსა ამბროსიმ
ენევის კონფერენციას მხარდაუჭერა თხოვა-
ნიმად თხოვნით მიმართა 1922 წლის ლონჯონის
კონფერენციასაც.

ერთა ლიგაში, 1922 წლის 2 სექტემბერს ჩა-
ტარდა თათბირი, საქართველოს მხარი დაუჭირეს
ინგლისის (ლორდ სესილი), ბელგიის (დე ბრუ-
კერი), პოლონეთის, (ასკენაზი), შევიცარიის (მო-
ტა) წარმომადგენლებმა და დეპუტატების შემდეგ
ერთხმად მიიღეს აქტი, რომელიც აცხადებდა:
„ერთა ლიგა ვალდებულია სათათბიროს,
თვალუური ადვანოს მსოფლიოს ამ ნაწილში
მიღწერაზე მოკლებებს იმ მიზნით, რომ მოი-
ხელთოს ზელსაყრელი მომენტი და საერთაშო-
რის საშარათლის შეხატვისი მშვიდობიანი სა-
შუალებებით დაუბრუნოს ამ ქვეყანას ნორმა-
ლური მდგომარეობა“.

1924 წლის 15 მაისს განთავისუფლების აა-
ტაქქვეშა კომიტეტმა ერთა ლიგის 14 ასამბ-
ლეის წაუყენა მემორანდუმი. 1924 წლის აქან-
ტების შემდეგ მეორე მემორანდუმი წაუყენ-
ნენ 4 ასამბლეას, რომელიც სატელოღურმა კო-
მისიამ შეისწავლა და ასამბლეამ კვლავ მიიღო

1922 წლის რეზოლუცია. ამის შემდგომ საქარ-
თველოს საქითი აღარ წამოკრილა“.

ამაზობაში მოკავშირეული ცნობდნენ საბჭო-
თა რუსების, რომლებმაც ხელშეკრულებით და-
დო სპარსეთთან, ავღანეთთან და თურქეთთან.
1921 წლის 10 მარტს რუსეთმა სავაჭრო ხელ-
შეკრულება დადო ინგლისთან, 28 აპრილს —
გერმანიასთან, 2 სექტემბერს — დანიასთან, 4
დეკემბერს — ავსტრიასთან, 28 დეკემბერს —
იტალიასთან, 1922 წლის 6 ივნისს — ჩეხოსლო-
ვაკიასთან, სწრაფად განახლეს ხავჯრო ურთი-
ერთობები, რასაც მოჰყვა მისი დე იურედ ცნო-
ბა. 1921 წლის 4 მაისს გერმანიამ იგი დე ფაქ-
ტოდ ცნო. ბოლო 1922 წლის 4 ანგვარს, რაპა-
ლოში ხელმოწერილი ხელშეკრულებით დე იუ-
რედ.

თუ ენევის კონფერენციაზე რუსეთი გან-
ცალკევებული იყო, ლონჯონის კონფერენციაზე
მოკავშირეები იძულებული იყვნენ, სრულტე-
ბის პრობლემებზე საკანონოდ მოეწყვიტათ.

1924 წლის 8 აგვისტოს ინგლისმა სცნო საბ-
ჭოთა შთავრობა, ბოლო იმავდ წლის 28 ოქ-
ტომბერს საფრანგეთის ქერი დაედა. ინგლისის
მიერ სსსრ-ს ცნობა ცოტა ხნით უნგრებადა ქა-
ნებას და 1924 წლის 28 სექტემბერს, ერთა
ლიგის მეხუთე ასამბლეაზე, მადონალდმა აკ-
რატადა საქართველოს საქითი: მან მოიხვე-
ლია მეორე ინგლისელი დელეგატი ჭ-
მურეი, რომელმაც განაცხადა: „მისი უდიდებუ-
ლესობის შთავრობამ სცნო საბჭოთა სოციალის-
ტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც რუ-
სეთის ძველი იმპერიის ტერიტორიათა დე იუ-
რე შთავრობა, რომელმაც თავი აღიარა საბჭოთა
კავშირის ხელისუფლებად. ჰერს სხვა არაფერი
გავეკეთებია“. საფრანგეთიც ამ გზას დააფუძა და
1924 წლის 28 ოქტომბერს პრეზიდენტმა ედუარდ
პერიოტმა განაცხადა, რომ იმ დღიდან რესპუბ-
ლიკის შთავრობა დე იურედ ცნობდა სხვა მთავ-
რობას, როგორც ძველი რუსული იმპერიის ტე-
რიტორიათა შთავრობას, ხალაკ ზეგისუფლებსა
მიიღო მოსახლეობამ...“.

მსგავსი პოლიტიკური სიფრთხილებით ვერ
განამტკიცებდნენ საქართველოს შერუეულ სტა-
ტუსს.

გრძელობა რუსეთის ამგვარ დიპლომატიურ გა-
მარჯვებათა ნია, ამ მხრივ საქმარისია ადვინო.
ნათა საფრანგეთ-რუსეთის კაქტი და შეცარ-
რიცხოვანი ერების გაერსორის დაშვება ერთა
ლიგაში.

საფრანგეთ-რუსეთის თავდაუსხმელლობის პაქ-
ტის თანახმად მოლაპარაკების არცერთი მონა-
წილეს თავის ტერიტორიაზე არ უნდა დაეშვა
მეორის წინააღმდეგ მომართული ორგანიზაციუ-
ბის მუშაობა, აქ საბჭოთა შთავრობა გულისხ-

* მ. ლეონტი, დემოკრატია, სოციალიზმი და
ერთა ლიგა მშვიდობის წინააღმდეგ, დოკუმენ-
ტები, პოპკი, 1937.

მზიდა თავის შტებს — საქართველოს უწინდელ სოციალისტურ მთავრობას და მის დელეგაციას, რომელიც მან პარიზში შეინარჩუნა. ის 14 წლის განმავლობაში ოფიციალურად წარმოადგენდა და მსოფლიოებელ საქართველოს პარიზში. დემუტატა პალატაში ბანკრძლივი დებატების შემდგომ, რომელიც გამსჭვალული იყო საქართველოს მიმართ სიმპათიით, პარიზში საქართველოს დიპლომატიური მისია გაუქმდა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესორი ლუი ლე ფური ამტკიცებდა, რომ პაქტის მეოთხე მუხლი არ ითვალისწინებდა საფრანგეთში საქართველოს წარმომადგენლობის გაუქმებას, რადგან პაქტმა პატივი უნდა სცეს ადრე ხელმოწერილ ვალდებულებებს*.

საბჭოთა რუსეთის დაშვება ერთა ლიგაში, რომელსაც ლენინი ბანდიტთა ასამბლეას უწოდებდა, პაქტის ფუნდამენტურ პრინციპს არღვევდა. ამ ფაქტმა მთელი მსოფლიოს პროტესტი გამოიწვია, ამასთან დაკავშირებით შვეიცარიელი პ. ე. ბრიკე წერდა: „მოსკოვს სურს მოგვაჩვენოს, თითქოს ქართველ ისევე, როგორც სხვა ალბოგენ ხანლთა საკითხი საშინაო საკითხია, რომელიც ყენევას არ ეხება. ეს თვალსაზრისი წინააღმართად განწირულია. ერთა ლიგას არა ერთხელ უმსჯელია საქართველოს დამოუკიდებლობაზე. დღეს ის გადათქვამს თავის აზრს, ეს მისთვის სახიფათო საკითხია. რისთვის შეიქმნა ერთა ლიგა? ეგოისტური ინტერესების ხელშეწყობად თუ სამართლიანობის დანაშაუარებად? ნუთუ იგი ანგარიშსა და პოლიტიკას ანცვალებს თავისი არსებობის მიზანსა და უპირველეს მოვალეობას? ერთა ლიგა, რომელიც უარს ამბობს პაქტის გამოყენე-

ბაზე და სწირავს საყოველთაო სამართლიანობას, თვითონვე არღვევს პაქტს**.

პარიზული გზებით „ლე ფურის“ რედაქტორი ბ. ხაილი წერდა: „ისევე როგორც სხვა ძლიერი სახელწიფოეთთან, შვეიცარია საფრანგეთთანაც მართალია, როცა ის იცავს ერთა ლიგის პაქტის ძირითად პრინციპებს. აქი ერთა ლიგამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს ამყარებდა სამართლიანობისა და პატივის ნების პრინციპებზე“***.

ერთა ლიგაში სსკ დაშვებით, ფაქტობრივად, ოფიციალურად აღიარეს საქართველოზე რუსეთის ბატონობა.

ამ მოვლენების წინაშე ქართველ ხალხს უკან არ დაუხევია. იგი უკველ ხელსაყრელ მომენტში ხმას იმაღლებდა თავისუფლების მოთხოვნით. მთელი სამყარო თანუგრძნობდა მას ამ გამოცდის ეამს. საქართველოს ისტორიის საუკუნოდ შემორჩება პრეზიდენტ მოტას ამაღლევიბელი სიტყვა, ერთა ლიგაში საბჭოთა რუსეთის დაშვებისთან დაკავშირებით წარმოთქმული: „როდესაც მას დაუშვებენ, ასამბლეის საბჭოს ბევრი გადასაჭრელი საკითხი გაუჩნდება. საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მივიწყებას როდი მიეცევიან. სომხეთი, უკრაინა და სხვა ქვეყნები კიდევ შეხვდებიან მათი საკითხით დაინტერესებულ ღირსეულ პორვნებებს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი აღარ წამოიჭრება. ცივილიზებული სამყარო სიმპათიით შეპყრებს გმირებს, რომლებიც იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და სიცოცხლეს. ანე რომ, ამ საკითხებს დავიწყება არ უწერიათ“.

* „ლე ფურნალ დე ენევე“ 1934. 14 აპრილი.

** „ლე ფურ“ 14 სექტემბერი 1934.

*** კრებულო, სსკ ენევეში. 1934, ენევე.

* ლ. ლე ფური, საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

ფრანგულიდან თარგმნა
სოფიკო ბანდიანილიძე





ლიტერატურული ნაწარმი

ამირან ბალანჩივაძე

სინათლე და სინათლის აღქმა გოეთეს მსოფლმხედველობასთან მიპარობვაში

კაცობრიობის კულტურის უდიდეს მოღვაწეს, გოეთეს, დღეს ნაკლებად იცნობენ, როგორც ბუნებისმეტყველს. მაგრამ მეცნიერები, რომლებმაც შეინწავლეს მისი შრომები, ერთსულოვნად აღიარებენ მის გენიას. ამ სფეროშიც გოეთემ დიდი კვალი დატოვა ბოტანიკის, ოსტეოლოგიის, მეტეოროლოგიის და მეცნიერების სხვა დარგებში. მაგრამ გოეთეს სწავლება ფერტა შესახებ. ანუ „ქრომატიკა“. უეჭველად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ. თავად გოეთე „ქრომატიკას“ თავისი შემოქმედების უველაზე მნიშვნელოვან ნაყოფად თვლიდა და სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო მის სისწორეში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ისტორიული ფაქტიც. ცნობილია, რომ გოეთე შემწუნარებლობას იჩენდა სხვების მიერ გამოთქმულ განსხვავებულ მონაზრებათა მიმართ: მაგრამ „ქრომატიკის“ საკითხში იგი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ნიუტონის სკოლას.

ოფიციალურმა (ესე იგი, სასწავლო დაწესებულებებსა და აკადემიებში მიღებული) მეცნიერებმა, ასე ვთქვათ, ვერდი აუარეს „ქრომატიკას“. ამ ნაშრომის ნაწილი, რომელიც ფიზიკურ ფერებს ეხება, ახლაც არ არის აღიარებული. ოპტიკის არც სასწავლო და არც საეციალურ კურსებში გოეთეს სახელი არ არის მოხსენიებული ისტორიულ ასპექტშიც კი. ასეთი დამოკიდებულება მით უფრო გასაკვირია, რომ „ქრომატიკა“ (ეტიმოლოგიური სწავლების ექსპერიმენტული ნაწილი) არა ერთ-

ხელ შემოწმებით და უღიარებიათ. გავადევნოთ თვალი ოპტიკის განვითარებას.

ოპტიკამ შედარებით მოკლე დროში რიგი პრინციპული ცვლილებები განიცადა და ბოლოს კორპუსკულარულ-ტალღურ თეორიამდე მივიდა. თავდაპირველად, როგორც ეს ცნობილია, ნიუტონის ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად, სინათლეში გულისხმობდნენ კორპუსკულუმებს, როგორც მახის მქონე ნაწილაკებს. რომელთა სიდიდე განსაზღვრავდა ფერს. პიუგენის ტალღური თეორიის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სინათლეში ტალღურ პროცესს გულისხმობდნენ. მაგრამ იმისათვის, რომ სინათლის გავრცელების შესახებ ჩვეული წარმოდგენისათვის სუბსტანციური სახე მიეცათ, წამოაყენეს დრეკადი ეთერის თეორია. უფრო გვიან, როდესაც ცნობილი გახდა ელექტრომაგნიტური ველის კანონები და იგი აღიარებული იქნა „მატერიის განსაკუთრებულ სახედ“. ტალღური თეორია სინათლის ელექტრომაგნიტური თეორიის სახით მოგვევლინა. ეს თეორია სხავერდ ენერგიას განიხილავს, როგორც სივრცეში გავრცელებულ ელექტრომაგნიტურ რხევას, და ბოლოს, აბსოლუტური შავი სხეულის ფენომენის განმარტებისათვის აინშტაინმა და პლანკმა საფუძველი ჩაუყარეს სინათლის კვანტურ თეორიას. ამგვარად, ფიზიკაში მოვლენათა ერთი ნაწილის განმარტებისათვის მისაღება მხოლოდ კვანტური თეორია, მეორე ნაწილისათვის კი ელექტრომაგნიტური.

უკვე თვით იმ ფაქტმა, რომ ოპტიკის განვითარების ისტორიაში ადენი წარმოდგენა შე-

იცვალა, უნდა დაგავიქროს ბოლო ცნების სისწორეზე. კორპუსკულარულ-ტალღური თეორია უაღრესად დიდი მიღწევაა ფიზიკის დარკში. ამასთან, სწორედ ის მივიხილეთებს სინათლის ფენომენის შემდგომი შეხვედრის აუცილებლობაზე, რადგან იმ ფაქტმა, რომ სინათლე ერთდროულად გვევლინება როგორც ტალღა და ფოტონი, მიგვიყვანა ამ ფენომენის საიდუმლოებასთან. მაგრამ არა მხოლოდ ეს დაუალწმია დამავიქრებელი. ამ არსებულ ფიციკალურ წარმოდგენებს ოპტიკაში მძლავრად უტევს მთელი რიგი ბუნების მოვლენები, რომლის ახსნა-გაანარტება ძალზე პირობითურია, ამას ემატება ტექნიკის ახალი მიღწევები (ფერადი ფოტოგრაფია, ტელევიზია და სხვ.). აუხსნელ მოვლენებს უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, ბუნების ეფექტი და ედვინ ლენდის ცდები.

ბუნების ცდა მდგომარეობს იმაში, რომ შავ-თეთრ ზოლებიანი დისკოს ტრიალისას, ბრუნვის გარკვეული სიჩქარისათვის ყოველგვარი ოპტიკური მოწყობილობის გარეშე წარმოიქმნება ობიექტურ ფერა სპექტრი.

ამერიკელი ფიზიკოსის ედვინ ლენდის ცდები დაუყვანილია ცნობილ ფოტოგრაფულ მეორედამდე, ლენდმა გადაიღო ორი შავ-თეთრი ფოტოსურათი ხახხას ფერის ობიექტისა, ოღონდ ფერადი ფილტრების გამოყენებით. შემდეგ ორი პროექციული აპარატის საშუალებით დიპოზიტების სახით პროექცირებულ იქნა ეკრანზე ორივე შავ-თეთრი სურათი იმავე ფილტრების გავლით და შიდაწევს მათ სრულ თავისებებს. ამასთანავე, ეკრანზე ჩნდება შეცვლილი სურათი ყველა იმ ფერის გამოვლენით, რომლებიც ობიექტს ახასიათებდა.

ახლა კი გავიხსენოთ გოეთეს ის დებულებები, რომლებიც საპირაპა აქ დასახულ აზრთა მსვლელობისათვის.

1. „ფერები — ეს სინათლის საქმენია, საქმენი და ვინაა“. ფერები წარმოიქმნებიან სინათლის და სიბნელის (ანუ „წყვედიადის“) გარკვეული ურთიერთ შემოქმედების შედეგად. სინათლე და სიბნელე ეს მოპირდაპირე, პოლარული რეალობანია, მსგავსად ბუნების სხვა პოლარობისა: სითბო-ციფე; მიზიდულობა-განზიდულობა; კლიუხ-მინუხი და ასე შემდეგ. სიბნელე არ წიშნავს უსინათლობას; სიბნელე არ არის ანარაჩობა; — იგი არის სინათლის საპირისპირო რეალობა, უფრო ფართო მნიშვნელობით, ყოველგვარი ცნობილი მატერიალური გარემო სიბნელე ეკუთვნის. თავად მატერია, რომელშიც სინათლე იფრქვევა, სიბნელის წარმომადგენელია, ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხილული სინათლე „წმინდა“ სინათლის წარმომადგენელია. ფერები კი სინათლის და მატერიალური გარემოს ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიქმნება. საქატრული ფერების წარმოქმნისათვის აუ-

ცილებელია განსაკუთრებული „დინამიკური“ ურთიერთქმედება მატერიალურ გარემოსთან. რომელიც შეიძლება იყოს გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე ანდა საერთოდ გაუმჭირვალე. ამ გარემოში, რომელსაც მღვრიე გარემოს უწოდებენ, სინათლის გაბრუნების წარმოიქმნება ეგერე წოდებული დიპოტიკული ფერები, როდესაც ბნელ ფონს (ანუ გარემოს) განათებულ გარემოში ავირდებიან, ხედავენ მოლურჯო ფერებს; როდესაც ნათელ ფონს მღვრიე გარემოში ავირდებიან, ხედავენ წითელ-ყვითელ (ნათელ) ფერებს. ეს მთავარი ფენომენები განსწავლავენ ყველა ბუნებრივ ფერთა მოვლენებს (მაგალითად, ცის სილამუვარდის, აისის და დანის ფენომენს, მთათა სილურჯეს და სხვა). ფერთა მოვლენების მთლილი სისტემა ძირითადად დაიყვანება მღვრიე გარემოს შესწავლაზე. ამიტომ ყველგან, სადაც საქმე ფერებს ეხება, ურთიერთმოქმედებენ სინათლე და მღვრიე გარემო. ჩახედეთ პირამაში ქალაქის თეთრ ფურცელს, — თქვენ ვერ შეამჩნევთ ვერც ერთ ფერს. მოათავსეთ ფურცელზე მუქი ფერის საგანი და თქვენ წინაშე გამოიშლება ფერთა საოცარი სპექტრი, გოეთე ამატიცებს, რომ ფერები წარმოიქმნება მხოლოდ სინათლის და სიბნელის სახეღარზე.

2. სინათლე — ეს უმაღლესი, ელემენტარული და, მასხადადე, დაუშლელი არსია. ამრიგად, შეუძლებელია სინათლე დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად (ანუ ფერებად). ყველა ფერი „ნახევრად“ ჩრდილის ხაზს წარმოადგენს და სინათლესთან შედარებით უფრო მკრთალია, ამიტომ, ფერთა ქაზი ვერანოდ ვერ მოგვეცემს უფრო ნათელ ტონს. სხვა სიტყვებით, სიბნელე თავისთავად ვერ წარმოქმნის სინათლეს. ნუტონის იმ დასკვნას, რომ სინათლე მუქი „სინათლეებისაგან“ (ანუ ფერებისაგან) არის შედგენილი, გოეთე უხეშ შეცდომად სთვლიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ „წმინდა“, „მუდამ უმკრთალი“ სინათლე დაუშლელია.

3. „გარეგანი გარნობები არ გვაძლევენ — გვაძლევენს აზროვნება“. ამით გოეთეს იმის თქმა უნდოდა, რომ სინათლე, ფერი და სიბნელეც („წყვედიადის“) ობიექტური რეალობაა. მისი აზრით, სინათლე, ფერი და სიბნელე ისეთი ობიექტური რეალობაა, რომელიც ანებობს ადამიანის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გრძნობთა ორჯანობი სწორად აღიქვამენ ნამდვილ საშუალოს. „ადამიანი თავისთავად, რამდენადაც იგი სარგებლობს თავის საილ გრძნობით, არის უკეთესი და უზუსტესი ფიზიკური აპარატი, რაც კი შესაძლებელია აჩვენებოდეს; ახალი ფიზიკის უბედურება იმაშია, რომ ექსპერიმენტები ჩამოშორებულია ადამიანისაგან; ადამიანი მხოლოდ იმით შეიცნობს ბუნებას, რასაც ადისტურებს ხელოვნური სა-

მარჯვები, და ამით ზღუდავს საყოფარღვეო შემოქმედებით შესაძლებლობებს: თვლი, ავირდებდა რა დაშვს, გვაძლევს წყვილიანს რეალურ აღქმას. წყვილიანი. ანუ სინონიმ რომ არაფერია უოფილიყო. მაშინ არც მისი აღქმა იქნებოდა. გოეთე ძალიან განიცდიდა ამ პუნქტში თავის უთანხმოებას ფიზიკის განვითარების მიხაროულუბასთან. ამასთანავე, იგი ღრმად აღიქვამდა შემოქმედების და მშვენიერების ერთიანობას. რადესაც გოეთე დაკვირვებით გაცივნი თანამედროვე ოპტიკას, მაშინვე უწყუპანოდ უარყო იგი. პროტესტი ცხადად არის გამოვლენილი მის „ავტორის აღსარებაში“, მთელ მის მშვენიერულ ნაშრომებსა და მხატვრულ შემოქმედებაში. თუ ჩვენ განვიხილავთ გოეთეს მთელი მსოფლმხედველობით და მისწრაფებებით, მაშინ მისი პროტესტი შეიძლება დაახლოებით ასე გამოვთქვათ: — სინათლის, ანუ ფერების ფერმონი კუშმარტად არის ბუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მაგრამ შეცნობდა მიგვიითებს, რომ სინათლე და ფერი სუბიექტური აღქმის შედეგია, რომლის მიღმა სივსტრუქტურული ანდა ფიზიკურ-ქიმიური პროცესები დგანან. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვაღიაროთ და შევეგუოთ იმას, რომ მხატვრულ-ესთეტიკურ სამუშაოებსა და ფიზიკის შორის წარმოიქმნა უფსკრული. უფსკრული, რომელიც მიჯნავს კუშმარტებს და მშვენიერებს. ფიზიკოსების თვალსაზრისით ხომ სინათლე და ფერი კორპუსკულულებია ანდა ტალღე. საოპირაპი ნათუ სინათლე, რომელიც უფლან გვევლინება როგორც „სინათლიანობა“ (hictigheit) ფერი, სიბრწყინვალე, არ არსებობს? იბიექტურ რეალობად არ სცნობენ გამოგონილ კორპუსკულებს, რომლებიც არ აღიქმებიან შეგრძნების ორგანოებით! განა გამართლებული იქნება ბუნების ფერთა სიუხვით ჩვენი მოხიბვლა. თუკი ფერი — ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური შთაბეჭდილებაა? კორპუსკულარული თეროების მიმდევარს თავისი აღტაცება ბუნების ფერთა მშვენიერებისადმი შემდეგნაირად უნდა გამოეთქვა: რა მშვენიერია ჩემი ხილვის ილუზია, რა ლამაზია ჩემი სუბიექტური და უაღბი შთაბეჭდილება ფერებზე, რომელთა მიღმაც დვას ობიექტური სინამდვილე — უხილავი კორპუსკულების!

ამრიგად, ფიზიკოსი ცნობს სილამაზეს, რომელიც არ არსებობს და მისი მშვენიერული მიზნითვის აუცილებელიც არც ყოფილა.

4. გოეთეს მშვენიერული ნაშრომების და მხატვრული ნაწარმოების გულმოდგინე დაკვირვებისას შეიძლება შევამჩნიოთ ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივად შეუმჩინეველი რჩება, აღიქმება მხოლოდ როგორც პოეტური და აღმგორიული. გოეთე იხსენებს „წმინდა, მუდამ უმართლ“ სინათლეს“; დღის (ესე იგი შიშური) სინათლე, რომელსაც აღიქვამს, მისი აზ-

რით, შეშვიდროებული და უფრო უხეში სინათლეა. გოეთესთვის ფერების გრძობად-წუნობრივი მოქმედება შეიძლება გადავიდეს გრძობად-წუნობრივი მოქმედებაში. იგი იხსენებს კიდევაც ფერების მონტიურ გამარტებას და ამას უკავშირებს ფერთა ნამყოფების სიმბოლოს. „სინათლე და სულ“, — პირველი ლექსიებს ფიზიკურში, მეორე წუნობრივში, — უმაღლესი, განუყოფელი აზრობრივი მოვლენაა“. მაშასადამე, შიხის სხივი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, აღარ არის წმინდა სინათლე, იგი არის შიხის „ხატი“ (Bild), ამგვარად, ჩვეულებრივი სილვადობისთვის წმინდა სინათლე ადამიანის უზრუნველბის მიღმა რჩება, წმიდა სინათლე რაღაცას უნდა შეეჩაბოს, განიცადოს წინააღმდეგობა ანდა გამონახოს სინათლად მატერიალური პირობები, რათა ჩვეულებრივი მხედველობისთვის ხილული გახდეს, დაშეთანხმებით, რომ ამგვარ ამოსავალ უბულებებს ფიზიკა არც მიაღებდა სერიოზულად და ვერც დაეურდნობოდა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მისი წარმოდგენები ფანტასტიკურ, მიოლოგიურ ანდა წმიდა ლიტერატურულ სფეროს მიაკუთვნეს. მართლაც, განა შესაძლებელია ფიზიკაში ისეთი წარმოდგენის გამოყენება, როგორცაა სინთლეი ფიზიკას, რომელიც სინთლეს აბსოლუტურ არაჩაობად თვლის, არ შეუძლია ილუპარაკის სინათლის და სინთლის ურთიერთქმედებაზე. სინთლე ვერ იქნებოდა ელემენტოპტიკისათვის და ამიტომაც ფიზიკოსებს არ შეეძლოთ სინთლის ამგვარი წარმოდგენიდან ემსხვერპლ გოეთეს სწავლებაზე.

საკითხის სწორედ ეს მხარე და არა ექსპერიმენტული მახალა წარმოადგენდა იმ ძირითად მიზეზს, რომლის შედეგად „კორმაცობის“ ისტორიულად აუარეს ვერძალი.

ამიტომაც მიგვაჩნია ამჟამად საჭიროდ, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ გოეთეს ამოსავალ, ძირეულ მოწყობებს და შევცვალოთ დავაზნაბუთით მათი მშვენიერული აღიარების შესაძლებლობა.

ამ ასპექტში აქ განხილულ საკითხებს სინათლის პრეტენზია არა აქვს. აქ მოუფანილი მოსაზრებანი უშუალოდ გოეთეს მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს: წყვადლე კი ეს საკითხები უკვე გარჩეულია გოეთეს მომდებრების მიერ. მოკემულ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ ხაზი გავეხვა დავიწყებული პრობლემისათვის და უფრო დაწვრილებით გავვეჩინა სინათლის და ფერების აღქმის ფერმონი.

ფიზიკური მოვლენების კანონები არ უნდა გავრცელდეს მსოფლიო მოვლენების სხვა სფეროებზე, როგორც ის ხდება, მაგალითად, რომელსაც ენტროპიის ცნებით ხურო დაამტკიცეს მთელი სამყაროს „სიკვდილი“ ანდა რადესაც კიბერნეტიკის საშუალებით წყვეტენ სიკო-

ლოგოურ პრობლემებს. ფიზიკის ასეთი ახაკომპეტენტური ჩარევის ერთ-ერთი მაგალითი, რომელსაც უფრო შენიღბული სახე აქვს მიღებული. შეგვიძლია შევამჩნიოთ ფიზიკის იმ დებულებებში, რომლებიც სუბიექტურ აღქმებს და ობიექტურ ცნებას განსაზღვრავენ. სწორედ ამ წარმოდგენებს ეურდნობა ისეთი ცნებები, როგორცაა სინათლე, ბგერა და სიბნელე. ფიზიკა მხოლოდ იქ არის წესები შეცნობება, სადაც იგი ფიზიკურ მოვლენებს და მათ ჩაოდენობრივ შეფარდებებს იკვლევს. ამიტომ როდესაც, მაგალითად, ფიზიკოსი სუბიექტურ აღქმას ლაპარაკობს, მისი ცნებანი მხოლოდ საგარეოა. მეცნიერული სიტუაცია ამ საკითხში ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას ეკუთვნის. ქვემოთ გარჩეული იქნება, რომ ფიზიკაში ზოგიერთი მიღებული ცნება მეცნიერულად არ არის გამართლებული. ეს წარმოდგენები ფიზიკაში შემოპარულია ისტორიულად შემონარჩუნებული ცნებებიდან, რომლებიც მოძველებული იდეების გავლენის წყალობით დამკვიდრდა. იგულისხმება აგნოსტიციზმი, რომელიც ფილოსოფიაში დიდი ხანია უარყოფილია, თუმცა მაინც დატოვა თავისი კვალი მეცნიერების ზოგიერთ დებულებაში. ფიზიკის, ფსიქოლოგიის და რუსთა დიდი გავლენა მოახდინა ი. მიულერის მტკიცებამ შემეცნების სუბიექტურობის შესახებ ადამიანის აღქმების მიმართ. პარადოქსია, მაგრამ აგნოსტიციზმმა ყველაზე ძლიერად გაიდა ფეხი ფიზიკაში, სადაც შეგრძნება აღქმებს მხოლოდ ინფორმაციულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სწორედ ამ პუნქტში იმალება ძირითადი განსხვავება გოეთეს და ოფიციალური ოპტიკის პოზიციებს შორის.

სინათლის არსი

„შეგრძნებები არ გვაცდუნებენ — გვაცდუნებს განსა“.

(გოეთე)

სინათლე ეს არ არის კორპუსკულები, არც ტალღები მსოფლიო ერთეოში, არც ელექტრომაგნიტური ველი და არც ფოტონები. ეს მოკვანილი ცნებები სინათლეზე (რომლებიც ჩამოთვდილია ოპტიკის ისტორიული განვითარების მიხედვით) არაფსუსტი მსჯელობის შედეგებია. დავუყირდეთ აწრთა მიმდევრობას უბრალო მაგალითზე.

ჩვენ ვუპურებთ ცისარტყელას და დარწმუნებული ვართ, რომ ცისარტყელას ფერები — ეს სუბიექტური აღქმაა, რომლის საფუძველსაც ობიექტური მატერიალური პროცესები წარმოადგენენ.

რას უუწოდებთ ჩვენ სუბიექტურ აღქმას? რას ვგულისხმობთ მასში? მიღებულია, რომ სუბიექტური აღქმა არის მოჩვენებითი. ილუ-

ზორული. მას მიაკუთვნებენ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში ვითარდება და, ენე იგი, არ ძლევს უშუალო ინფორმაციას ობიექტის შესახებ. მაშასადამე, ჩვენი აღქმები ტუთან; მაშასადამე, თვით ფერს არ გააჩნია ობიექტური, რეალური არსებობა. ის არის მხოლოდ ინფორმაცია სუბიექტსა და ობიექტს შორის.

ამგვარად, მე ვაკვირდები ცისარტყელას და მსურს გავიგო მისი ნამდვილი, კეშმარტი არსი, რა არის სინამდვილეში ცისარტყელა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ „მატურა“ თვალბიო? მე შევერდები ძიების გზას. მე ვაწარმოებ რიგ ექსპერიმენტებს გარკვეული ინსტრუმენტული მეთოდების საშუალებით. ხელსაწყოები იუწყებთან, რომ ამა თუ იმ ფერის აღქმის შეესაბამება რაღაც ფიზიკურ-ქიმიური ანდა დროით-სივრცითი პროცესი (ტალღა, კორპუსკულები და სხვ.). გავამახვილოთ ურადლება სიტუაციაზე — შეესაბამება. ეს სიტუაცია სავსებით სწორად არის გამოუყენებელი. კიდევ მეტი, ჩვენ ვაღდებული ვართ ვისმართ ეს სიტუაცია მისი სრული მნიშვნელობით. „შემსაბამება“ და არა „არსი“. ენე იგი, ჩვენ ჩერჩვრობით არა გვაქვს ნება, ვთქვათ, რომ აღქმული ფერი არის დროით-სივრცითი ანდა ფიზიკურ-ქიმიური პროცესი, რომელსაც აღნიშნავენ ჩვენი ხელსაწყოები. აბა, დავუყირდეთ ისევ ამ ფაქტს, საიდან ვასკნით, რომ ცისარტყელას ფერები არ არსებობენ და ისინი მხოლოდ შემოხსენებულ პროცესებს წარმოადგენენ. მე აღვიქვამ ფერს, ხელსაწყო-ტალღას. ეს დავუყირით? ხელსაწყოების საშუალებით ჩვენ ვერ ვაოულობთ ობიექტში თავად ფერების აღქმას და ვაცდას; ვერ ვაოულობთ, რადგან ეს შეუძლებელია. ხელსაწყოებს, რომლებიც ადამიანის მიერ არის შექმნილი, შეუძლიათ ამ ფერების მხოლოდ ერთ-ერთი თვისების რეგისტრაცია. მეტი უნარი ამ ხელსაწყოებს არ გაჩნიათ. მაგრამ ეს უნარი თავად ადამიანს აქვს და მას შეუძლია ფერების აღქმა. სუბიექტურია თუ არა ჩვენი აღქმები — ეს საკითხი არ შედის ფიზიკის კომპეტენციასში. ფიზიკა აღნიშნავს მხოლოდ ფაქტებს, მაგალითად, რადიომიმღები „ალიკვამს“ მხოლოდ ნაწილს მთელი რიგი პროცესებისა, რომელნიც ვითარდებან ობიექტში და, რა თქმა უნდა, რადიომიმღებს სუბიექტურობაზე ლაპარაკი შედგებია. ლოგიკური თვალსაზრისით რადიომიმღების გრძობიერება ისეთივე ფაქტორია, როგორც ადამიანის აღქმა. ამ პარალელში ადამიანი სავსებით გამართლებულად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ხელსაწყოს. მისი აღქმა კი რადიომიმღების გრძობიერებას, სუფთა ლოგიკური თვალსაზრისით რადიომიმღების გრძობიერება და ადამიანის აღქმა არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რა ფილოსოფიურ პოზიციაზეც უნდა ვიდეგო. ჩვენ არა გვაქვს უფ-

ლება ადამიანის აღქმა სუბიექტურ ფაქტორად ჩავთვლით. „სუბიექტური“ და „ობიექტური“ ცნებანი ამ შემთხვევაში საერთოდ დაუსვებელი და გამოუსადეგარია.

ამგვარად, მეცნიერულად დასმული საკითხი შემდეგნაირად უნდა იქნეს გამოთქმული: როგორი დროით-სივრცითი ანდა ფიზიკურ-ქიმიური პროცესები მოქმედებენ ობიექტში იმ დროს, როდესაც იგი გვეკლინება ამა თუ იმ ფერში? მაგრამ მეცნიერული არ არის, როდესაც ფერს, ანუ სინათლეს, დროით-სივრცით ანდა ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს ვუწოდებთ. ესე იგი, სწორი არ არის, როდესაც ამბობენ: ფერი ამა თუ იმ სივრცის ტალღაა. უოველ შემთხვევაში, ზუსტი ფიზიკა ჩრჩეკრობით ვალდებულია მხოლოდ ასეთ პოზიციასზე იდგეს. ხანამ არ გამოირკვევა თვით აღქმის ბუნება, აღქმის არსი. ფიზიკა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფაქტების და კანონების ემპირიკული და მან არ უნდა წაუშაროს ამ ფაქტებს ნაადრევად მოგონილი თეორია სუბიექტური და ობიექტური ცნებების შესახებ.

აღქმა და შემგრძნება

ჩვენ მიზნად არ დავისახავს იმ ცნობილი ფილოსოფიური საკითხის განხილვა, რომელიც გრძნობადი თვისებების უქვევლობას ანდა, საერთოდ, ადამიანის შემეცნების ობიექტურობას ეხება. ჩვენ აქ კანტის პრობლემას — „ნივთი თავისთავად“ — არ ვეხებით, აქ არის მოყვანილი კრიტიკა მხოლოდ იმ წარმოდგენებისა, რომლებიც უარკვეულ სფეროში ადამიანის შემეცნების უნარს „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ ნაწილად უოფენ. რას გულისხმობენ, საერთოდ, სუბიექტურ ფაქტორში? ამ სიტყვას ზშირად იყენებენ მეცნიერებაში სულ სხვადასხვა მნიშვნელობით. სუბიექტურ ფაქტორს ხომ შეიძლება ყველაფერი იმეკეთებოდ, რაც მცდარად გამოპტანილ შედეგებს ეხება. როდესაც ლოგიკურ შეცდომას უშვებენ, ესეც სუბიექტური ფაქტორია. მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის სუბიექტურ „აღქმას“. აქ ხდება განსხვავებული ცნებების აღრევა. მაშინ სავარაუდო შეცდომა, რომელსაც სუბიექტურს უწოდებენ, აღქმული თვისების უარყოფამდე დაუყვანილი. ასეთი პოზიციის სათავეში, რომელიც მთელი შემდგომი მეცნიერებისა და, საერთოდ, მსოფლმხედველობის საფუძვლად იქცა, დგანან ი. მიულერის და ე. ფონ შარტმანის. მათი აზრით შეგრძნებებს ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვთ, რომ ისინი გარეგან გალზონებზე მხოლოდ ერთი, გარკვეული რეაქციის სახით პასუხობენ, როდესაც მხედველობის ნერვს აღიზიანებენ, წარმოიქმნება სინათლის აღქმა. — სულ ერთია. — სინათლის, ელექტროდენის თუ მექანიკური წნევის საშუალებით არის იგი გამოწვე-

ული. აქედან გამოაქვთ დასკვნა, რომ ჩვენი გრძნობების ორგანოები იუწყებიან მხოლოდ იმას, რაც თავად ამ ორგანოებში ხდება და არა იმას, რაც გარე სამყაროში ხდება. მაგრამ ეს დასკვნა მცდარია, თვალის ისეთ აპარატს წარმოადგენს, რომელიც აღიქვამს სინათლეს და, როგორც სწორად აღნიშნა გოეთემ, „იგი სინათლის მიერ და სინათლისათვის არის შექმნილი“. თავის „ქრომატიკაში“ გოეთე წერს: „თვალის თვისი არსებობით დავალბულია სინათლისაგან. თვალის წარმოიშვა სინათლესე და სინათლისათვის, რათა შინაგანი სინათლე შეხვდეს გარე სინათლეს“. შეიძლება ითქვას, რომ თვალში იმყოფება „მუთღრო“ სინათლე, რომელიც აიგუნება უოველგვარი უმცირესი შინაგანი ანდა გარეგანი მიზეზის გამო. ჩვენ წარმოდგენითაც კარ შეგვიძლია ეახვათა ფერების ბილვა გამოვივიოთ. ადამიანი ცხადად გრძნობს გარეთა სინათლის უმცირეს მოქმედებას. შექანიკური ბიძგის დროსაც წარმოიქმნება თვალში სინათლე და ფერი.

ჩვენ ვხედავთ, რომ გოეთეს კარგად ჰქონდა შესწავლილი ის ზეგავლენები, რომლებსაც შემდგომში ფიზიოლოგები განიხილავდნენ. აქედან ჩანს, რომ თვალის უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც ისეთი მოწყობილობა, რომელიც აღიქვამს სინათლეს და, ამასთანვე, იგი თავად არის სინათლისეული ბუნებისა. აქედან, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მხედველობის ნერვზე მოქმედი სხვადასხვა ბუნების გარეგანი გაძლიზანებლები თვალში სინათლის შეგრძნებას წარმოშობენ. აი, ანალოგია: დავუშვათ, რომ გენერატორის ამუშევევა გარეთა რეზონანსური სიხშირით ხდება, მაგრამ სხვადასხვა ბით შესაძლებელია ამ გენერატორის ამუშევევა (ესე იგი, მისი მდგრადი მდგომარეობიდან გამოყვანა) რაიმე სხვა ხერხის. მაგალითად, მექანიკური ზემოქმედების საშუალებით. განა ამ შემთხვევაში აზრად მოგვდის ეს გენერატორი სუბიექტურ ფაქტორად ჩავთვალოთ და, მახინადამე, გამოვიტანოთ დასკვნა, თითქოს მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს გარე სამყაროს პროცესებთან? ამ შემთხვევაში ხომ ექვივო არ გვეპარება, რომ აქ ორი სახის პროცესის ურთიერთმოქმედებასთან გვაქვს საქმე. ლოგიკური მსხველემობის თვალსაზრისით, თვალის, როგორც მოწყობილობა, არაფრით არ განიჩნევა გენერატორისაგან.

კიდევ უფრო ნაკლებად დამაპარებელია სხვა ცნობილი არგუმენტებიც, მაგალითად:

1. გარემოს ერთსა და იმავე ტემპერატურას ადამიანი შეიგრძნობს როგორც განსხვავებულს, იმისდა მიხედვით თუ რა ტემპერატურის გარემოში იმყოფებოდა იგი თავდაპირველად.
2. შორიდან ნივთები პატარები ჩანან.



მ. დალტონიკები სხვანაირად აღიქვამენ ფერებს.

ამგვარი ცნობილი არგუმენტებიც არ შეიძლება გამოდგეს ჩვენი შეგარძნების ორგანოების მიერ აღქმულ თვისებათა ობიექტურობის უარსაყოფად. პირველ მაგალითში სითბოს შეფარდებითი შეგარძნება მოჩვენებითია. აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თვით ტემპერატურის დაკემა, რომელსაც სწორად შეიგარძნობს ადამიანი ამ გარემოში შესვლისას, ზუსტად ისევე, როგორც ამას აღნიშნავს თერმომეტრი. ცოტა ხნის შემდეგ ადამიანი დაბალიებით სწორად შეაფასებს ამ გარემოს ტემპერატურას.

ანალოგიურად შეიძლება განვმარტოთ შორს მყოფი ნივთების მოჩვენებითი დაპატარავება. თვალის ისევე როგორც ცნობილი „ობიექტური“ ოპტიკური მოწყობილობა, სხვების სწორად აღიქვამს ობიექტის (ფორმის) სიდიდეს, გეომეტრიული ოპტიკის კანონების თანხმად.

კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯარებელი მაგალითია დალტონისთან დაკავშირებული მოვლენა, ამ შემთხვევაში, უბრალოდ, საქმე გვაქვს ავადმყოფობასთან, ანაომალიასთან. ამგვარი არგუმენტის სისუსტე ნათლად ჩანს შემდეგ ანალოგიურ მტკიცებაში: ვინაიდან ფიქტიურად დაავადებულნი და ნორმალური ადამიანები განსხვავებული მსჯელობენ, ამიტომ კაცობრიობის შემეცნება ფარდობითია, — ასეთი დასკვნა ჩვენ ხომ აზრადაც არ მოგვდის.

უკვე ეს მოსაზრება მოვიყვანეთ მხოლოდ იმისათვის, რომ ხაზი გაგვესვა იმ არასაკმაოდ დამაჯარებელი დებულებებისათვის, რომლებმაც ღრმად გაიღვა ფეხები ფიზიკაში. მაგარმ, გარდა ამისა, არც მოუვანილი არგუმენტის სისუსტეშია მთავარი შესდომა. საქმე იმაშია, რომ ჩამოთვლილ არგუმენტებს საქმე აქვს არა თვით აღქმის ობიექტურობის საკითხთან, არამედ მხოლოდ რაოდენობურ შესდომასთან შეფასებასთან. ასე მაგალითად, მთავარი ის კი არ არის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანს წითელი ფერი ლურჯად ეჩვენება, არამედ ის, რომ თავად ფერი (გინდ წითელი იყოს, გინდ ლურჯი) აღქმულია მის მიერ. დავი, მოგწევენოს წითელი ფერი ლურჯად. აქ მთავარია ის ფაქტი, რომ ამ არგუმენტებით ჩვენ ვერ უარყოფთ თავად აღქმის ობიექტურობას იმ გაგებით, რომ თავადი რომელიმე ფერს აღიქვამენ. ანალოგიურია მაგალითი, რომელიც სითბოს შეგარძნებას ეხება. ის ფაქტორი, რომ ადამიანი ვერ განსაზღვრავს ტემპერატურის სიდიდეს, ვერ უარყოფს იმას, რომ იგი საერთოდ ცდება სითბოს არსებობაში.

ახლა კი იგივე საკითხი სხვა კუთხიდან განვიხილოთ. განვიხილოთ, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ისეთი ცნება, როგორცაა „სუსტეპტური აღქმა“. მიღებულ იქნას მეცნიე-

რულ ამოსავალ პოზიციადა. ავიღოთ იგივე მაგალითი ჩვენ ვაკვირდებით ცისარტყელას და ვამბობთ, რომ ამ ცისარტყელაში არანაირი ფერი არ არსებობს. ესე იგი, თვალის გარეშე არც ფერებია. მაშასადამე, ფერი არ არის იქ. რაც ჩვენს თვალზე მოქმედებს. ესე იგი, ცისარტყელა უფეროა. სადაც წარმოიქმნება ფერები? განვარტოთ ძიება. თვალში? არა, რადგან ფიზიკურად გვიმტკიცებენ, რომ იქ მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური პროცესები ვითარდება. ნერვებში? ტვინში? არა, რადგან იქაც ხომ ასეთივე პროცესებია. მაშასადამე, უნდა ვლოპროთ ქერატობით უცნობი ადგილი. სადაც წარმოიქმნება ფერები და სადაც წარმოდგენის საშუალებით ეს აღქმული ფერები გადაიტანება ცისარტყელაზე. მაშასადამე, ამ მოქალაქეული წრების უცნობ ადგილას ხდება სწორედ „ობიექტური“ პროცესების (ფიზიკურ-ქიმიური პროცესების) გარდაქმნა „სუბიექტურ“ აღქმაში. თუმცა იმ ადგილის შესახებ ცოტა რამ იციან, მაგრამ მაინც „მატუარას“ უწოდებენ მას, რადგან რეალური პროცესების მაგივრად იგი თითქოს რაღაც არარსებულ ფერებს გვიჩვენებს.

ჩვენ მხოლოდ კვალდაკვალ მივუყვართ იმ აზრებს, რომელნიც უშუალოდ ფიზიკის და, საერთოდ, თანამედროვე მსოფლმხედველობის წარმოდგენებიდან გამოიზიარებოდა. აბა, დავუკვირდეთ, ხომ არ არის ასეთ აზრებში და ცნებებში შემოპარული შესდომა? უკვე იმ ფაქტორმა, რომ ამ უცნობ ადგილას წყდება ადამიანის მეცნიერულ დაკვირვებაში, უნდა გაგვაფრთხილოს და შეგვაჩეროს ნაადრევი დასკვნის გამოტანისაგან. ჩვენ ვხედავთ, რომ ლოგიკური წრედი შეიკრა. ფერის ფენომენი კი თავად სუბიექტში (ადამიანში) უცნობ ადგილას იმყოფება.

ამგვარად, აღქმული ფერი, როგორც აღქმის ერთ-ერთი თვისება, გადატანილია სუბიექტში (ესე იგი, ადამიანში) და, ამასთანავე, ფიზიკოსები ეუბნებოდნენ იმ შეხედულებას, რომ სუბიექტის გარეშე ამ აღქმას არ შეესაბამება არაფერი, გარდა მოძრაობისა და ენერგული პროცესებისა, რომლებიც ცნობილია ფიზიკაში. ეს პროცესები ითვლება ბუნების სამყაროში ერთადერთ რეალობად, რომლებსაც ადამიანი უშუალოდ ვერ აღიქვამს. აბა, დავუკვირდეთ ასეთ პოზიციას. იგი რამდენადმე არათანმიმდევრულია; უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი ფიზიკური პროცესი ისეთი წარმოდგენაა, რომელიც გამოტანილია ისევე გრძობადი აღქმის სამყაროდან, ვანა ცნობილია ჩვენთვის რომელიმე ფიზიკური გარეთა პროცესი ბუნებაში ანდა ტექნიკაში, რომელიც ჩვენს რეგარდებებთან არ არის დაკავშირებული? როგორცაა ფიზიკოსი ამბობს, რომ ფერი, ანუ სინათლე ერთ-ერთ ცნობილ ფიზიკურ პროცესს წარმოადგენს. მაშინ იგი ამ პროცესს უბრალოდ

სხვა შეგარდნების ორგანოებს უკავშირებს. ასე მაგალითად, ფიზიკოს ფერს, ანუ სინათლეს სათანადო კორპუსკულუმებს, ტალღას ანდა ფოტონებს უწოდებს. რომელიმე ისევე შეგარდნებით ორგანოებს ეურდობიან და მისგან გამომდინარებენ. კორპუსკულუმები ხომ მასთან ან წინევასთან არიან დაკავშირებული, რომელიმე შეხების შეგარდნებით განისაზღვრებიან. მაშასადამე, მასა, რომელსაც შეხების შეგარდნებით აღიქვამენ, გამოცხადებულია ობიექტურ რეალობად; ფერს, ანუ სინათლეს კი რომელსაც აღიქვამენ მხედველობის წყალობით, სუბიექტურ ფაქტორს მიაკუთვნებენ, ესე იგი, ისეთ ფაქტორს, რომელიც არ არსებობს დამოუკიდებლად, ადამიანის გარეშე, მაშასადამე, სინათლეს. ანუ ფერს, რაცაც აღიქვამენ მხედველობით, მიაკუთვნებენ მხოლოდ ადამიანის შინაგან განცდას. მაგრამ ეს აზრი, ეს პოზიცია, არასწორია. შეგარდნება, რომელიც წარმოიქმნება რეალური ხილვადი შთაბეჭდილების გამო, თავისი შინაარსით განუწყვეტლებს არის დაკავშირებული იმ დროით-სივრცითთან, რომელიც მას შეეხება. სხეულის მოძრაობა და ფერი აღქმის ერთ-ერთი სახის შინაარსია და მხოლოდ აბსტრაქტული განსჯის გონებას ეხერხება ამნაირი გაყოფა; ესე იგი, სუბიექტურ და ობიექტურ ფენომენად.

გრძნობადი აღქმის ასეთი დაყოფა სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილებად მართლაც სანიტრუსის საკითხის ფსიქოლოგიის დარგში, აქ შესაძლებელია მხოლოდ მოკლედ შევეხები ამ საკითხს, უეჭველია, რომ გრძნობადი აღქმის ასეთი დაყოფის მიზეზი თვით ადამიანშია და მისი ფსიქიური მიდრეკილებიან გამომდინარებებს (ფსიქოფორნიკა ასეთი აღქმით ცნობილია როგორც პირველადი და მეორადი). გოთემ შენიშნა ეს ფსიქოლოგიური მიდრეკილებაც, იგი წერდა (1108) „უახლოესი შეგარდნების მიზეზება შესაძლებელია და სწორედ ამიტომაც არიან უფრო გასაგებნი, რის გამოც ჩვენ უფრო სიამოვნებით ვფიქრობთ მუქანიულის იმაზე, რაც შედარებით უფრო მაღალი საფეხურისა“.

მკვლევარი, რომელიც აკვირდება ფერად ნივთს, ევვის გარეშე აღიარებს მის რეალობას, მას ახასიათებს ეს მიდრეკილება. ფერს კი უარყოფს; ხოლო ფერს მიღმა ეყვება მატერიალურ პროცესებს. იგი შინაგანად ეკითხება თავის თავს: რისი ფერი? თავად ფერი კი მის მიერ კვეცნობიერად იდენტიფიცირებულია ფერის ბანტელსთან და ამიტომაც მიაკუთვნებს მას სუბიექტურ მკვლევანს, ფარული ფსიქოლოგიური მიდრეკილებით ადამიანი იტოიანებს ფერს და ფერის განცდას და ამის გამოც ვერ ხედავს, რომ ფერს არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც მასს, მაშასადამე, შეხების შეგარდნებს, დაკავშირებულს მასთან, იგი აღქმის ობიექტურ საშუალებად

აღიარებს, ხოლო მხედველობის ორგანოს, ფერთან დაკავშირებულს. — უარყოფს როგორც ობიექტურ იარაღს, ადამიანი კითხვას არ უჩერებს თვალებს და მისი წყალობით მიღებული ინფორმაცია (ფერი) ისევე მასზე გადაეხვება.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ აღქმის ფენომენოთი მხრიდან და ვამტკიცებთ:

1. ფაქტებზე დაყრდნობილი დაკვირვებებიდან გამომდინარე და თეორიაციის გარეშე თვალთა აღქმული სინათლე (თუ ფერი) არ შეიძლება დაუცვნილ იქნას სხვა ფიზიკურ პროცესებამდე (ტალღასთან თუ კორპუსკულუმებთან და ა. შ.), დაუშვებელია ადამიანის აღქმების სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილებად გაყოფა, რა ფილოსოფიურ თვალსაზრისზეც უნდა ვიდეტო.
2. ფიზიკოლოგიის დასკვნები ვერ ამტკიცებენ აღქმების სუბიექტურობას.

მ. ფიზიკის საგანი ამ საკითხში კომპეტენტური არ არის.

1. ადამიანს ახასიათებს ფსიქოლოგიური მიდრეკილება, უარყოფს მის გარეშე არსებული ფერთა სამყარო, როგორც ობიექტური რეალობა.

ახლა კი დავხვავთ კითხვას: რა არის აღქმა? თავად ამ სიტყვას არ სჭირდება ახსნა-განმარტება, იგი, უბრალოდ განცდების წარმოჩენების აღმნიშვნელია გარე სამყაროს მიმართ. როდესაც ადამიანი აკვირდება რომელიმე ობიექტს, იგი მის „თვისებებს“ შეიგრძნობს და განიცდის. გავადევნოთ თვალთა აღქმის პროცესს, თავდაპირველად ავიღოთ ისეთი ფენომენი, როგორიც არის ტკივილი, რომელიც გაძლიერებული შეგრძნებაა. შეიძლება ამ არასასიამოვნო, მაგრამ ცხადმა ფენომენმა უფრო მკაფიოდ გამოავლინოს თავისი არსი.

როდესაც ხელს ვკიდებთ რომელიმე ნივთს, ჩვენ შეხებით შევიგრძნობთ მას ნერვული სისტემის წყალობით. ახლა კი მოვუტყობოთ თითის მაგალითად, ვირავით, წინევა მძლუმრებს და ჩვენ ვგრძნობთ ტკივილს. ტკივილი განიშარტება როგორც აუცილებელი ინფორმაცია გარეგან ან შინაგან გამაღიზიანებელზე ცოცხალი, სულიერი ორგანიზმისათვის. მაშასადამე, აქაც ტკივილი სუბიექტურ ფაქტორად არის აღიარებული, კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ: სუბიექტური არა იმ გაგებით, რაშიც ტკივილს სუბიექტი განიცდის, არამედ იმ გაგებით, რომ იგი ხაეროდ არ არსებობს როგორც რეალობა, ჩვენ ცხადად შევიგრძნობთ, რომ არსებობს გარეგანი, თითი, არსებობენ ფიზიკურ-ქიმიური, მექანიკური და ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც უკავშირდებიან ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას. მაგრამ მხედველობიდან გვეკარგება მთავარი: ის, რაც უშუალოდ გვაწუხებს იმას, რაც უშუალოდ გვატყობინებს ჩვენი თითის მდგომარეობას, რატომღაც არ ვცნობთ, რას ნიშნავს ...არ

ევროპით” ეს ნიშნავს იმას, რომ ტივილი დამოკიდებულად არ არსებობს იმგვარად, როგორც მავალია თითი ანდა ვირაგი; არსებობს გირაგი, თითი, ნერვული სისტემა, რხევები და სხვა ცნობილი პროცესები. — ტივილი კი არ არსებობს რატომ მივყვებით ასეთ დასკვნამდე? განა არსებობს რაიმე არგუმენტი ტივილის უარყოფისათვის? არც სალი მსჯელობა და არც ფაქტები არ მიუთითებენ ამაზე. ზოგიერთი მკვლევარი ტივილს და იმ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ტივილი, აერთიანებს; მას ჰგონია, რომ ტივილი და მისი გამომწვევი მიზეზი (მავალიადა, დეფორმირებული თითი) ერთი და იგივეა. მაგრამ განა შეიძლება მათი გაიგივება? ტივილი გამოწვეულია თითის დაზიანების გამო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტივილი დაზიანებული თითია. თვით მიზეზი აქ არ არის მთავარი. სულ ერთია, რის გამოც ის იწვევა. ცნობილია, მაგალითად, საპირისპირო ფენომენიც, როდესაც ინტენსიური ფსიქოლოგიური განცდა ფიზიკურ დაავადებას და ტკივლისაც იწვევს. მაგრამ ეს შენიშვნაც დადებითია; ახა, დავუკვირდეთ ანალოგიურ დასკვნას უფრო ცხად მაგალითზე: ბინის არასაკმარისმა გათბობამ გამოიწვია უკმაყოფილება, რის გამოც დაიწერა საჩივრის წერილი. მასხადაამე, წერილი გაჩნდა არასაკმარისი სიბოის გამო. აქედან, წერილი არის სიბოი. აქ ცხადად ჩანს, რომ შევადარებ მსჯელობას.

ახლა მივმართოთ ფაქტებს, რას ადასტურებენ ისინი? ფაქტები უშუალოდ გვატყობინებენ ტკივლზე და ჩვენ არ ვპირადება ხელსაწყოები ამ ტივილის რეგისტრაციისათვის, რადგან უშედეგო სრულყოფილი და ერთადერთი ხელსაწყო — ეს თავად ადამიანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიზიკა არ რაის კომპლექტური გრძობათა თვისებების გარჩევას საკმარისი იგი. ნიათუმეტეს, უძლეური თავად აღქმების და, კერძოდ, ტივილის გარჩევაში. ხელსაწყოები ვერ აღნიშნავენ ტივილს, ისინი აღნიშნავენ მხოლოდ იმას, რაც ტივილს თან ახლავს ფიზიკურ-ქიმიური პროცესების სახით.

სად იმყოფება თავად ტივილი? ჩვენ შეგვიძლია კვლადაკვლად მივუყვებოთ უველა პროცესს, დაწვებული თითის იმ ნაჭილიდან, სადაც მოუუპირეთ გირაგი, დამთავრებული ტინის ხვეულგბამდე. ნებისმიერი მოწყობილია, ანუ ხელსაწყო უველგან გამოავლენს მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიურ ანდა დროით-სივრცობრივ პროცესს, მაგრამ თვის შეგრძნებას, ანუ იმ ელემენტს, რომელიც განიცდის ტივილს, იგივერ გვაპოვინებს. ტივილის რეგისტრაცია ხელსაწყოების მიერ ვერ ხერხდება ვერც ერთ პუნქტში, რადგან ტივილი არ ეკუთვნის ფიზიკურ საშუაროს. ამიტომაც არ შეიძლება ტივილის განსაზღვრა ფიზიკის წარმოდგენების საშუალოთ. ადამიანი ბევრად უფრო მგრძობი-

არე და რთული ქმნილებაა. ვიდრე მის მიერ შექმნილი ხელსაწყოები. ამიტომ ტივილის რეგისტრაცია“ მხოლოდ ადამიანს (ანდა ცხოველს) ძალუბს. არასულიერ ორგანიზმებს (მკუნარებებს), ნივთებს და, მით-უმეტეს, ტექნიკურ ხელსაწყოს არ გააჩნიათ ტივილი. ადამიანი სწორედ ამიტომ არის უფრო სრულყოფილი ქმნილება, რომ მასში ტივილი, ანუ შეგრძნება იმყოფება. დიას, იმყოფება და არა ახასიათებს. ტივილი ადამიანში იმყოფება, როგორც უფრო მაღალი კატეგორიის რეალობა და არა თვისება. ტივილი — ეს ფაქტია; ეს არის თავად ცდა, რომელიც არ უნდა დავიყვანოთ ბუნების არც ერთ ფიზიკურ პროცესსადე. მართლაც რომ საკვირველი ფაქტია: განვიციდეთ ტივილს და, ამავე დროს, არ ვცნობთ მას, როგორც ობიექტურ რეალობას, ვაბოიბთ, რომ იგი მხოლოდ ინფორმაციაა, თითის დაზიანების შესახებ. აქ უუკველად მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორი, რადგან ტივილის ობიექტური არსებობის უარყოფისათვის ჩვენ ვერცხად ვაპოულობთ დასტურს ვერც აზროვნების და ვერც ცდების გზით.

ახლა კი დავადასტუროთ უველა ფაქტორი ისე, როგორც ისინი გვევლინებიან და ნუ დავუტყობთ რაიმე ცნობილ თეორიას. ჩვენს წინაშეა უველა მატერიალური და ფიზიოლოგიური პროცესი ნერვული სისტემის ფუნქციონირების ჩათვლით. ეს უკანასკნელი მხოლოდ შეუამავლი ორგანოა. იგი ვერ არ არის საბოლოო პუნქტი, სადაც წარმოიქმნება ტივილის განცდა. დამეთაბმეთ, რომ იგი მხოლოდ მათუწვეულია ადამიანის სხეულის მდგომარეობისა. ტივილის განცდა კი სხვა ორგანოს ეკუთვნის. ეს ორგანო უჩინარია თვალუბისათვის და ხელსაწყოებისათვის, მაგრამ იგი არსებობს. მისი უარყოფა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ქვეცნობიერ მიდრეკილებას ან აბსტრაქტულ რეალობას მოქალაქულ მსჯელობას შეუძლია. სინამდვილეში მას ობიექტურად არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ცველა და ნარჩენ პროცესს. ტივილი რომ არარაობა ყოფილიყო, არც ნერვული სისტემა იქნებოდა საჭირო. დავარქვათ რაიმე სახელი ამ უჩინარ ორგანოს: ვთქვათ, შეგრძნებითი ორგანო. ამგვარად, ჩვენ მივედით გრძნობების თუ განცდების ფენომენტა ისეთ წარმოდგენამდე, რომელიც აღიარებს მათ როგორც ადამიანში არსებულ რეალობას. ამ რეალური, მაგრამ უჩინარი შეგრძნებითი ორგანოს ვაკვებას შესაძლებელია უფრო კონკრეტული სახე მიუცეს. ახა, დავაკვირდეთ ამ შეგრძნების ორგანოს: იგი ხომ თავად ტივილია ტივილის ემას, იგი არ არის ორგანოს თვისება. ტივილის ემას იგი თავად არის ტივილი. ასევეა სხვა განცდების შემთხვევაში: სიამოვნების ემას შეგრძნებითი ორგანო თავად არის სიამოვნება: შიშის ემას იგი თავად არის შიში, სინათლის

ან ფერის შემოხვევაში შეგრძნებითი ორგანო-
ესთეტიკური სიამოვნების განცდად იქცევა.

აი, რაში ვლინდება შეგრძნებითი ორგანოს
კონკრეტული განოხახულება. წინაა თუ შეგრძ-
ნებით ორგანოს სამშენიველს უწოდებდნენ.

სინათლე და ფერი ზნეობრივ- სინთეტიკურ მიმართულებაში

„მშენიერება არის გამოვლინება
ბუნების ილუმინაციონებისა, რომ-
ლებიც მის გარეშე სამუდამოდ დაკარ-
გულნი დარჩებოდნენ ჩვეთუის“
(გოეთე)

დასასრულს გადავხედოთ ამ ორ პოზიციას
ესთეტიკურ-მორალური თვალსაზრისით. ფიზი-
კური წარმოდგენებიდან გამომდინარე უველა
ჩვენს აქმა და შთაბეჭდილება სუბიექტურ-
ია. სინათლე, ფერი და სითბო — უველა-
ფერი ეს არ არსებობს იმ სახით, როგორც
მათ ადამიანი აღიქვამს. ისინი ხომ მხოლოდ
კორპუსკულები, ატომები თუ მოლეკულები,
რბევა, ფოტონები თუ ენერჯის ერთეულებია.
რაღა რჩება ბუნებაში, როგორც ობიექტური
რეალობა? მხოლოდ კორპუსკულები და ენერ-
ჯის მაგვარი მატერია, რომლებიც თავის
ურთულეს და უსასრულო კომბინაციებში და
კანონებით მთელი სამყაროს საფუძველს წარ-
მოადგენენ. უველაფერი სხვა მხოლოდ სუბიექ-
ტური განცდა დამახინჩებული შთაბეჭდილე-
ბაა. მაშასადამე, ეს უსულო კორპუსკულები
და ენერჯის მაგვარი მატერია, რომელსაც
მხოლოდ წონა, რიცხვი და სიდიდე ახასიათებს,
ადამიანს უმშენიერებს ბუნების მოკლედებში.
უცხადდება „მაკდური“ თვალების (ანუ სხვა
გრძნობადი ორგანოების) წყალობით. ამ ბუ-
ნების ულაშავეს მოკლენას ადამიანი ხომ ის-
ტორიულად უკავშირდება თავის ესთეტიკურ
და მორალურ არსს. მაგრამ, თურმე, ამოაღ-
კაცობრიობა თურმე შთაგონებით მიმართავდა
იმას, რაც არ არსებობს. ამ ასპექტში შეიძლება
გასაგები ვახდეს გოეთეს შეურიგებელი ბრძო-
ლა ნიუტონის სკოლის წინააღმდეგ. მისი ობ-
ტური ნატურა ვერ ურიგდება ფიზიკის იმ
ტენდენციას, რომელმაც მთელი სამყარო მხო-
ლოდ რაოდენობრივ და მექანიკურ წარმოდგე-
ნაშე დაიქვანა. დღეს ფიზიკაში მტკიცედ ეურ-
დნობიან ასეთ წარმოდგენებს (გაოჩენილი ამე-
რიკელი ფიზიკოსები გვიჩვენებენ, საერთოდ
გამოვიციხოთ ტექნიკური ლექსიკონიდან სიტყ-
ვები: სინათლე და ფერი). უკანაქმელი სიტყვა
ხომ ფარდობითობის თეორიას ეკუთვნის. მაგრამ
ფარდობითობის თეორიამ საფუძველი გამოა-
ცალა წარმოდგენებს მხოლოდ აბსოლუტური
კატეგორიების მიმართ. იგი არ ეტება საკით-
ხებს, რომლებიც ადამიანის გრძნობად აღქ-
მებთან არის დაკავშირებული.

სულ სხვა სამყარო გადასულბა ადამიანის
წინაშე, თუ იგი ამ საკითხში გოეთეს პოზი-
ციას დაეურდნობა. მაშინ ადამიანი აღიარებს
როგორც ობიექტურ რეალობას არა მხოლოდ
მასას, ველს, ტალღას ანდა ენერჯიას, არამედ
უველა აღქმულ თვისებას და ადამიანის შინა-
გან გრძნობებსაც კი. სამყარო ბევრად მდიდარ-
ი და მრავალფეროვანია. მაგრამ ამისთვის
საქირია ისევე დაუბრუნდეთ და ხელახლა გან-
ვიხილოთ ის დავიწყებული დებულებანი, რომ-
ლებიც დღესდღეობით უუველ ფაქტორად არის
აღიარებული: ამ დებულებათა სწორია გაგება
მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მეცნიერუ-
ბის შემდგომ ტენდენციასზე. იგი მეცნიერულ
რეკლუციას გამოიწვევს. ასეთი სულსკვეთე-
ბით თანამედროვე მეცნიერების დევიდად უნდა
გამოვაცხადოთ: წინ — გოეთესაკენ!

საპირისპირი პოზიციისა შესაძლებელი შეხების წინაშე

თუ აქ მოუვანილი განხილვა საქმად დამა-
ჩერებელია იმისათვის, რომ მეცნიერულად ჩა-
ითვისლოს, მაშინ შესაძლებელი ვახდება გოე-
თეს „კომპარატივის“ გაგება და აღიარება. ამას-
თანავე, ვცადოთ იმ საერთო წერტილის გამო-
ნახვა, რომელიც ამ ორ საპირისპირო პოზი-
ციას გააერთიანებს.

თუ მივხვდებით გოეთეს პოზიციას, უპირ-
ველეს უვლდისა, ჩნდება კითხვა: როგორ ავს-
ნათ ის ფაქტი, რომ ტალღური და კვანტური
ოპტიკა სწორად ახახავს სათანადო პირობებ-
ში სინათლის ფენომენის კანონზომიერებას? თუ
სინათლე ტალღას ანდა ფოტონს არ წარმოად-
გენს, მაშინ როგორ ავსნათ ის მდგომარეობა,
რომ ტალღური და კვანტური თეორიის საშუა-
ლებით სწორად ანგარიშობენ იმ პროცესებს.
რომლებიც სინათლესთან და ფერებთან არიან
დაკავშირებული?

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სინათლე (ანუ
ფერები), როგორც „თვისება“, აღიარებული
უნდა იქნეს ვარე სამყაროს ისეთივე ობიექტურ
რეალობად, როგორც არის აღიარებული ნების-
მიერი მატერიალური გარემო. ჩვენ, აგრეთვე,
აღვნიშნეთ, რომ ფიზიკური ხელსაწყოებით,
რომლებიც დრო-სივრცობრივი და ფიზიკურ-ქი-
მიური პროცესების რეგისტრაციას აწარმოებ-
ენ. ვერ გრძნობენ სინათლის და ფერის თვის-
ებებრივ მხარეს. სინათლის და ფერის აღქმა
ძალდს მხოლოდ ადამიანს, რომელიც უფრო
მაღალი კმნილებაა, ვიდრე მის მიერვე შექმ-
ნილი ხელსაწყო, ამრიგად, საკითხის ფაქტორი
მხარე ისეთია, რომ ხილული (ანუ ფიზიკური)
სინათლე (ანუ ფერი) ისეთ არსს წარმოადგენს,
რომ იგი ერთობ მხარე ხელსაწყოებისთვის გა-
მოვლენდება, როგორც ცნობილი დრო-
სივრცობრივი პროცესები, მეორეს მხარე კი, ადა-



მიანს წარმოუდგება როგორც „თვისებათა“ არსი (სინათლე, ფერი). მაშასადამე, სინათლე, რომლის გამოკვლევა ხდება ხელსაწყოების საშუალებით და, ამავე დროს, რომელსაც უშუალოდ თვალით ხედავენ, უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი, ერთიანი რამ: იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სინთეზი თვისობრივი არსისა, რომელიც ადამიანს ეკლინება შეგრძნების ორგანოების წყალობით და მატერიალური გარემოსი, რომელიც დაკავშირებულია დრო-სივრცობრივი (ანუ ფიზიკურ-ქიმიურ) პროცესებთან. სინათლეს, ფერს უოველთვის თან ახლავს დრო-სივრცობრივი (ანუ ფიზიკურ-ქიმიური) პროცესები. სწორედ ამ პროცესებს იკვლევს და განიხილავს ფიზიკა. ფიზიკურ-მათემატიკურ მოდელებს და კანონებს უოველთვის აქვს საქმე ამ პროცესებთან და არა თავად სინათლესთან, რომელსაც ადამიანი ხედავს. ეს პროცესები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. იმიხდამიხედვით თუ რა მატერიალურ გა-

რემოში წარმოიქმნება სინთეზი. ამიტომაც ხდება, მაგალითად, რომ ტალღური თეორია სწორად ასახავს სინათლის გარდატეხის კანონს. ოღონდ ეს ტალღები არ უნდა გავაიგავთ თავად ხილულ სინათლესთან (ანუ ფერთან). ტალღები მხოლოდ თან ახლავს ხილულ სინათლეს (ანუ ფერს). ერთი სახის გარემოში ეს კანონი ექვემდებარება ტალღურ თეორიას, მეორე სახის გარემოში კი — კვანტური მექანიკის კანონებს. ხილული სინათლის არსი კი უცვლელი რჩება.

ამრიგად, არც ტალღა, არც ფოტონი არ არის სინათლე. ისინი მხოლოდ სინათლის ერთ-ერთი ფორმის გამოვლენას წარმოადგენენ ამა თუ იმ მატერიალურ გარემოში.

ფიზიკა, რომელსაც საქმე აქვს მხოლოდ ამ მატერიალურ გარემოსთან, თავის ფარგლებში ზუსტ მეცნიერებად რჩება. აქედან გამომდინარე, სინათლის თეორიის დუალიზმიც თავისთავად გასაგები ხდება.



Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал

«Ц И С К А Р И»

Издательство ЦК КП Грузии

ჩვენი მისამართი: თბილისი, 880028, მარტვის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 98-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 98-64-40; პახუხისმგებელი მდივანი — 98-64-38; განყოფილებების — 98-36-48; ხაკორექტორი — 98-64-28.

გადაეცა ასაწობად 5.09.90 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 14.10.90 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. ააღარ. სავ. საბაზი 1585. შეკვეთა 1946. ტირაჟი 47 000.

საქართველოს კ კ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა.
თბილისი, 8 კოსტავას ქ. 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

აკაკი წერეთელი

ძირს

(სიმღერა)

„ძირს მთავრობავ უსამართლო!
ველარ ვიტანთ გასაჭირსო“ —
ყოველ მხრიდან გეძახიან:
„ძირს მთავრობავ!.. ან კი ძირსო“.
კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,
გავიღვიძეთ და ან — „ძირსო!“
ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო, —
დღეს ეს აღარ მოხერხდება,
გეუბნებთ მიტომ — „ძირსო!“
ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..
ძველი წესი-წყობილებაც
ბნელს გაჰყვება და შენ — „ძირსო!“
შენგან, ძალაუნებურად,
არ მოველით დანაპირსო,
ჩვენ მოვუვლით ისევ ჩვენს თავს,
არ გვინდიხარ — „ძირს და ძირსო!“
ძალას ჰკარგავ, ის განუხებს,
აღარ გიხსნის დანა პირსო,
მაგრამ რა ვქნათ? ქვეყნის ტანჯვას,
სჯობს იტანჯო ერთმა — „ძირსო!“
ხალხი იბრძვის!.. ხალხი პლელავს!
ველარ ასდებ ან აღვირსო!..
ყოველ მხრიდან შეგძახიან:
„ძირს მთავრობავ, ძირს და ძირსო!“





...დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის ნიღ ახალი, დროის შესაფერი, უნდა აიგოს, ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი, უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასავლელი. ბრძენთა-ბრძენი ამბობს, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. დღეს სწორედ ვარდის საკრეფი დრო გვიდგება, და უნდა ვეცადოთ, რომ ეკალს მოვერიდოთ. სიფრთხილე სიმხდალე არ არის!.. ყველაზე დიდი ეკალი უთანხმოება არის. ეს უთანხმოება, რომელიც ასუსტებს ხალხის ძალას!.. მეცხვარის ძაღლებმაც კი იციან, ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა.

დღეს ჩვენები რამდენიმე წრედ არიან გაყოფილნი, რომ ერთმანეთს წინ აღუდგნენ, თუმცა ცალ-ცალკე კი ყველას ერთი და იგივე უწერიათ დროშაზე: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!“ ეს უბრალო შეცდომა უნდა გასწორდეს. შეერთებულად უნდა მივადგეთ ყველანი ახალშენობას. რასაც დღეს გვაძლევენ, ეს წყალობა არ არის... იძულებითაა... ხალხის ოფლის ღვრითა და სისხლის თხევით მოპოვებული, და ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ უარი ვყოთ!.. უნდა მივიღოთ, მაგრამ კი არ უნდა დავჯერდეთ. ეს არის მხოლოდ ნაწილი და ჩვენ კი სავსებით უნდა ვეძიოთ. ამ მცირედმა რამ ვერ უნდა მოგვისპოს სურვილი!.. ღრმად უნდა ჩავინერგოთ გულში, ვეცადოთ და, თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით, შვილსა და შვილიშვილებს ვუანდერძოთ. და ისინი მაინც უეჭველად გაიმარჯვებენ... ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია, და ასტიქიონება — გამარჯვება!.. წინ ვერა დაუდგება რა!..

აპაკი

„ივერია“ 1905 წ. 2 ნომბერი

